

გონების



1

2020



აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

20001



9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 62-ე წელი

იანვარი-თებერვალი

№1

2020 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თაღორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჭარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქიზურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფაღვა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2020

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33



ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ჯანსაღი, ჯანსაღი

| | |
|--|----|
| ნათია როსტიაშვილი – ლიზი ღმერთია (მოთხრობა) | 3 |
| შოთა ზოიძე – ხულიგანი ლენინი (პოემა) | 13 |
| ვაჟა მთარაშვილი – პოეტური დუეტი ციკლიდან: „ჯვრისწერა ღამით...“ (ლექსები) | 20 |
| ეკა კვანთალიანი – პოეტური დუეტი ციკლიდან: „ჯვრისწერა ღამით...“ (ლექსები) | 24 |
| ნინო ქადაგიძე – მოთხრობები; ზღაპრები | 28 |
| ნანა ანთაძე – ლექსები | 37 |
| ქალთაშვილი სურმანიძე – ლექსები | 41 |

თანაკანი

| | |
|---|----|
| მარიო ვარგას ლიოსა – კითხვის ჩვევისა და ლიტერატურისადმი პატივის მისაგებად (ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია) | 45 |
| ფედერიკო გარსია ლორკა – „Duende-ს თეორია და თამაში“ (ესპანურიდან თარგმნეს ლია ლორია და ვახუშტი კოტეტიშვილი) | 57 |

ინიტიცია, ჯულიუსი

| | |
|---|----|
| ლადო სეიდშვილი – სად არის (ან რა არის) ლექსი? | 67 |
| იოსებ სანიკიძე – ფერთა სიმფონია პუბლიცისტურ ტექსტში | 79 |

წერილი

| | |
|--|----|
| აკაკი ბერიძე, ტარიელ ფუტყარაძე – საფუძველი ჩავუყაროთ დიდაჭარის ახალ ისტორიას! | 87 |
| რამაზ სურმანიძე – გრიგოლ ვოლსკის საიდუმლო საფლავის გახსნამდე ცოტა-ლა დარჩა | 93 |

ნათესაობა

| | |
|---|-----|
| მარინე ჩხიკვაძე – სისასტიკე და გულმონყალება ერთი ფერის ორი ტონალობა | 99 |
| სანდრო ბერიძე – სონეტის აპერცეპცია | 103 |
| ლელა კუკულაძე – თბილისი – ლიტერატურული ტოპოსი | 106 |

სლოგანი

| | |
|-----------------------------------|-----|
| დავით თაღორაძე – ჭირისუფალი | 117 |
|-----------------------------------|-----|

მოლაპარაკე

| | |
|---|-----|
| მინილ მანარაძე – აუცილებელი კომენტარი პასუხზე | 119 |
|---|-----|



ნანია როსტიაშვილი

ლიზი ღმერთია

„იმის“ სახლის შესახებ ვეთანხმები რომ უნდა ჩამე-
ვლო, კიდევ ეგრე დამემართა – მუხლები გამიშეშ-
და. გამიშეშდა, ველარ ვხრი, ველარ მივდივარ.
აქ ავლისას სუ ეგრე მემართება. უკან რო ვბრუ-
ნდები – აღარ. მე რო დილას სახლიდან გამო-
ვდივარ, „ეგ“ ჯერ საწოლიდანაც არაა ამდგარი
და რანაირად შემხვდება? მაგრამ ჩემ მუხლებს
მაგდენი ფიქრი კი არ შეუძლიათ. ამათ მარტო
ის იციან, რო ეს შესახვევი „მაგის“ სახლის შესა-
ხვევია. მარტო ის ახსოვთ, რო ერთხელ „ის“ ამ
ადგილას დამხვდა. მაშინ რაც „იმან“ მითხრა, მე
კი დავივიწყე, მარა ჩემმა მუხლებმა ვერა. მაგ
დღის მერეა ადრე რო ვდგები ხოლმე და გავდი-
ვარ. „ეგ“ და დანარჩენები რო საუზმობენ, მე
უკვე კლასში ვარ, ქოთნის იებს ვრწყავ. ეგრე
მირჩევენია. ადრიანი როა, არავინ მხვდება არც
გზაზე, არც სკოლაში, ეგრე უფრო მშვიდად ვარ.
თან იებიც მიყვარს.

შევედი და წამოვიდა სკოლის დარაჯი ჩემ-
კენ. კარგა ხანია აღარ გამომლაპარაკებია ეგეც.
იცის, რო აზრი არა აქვს. ხოდა მიკვირს, ეხლა
რო ადგა და მოდის.

– შენთვის კარგი ამბავი მაქვს, გოგო, – მე-
უბნება. – ჩემი გოგო ჩამოვიდა თბილისიდან და
ეგ იქნება შენი ახალი მასწავლებელი. იცი მე
როგორი გოგო მყავს? ყველა მაგის მზეს ფიცუ-
ლობს!

ცოტათი სკოლაში შემოსვლისასაც მემართე-
ბა ხოლმე ეგრე, თითქოს ნაბიჯს ვერ ვდგამ
და ჩემს თავს შიგნიდან ვანწები, რო როგორმე
გავიარო, მაგრამ ადრიანად რო დავიწყე მოს-
ვლები, გადამიარა. ხოდა ეხლა მუხლმა კი არ
დამიჭირა, მე თვითონ შევანელე, ჩემით. მეთქი
გავიგო, რას მეუბნება. ოღონდ სალაპარაკოდ
არ გავუჩერდი მაინც, წამოვედი ჩემი კლასისკენ
ეგრე იატაკჩაჩერებული, ვითომ ამის ნათქვამი
არც მესმის. არ ვიმჩნევ, რო დავიძაბე. ახალი
ადამიანები არ მიყვარს. არც ძველები მიყვარან,
მაგრამ იმათ შერჩეული მაინც ვარ.

– არა უშავს თუ არ მელაპარაკები, მე ხო ვიცი
რო გესმის. ჩემი გოგო კარკი გოგოა, კარკა მო-
გხედავს, არ შეგეშინდეს. – თავისთვის ამბობს,
ხმადაბლა. მგონი ბოლომდე არ სჯერა, რო მეს-
მის. კარგი კაცია, კეთილი. ჩემებო ყვარებია
მაგას ახალგაზრდობაში, ჩემებომ მითხრა.

კლასში შევედი და დაფაზე დიდი გველი, მატ-
ლი თუ ჭია ხატია, სათვალეები უკეთია ჩემნაი-
რები და ქვემოთ აწერია: მსუქანი ოთხთვალა
თია. ხო ვიცი, რო „მაგან“ გააკეთა, მაგრამ რო
აზრი აქვს, რო ვიცი.

რო წავიკითხე მუხლები უცებ კი დამება, მა-
გრამ ეგრევე ამეშვა და მივვარდი და ვშლი ეგრე,
ხელებით, ფართხა-ფურთხით. მგონია, სანამ ფა-
ნჯრის რაფიდან ტილოს ავიღებ, ვინმე შემოვა

და დაინახავს და დამცინებს. ნავშალე და დავჯექი. არ ვიტყვებ. იებს კი უკვე ვეღარ მოვრწყავ, მაგრამ არც ვიტყვებ. არ უნდა ვიტყვო. თუ ვიტყვო, უფრო იმაზე, რო თიას ამბობს და მე კიდევ თეა მქვია. მსუქანზე და ჭიაზე არა. ჭიაა თუ უხსენებელი, „მაგის“ დახატულებს ვერ ვცნობ ხოლმე. წელან რო ვთქვი, გველი-მეთქი, არ უნდა მეთქვა. სანამ ლაპარაკს მოვიძულეზდი, ჩემებო მეუბნებოდა, გველი კი არა, უხსენებელი უნდა თქვაო გველზე. გველზე კი არა, უხსენებელზე.

* * *

ერთხელ მათემატიკის გაკვეთილზე, „იმან“ უხსენებელი დამიგდო მაგიდაზე და კიდევ კარგი ეგეთი ადრე მეც მქონდა და ვიცოდი რო ნამდვილი არაა, რეზინისაა და ისე ძალიან არც შემეშინდა და არც შევხტი და არაფერი. ეგ და თავის დაქალები ჩაბჭირდნენ მაინც სიცილით. ისე იცინოდნენ, უხმოდ. მაგათ უხმოდ იციან ხოლმე ჩაბჭირება გაკვეთილზე.

* * *

მოვედი და ჩემებო სახლში არაა. ამოვაძრე იმის დამალული გასაღები კალათიდან ისევ და შევედი დაკეტილი ოთახი რო გვაქვს. დღეს დიდი თეფში ავირჩიე, წვრილყვავილებიანი.

ჩავიტანე სარდაფში და როგორც კი პირველი ნატეხი ჩამოვამტვრიე, მთელი დღის ბოლმა უცებვე წამოიღო და მომეშვა. ხან ისე ვარ, სამი თეფში არ მყოფნის, საშუალოები. დღეს ბევრიც არაფერი მომხდარა. ის ნახატი არ ითვლება, არავის დაუნახავს და არ ვთვლი. კიდევ კარგი ადრე მივდივარ და თუ რამე ხატია, ეგრევე ვშლი. დღეს ბევრი ვერ გაბედა, ეს ახალი მასწავლებელი დერეფანში იდგა და სუ ჩვენ გვიყურებდა. მარტო ერთხელ დაუძახეს სამასწავლებლოდან და „იმან“ მაშინ მოასწრო და მითხრა: „მსუქანო მატლო, ორ თვალს ხო არ მოიხსნიდი და ჩვენ წინ ცოტას ხო არ გაიხობიალებდი, ჰა?“ და „იმის“ დაქალები მოკვდნენ სიცილით. ხმით. ნეტა მართლა მომკვდარიყვნენ. დასვენებებზე ხმით იციან ჩაბჭირება მაგათ. რატიმ ჩაიარა და

გამიშეშდა მუხლები. იქნებ ვერც გაიგო, რაც მითხრეს. ნეტავი ვერ გაეგო.

წამოსვლისას აღარ ვიძახები ხოლმე „იმის“ სახლის შესახვევთან. გაკვეთილები რო მთავრდება, მე ეგრევე გიჟივით გამოვვარდები ხოლმე კლასიდან და ვიცი, როცა „მაგის“ შესახვევთან ვარ, „ეგ“ ჯერ სკოლაშია. ხოდა, „მაგის“ შესახვევთან ვიყავი რო გამეფიქრა, აჰა, თურმე მატლი ვყოფილვარ იმ ნახატზე-მეთქი და რაღაცნაირად გული დამწყდა. მეც კარგი სულელი ვარ, ვითომ უხსენებელი რითი ჯობია მატლს? მაგრამ მატლი საწყალი როა...

ბოლომდე დავტეხე ეს წვრილყვავილებიანი თეფში თავის ყვავილებივით წვრილადა. გულზე მომეშვა. ნატეხები ჩემს საიდუმლო ქვაბში რო ჩავმალე, ჭიშკრის ჭრიალი და ჩემებოს ხმაც ზუსტად მაშინ გავიგე. მიყვარს, ეგრე ზუსტად რო მოვასწრებ ხოლმე.

* * *

დღეს ამ ახალმა მასწავლებელმა გაკვეთილების მერე ფილმი გვაჩვენა. ერთი უშნო ბიჭი იყო, კი გამხდარი და უსათვალო, მაგრამ მაინც ჩემზე უშნო. მაგაზე იყო ფილმი. იმის კლასელები ამათზე უარესები იყვნენ. ისე დასციინოდნენ, მე მაგასთან შედარებით სამოთხეში ვარ. ისეთი ფილმი, იყო, სხვანაირი. მე ხო რაც აღარ ვლაპარაკობ, აღარც ვტყვი, მაგრამ ვუყურებ და უკვე ისე ვარ – გაძლებაზე. ასე მგონია, მერე რა, რო ბიჭია, თან უსათვალო და გამხდარი, მაინც ჩემზეა ეს კინო-მეთქი და მეტირება. ეკრანზე მაქვს თვალეხი ჩასობილი, ვერც ვინძრევი, არც ვახამხამებ. მეშინია, მარცხნივ, ეკრანის ცოტა გვერდზე არ გამექცეს თვალი და ცოტა გვერდზე კიდევ „ეგ“ ზის და ალბათ მე მიყურებს და ბჭირდებიან ეგრე უხმოდ „ეგ“ და ისინი.

ფილმი რო დამთავრდა, მივხვდი, რო არ ყოფილა ჩემზე. თითქოს აქამდე არ ვიცოდი. იქ ის უშნო ბიჭი ბოლოს მთელ კლასს შეუყვარდა და აბა ჩემზე რანაირადა...

ამეებს ვფიქრობ და უცებ ეს ოხერი თვალი „იმისკენ“ არ გამექცა?!

მეთქი მეჩვენება – არც დამცინის, არც მიყურებს, არც დაქალებს ეჩურჩულება. გაშეშებული ზის და ცრემლები ჩამოსდის. ცრემლები „ამის“ ლოყაზე. „ამისი“ ცრემლები, ნამდვილები. კარგად რო გამოვფხიზლდი, მივხვდი, რო მეც კი ვტიროდი და სხვებიც, მაგრამ „იმის“ ცრემლი სხვანაირად დაუჯერებელია მაინც, ძალიან დაუჯერებელი.

პატარა პეჩენიებით და ჟოლოს ნუნნია კანფეტებით სავსე თასები გადმოალაგა მასწავლებელმა თაროდან. ლიზი. ლიზი ქვია. ჯერ „იმას“ დაარიგებინა კანფეტები ყველასთვის და მერე მე პეჩენიები. რალაცას ხვდება, მგონი. მე ხო ვერასდროს ვერ გავბედავ მასწავლებელს ან ვინმეს ვუთხრა ესენი რა დღეშიც მაგდებენ, მაგრამ თვითონ ხვდება ეს, თავისით. გვიყურებს ხოლმე დასვენებაზე, გვაკვირდება. ხან ძალიან ცუდად რო ვარ, ისე მომინდება ჩავეხუტო, მაგრამ რას გავბედავ. წინა მასწავლებელზე არასდროს მომნდომებია, საერთოდაც არავისზე მომნდომებია რატის და ჩაპას გარდა.

იმ უშნო ბიჭზე რო ფილმი ვნახეთ, მაგაზე ლაპარაკობს ლიზი მასწავლებელი და მთელი კლასი უსმენს. თან მასწავლებელივით კი არ ლაპარაკობს, ჩვენი ტოლივით, შინაურულად. დარაჯთან ხო ვიტყუები ხოლმე, რო ვითომ არ მესმის, მაგრამ ეხლა კი არ ვიტყუები, მართლა. ლიზი ლაპარაკობს და მე კიდევ მიჭირავს „იმის“ მოცემული ჟოლოს კანფეტი და ფოჩებს ვანვალე, ამ ფოჩების შრიალის იქით არაფერი მესმის. ხან თვალს გავაპარებ და ვუყურებ, როგორ ღეჭავს ჩემ მიცემულ პეჩენიას და რალაცნაირად, თითქოს აღარ მეშინია უკვე „მაგისი“. უკვე ცოტათი მჯერა, რო ჩემი ფილმიც კარგად დამთავრდება.

რო წამოვიშალეთ სკამებიდან, მე ეგრევე კარებისკენ გავვარდი ჩემებურად და თეააო, ისე თბილად დამიძახა ლიზიმ, მასწავლებელმა, ისევ მომინდა მეთქი ნეტა მივიდე და ჩავეხუტო. ჩვენ ხო ერთი გზა გვაქვსო და მოდი, ერთად წავიდე-თო. გავჩერდი.

წამოვედით ეგრე ოთხივე. მასწავლებელი, რატი, „ეგ“ და მე. ხო რა შუაშია, მაგრამ „ეგ“ ხო

ოთხთვალას მეძახის და გამეფიქრა, ნეტა ჩვენ სოფელზე ეგეთი წყევლა იყოს, ვინმეს ოთხთვალას რო შეარქმევ და იმასთან ერთად ოთხ კაცში მოხვდები, იმას აეხსნებოდეს სათვალე და შენზე გადმოდიოდეს. ხან ეგეთი სულელობები მომაფიქრდება ხოლმე.

თავიდან დავიძახე ერთად რო წამოვედით და მეთქი გავიქცევი ახლა აქედან, სანამ გული გამისკდა, მაგრამ მერე რატი რალაცეებს მაიმუნობდა, გვაცინებდა და კარგი იყო. მეც ცოტას ვიღიმოდი, კი. იმ ფილმის ყურების მერე თითქოს მეც ფილმში გადავცხოვრდი და მომწონს.

რატის სახლთან რო მივედით, ლიზიმ გადაკოცნა. იმასაც რა ექნა, მოვიდა, ჩვენც გვაკოცნა. რატიმ გადაგვკოცნა ჩვენ. „ისიც“ და მეც. და მეც. და მეც. გადამკოცნა. განა ზიზღივით ან რამე, არა. თითქოს მეც ეგეთი ვიყავი, სხვებისნაირი, ჩვეულებრივი. მუხლები კიდე აპირებდნენ თავისებურს და ჩემ შიგნიდან ისე გავუბრაზდი, უხმოდ, ველარ გაბედეს.

„ამის“ შესახვევთან რო მოვედით, „ამან“ ნახვამდისო და შებრუნდა. მასწავლებელი ეუბნება, სულ ეგ არისო, ლანაო?! წამოვიდა „ესეც“ სიცილით და მასწავლებელი ხო გადაკოცნა და მერე მეც. მეც. აქ, თავის შესახვევთან გადამკოცნა მეც და მუხლი კი გამიშეშდა უცებ, მაგრამ ეგრევე მივხვდი, ამის მეტად მე აქ მუხლი აღარ გამიშეშდება.

მოვდივართ და ლიზიმ ცას ახედა, გაუღიმა და მეკითხება:

– კარგი დღე იყოო, არაა? – თან არ მიყურებს და ძალიანაც მიხარია რო არ მიყურებს.

– თუ წინააღმდეგი არ იქნები, ერთხელ ბები-აშენის გამომცხვარ ქადაზე გენვევი. – მეუბნება. – მთელი სოფელი აქებს. ჩაის მე წამოვიღებ, ჟასმინისაა, სურნელოვანი, მოგეწონება. თუ გენდომება, თან რაზეც გინდა, იმაზე ვისაუბროთ. თუ გინდა, მარტო ქადა ვჭამოთ და მე შენს ბებოს იმ ქადის რეცეპტზე დაველაპარაკები. იქნებ ოდესმე ჩემგანაც დადგეს დიასახლისი.

ამეებს ისე მეუბნება თითქოს მე მე კი არა, ვინმე მაგის მეგობარი ვიყო. ისე მეუბნება, ვი-

თომც არაფერი. თითქოს ის სუ სხვანაირი ამბები არ მომხდარა დღეს. მე ხო ვიცი რო ჩემი გულისთვის გააკეთა ყველაფერი, მე ხო ვხვდები.

ჩემს სახლთან რო მოვედით, აბა, ხვალამდეო და გადასაკოცნად რო გადმოიხარა, უცებ კი ვიფიქრე, მეთქი მორჩა, ეხლა მაგრად უნდა ჩავეხუტო, მაგრამ ვერ გავბედე ისევ.

* * *

ჩემებო მართლა გემრიელ ქალებს აცხობს. ყიდულობენ ხოლმე აქ, სოფელში.

ერთხელ, ადრე, „იმან“ მითხრა, ბებოშენის ქალებს ხო არ მოიტანდი ხვალეო, ჰაო? საერთოდ ეგეთი ლაპარაკი იცის: „ხო არ მოიტანდი, ჰა?“, „ხო არ იხობიალებდი, ჰა?“, „ეხლა აქედან ხო არ დაახვევდი, ჰა?“

დილას ჩემებოსებოს გასაყიდად გამზადებული ქალები ჩავინყე ჩანთაში და წავედი სკოლაში. ხო სულ ადრე მივდივარ ხოლმე ისედაც, მაგრამ იმ დილას რო ადრე მივედი, ეგრე არასდროს.

რა კარგი ქალებიაო „იმან“ და ისე გამიხარდა! ამოვიღე და ორივე გაშლილ ხელზე დანყობილი ქალები გავუნოდე. მოიცა ჯერ ყველა შემოვიდეს, სხვებსაც გავასინჯოთო, ღორები ხო არ ვართ მარტო ჩვენ რო ვჭამოთ ეს გემრიელობაო. კარგი-მეთქი, დაუჭენიე და სანამ ბავშვები მთელ კლასში მიდი-მოდიოდნენ და ზოგი დაფას ასუფთავებდა, ზოგი ჩანთიდან წიგნებს იღებდა, ზოგი თამაშობდა, მე ეგრე ძეგლივით ვიდექი შუა კლასში, გამონვდილ ხელებზე ქალები მელაგა და ბედნიერებისგან ჩემდაუნებურად ვილიმოდი. დაირეკა ბოლოს ზარიც და ყველა რო შემოვიდა, „ეს“ მეუბნება, იფ, რა კარგი სუნი აქვს შენ ქალებსო. თან სიამოვნებისგან თვალეები აქვთ დახუჭული „ამასაც“ და თავის დაქალებსაც და ილიმიან. სუ არ მიკვირს რო ჩემებოს ქადის სურნელმა ესენიც გააკეთილა. მიდი ჩემსავით თვალეები დახუჭე და უსუნე რა გემრიელი სუნი აქვსო, გახარებული მეუბნება. დავხუჭე მეც და ცხვირთან რო მივიტანე, ამომკრა „ამან“ ხელებს ქვემოთ მუშტები და ამომეყარა ეს ჩემ-

ებოს ქალები სახეზე და დაიყარა მერე ძირს და ყველაფერი ჩამწყდა შიგნით და ჩამომცვივდა ქალებთან ერთად და დავრჩი ეგრე – გამომცარიელებული.

რამდენიმე კლასელს შევეცოდე, მაგრამ „ამის“ დაქალებისგან ყველამ იცის რო „ეს“ სპორცმენია. ღამ-ღამობით სახლიდან იპარება თურმე და სხვა სოფლებთან ჩხუბებზე დადის და იმარჯვებს. თან ხო გოგოა და მაინც. ხოდა ეშინიათ ამათაც, რა ქნან. თან „ამას“ მართლა ხან თვალი აქვს ჩალურჯებული, ხან მკლავი, ეტყობა, რო მართლა ჩხუბობს, თორე იფიქრებ რო „ამის“ დაქალები იტყუებიან.

ვიდექი ეგრე გამომცარიელებული და ამ სიცარიელეში ერთი ფიქრი მეგდო გასაძლება: მთავარია, დღეს რატი არაა სკოლაში. მთავარია, რატის არ დაუნახავს. მოვბრუნდი და რატი არ დგას კარებთან?! მერე რა იყო, მაგის გახსენება არ მიყვარს, ჩემი და მუნჯი დათას საიდუმლოა. როცა ვატყობ, რო მახსენდება, ხელებს ვმუჭავ, ფრჩხილებს ჩავიჭერ ხოლმე მაგრად ხელისგულებში და რო მტკივა, ფიქრი აქეთ გადმომეყავს, ამ ტკივილისკენ.

მაგ ქალების მოპარვის დღეს ღობიდან გადავძვერი ჩემ ოთახში. სალამოს ჩემებო რო ამოვიდა, არც მეჩხუბა, არაფერი. ერთი ეგ თქვა, შეკვეთა მქონდა ჩასაბარებელი, ღამე გავათენე, დავაცხე და ამ სასიკვდილეს შეუჭამიაო, კარგად ვცემე და დავაბი, შიმშილში უნდა გასძვრეს სული მაგ მყრალ ვირსო, ჩაპაზე. ოლონდ სინამდვილეში ჩაპა ვირი არაა, ძაღლია.

სამზარეულოში რო შევიდა და ცხოზა დაინყო, ავდექი, ჩაკეტილი ოთახიდან ჭიქები ჩამოვიტანე ჩუმად სარდაფში. ხო ვიცი, რო აქედან სამზარეულომდე ხმა არ გადის, მაგრამ ძველი გადასაფარებელი გადავიფარე მაინც და ჭიქების დატეხვა იმის ქვეშ დავინყე. მერე ჩაპას ბუნაგთან მივედი და ჩემი დასისხლიანებული თითები რო გადავუშალე თვალებთან ბოდიშით, შეიძლება მაპატიო, შეიძლება არა. არ ვიცი. ის კიდე ზუსტად ვიცი, მე თვითონ რო არასდროს ვაპატიებ ჩემ თავს. არც ამ ჩაპას ბოდიშისთვის

დასერილი თითების ხათრით და არც იმ საიდუმლო სხვა ამბის ხათრით. ლიზი არ გვასწავლიდა მაშინ ჯერ. ნეტა მაშინ ლიზი მყოლოდა. ღამე სიცხემ ამინია და გამიხარდა, რო ეს დღეები სკოლაში აღარ ვივლიდი.

* * *

იმ გადაკოცნის მეორე დილას „ამის“ შესახებ ვეფთან რო მივედი, დავაკვირდი და არც მუხლი დამება ადრინდელივით, არაფერი. ჩვეულებრივად ავიარე. გული კი ამიჩქარდა ისევ, მაგრამ ფეხი აღარ შემინელებია. ჯადო აეხსნა აქაურობას. ისე უცნაურად ვარ, თითქოს ისევ ფილმში ვარ. ბედნიერ ფილმში. ცოტა კი ვიყოყმანე, მაგრამ რახან მაინც ფილმია, უფრო გავბედე. უკან მოვბრუნდი და იმ ადგილას ახლიდან გამოვიარე. ისევ მოვბრუნდი და ისევ. ისევ. ველარ ვჩერდები, ველარც სკოლაში მივდივარ. მარტო იმაზე ვფიქრობ, რანაირი უშნო სიტყვაა ეს „ვიყოყმანე“. ჩემზე უშნო. ეგრე „ყოყმანი, ყოყმანი“ გულში ვიმეორებ და დავდივარ წინ და უკან სულელივით. ველარც ვჩერდები, ვერც გზას ვაგრძელებ. მერე წამოვედი როგორღაც და ახლა „ამის“ შესახებვის ხრეშიან გზას არ აფუყევი?! ზედმეტი სიხარულისგან მოშლილ ფეხებს „იმი-სი“ სახლის გზაზე მივყავარ და მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

* * *

ზოგჯერ მგონია, მარტო კლასელებს კი არა, ჩემი სხეულის ნაწილებსაც სუ არ აინტერესებთ ჩემი აზრი. თვითონ როგორც მოუნდებათ, ისე აკეთებენ სუ ყველაფერს. მუხლებზე და ფეხებზე ხო ვთქვი უკვე. ენაზე რა ვიცი, მაგან მგონი ცოტა დამიჯერა. ან დაემთხვა, რო მე და მაგას ერთად აღარ მოგვინდა ხმის ამოღება. უფრო ეგ მეორეა. ხო, ჭამაზე კიდევ. თუ სკოლიდან მოვედი და ჩემბებო არც სადმე გადის, არც ქალებს აცხობს, მაშინ თეფშებს და ჭიქებს ხო ვერ დავამტვრევ და მაგ დროს ჩემი პირი ჭამს და ჭამს. გინდა გემრიელი იყოს, გინდა უგემური, უმარილო, მლაშე ან ტკბილი. სულ ერთია. ჭამს და

ჭამს ჩემი პირი, არ აინტერესებს მშია თუ არა. ჭამს, არ ჩერდება. ახსენდება დღეს „იმან“ რეები მეძახა და ჭამს რო გულზე მომეშვას და მეც ამდენი ჭამისგან კუჭზე კი მანვება, მაგრამ ბოლოს გულზე მეშვება მართლა. ერთი ეგაა, მერე უფრო მსუქანი ვხდები და მერე ისიც უფრო დამცინის. თეფშების დამტვრევა მიჩვენია ჭამას. თუ ძალიან ცუდად ვარ და წკიპზე ვარ, მაშინ ჭიქების. თეფშების ნატეხებზე გადასერვა ძნელია ხოლმე. თან არც ასუქებს, არაფერი, მაგრამ ამეებს რო ვამტვრევ, ეგეც ხო საიდუმლოა და ყოველთვის არ მიხერხდება. თან სუ მეშინია რო ჩემბებო ერთხელაც იმ ოთახში შევა და ნახავს რო მაგის ყუთებში შენახული თეფშები და ჭიქები აღარაა.

ხან მომინდება ხოლმე გაიგოს და მკითხოს, ეგრე რატომ ვაკეთებ. ან ის მკითხოს, სულ ცუდ ხასიათზე რატომ ხარო, თეაო. გულში ვიტყვი ხოლმე, აი, ოც დათვლამდე თუ მკითხავს, ყველაფერს მოვუყვები „იმაზე“. ერთხელ მკითხოს და მერე სულ მოვუყვები. აღარც მაგის თეფშებს დავტეხავ, არც ამდენს შევჭამ. მაგრამ არ მეკითხება. იმასაც თავის დაარდები აქვს.

* * *

„იმის“ სახლთან რო მივედი, ლელვის ხე კი დგას მანდ და ამოვეფარე, მაგრამ შიშისგან ყინულად ვიქეცი, ვერ ვინძრევი. მარტო გული მიგდია სადღაც გამლღვარში და დახტის ზევით-ქვევით თევზივით და ყურებში მესმის სულ ხმები. რაღაცა მოგუდული ხმებივით მესმის და მეთქი, ყურებმაც აიშვეს, აჰა, მოიშალნენ ეგენიც. ეზოშიც არავინაა და არც ქუჩაში და მე კიდე მაინც ხმები მაქვს ყურებში. ვდგავარ და „იმის“ სახლის ფანჯარაზე ჩამოკიდებულ ფარდაზე დაქარგულ ჩიტებს ვუყურებ და მიკვირს. რა უნდა ამის ფანჯრებზე ჩიტებს? მგელი იყოს, ვეფხვი იყოს, მაგრამ ჩიტი?! და უცებ თვალებმაც აიშვეს თავის ნებაზე და მაჩვენებენ, ვითომ ფარდა ჩამოგლიჯა „ამან“ შიგნიდან და მინას მოადო სახე და ისეთია, შეშლილივით, ოღონდ თან ძალიან ტირის და დამინახა უცებ ვითომ. გაე-

ხარდასავით თან, რო დამინახა და ხვეწნასავით მიყურებს და ტირის და უკნიდან ვილაცამ თმაში მოქაჩა და შეათრია ვითომ ისევ ოთახში.

უცებ ვითომ ფანჯარას რალაც მოასკდა შიგნიდან. მერცხალი რო შემოფრინდება ოთახში და გასასვლელს ეძებს, ეგრე. უცებ მეთქი ფარდის ჩიტები ხო არაა, ჩემებურად სულელურად გავიფიქრე და რა ჩიტი, „ამის“ დედაა და უცებ გამოალო ფანჯარა და მეზობლებოოოო ყვირის. და უკნიდან მიხურა ვილაცამ და ხმა რომ უცებ ისევ მოიგუდა, უცებ მივხვდი რო კი არ მეჩვენება, მართლია ეს ხმებიც და რასაც ვხედავ მართალია ეგ ყველაფერიც. მივხვდი და უფრო გავიყინე. აღარ ვიცი, რა ვენა, რა გავაკეთო.

გამოჩნდა ისევ „ეს“ ფანჯარასთან და ხელით მანიშნებს რალაცას და ვუყურებ ეგრე ყინულივით, გაშტერებული. ვუყურებ და ტირის და სანამ მამამისის მუშტი მოხვდა, ხელი წაილო ყელთან, გეხვეწებო და უცებ გამოვფხიზლდი. მოვიხსენი ჩანთა, მივაგდე და მივრბივარ. ისე ძალიან მივრბივარ, ფრთებივით. მივვარდი ლიზის ჭიშკარს და ძალი მალე არ გამხსენებია, შევვარდი და დგას ლიზი, მობილურში იყურება. მოვკიდე ხელი, მოვუჭირე ხელი და მოვარბენინებ უკანა გზაზე ეგრე, ფრანკით.

* * *

გაკვეთილების მერე სუ გვტოვებს ხოლმე მთელ კლასს, რალაცებს გვაკეთებინებს. ერთხელ სპექტაკლი დაგვადგმევინა. სცენისთვის ყუთებისგან რალაცებს რო ვანყობდით, წებო მარტო მე მომცა და ყველა მე მთხოვდა და ვაძლევდი. ზოგი მაღლობაო მეუბნებოდა. „ეს“ თავიდან არ მთხოვდა და ლიზიმ უთხრა დაწებება სჭირდება მაგ დეტალებსო, თეას აქვს წებო, სთხოვე და შენებურად კოხტად დაანებე მერეო.

მერე თქვა ლიზიმ, გაზაფხულზე ცეკვები დავდგათო და მერე მე მითხრა ჩუმად, ხელებზე დასერილები უნდა მოირჩინო მანამდეო. მე მაქვს კარგი მალამო და მოცემო. რა შუაში იყო მაგრამ ეგრევე მივხვდი რო რატისთან უნდა მაცეკვოს. გულში ვთქვი რო ცოტა უნდა გავხდე

გაზაფხულამდე და წამოსვლის წინ „ამან“ დერეფანში ფეხი რო წამომიდო ხო როგორ ნერვებ-დაგლეჯილი დავბრუნდი, თან ბებოც სახლში დამხვდა და მაგრამ მაინც არ ვჭამე.

ერთხელ ლიზიმ ესეთი რალაცა მოიგონა: თვალები დახუჭეთო. დავხუჭეთ და შუბლზე აგვაკრა ფურცლები. ზოგს რა ფერი, ზოგს რა ფერი. გაახილეთო და ისე რო ხმა არ ამოილოთ, დაჯგუფდითო. ჯერ ვერ მივხვდით და მერე უცებ მე მივხვდი და სამ გოგოს ვანიშნე, ცისფერები გაქვთ მინებებული და ერთად დადექით მეთქი. ეგეთ რამეებს უკვე ვხედავ, აღარ მეშინია რო რამე შეცდომით არ ვთქვა და არ დამცინონ. სპექტაკლს რომ ვდგამთ და ექსკურსიებზეც დავყავართ ლიზის და ფილმების მერე ერთად გველაპარაკება, თითქოს აღარ ვართ ცალკე მე და ცალკე ესენი, კლასელები. ერთმანეთს ვეხმარებით წებოს მიცემაა თუ გუნდების თამაში და მაგიტო. გაკვეთილების მერეც უკვე აღარ გავრბივარ ხოლმე სახლისკენ.

ხოდა მანიშნებს ამ დროს რატი რო მოდიო, ჩემი ფერის ფურცელი გაქვს შუბლზეო. მაგის მერე მიყვარს წითელი ფერი. ისე მიყვარს, რო თუ თეფშს წითელი ყვავილი ახატია, ვეღარ ვტეხავ. ვუყურებ სხვა ჯგუფებს, მეცინება: ზოგი ვერ ხვდება ასე მუნჯურად როგორ უნდა გაიგოს ან ახსნას რამე და მე კიდე ისე მსიამოვნებს რო ჩემსავით ხმას არ იღებენ ესენიც.

„ამის“ დაქალს ქონდა ყვითელი ქალაღი. ჩამოგვიარა, გვანიშნებს, თქვენთან უნდა დავდგეო? თქვენთანო? და ჩვენ ყველამ ვუთხარით არაო და გაცეცხლებული დადგა მარტო.

ლიზი ჩაეხუტა ბოლოს მაგას და ეუბნება, აბა, აგვიხსენი, რატომ დგახარ მარტოო. ამან უთხრა, სადაც მივედი არ ჩამაყენეს თავისთანო. ეტყობა მარტო მე მაქვს ეს ფერიო.

– და რა იგრძენი, როცა არ მიგიღეს და მარტო დარჩი?

ისე მზრუნველად ეკითხება ლიზი, რო მეთქი ეს მაგის ეგრე მარტო დასადგომად გამმეტებელი არ იყო. ალბათ შემთხვევით შეყვა ეს ერთი ცალი ყვითელი.

– მენყინა. ყველა ჯგუფებად იდგა და მე კიდე მარტო დავრჩი, არავის უნდოდა მაგასთან დავმდგარიყავი და მენყინა, ცუდ ხასიათზე დავდექი.

– გასაგებია. რეალობაში თუ გიგრძნიათ მსგავსი რამ, ბავშვებო?

ეს რომ იკითხა, მივხვდი, რომ კი არ შეეყვა ის ყვითელი, სპეციალურად გააკეთა ლიზიმ ეგრე.

– ან თუ შეგიძინებიათ, რომ თქვენს გვერდით სხვას აქვს მსგავსი პრობლემა? ამაღამ იფიქრეთ და ხვალ მომიტანეთ ფურცლებზე დაწერილი. რაც ვთქვი, მაგის გარდა, გვევალებათ დაწეროთ თქვენი აზრი, როგორ შეიძლება ასეთი „ცალკე მდგომი“ ბავშვების დახმარება? თქვენ რა გაგიკეთებიათ, იმისთვის, რომ თქვენს თანატოლს გარიყულად არ ეგრძნო თავი? რას გრძნობთ, როცა თავს მის ადგილას წარმოიდგენთ? რაც მთავარია, ეს პასუხები მხოლოდ ფურცლებზე არ უნდა დარჩეს, ჩვენ ყველამ რეალურად უნდა ვიზრუნოთ ერთმანეთზე.

* * *

„იმის“ ფანჯრიდან ჩანს ისევ ყველაფერი და ლიზი მივარდა ეგრევე ჭიშკარს, აბრაახუნა, ჩაკეტილი ჰქონდათ შიგნიდან. მერე ვილაცხეებს დაურეკა და სანამ ისინი მოვიდოდნენ, მეზობლებსაც უბრაახუნა. მეზობლის კაცები შეცვივდნენ მერე და გააკავეს ლანას მამა.

ლიზი აღარ იყო ლიზისნაირი. ვეფხვისნაირი გახდა. მეზობლის ქალს უყვიროდა, რას ქვია ოჯახის საქმეში არ ერევითო, რომ მოეკლა ორივე, თავს როგორ აპატიებდით მერეო. ოცდამეერთე საუკუნეში ძალადობაზე როგორ უნდა გაჩუმდე ადამიანიო. იცით თქვენ მერე მოძალადის შვილების ფსიქიკას რა მოსდისო? იღებთ ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობასო? და მერე მანქანებით მოვიდნენ ვილაცხეები, ლიზის დარეკილები. სასწრაფოც მოვიდა. ლანას დედა მაგათ წაიყვანეს და მამა სხვებმა. ლიზი რომ მეზობელს უყვიროდა, მაგ ქალს უნდოდა ლანა თავისთან წაეყვანა, მაგრამ ლიზიმ უთხრა, ბავშვს მე მივხედავო.

უცებ მივხვდი, რომ სახელს ვამბობ გულში და მიკვირს. ლანა, ლანა. ტირის და ლიზის ეხუტება. მკლავი აქვს დანითლებული. გამეფიქრა, გაულურჯდება მეთქი მანდ და უცებ მივხვდი რომ განა მართლა სპორცმენია, მამამისი რომ ცემს, მაგიტო აქვს ხოლმე სუ ჩალურჯებული. უცებ ისე ძალიან შემეცოდა და ჩემ თავზე გავბრაზდი რომ რამდენჯერ მინატრია რინგი ქვია თუ რაცაა, იქ, იმ ჩხუბებში ნეტა მოკლან მეთქი. ლანა. ლანა. ლანა.

* * *

ვწერ ხოლმე ლიზის რაღაცეებს. თვითონაც მწერს. ერთხელ თქვა გაკვეთილზე, დაწერეთ რაზე ოცნებობთო. ყველამ ხო დაწერა თავისი და მე ჩემებზე დავწერე. ჩემებოს ოცნებაა რაიონის გაზეთში რომ რამე დაწერონ მაგაზე-მეთქი, ან ქადებს რომ აცხობს, ან რამე. მთავარია, სურათიც რომ დაბეჭდონ მაგისი-მეთქი. მართლა ეგრეა. ხოდა, მაშინ მითხრა ლიზიმ, შენზე ლაპარაკს არ უნდა გაექცეო, მოდი, შენზე მელაპარაკეო და ნახავ როგორ კარგად იქნება ყველაფერიო. მაგის მერე ვწერ ჩემზე ყველაფერს ლიზის. თვითონაც მწერს და დილაობით წერილებს რომ ვცვლით, ეგ მომენტი მიყვარს ყველაზე უფრო.

ორი საიდუმლო ხო მაქვს და მაგეების მოყოლის მეშინოდა. მეორე ისაა, ჩემებოს თეფშებს რომ ვპარავ და ვამტვრევ. ბოლოს მოგუყვივი ეგ. არ გაბრაზდა, მკითხა, ბევრი დაგიგროვდა ნატეხიო? მეთქი კი, რაც წერილებს გწერთ, იმდენს აღარ ვამტვრევ, მაგრამ ქვაბი გაივსება მაინც მალე. მოდი შეეშვი გატეხვას და მაგ ნატეხებისგან რა გააკეთო, მაგაზე იფიქრეო. სხვა მასალებს მე მოგცემო. შენ მდიდარი ფანტაზია გაქვსო და რაიონული კონკურსია სკოლების გამოცხადებული, ხელნაკეთ ნივთებზე და შენი იმედი მაქვსო. მეცო და სკოლასაცო.

რაც არ ვლაპარაკობ, ხო არც ვტირი, მაგრამ ეგ ბოლო რომ წავიკითხე, ამეტირა. სარდაფში ვკითხულობდი, უკვე ერთი ნატეხი მქონდა სუპის თეფშზე ჩამოტეხილი მაგ დროს და გავჩერდი და ვიტირე. მერე ნებო როცა მომცა,

პირველი ეს თეფში დავანებე და ავიტანე ისევ ჩაკეტილ ოთახში. მაგის მერე ეგ ოთახი აღარც გამიხსნია.

პირველი საიდუმლო კიდე ისაა, ქადები რო დამაყრევინა და უკან თურმე რატი მედგა, ყველაფერი დაინახა. გამოვვარდი კლასიდან და მივრბივარ ღრიალით. მივრბივარ და ვფიქრობ, რო აღარ შემიძლია მეტი. ველარ ვუძლებ, ღმერთო. თან რო ვიცი, რო ხვალაც ეგრე იქნება და სუ, ველარ ვუძლებ, როდემდე გავუძლო, აღარ მინდა და მდინარეა თან მაგ დილას ადიდებული. არც მეშინია, არაფერი. მარტო ის მინდა, რო აღარ ვიყო და დავისვენო...

დარაჯის ძმაკაცი როა, მუნჯი დათა, მაგან ამომათრია. კიდე კარგი რო კი არ იტყუება, ნამდვილი მუნჯია, ვერ დაიყვირებს, რო ლამარას შვილიშვილი თავს იკლავს, ხალხო. ჩუმიად გადამარჩინა და რო შევხედე, ეგრე თვალებით შევეხვენი, რო სუ არავის უთხრა-მეთქი, დათა პაპა. გეხვენი, ჩემბებოს არავინ გააგებინოს. ეგრე მუნჯურად ვთხოვე მუნჯ დათას და იმის თვალებიდან მივხვდი, რო არ გამთქვამდა. მაგის მერე აღარ დამილაპარაკია არავისთან, არც მარტო რო ვარ, მაშინ. თუ შენი გაგება არ უნდათ, რომც იყვირო, ვერ გააგებინებ. თუ ადამიანს შენი ესმის, მაშინაც ესმის, თუ მარტო თვალეში შეხედავ და არაფერს ეტყვი.

* * *

იმ ღამეს ლანას დედა ხო საავადმყოფოში იყო და ლანასთან ერთად მეც თავისთან დამტოვა ლიზიმ. დაძაბულები ვიყავით სამივე. მერე ლიზიმ თქვა, სანამ გემრიელ პიცას გამოგიცხობთ, დაგტოვებთ ცოტა ხანსო, თან ლანას ვიცი ენდომება მადლობა გადაგიხადოსო და გავალ მე, ხელს არ შეგიშლითო. ისეთი ღამე იყო, ძალიან სხვანაირი. მაგ ღამის მერე გავიგე, რო თურმე კარგად რო ხარ, მაშინაც გეტირება ადამიანს. ძალიან კარგად რო ხარ, მაშინ კიდე უფრო ძალიან გეტირება. ადრე მეგონა, ტირილი მარტო დარდისაა.

* * *

დავინყე ქვაბში მოგროვილი ნატეხებისგან რალაცეების გაკეთება. ჭიქებისეზი გადავყარე, სისხლი რომელზეც იყო, ისეთი თეფშებისეზიც. ლიზი ლამაზი რამეების გაკეთების ვიდეოებს მაყურებინებს ხოლმე კომპიუტერში. ბევრს. მაგრამ გგონია სახლამდე მახსოვს? ხოდა ისევ ჩემი ჭკუით დავინყე გაკეთება. მეც არ ვიცი რას ვაკეთებ, მაგრამ ლამაზი კი გამოდის. სუ მახსოვს რო ლიზის ჩემი სჯერა და უნდა გავახარო. ლიზი ამბობს, რო როგორც ამ დიდი ტკივილის დროს დატეხილი თეფშებისგან რალაც ლამაზის აწყობა შეიძლება, ეგრე შეიძლება თვითონ ტკივილგადატანილი ადამიანისგან ბედნიერი ადამიანის შექმნა. არ მჯერა, მაგრამ თავს ვუქნევ, რო გაუხარდეს.

* * *

გაკვეთილების მერე რალაცაზე უნდა დავგელაპარაკოთო, ჩვენი კლასის საიდუმლოზეო, ლიზიმ. მე უკვე ვიცი, რაზეც, გუშინ მკითხა და მეთქი კარგი, ლიზი.

– რაიონული კონკურსია, ბავშვებო, სკოლების, ხელნაკეთი ნივთების თემაზე. თეას აქვს ძალიან კარგი ნამუშევარი, მაგრამ დასასრულებელია, დროში ვერ ვეტივით. თან მასალა სჭირდება. ვის გაქვთ ცისფერ და ან სტაფილოსფერ ყვავილებიანი თეფშები სახლში?

მე კი ვუთხარი ლიზის გუშინვე, ნატეხების მეტი რაა, ამოვარჩიოთ-მეთქი ქვაბიდან, ან ახლებს ჩამოვიტან ოთახიდან, ცისფერსაც, სტაფილოსფერსაც, მაგრამ ლიზის უნდა სხვებიც დამეხმარონ. სხვების თეფშებიც რო იქნება, უფრო ძალიან გაუხარდებათ თუ გავიმარჯვებთ. არც შური იქნება, არაფერი. თავის თეფშიანი ხო ყველას უხარია. და ვერგამარჯვებაც ყველასი იქნება. არც დაცინვა, არაფერი. კარგი-მეთქი ლიზი, როგორც იტყვი.

თან ვნერვიულობ, ჩემმა მოჯღღარდულმა რა უნდა გაიმარჯვოს, მთავარია, არ დაცინონ. ორი დღის წინ მივწერე ლიზის, აღარ მინდა კონკურ-

სზე-მეთქი და გაბრაზდა. თუ ეწყინა. და მაგის გაბრაზებას ან წყენას ისევ კონკურსზე ამის გაგზავნა მირჩევნია. თან ლიზი ამბობს, რომ მთავარია ადამიანმა აკეთოს. ეს კეთებაა თვითონ უკვე გამარჯვებამ და წაგება-მოგება არაა მთავარიო. მე ხო ვიცი რომ ეგრე არაა, მაგრამ დავეთანხმე, ეგონოს რომ დავიჯერე, გაუხარდება.

ხოდა ნებოც გვჭირდებაო, ლიზი ამბობს უცებ გაკვეთილზე. ლანას დაქალმა მე მაქვს მასწ, მე მოვიტანო, გახარებულმა წამოიძახა. და გავხედე ლიზის, ნებო გვაქვს ორი ცალი, რათ გვინდა. მაგრამ ლიზიმ მანიშნა რაღაცა და კარგი, ჰა, მოიტანოს მესამეც.

ლიზისთან წავიდე და იქ ვაკეთებთ მთელი კლასი. მე ვანიშნებ და ეგენი მანვდიან რომელიც მინდა და მე რომ ვანებებ მერე უჭირავთ ამათ ცოტა ხანს ეგრე, რომ ნებო კარგად გაშრეს. რატიმ ერთი დებილობა თეფში მოიტანა, მწვანე ალუბლები ახატია. ეგეთი დებილობა არსად გამიგია. მწვანე ალუბალი თეფშზე. ალუბალი მწვანე. ხან სად მივადებ, ხან სად. არ უხდება. მაგრამ მინდა რატის ხათრით სადმე მივანებო.

ლიზი ამბობს უცებ, უი, ეს რა კარგი ფერები! რატი მაჩუქე რაა, ამით მე ცალკე გავიკეთებ ჩემთვის რამესო. რატის გაუხარდა და მისცა და მეც ამოვისუნთქე. რაღაცნაირია ლიზი. სულ არ გჭირდება მაგასთან ლაპარაკი. ისე ხვდება ყველაფერს, თავისით. ორი მუნჯი ვართ სოფელში, ერთი ნამდვილი და მეორე მე და ორივესთან ეს მამა-შვილი მეგობრობს მარტო. როგორი რაღაცნაირი ხალხია, ადამიანზე ცოტა უფრო მეტი.

– გამარჯვებულს სამ აპრილს გამოავლენენ, – ლიზი ამბობს. – მაგრამ მთავარი გამარჯვება ესაა, ახლა აქ რომ ვართ, ერთად. ერთმანეთს ვეხმარებით და ჩვენი პირადი საიდუმლო გვაქვს.

* * *

დავდგით ცეკვები, დღეს მეჯლისი გვაქვს სკოლაში. მივედი და რატი მეუბნება: „ვაუ! რა ლამაზი ხარ, თეა!“ ეგ „თიას“ არასდროს ამბობს. მგონი სულაც მაგის გამო მომეწონა სუ თავიდან. ვუღიმი მეც და ერთი სული მაქვს ლიზის

როდის მივწერ რომ რატიმ მითხრა რომ ლამაზი ვარ. ეს ლიზის შეკერილი კაბა მართლა მომიხდა. თან ხო გავხედი რაც პირში აღარ ვიყრი ყველაფერს, რაც იჭმევა. თან თითებზეც ხო მიშველა ლიზის მალამომ.

ვცეკვავთ და ხო ბედნიერი ვარ რომ რატი აეგრე მიყურებს. რომ ეს ლამაზი კაბა და ყველაფერი, მაგრამ თან მეტირება. სამი აპრილია დღეს და ლიზი არაფერს ამბობს იმ კონკურსზე და მეც კარგი სულელი ვარ, რისი გამმარჯვებელი იქნებოდა ჩემი მოჯღლარდული? მაგრამ მაინც თითქოს გულში იმედიც მქონდა. მეთქი იქნებ ხვალ თქვას ლიზიმ რამე.

* * *

მივდივარ-მოვდივარ სკოლაში და არაფერი. ლიზი საერთოდ არ ახსენებს კონკურსს და რაღაც მიხვედრა უნდა რომ ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ მაინც ვბრაზდები რომ ლიზი არაფერს ამბობს, თუ წაგება მართლა არაფერია, რატომ არ ამბობს ჩვეულებრივად, რომ აი წავაგეთ მარა მერე რა.

შევედი და დარაჯი ადგა და ეტყობა ისეთი მჟავე სახე მაქვს, რომ ეგრევე დაჯდა, სიტყვის უთქმელად. წავედი კლასისკენ და კარს ვანებები და არ იღება. მივანეკი ისევ და გაიღო. გაიღო და. გაიღო და ბუშტებია სულ კლასში და დგანან ყველანი, ესენი. ასე ადრინად ყველანი კლასში არიან და რომ შევედი და ტაში დაუკრეს და მიცინიან, ღმერთო! ლიზიმ მუსიკა ჩართო და მეხუტებიან ყველანი. ყველანი მეხუტებიან და ვხედავ დაფაზე წერია:

„დიდი მადლობა, თეა, შენ ჩვენი სკოლა ასახელი, გავიმარჯვეთ!!!“

ჯერ უცებ ვერ მივხვდი რა ხდება და თან ხო მუსიკაცაა ჩართული და არ მესმის რეებს მეუბნებიან და ლიზიმ გამორთო მუსიკა და მოაქვს გაზეთი.

– ამის გამოსვლას ველოდებოდი, – მეუბნება. – იმიტომ არ გითხარი იმდღესვე.

ვუყურებ და ზემოთ ხომ ჩვენი კლასის სურათია და აწერია „გამარჯვებულები“, ქვემოთ კიდე, ვაიმე, ჩემბებოს სურათი არ დაუბეჭდავთ?! აწე-

რია, რო გამარჯვებულები მადლობას უხდიან ქალბატონ ლამარას, ანუ ჩემბებოს, ულამაზესი მასალისთვის, რომლისგანაც გამარჯვებული ნამუშევარია შექმნილიო. ვაიმე, ღმერთო!

– ერთად მივუტანოთ ეს გაზეთი ბებიაშენს და ოცნების ახდენის ხატრით აუცილებლად გაპატიებს, – ჩემი ლიზი მეუბნება.

ვტირი და ღმერთო, ღმერთო, თან დახტიან ესენი ყველანი ჩემ გარშემო და უხარიათ: რატი-საც, ლანასაც, სუყველას.

უცებ რატი შეტრიალდა და მიდის. მივიდა დაფასთან, მადლობა რომ დამინერეს და ნაშალა, ოღონდ სუ კი არა. თია ნაშალა მარტო, დაწერა თეა და წამოვიდა ისევე გაცინებული. მომდის და მომდის ცრემლები. მომდის, ვერ ვჩერდები. ავიჩემე ეს „ღმერთო“ და ვიმეორებ გულში.

ლიზის ვუყურებ და ისეთია, მეგობარი. ვერ ვბედავ და ეგეთები აღარ ვიცი, მივედი და ისე ძალიან ჩავეხუტე, რო ძვლებამდე.

ყელი და ხორხი მაქვს მშრალი და აი წყალი რო დიდხანს არ მოდის და უცებ რო წამოიღებს ჟანგიანს და ხროტინებს თან, ეგეთი ხმები ამომდის. ამომდის და არ ინმინდება. არ ინმინდება და ბოლოს თითქოს ამოვახველე, ეგრე ამომვარდა პირიდან:

– ლიზი.

ჩუმად ვამბობ თუ ხმამაღლა, არ ვიცი, სუფთად ვამბობ თუ ჟანგიანად, არც ეგ, მარტო ის ვიცი, რო მართლა ვამბობ, ხმით. ხმით ვამბობ „ლიზი“, გულში ვიმეორებ „ღმერთო“ და ზუსტად ვიცი, რო ეს ორივე სიტყვა ერთი და იგივეა.



პოტა ზორიძე

ხულიბანი ლენინი

(პოემა)

1.

არ ვიცი, რით და როგორ დავინყო,
კარგი დასაწყისი კარგი დასასრულია.
ამისთვისაც მზადა ვარ სრულიად,
თუმცა ბოლო დროს გავხდი გულმავინცი.

ვიყავი დიდი ომის პატარა ბავშვი.
ახლაც გულს მიკანრავს ეკლიანი ბავშვობა,
არ ვიცი რა იყო ლამაზი სათამაშო,
მე მაშინ ჭადრაკი და ფეხბურთი მიტაცებდა.

პირველი ლექსი დედამ მასწავლა,
ეს იყო გორელი სოსელოს „დილა“,
რომლითაც იწყებდა ქეთო მასწავლებელი,
სიმღერის გაკვეთილს პირველკლასელებთან.

გვიან ვისწავლე „სიმღერა გრიგალაზე“,
მაგრამ არ ვიცი ვინ იყო გორკი,
გაგონილი მქონდა პუშკინის სახელი,
მაგრამ ლერმონტოვზე არაფერი მსმენოდა.

რუსულს მასწავლიდა არმაზ ფალავა,
ვერ ვიტყვი, რომ ცუდი მასწავლებელი,
მაიაკოვსკის პოემა მომცა საზეპიროდ,
პოემის ერთი თავი თავიდან ბოლომდე.

ალარ მინდოდა ლენინის გაგონება,
მისმა ზეპირობამ ისე გამაწვალა,
რადგან რუსულის არაფერი მესმოდა,
დიდად არც ჩემი პედაგოგი ბრწყინავდა.

და გვიან, როცა გავუგე გემო
და მერეც, როცა რუსულში გავინაფე,
არმაზ ფალავას ცუდმა მოწაფემ,
ისე შევიყვარე მაიაკოვსკის ლექსები,

როგორც ლენინის „ნინონმინდის ღამე“,
როგორც ტიცინის „ლექსი მენყერი“,
მეც გადავწყვიტე, რომ ლექსები მენერა,
მაგრამ მათ აჩრდილსაც ვერ დავეწევი.

და თუ ვწერ, იმის გამოისობით,
რომ სიყვარულმა არ იცის საზღვარი.
და მეც პოეზია უსაზღვროდ მიყვარს,
მათ შორის არის მაიაკოვსკის ლექსები.

მაგრამ მაიაკოვსკი არ არის მარტო,
გენიოსებს მე აქ აღარ შევანუხებ,
ვიტყვი, რომ მიყვარს ანდრეი ვოზნესენსკი,
როჟდესტვენსკისთანაც არა ვარ უბრად.

შეძლებისდაგვარად ორივე ვთარგმნე,
თამაზ ნივნივაძემ უპრობლემოდ დაბეჭდა,
და როგორც საშა მეჟიროვის მოწაფემ,
ხელი მოვანერე მთარგმნელის გვარით.

ახლა კი ასობით, ფაქტორის გავლენით,
ლენინზე დავიწყე პოემის წერა.
არ დაგაბნოთ პოემის სათაურმა
და არ გამხადოთ ბრმა ბედისწერა.

2.

ლენინი კითხულობდა მიაკოვსკის პოემებს,
მაგრამ არ დასცალდა „წყნარი დონის“
წაკითხვა.

კარგად იცნობდა ჩერნიშევსკის შრომებს,
მაგრამ მარქსიზმის იყო კლასიკოსი.

შეეძლო „კაპიტალის“ ზეპირად ციტირება,
იცოდა, ეს იყო გენიოსის კალამი.
იგი არ წაუკითხავთ ხრუშჩოვს და გორბაჩოვს,
რომც წაეკითხათ, ვერაფერს გაიგებდნენ.

ბრეჟნევის მოხსენებებს ინსტიტუტში წერდნენ,
ცხადია, „ყამირი“ სხვებმა დაუწერეს.
ჩემი ცოდვა იმას, სხვა დანარჩენიც,
ვინაც „მაღალა ზემლია“ დაუწერა.

ვინაც დაუწერა, კარგად დაუწერა,
ესეც სათქმელია, რადგან სიმართლეა,
ხოლო სიმართლეს უფროსი არ ჰყავს,
ესეც ქართველმა მწერალმა მითხრა.

რადგან თავზემთ არ არის ძალა,
გორბაჩოვის ნებას ყველა მორჩილდება,
როცა რეზიდენტი გენსეკა გახდა
და მერე რეზიდენტი გავაპრეზიდენტეთ.

სტალინი თავისი გზით ლენინის გზას გაჰყვა,
ნიკიტამ სიბრიყვით სტალინი დაგმო,
დაგმო და უმაღლესი თავი,
მკვდარმა სტალინმა ცოცხალი ხრუშჩოვი,

ათრია, როგორც ნაგვიანი ტომარა,
მუნიან თავზე არ აკმარა ჩიბუხი,
ახტუნა და ამღერა რუსული ჩასტუმკები,
მერე უკრაინულ გოპაკით აგლახავა.

3.

ამ დროს ვალოდიას ეძინა მშვიდად
და ძილში უამური სიზმარი ნახა,
ლეიბა ტროცკი ყვარობდა ნადეჟდას,
კრუჰსკაიას სტალინზე ეჭირა თვალი.

ქართული სისხლის დუღილი ესმოდა,
ინესა არმანდიც ლალატობდა ბოლოს.
ამის გამო სიზმარში თავბრუ ესხმოდა,
ამიტომ არავისი არაფერი ესმოდა.

სიკვდილმა ავი სენისაგან განკურნა,
მისი სიფილისი გორკაში დარჩა,
და აი, ახალი რომანი ცეტკინთან,
დიახ, ბატონებო, რომანი კლარასთან.

კარგად ესმოდა, რომ ინესა არმანდი,
კლარასთან რომანს არ აპატიებდა.
ეს ასეც მოხდა. საქმე აინუნა,
ამბავი კრუჰსკაიას ყურში ჩაენვეთა.

ნადეჟდამ უმაღლესადება დაწერა
და ბელადს მეორე ბელადთან უჩივლა.
ლალატის მიზეზი სტალინმა აუხსნა –
დაგავიწყდა რომ ბელადის მეუღლე ხარ?

თავი მოინესრიგე, ტანი დაიბანე,
თმები დაივარცხნე და გამოკოხტავდი...
და ამის შემდეგ თუ გილალატოს,
მოდის და თვალეებში ნაცარი შემაყარე...
უთხრა და განცხადება სახლში გაატანა.

4.

როგორც მოგახსენეთ, ეს იყო სიზმარი,
როცა გაიღვიძა, მწარედ ინანა,
მის გვერდით არ იყო ინესა არმანდი,
არ იყო და ეჭვი სტალინზე მიიტანა.

დაჯდა და სასწრაფოდ დაწერა წერილი,
პოლიტბიუროში ნადეჟდას გაატანა,
წერილი იყო ძალიან მკაცრი,
რომლითაც სტალინის უხეშობას ამხელდა.

სტალინმა წერილი ბიუროს წაუკითხა,
რომელსაც ნადეჟდა კრუჰსკაიაც დაესწრო,
და როცა ლენინის ქალები ამხილა,
რომლებმაც ბელადს სიფილისი აჰკიდეს,

კრუჰსკაიამ საკითხის მოხსნა მოითხოვა,
ახლა მთავარია ბელადის იმიჯი,
ბელადის, რომელიც გორკაში იწვა,
ლოგინში იწვა და არა – მიწაში.

თავის მართლების არ იყო შანსი,
ამიტომ წერილი გაითხოვეს უკან.
წაიღეს, მაგრამ ვაი, ამ წაღებას,
ზვაგვივით აიგრაგნა ქორების დასტა.

რომელიც, ვიცი, კიდევ დიდხანს გასტანს,
რადგან ბელადი ჯერ კიდევ ცოცხლობს,
ჯერ კიდევ ცოცხლობს პროლეტართა გულელებში,
თუმცა პროლეტარები აღარ არიან.

რადგან პროლეტარები ისე გაბურჟუვდნენ,
ვერ მოვასწარი თვალის ახელაც.
იგი პროლეტარების ბელადი იყო,
ახლა აღარ ვიცი ვისი ბელადია.

5.

ლენინში იყო რუსეთის სივრცე,
ლენინში იყო მონღოლური სისასტიკე,
ტამერლანისა და ჰანიბალის რისხვა,
ანტარქტიდის სიცივე და საჰარის სიცხე
და პეტრე პირველის არაფერი ეცხო.

ლენინში იჯდა პატარა რასპუტინი,
რასპუტინის ხულიგნობა, რასპუტინის მაგია,
რომელმაც რუსეთი ჩიტივით გაპუტა,
ამხანაგი ლენინი კარგი ამხანაგია.

დიახ, ბატონები, რასპუტინი გრიგორი,
გრიშუტკა ანუ მამაძალღი რასპუტინი,
ძლიერი, როგორც მურომეცის ცხენი,
ჯიუტი, როგორც ნასრედინის ვირი,
ფიცხი, როგორც პუგაჩოვის აჯანყება,
ცხენივით ქამდა და ხარივით სვამდა.

რასპუტინი, რომელიც დედოფალთან იწვა,
ლენინს კლარაც კი არ აპატიეს,
მისთვის არ გაიმეტეს ერთი მუჭა მიწა,
ვერ გამირკვევია ვისმა ცოდვამ უწია.

ლენინის მოქმედება არ იყო ადვილი...
როდესაც ესროლა კაპლანის ქალმა,
ჭრილობას უშუშებდნენ პუტილოვის მუშები,
მუშებს ლენინთან არავინ უშვებდა.

ჭრილობას უშუშებდა მუშათა კლასი,
ბელადმა იცოდა მუშების ფასი,
მუშები უყვარდა, ისე როგორც ბავშვები,
მაგრამ ცხოვრობდა ბავშვების გარეშე.

ლენინში იყო ფატალური ფატუმი,
ფუტურო რომანტიკა და არა – ოცნება.
რობაქიძემ ლენინს „გაბედვა“ უწოდა,
რასაც სტალინსაც ვერ დაუნუნებდი.

ლენინი იყო რუსეთის საშო,
მის სისასტიკეში სიკეთეც ერია.
და სიკეთენარევი ამ სისასტიკით,
მთელი მისი სიცოცხლე იყო მოქმედება.

6.

როცა პირველად შევიდა სმოლნში,
ამ ქალაქს პეტრეს სახელი ერქვა,
მაგრამ წითელმა რევოლუციამ,
პეტროგრადი უმაღლესად გააღწინგრადა.

ორივე შემთხვევაში „გრადი“ გრადია,
პეტრე პირველი რუსეთის სახეა,
რომელმაც აღმართა ქალაქი ნევაზე
და ეს ქალაქი ძეგლად დაიდგა.

Петр Великий ახლაც „ველიკია“,
პეტრემ განჭვრიტა და ისე განაგო,
იმასთან დუელი ცოტა ძნელი კია,
ამაში ბოლშევიკმა პირწმინდად წააგო.

ლენინის კულტიც სტალინმა შექმნა,
უსტალინოდ ლენინს აშკარად გაუჭირდა,
გაუჭირდა-მეთქი, კიდევ უფრო მეტიც,
უსტალინოდ ლენინი რეიგანთან დამარცხდა.

რამდენს იწონიდა ლენინის ტვინი,
ლაბორანტებმა ზეპირად იციან.

მერე მაიაკოვსკის ტვინიც ანონეს,
მაგრამ სტალინის ტვინს ხელი ვერ შეახეს.

ტვინმა, რომელმაც კავის რუსეთი,
ატომის მბრძანებელ ქვეყანად აქცია,
არა მარტო ატომის, კოსმოსშიც გაიჭრა,
ოქროს მაგალითია იური გაგარინი.

7.
ლენინს ხულიგანი უწოდა ტროცკიმ,
როცა ბიუროს სხდომაზე აინყვიტა,
ვიცით ხულიგნობდა მაშინდელი დროც კი,
მაგრამ ლენინმა არ შეწყვიტა სხდომა.

უთხრა, ლეიბა, ნერვებმა გიმტყუნა.
ბელადმა უწმანური გინებაც იცოდა.
კვირიკაშვილივით კი არ შეაგინა,
თავისი პარტიის პრესტიჟი დაიცვა.

8.
ლენინი იყო უღმერთობის ხანა,
უღმერთობის აკვანი, უღმერთობის მუქარა,
ანუ უღმერთობის შავბნელი შუქურა,
მისი კვერთხი და მყარი გარანტი.

ლენინი არ იყო უბრალო ტალანტი,
ლენინი იყო უღმერთობის გენია.
მასში ბევრი ლუციფერი ერია,
მგონია, ახლა ათიანში გავარტყი.

კაკი წერეთელმა ტრიბუნიდან შეუტია.
უპასუხა: „Есть такая партия“.
ამხელა რუსეთში ვერ დაეტია,
ამიტომ აღმოსავლეთ ევროპაში გაიჭრა.

მსგავსი უღმერთობა დედამიწას არ ახსოვს,
ის იყო მოციქულის ძვლების მკვნეტელი.
კომუნისში ეგონა ჩინეთის კედელი,
რალა თქმა უნდა, ოქროს ყულაბა.

კომუნისში ეგონა კრემლის ბუფეტი,
ნატურის სუფრა და საკუთარი ვახშამი.

იქნებ, მე ცოტათი გადავამეტე,
იქნებოდეს იქნება, ზოგი რამ გამომრჩა.

ის არ იქნებოდა უმარქსოდ, უსტალინოდ,
შვიდათეულ წელიწადს სტალინმა აცოცხლა,
მისი გზა თამამად განაგრძო სტალინმა,
სტალინს არ ჰყავდა გზის გამგრძელებელი.

„Ленин теперь живее всех живых“,
მართლაც ასე იყო სტალინის სიცოცხლეში.
ცოცხალი რომ ყოფილიყო, მაიაკოვსკი
იტყოდა,
სტალინის სიკვდილით ლენინიც მოკვდა.

ლენინი უშვილძიროდ გადაეგო,
სტალინის შვილებზე იძიეს შური,
ვასილი იყო მამაცი მფრინავი,
უშიში მეზრძოლი, ვითარცა უხორცო.

უმცროსი სტალინი. მე იგი მიყვარს,
ფაშისტების ბანაკში ცეცხლის მთესველი.
დაფრინავდა დამცავი ჟილეტის გარეშე,
მისგან შორს იყო სიკვდილის შიში.

ყველგან და ყველასთან სიყვარულს იმკიდა,
არ დაინდო ნიკიტამ – დამპალმა თესლმა.
ბერიაც წაიბრიყვა ვირეშმაკა გოიმმა,
ბერიას ჩეკისტობაც დასრულდა კრახით.

9.
ეს ყველაფერი აბსურდის თეატრია.
აქ ხალხი, ცხადია, არაფერ შუაშია.
აბსურდის თეატრში მასობრივი სცენებია
და ყველაფერი მასებს ბრალდება.

არ დასტურდება ლენინის მასონობა,
ლეიბა ტროცკი კი მასონთა მასონია,
რეპრესიების მეზარაზტრე,
მაიაკოვსკის და ესენინის მკვლეელი.

ამიტომ იგი ჩემი მტერიცაა,
სტალინი რომ არა, თავსაც გავიდოდა,

ლენინის სიცოცხლეში გაიჯეჯილა,
სტალინთან – ფეხი არ ჩაუვიდა.

10.

უნდა ვალიაროთ პროექტი „გოერლო“,
ეს იყო რუსული გენიის ნაყოფი,
ლენინმა შექმნა, სტალინმა დაიცვა,
მაგრამ სულ მალე ლენინი დაინვა...

როცა ვერცხლისწყალი ორმოცდაორს ასცდა,
ლენინის სული უფალმა იქია,
უფალმა, რომელსაც ბელადი უარყოფდა,
უფალი უფალია და მაინც მიიღო.

ქვეყანამ იგი პატივით გააცილა,
სტალინმა ლენინის ანდერძი შეთხზა,
„მიდიოდა რა ჩვენგან ამხანაგი ლენინი“,
ყველამ იცოდა, რაც დაგვიბარა.

ლენინის დაბადება იყო ტრაგედია,
ტრაგედია იყო მისი გარდაცვალებაც,
ასე შეაფასა ბელადის სიკვდილი,
ჩერჩილმა – ინგლისის ახალმა შეფმა.

11.

მოსკოვში პიკია რუსული ზამთრის,
ძვალ-რბილში ატანს იანვრის სუსხი,
ნითელი მოედანი იმ დღეს იყო სულ სხვა,
ყველა მისასვლელი გადაიკეტა.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზს,
შავლენტიანი ნითელი დროშები
დაეხარათ დაბლა, როგორც პროლეტარები,
თავდახრილი იდგნენ ბელადის ცხედართან.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის
მაშინდელი პატრიარქის უპარაკლისოდ
დაკრძალეს, ერთადერთმა სტალინმა იცოდა,
იყო თუ არ იყო ქვეყნის დანაკლისი.

ლენინი სტალინმა აკურთხა ბელადად,
ტროცკიმ კი უთხრა ხულიგანი ხარო,

არ ვიცი ბელადი პირველად ვინ უწოდა
და მასების ბელადი რა ნიშნით იყო.

ხულიგნობა თივის კარავში დაფიქსირდა,
რომელიც ცნობილია რაზლივის ქობად.
ეს იყო უცენზურო პაემანის ადგილი,
ლენინმა პირადი წერილით გათქვა.

ბელადი, აბა, რა ბელადი იქნებოდა
ხულიგნობა თუ არ აპატიეს,
ხულიგნობის კვალი დარჩა იპატიევის
სახლს სვერდლოვსკში, სადაც დახვრიტეს მეფე.

აქ კი, მოსკოვში 27 იანვარია,
კავშირების სახლში ხალხის ნაკადია.
ამ დროს ლევ ტროცკი სოხუმში ისვენებს,
მისი ჯანმრთელობა პარტიას აბარია.

კრუპსკაია იღებს მასების სამძიმრებს,
სამძიმრის დეპეშებს – ამხანაგი სტალინი,
აქამდე სტალინს არაფერი შეშლია
და ქვეყნის საჭეც სტალინის ხელშია.

ხულიგანი მარტო ლენინი რომ ყოფილიყო,
სტალინს რა უჭირდა, ბევრი სხვაც იყო.
მასონთა ბელადი სოხუმში ისვენებს,
მოსკოვში სკამები უმისოდ ნაწილდება.

12.

ეს იყო სრული ასი წლის წინათ...
როცა მავზოლეუმში პირველად ვნახე,
ეს გამახსენდა უწინარესად,
მეგონა კუბოში ინვა ხულიგანი.

როცა მავზოლეუმმა გამიღო კარი,
მიღებული მქონდა აბი დიმედროლის,
პირველად ვნახე ცოცხალი მკვდარი,
მეორედ სოფიაში – გიორგი დიმიტროვი.

მის სახეს „ილიჩის ნათურა“ ანათებდა,
კუბოში კი არ ინვა, კუბოში იდო,
ნითელი ლენტა ეკეთა ჯილდოდ,
ვინც მეფის ოჯახს მოუწყო ანათემა.

ის ღამე სვერდლოვმა ტკბილად გაითენა,
ღამე, როდესაც მეფე დახვრიტეს.
დახვრიტეს, თანაც მარტო კიარა,
„პატივი მიაგეს“ ცოლ-შვილთან ერთად.

გადაწყვეტილება არ იყო ადგილი,
ალექსიცი დახვრიტეს და ალექსის დებიცი.
ახლა ძნელია განსჯა იმისა,
სად უნდა ყოფილიყო მეფის ადგილი.

როცა საკითხი ბიუროზე დაისვა,
ტროცკი უძღვებოდა ბიუროს სხდომას,
იხილებოდა დახვრეტის საკითხი,
სტალინი დახვრეტის წინააღმდეგი წავიდა.

თავი შეიკავეს კიროვმა და სერგომ,
უმრავლესობამ დახვრეტა გადაწყვიტა.
ეს იყო ტროცკის და სვერდლოვის ხუმტური.
ხალხისთვის იყო უცნობი განტოლება.

ცხადია, ეს იყო ლენინის ნებაც,
შურისძიების კლასიკური ნიმუში,
რომელიც გავდა ალებას სისხლის,
სისხლის ალება წარსულში დარჩა.

ლენინმა ძმის მკვლელობა მწვავედ შეიცხადა, –
რევოლუციის კიდევ ერთი მსხვერპლი.
რევოლუციას ქირდება სისხლი,
ეს, რა თქმა უნდა, ლენინმა იცოდა.

ლენინმა იცოდა, იცოდა ნიკოლამაც.
ალიხანოვის მათრახმა, კერენსკის ჩექმებმა,
პეტროგრადში ჩამოკიდეს დეკაბრისტები,
მინას პოეტების სისხლიც ატყვია.

ლევ გუმელიოვი ლენინმა დახვრიტა,
პოეტი და ანა ახმატავს მეუღლე,
ლენინმა კი არა, ლენინის ბრძანებით,
ვერ უშველა გორკის გამოსარჩლებამ.

ბელადმა ამის გამო მაქსიმ გორკი დატუქსა,
საქციელი პოლიტიკურ სიბეცედ მონათლა,

ანა ახმატოვას სულსა და გულში
რა ბალლამი დულდა არავინ იცოდა.

პოეტის ცოდვით მინა იწვოდა.
პოეტის სისხლი ცას შეჰღალადებდა.
უფალს შესთხოვდა, რომ ამ უღმერთობას,
ერთხელ და სამუდამოდ, ჰქონოდა დასასრული.

ცხოვრება იყო სისხლით დაღდასმული,
ცხოვრებას, რომელსაც მაუზერი მართავდა,
მაუზერის ლულა სიკვილებს ისვროდა,
მინას ანოციერებს სისხლის წვიმები.

მაუზერებს მოჰყავდათ წვიმები სისხლის,
სისხლის წვიმებს ქოლგა ვერ დაიფარავს.
ხალხი ეცემოდა მოცელილ ბალახივით,
საგანგებოდ გათხრილ ორმოებში ცვივოდა.

ახლა გუმელიოვი მოიცელა ნამჯასავით,
ლენინმა „ჰუმანური აქტი“ უწოდა.
სისხლი სისხლის წილ და გუმელიოვი,
პუშკინის და ლერმოტოვს მიუტანს ამბავს.

ვერავინ ამოხსნის ცოდვა-მადლის ანბანს,
ცოდვა-მადლის ამბავი „ბიბლიამ“ იცის,
ცხოვრება გრძელდება, ასეა თუ ისე,
ადამიანი მაინც ლუკმაა მიწის.

პოეტების სისხლში არის ერთი რამ,
რომელიც არ არის მეფეთა სისხლში,
მეფეთა სისხლი უმალ იყინება,
პოეტების სისხლი ცეცხლივით ააღდება.

13.

დასასრულისკენ მივყავარ სათქმელს,
და უცხო თვალთ ვამოწმებ ნათქვამს,
რომელსაც პოემის ეპილოგი შთანთქავს,
პროლოგსაც ამით აეხდება სარქველი.

ლენინი – ხულიგანი, ლენინი – მექალთანე,
ეს ჩემზე უკეთ იცოდა ტროცკიმ,
არც სასაცილოა, არც სატირალი,
დასაგმობია ხულიგანი ტირანი.

დასაგმობია ხულიგანი ლენინი,
ბელადს ხულიგანი უწოდა ტროცკიმ,
იცოდა ქვისმთლელი ლოყების ბელადმა,
თუ ასე არ იყოს, მე ვიყო დევნილი,

მე ვიყო ტროცკი, მე ვიყო ლენინი,
მე ვიყო, აწი დამარქვი რაც გინდა.

ეს რომ დაენერე, გავიხედე გარეთ,
მე მეგონა, რომ სისხლი განვიმდა.

თუ უნდათ, საფლავს მე თვითონ გავუთხრი,
პროლეტარები საცოდავი ხალხია,
მაგათ აშენებულ კომუნიზმს რა ვუთხრა,
საკუთარი ბელადი ვერ დაუმარხიათ!



ვაჟა ოთარაშვილი

პოეტური დუეტი ციკლიდან: „ჯვრისწერა ღამით...“

(გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია)

I

მიყვარხარ... შორს არის პარიზი
და შუბლი ჭაღარას შეიფენს...
ქართულად ნაზი და ფაქიზი,
ვერ სწვდები ლუვრასა და ეიფელს...
მე, ნუხელ ავლაბრის აღმართზე,
ტრამვაიმ კინალამ გამსრისა...
ო, მერიი... ო, როგორ აღმაგზნებს,
ნადილი შეხვედრა-ნახვისა...
შენ გძინავს... სხვა დროა პარიზში,
მე, ბოლო პაპიროსს ვუკიდებ...
ქართულად ნაზი და ფაქიზი
მიყვარხარ... გიყვარვარ თუ კიდევ...

II

მესიზმრე – ისევ ერთადა ვართ, შენთან ვიღვიძებ
და შენი სუნთქვა ჩემს მკლავებზე მშვიდად ირწევა...
ძილში ილიმი... მელიმება მეც შენს ღიმილზე
და ეს სიტყვებიც მაგ სიზმრიდან გადმოვიწერე...
შენა ხარ ჩემი დედოფალიც, ჩემი პრინცესაც,
ვინაც ამავესე სიყვარულით და მონატრებით...

გავა დრო... ვიცი რომ იტყვიან ჩვენზე: ვინც ესა,
განკურნა ლოცვით, პარაკლისით და მონასტრებით...

III

როგორ მიყვარხარ ძვირფასო მერი,
იქნებ ბოლომდე ვერ ვამბობ სათქმელს...
შენ პარიზში ხარ, აქ, მტკვარი ნელი,
მეტეხის ხიდთან აგინებებს სანთელს...
ბაგრატის ტაძრის ბოლნურ ჯვრის სვეტთან,
მობდა ჯვრისწერა ჩვენი სულების,
რაც უამი გადის – მიყვარხარ მეტად
და ჩვენი ტრფობა არის ულევნი...

IV

მე, შენს წარსულზეც ვეჭვიანობ,
მერიი... წარსულშიც მენაღვლები...
დარდები ჩემს გულს კეჭნიანო,
სულში ფეთქდებიან ეს ნაღმები...
დროში როგორ ვერ მოგისწარი,
კულულებს უჩემოდ არხევს ვინა?
როგორ გახანგრძლივდა ზოგის წამი
ან ვინ მოგიტაცა არხეინად...
გუშინ შენი ხელი მე მეჭირა,
შენი გულის ფეთქვა ამ გულს ესმის...
ჩემო უნაზესო, ნიჭიერო,
სისხლით დაგინერე ა, ეს ლექსი!...

V

მივდივარ, მაგრამ იმედად გასახავ...
მივდივარ, მაგრამ გული მანდ მრჩება...
მივდივარ, ვიცი რომ მალე გნახავ,
ძვირფასო მუდამ მეგულვი ჩემად...
მიყვარხარ რალაც უცნაურ ძალით...
მიყვარდი მუდამ, მხოლოდ ჩემი ხარ...
მიყვარხარ დღისით... მიყვარხარ ღამით...
მერი გეძახი... მერი... ერიჰააა...

VI

აქ, უშენოდ ქუთაისშიც არ ღირს,
 აქ, უშენოდ ქუთაისშიც არ მინდა...
 ხან მგონია თავი შენი ბაღლი,
 დარჩენილი ძველ კოლხური ზღაპრიდან...
 ტაძარშიაც შენი სახე მახლავს,
 მერი, ეხლა შეგავედრებ უფალს,
 ეკლესია – სიყვარულის სახლი,
 სადაც ყველგან მაცხოვარი სუფევს...
 ვიცი, ისევ გენატრები კარგო,
 მეც დარდისგან შემევერცხლა წვერი...
 ეჰ, ჟამთასვლამ როგორ გადაგვკარგა,
 შორსა ვართ და ერთმანეთზე ვმღერით...

 მერიიი... ჩემო სანატრელო მერი...
 გალა, ჩემო, დარდმა გადამლალა...

VII

მკლავს უშენობის სევდა,
 მწვავს უშენობის ალი...
 დღეს აჩრდილივით მდევდა –
 ფიქრი კულუღა ქალის...
 არ ეძინებათ ჭოტებს,
 არ ეძინება პოეტს –
 კრეფს სიყვარულის ნოტებს,
 რომ ტრფობის ქარი ქროდეს,
 რომ მონტრების გამმა
 ეომებოდეს ძილსა...
 ქუხს ნამთვრალევი გალა:
 ყველა მთავრობა ძირსა!

VIII

რა ძნელია უშენოდ ღამე ძილი მერი და
 როცა მონატრებები ოცნებებით გმოსავენ,
 როცა შენს ხმას გავარჩევ ათასი სიმღერიდან,
 ვით მომხიბვლელ კასანდრას სიცილს – პიერ რონსარი...
 ვიცი ეხლა წესით, რომ უკვე უნდა მეძინოს,
 მაგრამ ფიქრებს ვერ ვთმობ...

თოვლქვეშ იბრძვის ენძელა
 და არ უნდა მისი გზა თოვლმა გაათეთროს,
 რადგან გაზაფხულები ასე ბრძოლით შემოჰყავთ
 ვარდებსა და იებს...
 მერიი, ჩემთვის შენ რომ ხარ,
 ერთი ღამის გატეხვა გალას აპატიე...

IX

ტროფობის ინტეგრალს ვნატრობ ამჯერად,
 მათემატიკურს ვითვლი მოლოდინს...
 ნატურალურ რიცხვს ვუნერ კვლავ ჯერადს
 და თრთოლვით ვამბობ: „მიყვარს მხოლოდ ის...“
 არ ეკარება ციფრებს სიბერე,
 ვით შეყვარებულთ ჟამი, მანძილი...
 ვარსკვლავთ სიმრავლის ჯამს შევიფერებ –
 შენს თვალეში, რომ კრთება განძივით...

X

სანთელი ქარში... (სამართველოს...)

უმძიმესია ხვედრი ქართველის,
 მისტერიაა ბედი ქართლისა...
 ვით მოხვედრილი ქარში სანთელი,
 თურქეთს ჩამქრალი სააკაძისა...

 ჯალათს მოძღვარი რომ არ დანებდა,
 ხუცეს გამოსჭრეს ყელი დანებმა
 და კვართზე შერჩა სისხლი სოველი...
 ასე ააგეს თვით წმინდანებმა—
 ჯვარი, სამთავრო, სვეტიცხოველი...
 თბილისში უნდა ისარი ესოს,
 გამოსროლილი გორგასალისა...
 აქ შემოესმა იქნებ იესოს,
 დაბუბუნება დედოზარისა...
 ესაა ჩემი სულის ბეთლემი,
 რომ გაბზარული რწმენა ვამრთელო
 და ერთ მლოცველად მუდამ გეთვლები –
 შენ, მოხვედრილო ქარში სანთელო...



ეკუ კვანტალიანი

პიეტური დუბი ციკლიდან: „ჯვრისწერა ღამით...“

(გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია)

I

ყველაფერს ქართულს ვარ დანატრული,
სულში მომესმის მუდამ გალობა...
გაივლის ჟამი ემიგრანტული,
დამტოვებს ჩემი ყმანვილქალობა...
გულმა საგულეს ვერ მოისვენა,
შემოვიარე უცხო მხარე და
ვიგონებ მტკვარს და ჩამოდის სენა,
თურმე ტკვილი არ სჩანს გარედან...
გადახვენილი ვკვნეს დედოფალი,
რადგან ბედისგან ვარ განდევნილი,
ქართველთ არასდროს გვტოვებს უფალი,
ამოიგმინებს ცრემლით ლევილი...

II

ჩემს სულში ჩაღვრილხარ სიამის ნექტარად
ხარ სიყვარულის უტკბესი შარბათი...
აქამდე ვერ შეგხვდი ძვირფასო ნეტა რად?...
დღედაღამ მიქრება კვირა და შაბათი...
ბულონის ტყის პირას დაჰბერავს სიო და
მოიტანს კვირტების სურნელის ნაზავებს

ვისხენებ – სანთლები ინვოდა სიონთან,
ვიდრე მონასტრების კარს გადარაზავდნენ...
პარიზი მოდური შლაპებით გართული
სულ სხვაა... ოცნებით ვარ ტაძრის კარებთან
და რას ვიფიქრებდი თუ აქაც ქართველი,
თან ისიც პოეტი მე შემეყვარებდა...

III

მიყვარს მე შენი ბავშვური ჟინი
ხმის ტემბრის ტონი, ჩუმი ალერსი...
ლექსები – ზოგჯერ ნაზი ჟასმინი,
ხანაც ალმასის პირზე ნალესი...
გულში ვინახავ, როგორც საუნჯეს –
თითქოს გითრთოდა რითმით ტურები...
ვით გალაკტიონს ცხენები ლურჯა,
პარიზის ქარში მხვევენ ქურები...

IV

შენ იმერეთის ელი გაზაფხულს,
აქ ცრის საოცრად ნაზად და წვრილად...
ზამთრის ხეივნებს ყინვით დაზაფრულს,
ვაფარდებ წარსულ ცხოვრების წილადს...
ნატრულობ ჭყვიშის ბალახს ნამიანს,
უმღერ მთანმინდის მთვარეს მიღეულს...
თითქოს შენამდე ერთი წამია,
კავკასიონზე უხმოზ: ლილეო...
ფეხით გავივლი ლათინურ კვარტალს,
რა ვქნა მოაწყო ასე განგებამ...
გულის ტილოზე ძველ ტფილისს ვხატავ,
მონატრებით რომ დამედაგება...

V

შენს მონატრებას ვერ მოვერიე,
იასამნის რტოს ქარები მირწევს...
შემოდგომაა, ცა აირია,
მანძილს დუელში კვლავ გამოვიწვევ...

თითქოს ავდივარ მთაზე რიკოთის,
თითო ნაბიჯი გადაიქცა ვერსად,
გულში მიკრთება სანთლად იკორთა,
ჩემს ტკივილს მხოლოდ გავუმხელ ვერსაღს...

VI

იმპრესიონისტულად...

შენ შორსა ხარ ისევე,
გული სევდით მევსება...
ცრემლი თვალებს მისველებს
პაემანით ლექსებთან...
ლუქსემბურგის ბაღებში,
წყვილებია გართული...
გაეხვია ნაღველში,
ხასიათი ქართული...
მონატრების მომენტი
აქ, პარიზმა ისტუმრა –
ტილოებზე მოლბერტით,
იმპრესიონისტულად...

VII

მერი სარკმელთან დაჯდა,
თავი მიაყრდნო მინას...
ციხე-კოშკია ქაჯთა,
მისთვის ლა ტურის ბინა...
ძველ ჩიხტიკობზე მოლი,
ნამზითვი წინაპარის,
მოდაში პანტალონი
შემოაქვს ახლა პარიზს...
ხაბარდა-ფარჩის გულმკერდს,
სირმებით ამოქარგულს,
მოდა მოირგებს უკვე
დელიკატურად ფრანგულს...

VIII

შენი ლექსები და ტრფობა შევიფერე,
 სენის სანაპიროს მიყვები გზადაგზა...
 მარტომ ჩავიარე ისევ ეიფელთან,
 არვინ მყვარებია კარგო შენს გარდა სხვა...
 ჩვენ ხომ მონატრების სევდები გვანვალებს,
 ერთად გატარებულ წუთებს, რომ ვიგონებთ...
 წვიმამ დამისველა ისევე ღანვები,
 ცრემლით შეზავებულ მელნით ვწერ სტრიქონებს...

IX

სიყვარულის არითმეტიკა

სიჩქარე... მანძილი... დრო
 და მთვარემ მოხაზა რკალი...
 წრფეები გავავლე, რომ
 შევალ ნატვრების კარი...
 და სევდის ნამრავლის ტოლი
 ფართობი შეავსებს წრენის,
 შეხვედრის უსაზღვრო ლტოლვით,
 გნატრულობ და გული მენვის...
 რიჟრაჟი შეეხო გულებს
 ამ ტრფობის სიტყვების სივრცით...
 მე მუდამ ერთგულად გელი,
 შენც ისევ ერთგულად მიცდი...

X

უხსოვარ დროში იყვნენ ხეტები,
 ქორონიკონი რკინით მოკვერეს...
 ძველი ტკივილი გულს ეხეთქება,
 ვით გალიის კარს ლომის ბოკვერი...
 ბრძოლის აჩრდილი კასპის სანახებს
 გადაჰყენია სააკაძისა...
 თუმც ისტორია ბევრჯერ გვანახებს,
 ვერ დაფასებას გმირი კაცისას...
 ისევ გვტაცებენ დღეს ქართლის ველებს,
 დუშმანთ სიმრავლით შავად დაბინდდა...
 თეთრ მხედარს კვლავაც შემოაგელვებს,
 წმინდა გიორგი შავნაბადიდან...



ნიწო ქაღაბიძა

საშობალო

სოფელში, ჩემი სახლიდან ორიოდე სახლის გადაღმა, ხევის პირას, ძველისძველი საყდარი იდგა, დროის მძიმე ხელით დანგრეული და შემდეგ სოფლის ქრელი ხელით განმედილი და აღდგენილი. შიგნით სამი ადამიანი თუ დაეტეოდა გაჭირვებით. იმ სამიდან ერთი 87 წლის მონაზონი იყო. დღესასწაულების დროს კი მღვდელი ჩამოდიოდა რაიონიდან და აყენებდა წირვას. სხვა მხრივ გზაზე გამვლელ-გამომვლელი შემთხვევით თუ შეხსნიდა რკინის ჟანგიან ქიშკარს, ღიმილიანი მონაზონი გამოეგებებოდათ, სანთლებს დაურიგებდათ და შებრუნდებოდა მალევე. მხოლოდ ამ უხილავი ბანრით იყო მიბმული საყდარიცა და მონაზონიც ამ სოფელს – სხვა არაფრით.

მე შობის ღამე მიყვარდა იქ – შუშტყემლების ყვავილივით გადაპენტილი თოვლითა და სახლებისა თუ ეკლესიის სახურავზე ჩამოკონწიალებული ლოლუებით – ყინვის საყურით, ბუხარში ბებერა შეშის ტკაცუნითა და ღაღანა ნაკვერჩხლებით, იმ პატარა ქვის საყდრითა და მარტოდმყოფი, მოხუცი მონაზვნით.

შობამდე ერთი დღით ადრე, მორიდებით შეეხსნიდი ქიშკარს, გადავიხედავდი წუთისოფლის გადაღმა, გადავივლიდი ეზოში ჯერ კიდევ გაუკვალავ თოვლზე, ჩემს წილ გზას გავიკვალავდი საყდრამდე და დამხვდებოდა ღიმილიანი მოხუცი კალთაში ჩირითა და სანთლით. დღესასწაულიც სარკმელი იყო ჩვენს სოფელსა და ჩვენი სოფლის გადამა მხარეს შუა გაჭრილი.

– მალე დადგება ქრისტეშობა და ხილული მზე აღმასვლას დაიწყებსო, დღე მოიმატებს, გენაცვალეო!

– მანამდე სად არის-მეთქი, დედი, მზე?

– მანამდე მზე კვერცხივითა ზის თავის საბუდარში და არც იკლებს და არც იმატებსო, ძევს უძრავად, გაყურებულიო. დროც მანონივითაა შეყენებული, ჰაერიცაო... მაგრამ გათენდება შობა და იღუმალი ხელი აამოძრავებს დროუამსაო, აჰკრავს ხელსა და გადმოგორდება საბუდარიდან მზე, დაიბადება ახალი, დაუვალი მზეო, სულ აღმა-აღმა დაიწყებს სვლასა, დღეც ვერძის სამ ნახტომზე მოიმატებსო, გაბევრდება სინათლეო, ეგრეა, შვილო, გამოთვლილი, ქრისტეს შობას, 7 იანვარს იბადება ახალი მზე და დღის მატება იწყებაო და იოანე ნათლისმცემლის დაბადებისას, 7 ივლისს, კი მზე დაღმა სვლას იწყებს და სინათლეც იკლებსო. „მისა ჯერარს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებადო“, (იოან. 3:30) ეგრე ამბობს იოანეცო. მაშინ ბევრი ვერაფერი მესმოდა, მაგრამ მაინც ყურებდაც-ქვეტილი ვუსმენდი, დაძაბული. მერე ავკრეფდი ჩემს წილ ჩირსა და სანთელს და გამოვუყვებოდი გაკვალულ ბილიკს სახლისაკენ.

სახლში სულ სხვა სამზადისი მხვდებოდა: სუფრის განყოფისა, დოქებში ღვინის ღურღურისა, სახელდახელოდ „ქრისტეს საგზლის გამზადებისა“. საცაა მეალილოები ჩამოივლიან და მზადა გვექონდეს „ქრისტეს საგზალიო“ – ჩირი, ჩურჩხელა, გოზინაყი, კვერცხები... შინ მზეს არ უკვირდებოდნენ, ნადუმარი პაპაჩემი

ნიჩბით გამოიტანდა ბუხრიდან ნაცარსა და ძილის წინ იატაკზე მოაპნევდა: – დილით ეგება ღვთისმშობლის ნაფეხური დავინახოთო.

იქნება და აჩნდა ნაფეხურები იატაკს, იქნება და არც, ეგ მე აღარ მახსოვს.

მას შემდეგ ბევრმა წელმა გაიარა, საყდარი ისევე დგას, ორი ახალგაზრდა მონაზვნით სავსე, რომელთაგან ერთი მე ვარ. სოფელი – გაკრეფილია, სახლების უმეტესობა – გამოკეტილი.

ბოლო წლებია თოვლიც აღარ მოსულა უკვე...

ახლა მე აქ რატომღაც სულ აღდგომას ველი. გადავივლი ჟიჟო ბალახით შეღინღლულ ეზოს, დავდგები ხევის პირას, ჩავხედავ ბნელ, ჩაშავებულ ხევსა და იმედისმომცემი ცისფერი შუქი მობჟუტავს იებისა, ფურუსლებისა, ყოჩივარებისა, ენძელებისა, ჩიტისთავეებისა... ახალა ვფიქრობ, იქნება და ამ ბნელ ხევს ატყვია ხოლმე გაზაფხულზე ღვთისმშობლის ნაფეხურები ამ ყვავილების სახით, ვინ იცის...

სულიფერა

ჩამოინოდეს მთებმა ღრუბლები, მოისხეს, მოიხვიეს მხრებზე მატყლის შალივითა და დადგნენ. ქარიც დადგა, შემოდგომის გამჭვირვალე და უფოთლო ტყეებში ჩაყურდა, ჩაიბლანდა გამხმარ ბრძამებში. სწორედ ასეთ დროს, შემოდგომის მიწურულსა და ზამთრისპირზე იცოდა ხოლმე, აკიდებდა თავის ხალთაგუდას და შეუდგებოდა ცალბილიკას მთის ქოხისკენ.

– დადექ, შე არდასაყენებლო, სად მიყიალებ ამ ყიამათში, სიცივეში ქვაც კი თბილ კერას ეძებ, შენ კიდევ საკუთარი ფეხით დაეძებ ყინვაზრობასა?! გინდა რომ გაფშეკილი ჩამოგიტანონ?! – კიდევ ბევრ სანყენს უებნებოდა თავისი დედაკაცი, შეაჩვენებდა, კრულავდა, მაგრამ სულ ტყუილად. მაინც განაგრძობდა სულიფერა აბარგებას. პირველ თოვლს უნდა მივასწრო ტყეშიო. აიკიდებდა მერე თავის ტყავის გუდას და მიდიოდა ტყის პირას, მთის ძირში. სახლი არც ეთქმის, ხის ქოხი ედგა. ყოველთვის მიკვირდა ადამიანი მარტო როგორ უნდა ცხოვრობდეს ტყეში-მეთქი, ან ნადირისა არ ეშინია, ან ნადირით სიმარტოვისა?! სულიფერას არაფრისაც არ ეშინოდა. დატოვებდა თავის დედაკაცს ზამთრის გრძელი ღამეების ამარა შინ, სამყოფ შეშასაც დაუჩუხავდა, სამყოფ წყალსაც მოუზიდავდა და ფქვილსაც, – ჩემს ჩამოსვლამდე არა გაგიჭირდეს რაო. დედაკაციც ატანდა გაზეთში გადახვეულ პურსა და მარილს, მაგრამ ეს ცალამუჭა სანოვავე რო-

დემდე უნდა ჰყოფნოდა სულიფერას ტყეში?! ვინ იცის როდის წამოვიდოდა პირველი თოვლი. სიცივით მოკალული რამდენი დღე და ღამე უნდა გაეთბოთ ბებრებს ცალ-ცალკე სუნთქვით.

– ბლენძა მაინც წაიყვანე, მგელს მაინც დააფრთხოვს, კაცო, ყეფით, ან ტურასაო! თავს გააქნევდა სულიფერა, გაიღიმებდა და ბლენძასაც თავის დედაკაცს დაუტოვებდა, შენი ძილისა და ღვიძილის დარაჯად იდგესო!

წავიდოდა ბერიკაცი ტყეში და იმ დღიდან მეგონა ხოლმე, რომ ტყეს კაცივით გული უცემდა, კაცს – ჩიტვით. სოფელში ამბობდნენ ცალი გვერდი ეშმაკისა აქვს, ცალი – ანგელოზისაო, არაო, ცალი გვერდი ნადირისა აქვს, ცალი – კაცისაო, იმიტომაც ვერა ჩერდება სახლშიო. იმასაც ამბობდნენ, ამასაც, მაგრამ სიმართლე არავინ იცოდა. ჰოდა, ერთ დღესაც გათენდებოდა და ხეებსა თუ სახურავებს თოვლის ბარდანები ეკიდა, თოვა შეწყდებოდა თუ არა, კრიალა ცაზე დაგულისგულეებული მთვარე გადაგორდებოდა ხოლმე არხეინად, ყინვა კი ღამის დედამინის ფსკერსაც აზრობდა. აი, მაშინ ბრუნდებოდა სულიფერა სოფელში დაჩუტული გუდითა და სავსე უბით, ხან გაყინულ ფრინველს ამოაძვრენდა მერე იქედან, ხან ყურდაცქვეტილ კურდღელს.

– როგორა ხარ სულიფერავ, როგორ, რა ამბავი ჩამოიტანე ტყიდან, მიუსწარ თოვლს თუ თოვლმა მივასწრო ტყემდეო და გაიცინებდნენ.

სულიფერა თქმით კი არას იტყოდა. მხოლოდ ერთხელ წამოსცდა, რომ თოვლი ღმერთის ფიქრია, სანამ მიწას შეერეოდეს ან თავად ადამიანის ნაფეხურებს შეირევდეს, სანამ ციდან თბილ-თბილი მოდის, მანამ ვაყურადებ და იმიტომ მივდივარ ტყეში.

მინდოდა მეკითხა, აგერ, გადამა, ის დიდი მთები აპრილამდე რომ თოვლით დაქუნთულები დგანან, ღმერთის რამდენი ფიქრი დაუტევიათ, რას მეტყვი-მეთქი, სულიფერავ, მაგრამ მოვიხედე და სულიფერა ველარსად ვნახე.

ცრემლის შემბროვებელი ბიჭის ზღაპარი

სამსართულიანი სახლის სხვენში რვა წლის ფიქრიანი ბიჭი ცხოვრობდა, რომელიც იკვლევდა, თუ სად მიდიან ცრემლები ტირილის შემდეგ? ბიჭი კალმითა და წიგნაკით დადიოდა და გამუდმებით ეკითხებოდა მშობლებს, თანატოლებსა თუ უცნობებს, რაზე ტიროდნენ ადამიანები და შემდეგ თავის წიგნაკში იწერდა.

– თუ შეიძლება, მიპასუხეთ, ბოლოს რის გამო ატირდით?

დედამ უპასუხა, ბოლოს მაშინ ავტირდი, როცა შენ მაღალი სიცხე გქონდაო. ბებიამ – როდესაც ტელევიზორში სიუჟეტი გავიდა, მოხუცთა თავშესაფარში ჩემი ბავშვობის მეგობარი როგორ საუბრობდაო. ბაბუამ ამოიხსრა, სათვალე შეისწორა და... – როდესაც აცრემლებული ბებიაშენი დავინახე მაშინო. მამამ ჩაახველა, უხერხულად შეიმშუმნა და მხრები აიჩჩა, მე სამწუხაროდ აღარ მახსოვსო. კარის მეზობელმა დეიდამ – როდესაც მეუღლე საზღვარგარეთ გავაცილე სამუშაოდ, აი, მაშინ ავტირდი ბოლოსო, ქვედა მეზობელმა ბებიამ – როდესაც პენსია დამეხარჯა და შვილმა ძვირადღირებული წამლები მომიტანა თავისი დანაზოგით აფთიაქიდანო, ქუჩაში გამვლელმა ქალბატონმა – როდესაც შვილი ჯარიდან დამიბრუნდაო, პატარა გოგონამ – როდესაც დედამ თოჯინის ნაცვლად პალტო მიყიდა, ზამთარში აღარ შეგცივდებაო, მისი მეგობარი ბიჭუნა კი გამოუტყდა, რომ ბოლოს მაშინ იტირა, როდესაც ბაღში წაიყვანეს. აჰა, აი, ასეთი ათასგვარი დარდი თუ სიხარული აქვთ თურმე ადამიანებს, რის გამოც ეტირებთ, მაგრამ ახლა გასარკვევია, თუ სად მიდის მათი ცრემლები?

შემოიღო ორივე ბუნჩულა ხელი ბუნჩულა ლოყაზე, იდაყვები ფანჯრის რაფას დააყრდნო და მიეცა ღრმა ფიქრს. ქუჩაში მანქანები გადი-გამოდინდნენ, შუქნიშანი სამ ფერად თვალს აპაჭუნებდა, ვილაც გარბოდა, ვილაც გამორბოდა, ვილაცა ძაღლს ასეირნებდა, ვილაცას დატვირთული ჩემოდნები მიჰქონდა, ვილაცა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მისეირნობდა, ვილაცას პოლიციელი ჩაუსტვენდა ხოლმე, ქუჩაზე არასწორად გადასვლის დროს, მაგრამ ბიჭი ყურადღებას არავის აქცევდა. არც ფანჯრის რაფაზე შემოსკუპებულ ქოთნის ყვავილს, ბიჭის გასახარებლად, რომ ყვავილობდა ხოლმე, არც თავის თანატოლებს ეზოში რომ უხმობდნენ სათამაშოდ, არც ბებიას გემრიელ ქაღებებს რომ უცხობდა, არც მამას საღამოობით სამსახურიდან დაბრუნებული ახალ სათამაშოს ან წიგნს, რომ მოუტანდა და არც დედას, ძილის წინ ახალ-ახალ საგმირო ზღაპრებს, რომ უყვებოდა. ყველა შეფიქრიანდა, ნეტავი ასეთი რა აწუხებს ჩვენს ბიჭსაო? წაიყვანეს თერთხალათიან და დიდსათვალთან ექიმთან. – აბა, პირი გააღეო, აბა, ამ თითს თვალი გააყოლეო, აბა, ღრმად ამოისუნთქეო, აბა ჩაახველეო, აბა ისაო, აბა, ესაო... ვერაფერი გაუგეს. საბედნიეროდ ბიჭს ტკივილით არა სტკიოდა რა, მხოლოდ აინტერესებდა, ტირილს შემდეგ სად მიდიოდნენ ცრემლები, ეს იყო და ეს.

უფროსები ათას რამეს იგონებდნენ პასუხი რომ გაცათ ბიჭისთვის, მაგრამ სამწუხაროდ ბიჭს არავისი სჯეროდა. „ცრემლების სამყარო იდუმალი, მიუწვდომელი და ამოუცნობიაო“ – პატარა პრინცის სიტყვებს დღეში ათჯერ მაი-

ნც იმეორებდა. დაიარებოდა ჩაფიქრებული და ხუჭუჭა და აბურძგნულ თავს იქექავდა: ნეტავი როგორია ცრემლების ქვეყანა?

ერთხელაც ასეთი რამ მოიფიქრა, თუკი ატირებულ ადამიანს ნახავდა, მაშინვე მისულიყო და მისი წკაპანკუპით ჩამოცვენილი ბროლივით ბრჭყვიალა და გამჭვირვალე ცრემლი მუჭით მოეგროვებინა, მერე კი სულაც ქილაში მოეთავსებინა. ბიჭი ასეც მოიქცა. გაკვეთილების შემდეგ, სკოლიდან სანამ სახლში მივიდოდა, ხან ფეხბატკიებული და აცრემლებული ლეკვის ცრემლებს აგროვებდა, ხან მინისქვეშა გადასასვლელის კიბეებზე შიმშილისგან ატირებული მოხუცის, ხან გულნატკენი პატარა გოგონასი, მშობლები რომ ერთმანეთს დაშორდნენ, ან პატარა ბიჭის, ველოსიპედიდან რომ გადმოვარდა და მუხლი იტკინა, ხან შეყვარებულების სკვერში სისულელეზე რომ იჩხუბეს და ერთმანეთს

გაებუტნენ. მოკლედ, დროთა განმავლობაში ჩვენს ბიჭს იმდენი ცრემლი შეუგროვდა, ჯერ ერთი ქილა გაეცხო, შემდეგ – მეორე, მესამე და მეოთხე... მინის ქილებში ცრემლები, ისე ბზინავდნენ უკეთესს ვერას ნახავდით.

ერთ სალამოსაც ბიჭი ფანჯარასთან რომ იჯდა და ჩაფიქრებული ღამეს გაჰყურებდა, ციდან მშვიდი ხმა მოესმა: კეთილო ბიჭო, ეს რამდენი ცრემლი გიგროვებია, გამოალე ფანჯარა და ქილებიდან ცრემლი მუჭა-მუჭა აისროლე ცაში. ბიჭი ასეც მოიქცა. მიძვის მარცვლებივით აბრჭყვიალდნენ და აგორდნენ ცაზე სიხარული-სა თუ სევდის ცრემლები და ვარსკვლავებს შეერივნენ... მოიმატა და მოიმატა ცაზე ვარსკვლავთა ციმციმმა. აი, ახლა კი მიხვდა ბიჭუნა, თუ სად მიდის ადამიანის თვალიდან გადმოგორებული ცრემლი, თურმე ვარსკვლავებად კამკამებს ცაში და ბნელ, სევდიან ღამეებს ანათებს.

პაპისა და შვილიშვილის ზღაპარი

თურმე ხეებმაც იციან სიყვარული. თანაც ის ადამიანი უყვარდებათ თურმე, ვინც ესაუბრებათ, მერე ხეები მის ხმასაცა სცნობენ და ხელის სითბოსაც.

ახლა სწორად ხეებსა და ბიჭზე უნდა გიამბოთ, მათ სიყვარულზე, მათ სიკეთეზე. ბიჭი იქნებოდა შვიდი-რვა წლისა, მისი ხეები კიდეც – დიდი, ვეებერთელა. დამთავრდებოდა თუ არა სკოლა და დაიწყებოდა საზაფხულო არდადეგები, ბიჭი ყელგამონეული ეხვეწებოდა მშობლებს სოფელში წაეყვანათ ბებია და პაპასთან. ბიჭს ბებია და პაპა ჰყავდა შაქარტკბილები, თეთრთმინები, მოსიყვარულები, ბიჭის ჭკუაზე მოსიარულები. რასაც ბიჭი იტყოდა ბებია თუ ცოტას შეიცხადებდა, უიმე, შვილო, ეს რამ მოგაფიქრაო, პაპა მაშინვე აუხსრულებდა, ცუდი რა არის მის ნატვრაში, დედაკაცო, ნათელი ბიჭია და უნდა გავალალო, ყველა სურვილი უნდა შევუსრულო, განა უნდა ჩავწყვიტო პატარა გული, რაო?!... ასე გადიოდა ბედნიერი დღეები ბებია-პაპასთან.

პაპას ხეხილის ბალი ჰქონდა. სანამ ბიჭი დაიბადებოდა მანამდე გაუშენებია, ძეძვის ბურქის ლობე შემოუვლია თავისივე ძალიან წვრილი, თაფლოვანი ყვავილებითა და კარიც შეუბია. დაურგავს მერე ვაშლ-ატამები, ალუბლები, ქლიავ-ალი-ბუხრები, ჭერამ-ჭურამები, მსხალმრგვალები, გარგარები, ჭანჭურები და კიდეც ვინ მოსთვლის რამდენი ძირი და რა ჯიშის ხეები... დადგებოდა თუ არა ზაფხული, ხეხილნარს სიმწიფის გიზგიზი გაჰქონდა ყვითლად, წითლად, ალისფრად...

პაპა ხშირად ბაღში იყო და ფუსფუსებდა, ხან მინას გამოუთხოხნიდა, ხან ხეების ტანს შეწამლავდა მავნებლებმა არ დააზიანოსო, ხან რწყავდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან უმღეროდა ხოლმე კიდეც, მუშაობდა ბერიკაცი ხეების ძირში და ღიღინებდა ტკბილად, ტკბილად, ისეთი ხმა ამოსდიოდა, გეგონება თაფლაკვერები სცვივა პირიდანო. პაპა ასწავლიდა ბიჭს თუ როგორ უნდა გამოეთოხნა მინა, როდის უნდა მოერწყა, შეენამლა და როგორ უნდა ემღერა

კიდევ. აბა, შვილო, ამყევით და გუგუნებდნენ: „ივლი-დივლი საყვარელო და, ჩემო ლიხვოოო, ჰეე...“ ბიჭს უყვარდა პაპასთან ყოფნა, პაპასაც უხაროდა და მეტი ხალისითა შრომობდა, ახლავიშრომით და ზამთარი დაგვიტკბებო. ხეებიც ბედნიერად გრძნობდნენ თავს კეთილი პაპა-შვილიშვილის ხელში. იზირდებოდნენ, იბარჯებოდნენ, ბოძკინტებს იმტვრევდნენ ნაყოფით, ბიჭიც მშვენდებოდა, ხმა უკოკლოზინდებოდა, მაჯა და ქედი უმსხვილდებოდა, სამაგიეროდ პაპა კიდევ უფრო ბერდებოდა, წელში იხრებოდა და უცვდებოდა სიცოცხლის გზა-შარა.

ზამთრის ერთ ცივ და სუსხიან დღეს ბიჭის პაპა გარდაიცვალა. – წესია ასეთი, გენაცვალეო, – უთხრა ბებამ, ჩვენ წარმავალები ვართ, შენ – მომავალი, გული ძალიან არ იტკინო, არ დაიდარდო, შენ გამიმრავლდი და გაიხარე ჩვენი ხეხილის ბალივითაო. აბა, ბიჭი როგორ არ ატირდებოდა, მაგრამ ტირილით რას გახდებოდა. გადანყვიტა უფრო ხშირად ჩასულიყო სოფელში, პაპას ხეხილის ბალისთვის მიეხედა, ხეებს გულში ჩახუტებოდა, ზამთრობით პაპის ნაქონი ხალათიც კი მოეხვია ხოლმე ზოგიერთი ხისთვის დამზრალ ტოტებზე.

ასე გადიოდა დრო. ის სოფელი, სადაც ბიჭი ჩადიოდა საზღვრისპირა სოფელი იყო და მტრის მავთულხლართი თანდათან წინ მოცოცავდა. ერთ ზაფხულსაც როდესაც ბიჭი სოფელში ჩავი-

და, თავიანთი ხეხილის ბალის ღობე მორღვეული დაუხვდა, წითელი შაფრანი კი – მავთულხლართის იქით. პაპა რომ გარდაიცვალა პირველად მაშინ შეეკუმშა რაღაცა გულში ბიჭს და საოცრად ეტკინა, მეორედ – ახლა.

ბიჭი მავთულხლართთან მივიდა და დაიძახა: – სალდაააატ, სალდაააატ, ეტა მათო დერევეო, ეტა მათა ზემლიაააო...

რუსმა ჯარისკაცმა მოიხედა და ავტომატის ჯერი დააცალა ხეს, წიოდნენ ტყვიები და წითელი ნაფლეთები სცვიოდა ხეს ტანიდან. გამწარდა ბიჭი, არ იცოდა რა ექნა, მავთულხლართს მკერდით აეკრა, უმწეობისგან ატირდა და მუჭის სისხო ცრემლები წამოუვიდა ლოყებზე, გულისპირზე. სადაც კი ცრემლი ეცემოდა, იქ მავთულხლართი დნებოდა. – არ შეგეშინდეს, შვილოო, – პაპის მოგურგურე ხმა საიდანღაც ჩაესმოდა ყურში.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წამს.

ხეს ტანზე ნატყვიარი ეტყობოდა, ბიჭის სახეს – ცრემლების ღარი, ჰაერს – საიქიოდან მობერილი პაპის ხმა, მაგრამ აღარსად იყო მავთულხლართი და ჯარისკაცი!

ბიჭის ქვეყნის მიწებს შემოვლებული მავთულხლართები დასდნობოდა, მტერი სადღაც გამქრალიყო და ხეები კიდევ მწიფობდნენ და მწიფობდნენ.

ბრონეულების ქვეყნის ზღაპარი

ბრონეულების ქვეყანა ბრონეულის ხეზე ება. ბრონეულის სახლებით დამშვენებული. ოღონდ ბრონეულის სახლები ოქროსფერი იყო, წითელი – არა. სახლებს საკვამურიცა და კარ-ფანჯარაც ჰქონდა, სახურავი და კიბეც. აბა, ისე როგორ იქნებოდა. ჩვეულებრივ სახლებს გავდნენ, ისეთებს როგორ სახლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, უბრალოდ აგურის ან ქვისა კი არა, ოქროსფერი ბრონეულებისა იყო. ბრონეულების სახლებში ადამიანები ცხოვრობდნენ: ექიმები, მასწავლებ-

ლები, ჯარისკაცები, მფრინავები, მოხუცები, პატარები და დიდები. ბრონეულის ქვეყნის თავზე ციაგ-ლურჯი ცა და მზე და მთვარე ენთო მუდმივად.

ბრონეულების ქვეყნის ერთ ოქროსფერ ბრონეულში კი შეყვარებული გოგონა ცხოვრობდა. ისეთი შეყვარებული იყო, ისეთი შეყვარებული, მაგალითად საუზმის შემდეგ საშაქრეს მაცივარში ინახავდა, ჩაიდანს – წიგნების კარადაში. არა, არა, არ გაგეცინოთ, ეს შეყვარებულ ადამიან-

ებს სჩვევიათ. იბნევიან და ავინყდებთ ხოლმე ქვეყანაზე ყველაფერი საკუთარი შეყვარებულის გარდა. მისი შეყვარებული კი ერთი მამაცი ჯარისკაცი იყო. რომელიც ყოველ დილით გაისწორებდა სამხედრო ფორმას, გაიპრიალებდა ჩექმას, გულის ჯიბეში ბრონეულის ყვავილს გაირჭობდა და სამხედრო ნაბიჯებით აუვლიდა და ჩაუვლიდა ხოლმე გოგონას ბრონეულის სახლის ფანჯრებს. გოგონა სიყვარულისგან ჩიტივით ფრთხილებდა, მიანყდებოდა ხოლმე ფანჯარას და ერთთავად უკანკალებდა ხელ-ფეხი. თუმცა არც ეს მდგომარეობაა საშიში, ესეც შეყვარებულების დამახასიათებელი თვისებაა. ღიმილიანი ჯარისკაცი დაინახავდა თუ არა გოგონამ შემამჩნიაო, შეითამაშებდა ჰაერში, იარაღს მოიხსნიდა მხრიდან და კვლავ გაიკეთებდა და შემდეგ სამხედრო ნაბიჯით დაიწყებდა წინ და უკან სიარულს; აი, ისე, როგორც ალღუმზე დადიან ხოლმე. გოგონაც გაუღიმებდა და ქათქათა თეთრ ხელსახოცს დაუქნევდა ფანჯრიდან. ეს იყო და ეს. ასე გრძელდებოდა დღეები, თვეები და წლებიც კი... თუმცა ბრონეულების ქვეყანაში მგონი დრო საერთოდ არ არსებობდა. მარადიული ზაფხული იდგა, ერთად კაშკაშებდნენ მზე და მთვარე. ბრჭყვიალა ოქროსფერი ბრონეულის სახლებში კი ბედნიერი ადამიანები ცხოვრობდნენ.

თუმცა აბა, ბედნიერება დიდხანს როდის გრძელდება ხოლმე და უცხო ქვეყნიდან გულგახეთქილმა მტრედმა მოიტანა ფეხზე შებმული ბარათი: მეზობელი ქვეყნის ხოდავანდგარი თუ ისა და ესაო, ომში იწვევს ბრონეულების ქვეყნის მბრძანებელსო. აფორიაქდნენ ბედნიერი მაცხოვრებლები, ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას წერტილი დაესმევაო, ვაი რა გვემველებაო, ვუი რა მოგველისო! სხვა გზა არ იყო, ბრონეულების ქვეყნის მრძანებელმა იხმო შეყვარებული ჯარისკაცი, შენს იმედადაა ჩვენი ქვეყანა, უნდა შეებრძოლოო. აბა, ჯარისკაცი რისი ჯარისკაცი იქნებოდა, ომში რომ არ წასულიყო, თანაც ასეთი მამაცი ჯარისკაცი ბრონეულების ქვეყანას რომ ჰყავდა!

ბიჭი გამოემშვიდობა გოგონას, თავის გულის ჯიბეში ნადები ყვავილი გაუნოდა დაბლიდან. გო-

გონამ თავისი თეთრი ხელსახოცი ჩამოაწოდა ფანჯრიდან სახსოვრად და ერთმანეთს ალუთქვეს მარადიული სიყვარული და ერთგულება. გოგონა, ჯარისკაცის დაბრუნებამდე, ბრონეულის სახლის ფანჯარაში ანთებული სანთლით ხელში უნდა მდგარიყო, იმის ნიშნად, რომ იგი სატრფოს ელოდა. ეს სანთელი ომში ჯარისკაცს გზას გაუნათებდა, ხოლო უკან დაბრუნებული თუ სანთელს ვერ დაინახავდა, ეს კი იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ გოგონამ გადაიყვარა და არ დაელოდა. ჯარისკაცი მაშინვე წყალს მისცემდა თავს, ბრონეულების ხის ძირში რომ ჩამოდიოდა.

დიდხანს იბრძოდა ბრონეულების ქვეყნის ჯარისკაცი. ომში ხან დაიჭრებოდა, ხან სციოდა და ხან სტკიოდა კიდეც, მაგრამ ბრძოლის ველიდან გამოიხედავდა თუ არა და გოგონას მბჟუტავ სანთელს დაინახავდა შორს, ძალიან შორს მშვიდდებოდა, იმედი და ძალა ეძლეოდა, რომ გოგონას კიდეც ვუყვარვარ და მელისო.

გოგონა დღე და ღამ იდგა ფანჯარასთან, გზას გაჰყურებდა სანთლით და ლოცულობდა, ჯარისკაცი შინ მშვიდობით დაბრუნებულიყო. ათასი ვინმე მოვიდა გოგონასთან ხელის სათხოვნელად. აი, ხომ ხედავ ჯარისკაცი არა ბრუნდება, ვინ იცის ომში გმირულად დაეცა, შენ კი სულ ტყუილად უცდი, მე გამომყვევო – ჯერ მფრინავმა უთხრა, მერე ბრონეულების სახლების მშენებელმა, მერე ერთმა ექიმმაც. თუმცა გოგონა ყველას უარით ისტუმრებდა.

– ოჰ, ეს დიდი უკადრისა ვინმე ბრძანებულაო, – ცხვირი აიბზუეს ბრონეულების ქვეყნის სასიძოებმა.

გოგონა სანთლით ხელში ჯარისკაცს ელოდა. ჯარისკაცი კი სამწუხაროდ არა და არ ბრუნდებოდა. ამბობდნენ ხოდავანდგარმა სიცოცხლეს გამოასალმაო. თუმცა დაზუსტებით არავინ იცოდა.

ერთ დღესაც როდესაც გოგონა სანთლით ხელში თვალცრემლიანი კვლავ ფანჯარასთან დალილი-დაქანცული იდგა, ინატრა, თუ ჩემი ჯარისკაცი არ დაბრუნდება დაე, ყვავილად გადავიქცე, ჩემს ადამიანად ყოფნას სატრფოს გარეშე რალა აზრი აქვსო?! ნატვრა ერთი იყო,

ასრულება – მეორე. გოგონა სანთლით ხელში ყვითელ უკადრისა ყვავილად გადაიქცა, ხელის დაკარებასაც ვერავინ ბედავდა, მაშინვე ცრემლებად სცვიოდა მარცვლები. ქოთნის ყვითელი ყვავილი იდგა ფანჯრის რაფაზე და ახლა ის ასხივებდა.

გავიდა დიდი დრო, ამბობენ საუკუნეებიცო, თუმცა დრო ხომ არ იყო ბრონეულების ქვეყანაში. მოკლედ, ოდესღაც დაბრუნდა გამარჯვებული ჯარისკაცი. ფანჯარაზე შემოდებული ქოთ-

ნის ყვითელი ყვავილი რომ დაინახა, მიხვდა რაც დაემართა სატრფოს, ჯერ ბევრი იტირა, ბევრი იდარდა, შემდეგ ყვავილი გულში გადაირგა და თვალის ჩინივით უვლიდა.

ბრონეულების ქვეყნის ერთმა ბრძენმა კი მტრედს გამოატანა ეს ზღაპარი ჩემთან და იქვე, ბარათის ბოლოს მიანერა, მთავარი არ არის შეყვარებული ადამიანები ერთად იქნებიან თუ არა, მთავარია ისინი ამ სიყვარულს როგორ გაუფრთხილდებიანო.

ტყუილების ქვეყნის ზღაპარი

ტყუილების ქვეყანა ჩიტის ბუდესავით პატარა იყო და იქ პატარა ადამიანები ცხოვრობდნენ. პატარა სახლები ჰქონდათ, პატარა მანქანები, პატარა ხეები ედგათ, პატარა ყვავილები, პატარა მთები, პატარა ზღვები და მდინარეები, პატარა მზე და პატარა მთვარე ანათებდა მათ პატარა ცაზე. სამაგიეროდ დიდი ტყუილები იცოდნენ. აი, ასეთი პატარა ქვეყანა როგორი იტევდა დიდ ტყუილებს არავინ იცოდა. დილით, სამსახურში წასვლისას გამვლელები ერთმანეთს მისალმების ნაცვლად, ტყუილებს ეუბნებოდნენ. სკოლებში პატარა მასწავლებლები პატარა ბავშვებს ატყუებდნენ, პატარა ექიმები – პატარა პაციენტებს, პატარა მძღოლები – პატარა მგზავრებს. მოკლედ, ამ ჩიტისბუდისხელა ქვეყანას, გარშემო ტყუილების დიდი ნისლი ეხვია და ვერც კი შეამჩნევდით არსებობდა თუ არა.

ტყუილების ქვეყანაში მატყუარა ადამიანებს ერთი ასეთი ჩვევა ჰქონდათ, ის ადამიანი, ვინც ყველაზე დიდ ტყუილს მოიფიქრებდა გახდებოდა ტყუილების ქვეყნის მეფე. ამიტომაც იყო, რომ ერთმანეთს ტყუილების თქმაში ეჯიბრებოდნენ პატარა ადამიანები და მეფე ტყუილ ათას შვიდას ოთხმოცდამერალცამდენე ჰყავდათ. ცოტა ხანში თუ სხვა ადამიანი გამოჩნდებოდა უკეთესი ტყუილით, იმ მეფეს ჩამოაგდებდნენ ტახტიდან და მას გაამეფებდნენ. მეფეები კი იტყუებოდნენ და იტყუებოდნენ, როგორმე

ტყულმეფობის ტიტული, რომ შეენარჩუნებინათ. მაგალითად, მეო, მეფე ტყუილ ათას სამას ოცდამეცამეტე, პირობას ვდებო, რომ ნაირფერი ტყუილებით გაცხოვრებთო, არ მოიწყნოთ, ზამთარში ცას ამოვკერავ და თოვლი აღარ წამოვაო. უიო, ეს რას ამბობსო, მოაწყვეს რევოლუცია და გადმოაგდეს ტახტიდან ის მეფე, ვის გაუგონია ზამთარი უთოვლოდო. ახლა გამეფეს ტყუილ ათას სამას ოცდამეთოთხმეტე, რომელმაც თქვა, რომ მეო ჩემი მეფობის დროს გპირდებითო, რომ თბილი თოვლი წამოვაო. მეფე ტყუილი ათას შვიდას ოთხმოცდამეორემ კი თქვა, რომ მთებს ვარდისფრად შევვლებავ შემოდგომით, ეს ჭრელი ფერები თვალს ღლისო. ერთმა მეფე ტყუილ რომელიღაცამდენემ თქვა, რომ მწვანე ასფალტს დავავებ, მიდვრის გზებს დაესმგავსება და ავტომობილებით უფრო ლამაზად გადაადგილდებითო. სხვამ მეო ერთ ისეთ შენობას ავაშენებ, სადაც ყველა ერთად ვიცხოვრებთ ბედნიერადო, მოუშვებთ ონკანს რძე წამოვაო, მოუშვებთ მეორე ონკანს – კომპოტიო, მესამე ონკანში თაფლი იქნება, თუ ძალიან ზამრმაციცა ხარ, მეხუთე ონკანს თუ გააღებ პირდაპირ კაკაო წამოვა და ზედ თბილ-თბილი ნაზუქებიც მოჰყვებაო. – ოჰო, ეს გაგვასუქებს უარესადო, ფუმფულა მატყუარებმა თქვეს და ის მეფეც გადააგდეს. ერთმა მეფე ტყუილ ორას სამოცდამეშვიდემ თქვა, რომ მე ისეთი მეფე

ვიქნები სწავლას ავკრძალავ, რომელი ბავშვის ხელშიც წიგნს დავინახავ, სამაგალითოდ დავსჯიო და საერთოდაც ზამრაცების სკოლებს გავხსნიო! ბავშვები ცხრა საათის ნაცვლად ორ საათზე წავლენ სკოლებში და თუ სურვილი არ ექნებათ, საერთოდაც არ წავლენო! გავხსნი ქარხნებსო, შევექმნი ხუთიათას ზამრამაცების სამუშაო ადგილსო, დავასაქმებ ზარმაცებს და უნდათ იმუშაონ, უნდათ არა, ძალიან მაღალ ხელფასებს აიღებენო... მოკლედ, ზოგი მეფე რას იტყუებოდა, ზოგი რას... მატყუარა ადამიანებიც ხან ერთს აირჩევდნენ, ხან – მეორეს. თავადაც ერთმანეთს უსირცხვილოდ ატყუებდნენ: გართობაშიც, მწუხარებაშიც, შინაც, გარეთაც, მთაშიც, ბარშიც, დღისითაც და ღამითაც. იტყუებოდნენ უფროსები, პატარები, მოხუცები, ქალები, კაცები და თქვენ წარმოიდგინეთ, ძაღლებიც კი. ატეხდნენ ტყუილად ყეფას, არიქა, ქურდი შემოგვეპარაო, გააღვიძებდნენ მთელ ქუჩას და სად იყო ქურდი? ხალხი ფანრებით ხელში დარბოდა მერე, სადმე ხომ არ შეძვრა და დაგვემალაო. ან ფისუნია ფისო ატეხდა კნავილს უმიზეზოდ, ვანიმე, წრუნუნამ რძე დამილიაო, არა და წრუნუნა იჯდა თავისთვის სოროში და პატარა წრუნუნებს ძილის წინ ჭკუას არიგებდა, რომ კატა ადამიანზე საშიში არსებაა, ადამიანი კატასთან შედარებით გულკეთილია, მას ვუყვარვართო.

ჩიტებად ქცეული ფოთლების ზღაპარი

ერთ უცნაურ ქვეყანაში უცნაური ხე იდგა. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ხე გეგონებოდათ, გაზაფხულზე თეთრად ყვავილობდა, ზაფხულში მწვანე ფოთლებს აფრიალებდა, მაგრამ აი, შემოდგომით ბუნება ფერისცვალებას განიცდიდა თუ არა, ინყებოდა ამ ხის უჩვეულობაც. ფოთლები მასაც უყვითლდებოდა, მაგრამ არ ცვიოდა. გამხმარი, ოქროსფერი ფოთოლები მოთმინებით ელოდნენ ოქტომბრის ცივი ქარის წამოქროლებას. როგორც კი ქარი დაუბერავდა, ყველა ფოთოლი ერთიანად ოქროსფერ ჩიტად იქცეოდა ხოლმე და ცაში გაიფანტებოდა.

ასე გრძელდებოდა ტყუილების ქვეყანაში ცხოვრება მანამ, სანამ ერთი ქათქათა თეთრი მტრედი არ მოფრინდა. ნისკარტიდან ქვეყნის შუაში ჩააგდო სიმართლის პატარა თეთრი მარცვალი. ეს მარცვალი გაიზარდა, გაიზარდა და უშველებელ თეთრ ხედ იქცა. სიმართლის იმხელა ხედ იქცა, რომ ფესვებმა მიწის გულიც კი გახვრიტეს და ქვემოთ, ჰაერში კონწიალობდნენ, კენწერო კი ცას მიაბჯინა და იქა შრიალებდა. ჩიტისბუდისხელა ტყუილების ქვეყანამ ნონასნორობა დაკარგა დაა... ამოტრიალდა! ყველაფერი თავდაყირა იყო ახლა ამ ქვეყანაში, მეფის ტახტიცა და მაცხოვრებლებიც, მთებიც, ზღვებიცა და ოკეანეებიც, მზე და მთვარეც კი ქვევით მოექცნენ. ყველა თავდაყირა დადიოდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ სიმართლის ხეზე შემოსკუპებულმა თეთრმა მტრედმა სიმართლის ნაყოფი არ ჩამოყარა. ადამიანებმა მწიფე ნაყოფი აიღეს და გემო გაუსინჯეს. სიმართლე ისეთი გემრიელი გამოდგა!... ტკბილი და წვნიანი! იმის შეჭმა იყო და ქვეყანამაც დაიწყო ზრდა, ადამიანებმაც, ფრინველებმაც, ცხოველებმაც, მთებმაცა და ზღვებმაც და ზუსტად იმხელეები გახდნენ, როგორც ახლა ჩვენს ქვეყანაშია.

მას შემდეგ აღარ იტყუებოდნენ.

გჯერათ?

ზამთრისპირზე კი ზოგი ჩიტუნა ნისკარტს ბებია-ბაბუების ფანჯარას მიუკაკუნებდა და მოხუცებს გაამხიარულებდა თავისი ჭიჭიკით. მოხუცები ფანჯარას გამოალებდნენ, ჩიტები შეფრთხილდებოდნენ ოთახში და გალობდნენ და გალობდნენ. მოხუცებს აღარც კი ახსოვდათ შემდეგ სახსრებისა და წელის ტკივილი. ზოგი ჩიტი ერთ ღერ მზის სხივს გაიჩრიდა ნისკარტში და ბავშვთა სახლში წაიღებდა, ბავშვები იმ მზის სხივზე სალამურს უკრავდნენ და ცეკვავდნენ. ერთი სიტყვით, ოქროსფერი ჩიტუნები მოედ-

ბოდნენ ხოლმე ამ უცნაურ, პატარა ქვეყანას და მონყენილებს ამხიარულებდნენ, ავადმყოფებს ავადმყოფობას უმუსბუქებდნენ, ჯანმრთელებს ხომ ახარებდნენ და ახარებდნენ. ზამთარიც აღარა ბრაზობდა ძალიან და მშვიდად გადიოდა, მანამ სანამ პატარა ბიჭუნამ შურდულს არ დასტაცა ხელი, ქუჩაში გამოვიდა და მაღალსართულიანი სახლის მესამე სართულის ფანჯრის რაფაზე შემოსკუპებულ ჩიტუნას არ დაუმიზნა. ჭიკჭიკით გართულმა ჩიტმა ვერც კი შეამჩნია ბიჭი რას უპირებდა. ის ხომ სახლში მარტოდ დარჩენილ და-ძმას ართობდა, რომ არ შეშინებოდათ, სანამ მშობლები სამსახურებიდან დაბრუნდებოდნენ?! ამ პატარა, ონავარმა ბიჭმა კენჭი ჩიტუნას პირდაპირ გულში დაუმიზნა და ოქროსფერი ჩიტიც უსულოდ დაეცა მიწაზე.

აი, აქ იწყება მთავარი ამბავი. ჩიტის უსულოდ დაცემა და ყველა ოქროსფერი ჩიტის გაქრობა ერთი იყო. აღარც ხეებზე ისხდნენ ხოლმე, აღარც ფანჯრის რაფებზე, მოიწყინეს ადამიანებმა. სად არ ეძებეს. პრეზიდენტი და პოლიციაც კი ჩართეს მათ საძებნელად, მაგრამ ამაოდ. ცამ ჩაყლაპა ეს ჩიტუნები, თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. იმ წელს ზამთარიც აბუზღუნდა, დაუბერა და დაუბერა აშლილი ქარები, თოვლნარევი – ნვიმა, ჭყაპი და ლოლუებიც კი ჩამოაკონწიალა ხეებზე, სახლების სახურავებზე. ადამიანებს გაუჭირდათ სუსხიანი ზამთრის გატარება ჩიტუნების გარეშე.

გაზაფხულის პირზე კი ყველა მოქალაქე იმ სკვერში მიდიოდა ყოველ დღე, სადაც ეს უცნაური ხე იდგა და აკვირდებოდა, იქნება და აყვავილდესო. ხე კი გამხმარი, თავჩალუნული და მონყენილი იდგა, არც ფიქრობდა კვირტების მოსხმას.

შურდულიანი ბიჭი თავდაპირველად თავს იმშვიდებდა, დიდი ამბავი ერთი ცალი ოქროსფერი ჩიტი მოვკალი, შურდული აბა რატომ გამოიგონეს თუ ჩიტუნებს არ გავარტყიო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ბიჭუნაც უფრო და უფრო განიცდიდა ქალაქიდან გამქრალი ოქროსფერი ჩიტუნებისა და გამხმარი ხის ამბავს. ქვეყნის მა-

ცხოვრებლები, როდესაც ერთმანეთს გამარჯობის ნაცვლად ეკითხებოდნენ, ხე ხომ არ გაყვავილებულაო, აი, მაშინ კი მონყენილი ბიჭუნა მივიდა ხესთან, დაიჩოქა, ხელები სახეზე აიფარა და მწარედ აქვითინდა – ეს რა ჩავიდინეო! ტიროდა ბიჭუნა და მისი ცრემლები ოქროსფერ ბურთულებად ებმებოდა ხეს ტოტებზე. ისეთი ლამაზი სანახავი იყო, გაცდებოდიო! გამხმარი ხე და ათასი ბრჭყვიალა ოქროსფერი ბურთულა ანათებდა ახლა ღამეში მთელ ქვეყანას. დღისით ხომ კიდევ უფრო ღამაზი სანახაობა გეჩვენებოდათ, მზის სინათლეზე ათასფერად ციმციმებდნენ ხეზე გამობმული ბიჭუნას ცრემლები, თან საოცარ წკრიალა ხმას გამოსცემდნენ. ახლა ყველა ამ სანახაობამ მოხიბლა და გაზაფხული და ზაფხული ამ ამბით გადაიტანეს, მაგრამ კვლავ შემოდგომა მოდიოდა და ქალაქს ემუქრებოდა ოქროსფერი ჩიტუნების გარეშე შემოდგომისა და ზამთრის გატარება, ნაღვლობდნენ, დარდობდნენ, მაგრამ რა ექნათ.

გვიან შემოდგომის ერთ საღამოსაც, როდესაც ბიჭუნა თავჩალუნული იდგა ხის წინ და თავის საქციელს კვლავ მწარედ ნანობდა, ჯერ ერთი ცრემლის ოქროსფერი ბურთულა ჩამოწყდა ხიდან, ბიჭუნას გულის უბეში ჩაუგურდა, გულთან სიყვარულით გათბა და მერე ოქროსფერ ჩიტად ამოფრთხილდა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და გათენებამდე ცა თითქმის დაიფარა მოჭიკჭიკე ოქროსფერი ჩიტებით.

– რა დილა გათენდა! როგორ გალობდნენ ოქროსფერი ჩიტები! როგორ ახარებდნენ ყველას! შურდულიანი ბიჭუნაც ისეთი ბედნიერი იყო, ვერც დაღლილობას გრძნობდა და ვერც – უძილობას! თავქუდმოგლეჯილი გაიქცა სახლში, ჯერ შურდული გადატეხა და ურნაში გადააგდო, კიდევ რომ ხელი არ ნასცდენოდა ჩიტუნების დასახოცად, მერე ხესთან დაბრუნდა, ტანზე მოეხვია და მიხვდა, თურმე ბოროტი საქციელის გამოსწორებას რამდენი სინანული, რამდენი სუფთა ცრემლი, რამდენი სიყვარული და შრომა სდომებია!

ის დღე იყო და ის დღე, ბიჭუნა ცუდად არასდროს აღარ მოქცეულა!



ნუნა ანთაძე

* * *

ჩემს სოფელში ერთი უცნაური კაცი დადიოდა, ფერმკრთალი იყო, თხელი, მაღალი, მუდამ სევდიანი. ადამიანებს გაურბოდა და ხეებს ესაუბრებოდა. ხან ერთ ხეს შემოეხვეოდა, ხან მეორეს... ამბობდნენ საყვარელი ქალის დაკარგვას ვერ გაუძლო და შეიშალა... შუქრია ერქვა...

მე ვარ ვენახი, მე ვაზი ვარ, საყრდენს ვეძებ
ხეთა შორის სოფელ-სოფელ, ბილიკ-ბილიკ,
შუკა-შუკა... დაულალავად...
ო, რა რთულია საყრდენის პოვნა.
მე ვარ ვენახი, მიმტკიცებენ, კაცი ხარ და შუქრი გქვიაო,
შენ მაინც იცი გაზაფხულის გრილო ნიაგო,
რომ ის ღრუბელი, შვლის ნუკრის მსგავსი
ნუკრი არ არის... დამძიმდება და წვიმად მოვა
დამშრალ მინაზე.
არც ის ლოდი კაცის ფორმის კაცი არ არის,
მაინც ქვაა უგრძობ-უსულო...
ის ქალი კი მოკისკისე და ხმაჭიკჭიკა
ქალი კი არა მერცხალია, შემოდგომაზე გაფრინდება და
დაგტოვებს ზამთრის გრძელი ლამის დარდებთან.
მე ვარ ვენახი, მიმტკიცებენ კაცი ხარ და შუქრი გქვიაო,
ხომ გესმის ჩემი გაზაფხულის გრილო ნიაგო?!

* * *

„წინაპართაგან წავიდა ყველა
სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“

ოდესმე, როცა ტერფებს გავინედლებ ძლიერ ფესვებად,
მუხლს ჩაუდგება მიწის წვენი მაცოცხლებელი
და იასამნად გავიზრდები ჩემი სოფლის მყუდრო, ლამაზ სასაფლაოზე,
როცა ტოტები, ხელებივით ცისკენ აწვდილი
უხვად დაისხამს ყვავილებად სიზარმაცით უთქმელ ლოცვებს, უთქმელ ლექსებს...
გადმოვხედავ თქვენს სავანეს, სევდით დაფერილს და შენდობას გთხოვთ,
რომ სიცოცხლეში ვერ გითხარით როგორ მიყვარდით...

* * *

ჩიტო-ჩიორავ, ღრუბელთა დარდის მოზიარევ,
 ღირსო ცის კართან მიახლების,
 ჩემს მფარველ ანგელოზს თუ ნაანყდე
 დაღლილს და ცრემლიანს
 ევედრე ფრთები შემაშველოს,
 მენატრება და ველოდები.

* * *

ჰეი, ჩიტებო, ბაღს რომ სტუმრობთ მაისის ბაღში,
 იცით, ოდესღაც ჩიტოვით მსუბუქს და სიფრიფანას
 მეც მიხუტებდნენ ხის ტოტები და მჩუქნიდნენ
 ბლის კუნულებს საყურეებად...
 რა ახლოს ჩანდა მწვერვალები მოელვარე კავკასიონის,
 ხის კენწეროდან ცა, რომ თავზე ქუდად მეხურა.
 ჰეი, ჩიტებო, თქვენი ნისკარტით ჩაჩვრეტილი
 ნაყოფის გემო მიყვარდა მაშინ..
 დღეს მარკეტში, კალათებში ჩალაგებულ ბაღს რომ დავხედე,
 რალაცნაირად შემებრაღა ქალაქელი, აზიზი ბავშვი...

* * *

ცელქი ნიავი მეფერება დილაადრიან
 მე კი, ძვირფასო, ვხურავ დარაბებს,
 ქარაფშუტების აღარ მჯერა უკვე დარდიანს,
 ბაბუანვერას გამოვატან შენთან ბარათებს.

მაძლევეთ ბრანტიას რომ არ მისიზმრებით?

მე რომ შეგხვდი შენ გეძინა,
 და ხედავდი ყოფით სიზმრებს,
 დაზღვეულს და გამყარებულს
 იქსწლიანი გარანტიით...
 ვცდები იქნებ?!
 შენს სიზმარში მოკრძალებით
 ამოვედი, როგორც ია,

მაგრამ შევკრთი... განა იებს,
 შენ ელოდი გარანტიებს...
 გარანტიას ავტოსაგან, მოტოსაგან,
 მაცივრისგან, გაზქურისგან,
 მშობლებისგან, უფროსისგან,
 უმცროსისგან, ყველასა და
 ყველაფრისგან... თვით ღმერთისგანაც...
 რომ გეძინა მერე მშვიდად,
 უშფოთველად, უდრტვინველად...
 სიზმარშიც კი განა იებს,
 მოელოდი გარანტიებს.

რატომ იღებს ავტობატური კარები შეხებას?

აქ არ ვაკაკუნებთ, რომ გაგველოს...
 აქ არ ინონება ცოდვა-მადლი...
 და ყალბი ღიმილის სამყაროში
 კარებს შეხებამდე ფართოდ გახსნილს
 შევყავართ განურჩევლად ღირსებისა,
 ცოტა ხნით ბატონია ჩვენი ნება...
 ცირკის ძალღივით გაუნვრთნიათ
 მომსახურე პერსონალის მოთმინება.
 კლიენტი ყოველთვის მართალია
 და შენც მართალი ხარ მართალთ შორის
 ფართოდ გახსნილი კარების და
 ყალბი ღიმილის სამყაროში.

* * *

მე როდის მითხრეს სულ პირველად,
 რომ სიცრუე ცოდვაა დიდი, ველარ ვიხსენებ...
 მაგრამ ის მახსოვს, დღემდე მახსოვს,
 ბრაზით და ზიზლით დაახეთქა
 ჩემმა შვილმა ცრუ საწოვარა
 და მატყუარა დედის მკერდში დაემალა
 პირველ სიყალბეს...
 მე როდის მითხრეს რომ სიცრუე ცოდვაა
 დიდი, ველარ ვიხსენებ...

მარიტას

შემოდგომის ფოთლისფერ თმებში
ჩამალული სახე ბავშვური ასხივებს მაისს,
და ქარსგაყოლილ ყვითელ ფოთლებზე
ისეთი გრძნობით მღერის მარიტა
იცოდეს მაინც,
როგორ მტკივა ყველა ბგერა
აყოლილი გიტარის სიმებს,
ან იცის იქნებ...
მღერის მარიტა – გაზაფხულის ატმის ყვავილი...
ფერნასულ ფოთლებს ენატრებათ ლურჯი აპრილი.

* * *

თვით სამოთხეში ცდუნების მპოვნელს,
გულს რა შეუცვლის ევას უფალო?!
იანვრის ღამეს შემოხეტებულ
ბნელ ფიქრებს გზა რომ არ გავუკვალო,
როგორ შევიძლო ასე უმწეომ,
როგორ ვუნოდო დღეს დღე უმზეოდ?!
რამ დაამშვიდოს გული უძღები,
რამ გამიფანტოს სულში წყვიადი...
ნუთუ არ მომცემს, ნუთუ არ მომცემს,
ნუთუ არ მომცემს ფრთებს განთიადი?!



ქართული სურბანიძე

როცა მზე ტირის

როცა მზე ტირის,
ქარიშხლები წვეებიან ზურგზე,
ისმის წიკნიკი უდაბნოდან ქვიშის საათის...
მცირე ისარი მოზრდილ ისარს
პირისპირ უმზერს, –
დუმს მასლაათი.
როცა მზე ტირის,
შორს, გრიგალი ივარცხნის ფაფარს
და ღამეები დაუძინარ სიზმარს ახელენ,
ყველა სიმშვიდე, უსახლკარო,
ექებს შესაფარს, –
ქარნი ამხელენ...

ღმერთმა იცის

მე მიყვარს ღმერთი,
მიყვარს მისი ჩემდამი ნდობა
და ღმერთმა იცის თუ ვენდობი ნდობას სავსებით.

ქარიშხალია,
სიო ირჩევს ტრანსპარანტობას
ერთმანეთს ასე, ქაოსით და
ომით ავსებენ.

მიმოდიოდა
ფრონტის ხაზზე უფალი მშვიდად,
ქვიშის საათზე ახატავდა ისარს, განიერს,
თვალდახუჭული რიცხვებს წერდა, წერდა და შლიდა...
ამასობაში ქარიშხლებმაც გზები არიეს.

დიდდება ბული,
 გზას აწყდება ქვიშის ნისლეები...
 ველარ ვენდობი საკუთარ თავს,
 არათუ თვალებს,
 ასე მგონია, უფლისგანაც სისხლად ვიცლები
 და გუშინდელი სიცოცხლისთვის მოვითხოვ ხვალეს.

ქარი ჩადგება.
 დამმარხავენ –
 ვალი მაქვს მინის.
 დაფნად მოვალ თუ ბრონეულად?
 ეს ღმერთმა იცის...

არ დატყბო

ერთ დღესაც ღია დაუტოვე სულის ანჯამა,
 გადმოაბრუნე ჩამხობილი, ფიქრის ფინჯანი
 და როცა სხვენზე გაიღება ფართო ფანჯარა,
 შეკრიბე, მაგრამ გარდასული არ დააჯამო...

ბამოდი

გამოდი, იმ ერთ გზას აუყევი,
 აზიდე აღმართზე ტკივილები,
 საფრენად გაშლილი ხელებიდან
 მამლების მესამე ყივილამდე
 იტირე...

ბბბბ

არ ნანობ, არ ტირი, არ ეძებ,
 იქნება, რაც იყო, რაც არი,
 ხომ ბევრჯერ განურე კენჭები,
 ხომ თვალში იყარე ნაცარი.
 ხომ წალმა აბრუნე ზღაპარი,
 რაც იყო, არ იყო, არც არი,
 ხომ მკლავის მაგივრად, ერთჯერაც,
 ცხოვრება გრიგალზე აცარი.

ღმერთმანი, ზღაპრები მთავრდება,
 იქ აღარ რჩებიან ცალ-ცალი.
 ნუ ტირი, ქარები ჩადგება,
 ითმინე, მეზღაპრეს აცალე.

სიცოცხლის ხე

გაზაფხულივით იღვიძებს,
 სულში სიცოცხლის ხე,
 კვირტი ჩაუცვამს ყირმიზი,
 ასე ინება დღეს.
 მიწას მოხვია მკლავები,
 ფესვჩაკონილი დგას,
 ჭრელ ბენვის ხიდზე გაივლის,
 ქარს თუ ნაიკითხავს.

ქარიშხლები

ქარიშხლები რომ წვებოდნენ გზებზე,
 როცა ვარსკვლავთა ქვიშას ფარცხავდი,
 როცა უდაბნოს ყვავილს დარდიანს,
 გადაუკეტე ყველა სარწყავი
 არხი, ზღვები და ოაზისები,
 ამოაშრე თუ ყელი გაუშრათ,
 ნაკადულმა რომ ოკეანესთან
 გაყოლა გთხოვა, რად არ გაუშვი?

ბბბბბ

ცეცხლივით ფასი აუდის ბაზარს,
 ისმის ყიყინი, ხორხოცი, ხვნეშა,
 გამყიდველები ყიდიან ბანარს,
 გამყიდველები ყიდიან შეშას.
 მგზავრი კი დადის მდგარ დახლებს შორის,
 თვალს ვერ ამორებს ბანარს, ვერც შეშას,
 მას შეშის ყიდვა უნდა უფრორე, –
 ბანრის ვაჭარი თავისკენ გეშავს.
 არ ჰყოფნის მყიდველს თანხა ორისთვის,
 არ იცის რა ქნას, თვის ფიქრებს ჩეჩავს,

აქეთ-იქედან ექაჩებიან,
 ერთ მყიდველს ორნივ თავისკენ, ბეჩავს.
 მიუხვდა, ფასი დაუკლო ერთმა,
 მსწრაფლ, მეორემაც დაუნყო ღრეჯა,
 დღემდე ამგვარი მიდის ვაჭრობა,
 დღემდე ამგვარად გრძელდება ხლეჩა.

დბას

დგას სულშემძვრელი ზამთრის სურნელი,
 დგას და იორთქლავს ხელებს,
 შეციებული ბავშვის თვალებით
 მზერა მოავლო ხევებს.
 შემოახვია მკლავი მთა-გორებს,
 გადაწვდინა ტატნობს,
 მიტოვებული ბავშვის თვალებით,
 მშობლის სიყვარულს ნატრობს...

ღმერთო

ღმერთო, რა ახლოს მყოფიხარ,
 მეგონა შორზე შორ იყავ,
 ის იმედები მეგონე,
 ჭოროხმა რომ გამორიყა,
 ზეცის ის ფენა მეგონე,
 წვიმისას რომ ჩამოიხა...
 თურმე, რა ახლოს ყოფილხარ,
 თურმე, რა ჩემთან ყოფილხარ,
 თურმე, რა ჩემში ყოფილხარ...

ნეკერჩხლის ფოთოლი

ნეკერჩხლის ტოტმა
 მიწყალობა თავისი პირმშო,
 ლექსის კრებულში მივუჩინე
 თავშესაფარი...
 ნაწვიმარ სხეულს რა ხანია
 ლექსებში იშრობს
 კაფანდარა ტანს აფარია
 სიტყვის საბანი...



პარიო ვარბას დიოსა

კითხვის ჩვევისა და ლიტერატურისადმი პატივის მისაბეზად

სანობელე ლექცია, სტოკჰოლმი, 2010, 7 დეკემბერი

კითხვა ხუთი წლის ასაკში ვისწავლე, მამა ხუსტინიანოს კლასში, დე ლა სალის აკადემიაში, რომელიც კორნამბაში, ბოლივიაში მდებარეობს. თუკი რამ შემთხვევით ცხოვრებაში მნიშვნელოვანი, სწორედ ეს იყო. ლამის სამოცდაათი წლის თავზეც მკაფიოდ მახსენდება, რა ჯადოსნობა იყო მაშინ წიგნში ამოკითხული სიტყვების გადაქცევა სახეებად, რომლებიც ცხოვრებას მიმდიდრებდნენ და დროის და სივრცის წინაღობას ტყბდნენ. მათი წყალობით გამივლია კაპიტან ნემოსთან ერთად ზღვის ქვეშ ოცი ათასი მილი, დარტანიანთან, ათოსთან, პორტოსთან და არამისთან ერთად დედოფლის წინააღმდეგ ჩუმჩუმელა რიშელიეს წამონყებულ ინტრიგებს შევწინააღმდეგებოვარ, პარიზის მიწისქვეშეთიც მომივლია, ჟან ვალჟანადაც ვქცეულვარ და მარიუსის უსიცოცხლო სხეული საკუთარი ზურგით მიტარებია.

კითხვა ოცნებებს ცხოვრებად აქცევდა, ცხოვრებას – ოცნებად, და იმ პატარა ბიჭისთვის, ოდესღაც მე რომ ვიყავი, ლიტერატურით ნაშობ სამყაროს მისაწვდომს ხდიდა. დედაჩემი მამაბობდა, თურმე ჩემს პირველ ნაწერებში იმ ამბებს ვაგრძელებდი, წიგნებში რომ ვკითხულობდი, რადგან ამბის დასრულება სევდას მგვრიდა, ან, შესაძლოა, წიგნის დაბოლოების შეცვლა მსუ-

რდა. და, ახლა რომ ვფიქრობ, გაუცნობიერებლად, როგორც ჩანს, მთელი ცხოვრება ეს მიკეთებია და ახლაც ამას ვაკეთებ: გავიზარდე, მოვნიფდი, მერე დავბერდი, და მთელი ეს წლები დროში ვაგრძელებ ამბებს, რომლებიც ჩემს ბავშვობას ეგზალტაციით და ფათერაკების მაძიებლობის ჟინით ავსებდნენ.

ახლა ვნატრობ, ნეტავ აქ იყოს დედაჩემი, ქალი, რომელსაც შეეძლო ამადო ნერვოს და პაბლო ნერუდას ლექსზე ეტირა, დიდცხვირა, მელოტი პაპაჩემი პედროც, ყოველ ჩემს ლექსს დღესასწაულივით რომ ხვდებოდა; ძია ლუჩო, რომელიც ერთობ ენერგიულად მარწმუნებდა, სული და სხეული ლიტერატურისთვის მიმეძღვნა, იმ დროს და ადგილას, როდესაც და სადაც სიტყვაკაზმულობისადმი თავდადება არავის უფასდებოდა. მთელი ცხოვრება გვერდში სულ ასეთი ადამიანები მედგნენ, ადამიანები, რომლებსაც ვუყვარდი, რომლებიც, როცა დაეჭვების წლები მედგა, სულის მხნეობას მმატებდნენ. მადლობელი ვარ მათი, რა თქმა უნდა, ჩემი ამტანობისაც და, გარკვეულწილად, ილბლიანობისაც, რაკი შევძელი და სიცოცხლის მეტი ნაწილი წერის ვნებას და ცოდვას, ამ სასწაულს ვუძღვენი და პარალელური სიცოცხლე შევიქმენი, რომელიც განსაცდელებში თავშესაფრად და ნა-

ვსაყუდელად მექცა, რომელიც არაჩვეულებრივ რამეებს ბუნებრივად აქცევს და ბუნებრივს კი სასწაულად, ქაოსს ფანტავს, სიმახინჯეს მშვენებას სძენს, წუთს უკვდავჰყოფს და სიკვდილს მომწუსხველ სპექტაკლად აქცევს.

ამბების წერა ადვილი არ იყო. როცა ამბავი სიტყვად იქცევა, ჩანაფიქრი ქალღმრთელს და იდეები და სახეები თითებს შუა გეპარება. როგორ ხდება მათი ხელახლა გაცოცხლება? საბედნიეროდ, მყავდნენ ოსტატები, მასწავლებლები, რომელთაგან ვსწავლობდი და რომელთა მაგალითს მივდევი. ფლობერისგან ვისწავლე, რომ ნიჭი უტეხი დისციპლინა და უსასრულო მოთმინებაა; ფოლკნერისგან – რომ ფორმა – წერა და სტრუქტურა – საგნებს აღამაღლებს ან პირიქით, განძარცვავს და აღარიბებს. მარტორელმა, სერვანტესმა, დიკენსმა, ბალზაკმა, ტოლსტოიმ, კონრადმა, თომას მანმა მასწავლეს, რომ მასშტაბურობა და ამბიცია რომანისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სტილური სრულქმნილება და თხრობის სტრატეგია. სარტრმა – რომ სიტყვები ქმედებებია, რომანი, პიესა, ან თუნდაც ესე კი ანმყო დროსა და უკეთეს არჩევანს შეიცავს და ისტორიის მდინარეების შეცვლა ხელწიფება; კამიუმ და ორუელმა – რომ მორალურის განცდისგან განძარცვული ლიტერატურა არაადამიანურია, მაღრომ – რომ ჰეროიზმი და ეპიკურობა დღესაც ისევეა შესაძლებელი, როგორც არგონავტების, „ოდისეას“ და „ილიადას“ ხანაში.

ამ მომართვაში ყველა მწერალი რომ მომეხსენიებინა, ვისიც სულ ცოტა ან ძალიან ბევრი მმართებს, მათი ჩრდილების სიბნელეში მოვექცეოდით. ასეთები ძალიან ბევრნი არიან. მთხრობელის ხელობის საიდუმლოებებს რომ თავი დავანებოთ, მათ ადამიანის ბუნების უძირო სიღრმეებში ჩამახედეს, მისი გამირული გამოვლინებებისადმი მოწინება მასწავლეს, მისი სისასტიკის მიმართ განცდილი საშინელების გრძნობით დამდადეს. ესენი იყვნენ ჩემი ყველაზე გულუხვი და დაუნანებელი მეგობრები, ვინც ჩემს მოწოდებას სული შთაბერა და ვისი ნიგ-

ნების წყალობით აღმოვაჩინე, რომ იმედი ყველაზე გამოუვალ მდგომარეობაშიც არ კვდება, რომ სიცოცხლე ძალისხმევად ღირს, თუნდაც იმიტომ, რომ უმისოდ ამბების წერა და წარმოსახვა შეუძლებელი იქნებოდა.

ბევრჯერ მიფიქრია, ხომ არ იყო წერა გადამატებული ფუფუნება ისეთ ქვეყანაში, როგორც ჩემია – ქვეყანაში, სადაც მკითხველი კანტი-კუნტად გვყავდა, სადაც უამრავი ღარიბი და წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი იყო და დიდი უსამართლობა სუფევდა, კულტურა კი ერთეულების პრივილეგიად რჩებოდა. მაგრამ ამ დაეჭვების გამო წერაზე ხელი არასოდეს ამიღია და იმ პერიოდებშიც ვაგრძელებდი, როცა დროის უმეტესი ნაწილი იმაზე ფიქრს მიჰქონდა, თავი როგორ გამეტანა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ სწორად ვიქცეოდი, რადგან იმისთვის, რომ ლიტერატურა განვითარებულიყო, ჯერ საზოგადოებას უნდა მიეღწია მაღალი კულტურისთვის, თავისუფლებისთვის, სამართლიანობა და კეთილდღეობა დამყარებულიყო. ლიტერატურის წყალობით, იმ შეგნების წყალობით, რომელსაც ის ავითარებს, მაღალი სურვილებისა და სწრაფვების გამოისობით, რომელსაც ის შთაგებერავს, მშვენიერი ხილვებიდან გამოსვლის და რეალობასთან შეჯახების შედეგად, სამყარო დღეს ისეთი სასტიკი აღარაა, როგორც მაშინ, როცა პირველი მოარაკეები ქმნიდნენ და ცხოვრებას ადამიანურობას ჰმატებდნენ. იმ კარგი ნიგნების გარეშე, რომლებსაც ვკითხულობთ, უფრო ცუდები ვიქნებოდით, უფრო კონფორმისტები, ნაკლებ ჟინიანები და უფრო მორჩილები; თვით კრიტიკული სული, პროგრესის მამოძრავებელი ძალა არ იარსებებდა. განა მხოლოდ წერა, კითხვაც ცხოვრების არასრულყოფილების მიმართ პროტესტის გამოხატულებაა. როცა ლიტერატურაში იმას ვეძებთ, რაც ადამიანთა არსებობას აკლია, ამით ჩვენდა უნებურად ვამბობთ, რომ ყოფიერება, ისეთი, როგორც ჩვენს წინაშეა, აბსოლუტის – ადამიანთა ყოფის ძირისა და ძირის მიმართ ჩვენს სწრაფვასა და წყურვილს ვერ აკმაყოფილებს. როცა ვთხზავთ, შეძლებისდაგვარად მეტი და მეტი ცხოვრებით

ვცხოვრობთ, მაშინ, როცა სულ ერთადერთი სიცოცხლე გვაბადია.

მხატვრული ლიტერატურა რომ არა, ნაკლებად გვექნებოდა გაცნობიერებული, რა მნიშვნელობა აქვს თავისუფლებას საიმისოდ, რომ ადამიანმა სიცოცხლე ადამიანურად განვლოს, ჯოჯოხეთად კი მაშინ იქცევა, როცა ტირანის, იდეოლოგიის თუ რელიგიის წნეხქვეშ ექცევა. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ლიტერატურას მხოლოდ ბედნიერ და მშვენიერ ხილვებში დაძირვა კი არა, იმ საფრთხეების შესახებაც ძალუძს ჩვენი გაფრთხილება, ჩვენს თავისუფლებას რომ ემუქრება, საკუთარ თავს ჰკითხოს, რატომ ცდილობს ყველა რეჟიმი ადამიანის ცხოვრების გაკონტროლებას აკვიდან საფლავამდე და მისი ისეთი შიში რად აქვს, რომ დასათრგუნად ცენზურის და მეთვალყურეობის სისტემებს უწესებს, დამოუკიდებელ მწერლებს კი ყოვლისმხედველ თვალს არ აშორებს. ამას იმიტომ შვრებიან, რომ იციან, რა ხიფათია მათთვის ლაგამამოუდებელი წარმოსახვა, რომელმაც ნიგნის ფურცლებიდან ლაღად იცის ამოხეთქვა, იციან, რა საცდურებს შეიცავს ლიტერატურა, როცა მკითხველი ნიგნში გაცხადებულ თავისუფლებას სიბნელის და შიშის იმ ატმოსფეროს ადარებს, რომელიც რეალურ სამყაროში სუფევს. სურთ თუ არა ეს, იციან თუ არა, რას აკეთებენ, მწერლებს ამბების თხზვისას სააშკარაოზე ადამიანთა დაუკმაყოფილებლობა გამოაქვთ, აჩვენებენ, რა უხეიროდაა მოწყობილი ცხოვრება, და რომ წარმოსახულ სამყაროებში სილამაზე უფრო მეტია, ვიდრე ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში. და ეს ფაქტი, როცა მას გრძნობებითა და შეგნებით გამოცდაც ემატება, მოქალაქით მანიპულირებას აძნელებს, მეციხოვნეთა და გამომძიებელთა სიცრუე, რომ მათს გისოსებს მიღმა ადამიანს უფრო უხიფათო, უკეთესი ცხოვრება ელის, ჭეშმარიტებად ველარ საღდება.

კარგი ლიტერატურა ადამიანებს შორის ხიდეებს დებს, და როცა სიხარულს გვანიჭებს, ტანჯვას განგვაცდევინებს ან ჩვენს გაოცებას ახერხებს, ენის, აღმსარებლობის, წეს-ჩვეულებების და მიკერძოებული დამოკიდებულებების

– იმ ყველაფრის გადალახვით გვეერთიანებს, რაც ერთმანეთისგან გვეყოფს. როცა დიდი თერთვი ვეშაპი კაპიტან აჰაბს ოკეანის ზვირთებში ითრევს, მკითხველი, ტოკიოში, ლიმაში თუ ტიმბუქტუში, ერთნაირად იზაფრება. როცა ემაბოვარი სანამლავს სვამს, ანა კარენინა მატარებელს ბორბლებში უვარდება, ჟულიენ სორელი ეშაფოტზე ადის „El sur“-ში, დუქნიდან გასული ექიმი ხუან დალმანი დანამომარჯვებული ავაზაკის შესახვედრად მიაბიჯებს, ან როცა ვხვდებით, რომ კომალას მკვიდრნი, პედროს თანასოფლელები ცოცხლებში აღარ წერიან, ვისაც არ უნდა აღიარებდეს მკითხველი, ბუდას, კონფუციუსს, ქრისტეს, გინდ აგნოსტიკოსი იყოს, პიჯაკი აცვია, კიმონო თუ ბომბაჩა, გული ერთნაირად ეწურება. ლიტერატურა ადამიანთა მრავალგვაროვნებიდან ძმობას ბადებს და იმ საზღვრებს შლის, უვიცობამ, იდეოლოგიურმა, რელიგიურმა, ენობრივმა სხვაობებმა და სიბრყვემ რომ წარმოქმნეს.

ისტორიის ყველა პერიოდს საკუთარი საშინელებები და საფრთხობელები აქვს, და ჩვენი დრო ფანატიკოსების, თვითმკვლელი ტერორისტების ხანად იქცა. მკვლელთა უძველესი სახეობის ეს წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ თუ სისხლს დაღვრიან, სასუფველს მოიპოვებენ, რომ უდანაშაულოთა სისხლი კოლექტიურ შეურაცხყოფას ჩამორეცხავს, უსამართლობას გაასწორებს, ურჯულოებს ჭეშმარიტ რწმენაზე მოაქცევს. მთელს მსოფლიოში, ყოველდღე, უთვალავი მსხვერპლი ჩნდება მათი ხელით, ვინც ფიქრობს, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება სწორედ მას უპყრია. როცა ტოტალიტარული იმპერიები ინგრეოდა, იმედი მოგვეცა, რომ ერთად, მშვიდობიანად ვიცხოვრებდით, პლურალიზმი და ადამიანის უფლებების დაცვა მსოფლიოს ჰოლოკოსტებს, გენოციდებს, დაპყრობითი ომების და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის ხანას დაგვაშორებდა. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. დღეს ბარბაროსობის ახალი ფორმები იჩენს თავს, მათი მიზეზები ფანატიზმი, მასობრივი

განადგურების იარაღის გავრცელება, და ვერც იმ ფაქტს ავარიდებთ თვალს, რომ ერთ დღესაც შეშლილების ერთმა პატარა ჯგუფმა შეიძლება ბირთვული კატაკლიზმი გამოიწვიოს. ამათ ძირი უნდა შევეურყიოთ, დავუპირისპირდეთ, დავამარცხოთ. ბევრნი არ არიან, მაგრამ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებათა ექო მთელ პლანეტას სწვდება, მათი კომმარული ნამოქმედარი გვზაფრავს. თავი არ უნდა დავაშინებინოთ, უფლება არ უნდა მივცეთ, საუკუნეების განმავლობაში ნაკონინები ცივილიზაციის მონაპოვარი – თავისუფლება წაგვართვან. მოდით, დავიცვათ ლიბერალური დემოკრატია, რომელიც, საკმაო შეზღუდულობის მიუხედავად, კვლავაც პოლიტიკურ პლურალიზმს, თანაარსებობას, შემწყნარებლობას, ადამიანის უფლებების დაცვას, კრიტიკული ხედვის პატივისცემას, კანონს, თავისუფალ არჩევნებს, ძალაუფლების ხელიდან ხელში გადაცემას ნიშნავს, – იმ ყველაფერს, რამაც ველურ ყოფას დავაშორა და – მართალია, ვერასოდეს მივალწევთ, – იმ მშვენიერ, სრულყოფილ ცხოვრებას მიგვაახლოვა, რომელსაც მხატვრული ლიტერატურიდან თუ ვიცნობთ, რომელსაც მხოლოდ გამონაგონში, წარმოსახვაში, წერისა და კითხვის პროცესში ვიმსახურებთ. კაცისმკვლელ ფანატიკოსებს რომ ვუპირისპირდებით, ამით ოცნების, და ამ ოცნებებისთვის ხორცის შესხმის უფლებას ვიცავთ.

ახალგაზრდობაში, ჩემი თაობის ბევრი მწერალივით, მარქსისტი ვიყავი და მჯეროდა, რომ სოციალიზმი აღმოფხვრიდა ადამიანთა ექსპლუატაციას და სოციალურ უსამართლობას, რომლებიც ჩემს ქვეყანაში, ლათინურ ამერიკაში და მესამე სამყაროს დანარჩენ ქვეყნებში მკვიდრად იყო ფესვგადგმული. მერე სტიეტიზმით და კოლექტივიზმით იმედგაცრუების ხანგრძლივი და რთული პერიოდი განვვლე, სანამ დემოკრატად და ლიბერალად – იმად, რაც დღეს ვარ, ვცდილობ, რომ ვიყო – ჩამოვყალიბდებოდი, ეს წლები გარკვეულ ეპიზოდთა დროში განელილი თანწყობისგან შედგებოდა; იყო კუბის რევოლუციის სახეცვალება, რომლის მიმართ

თავიდან დიდი ენთუზიაზმით ვიყავი აღვსილი, მისი მმართველობის გაავტორიტარულება, საბჭოთა კავშირის ვერტიკალურ მოდელად ქცევა; იმ დისიდენტთა ნაამბობი, რომლებმაც გულაგების მავთულხლართებიდან თავის დაღწევა მოახერხეს; ვარშავის პაქტის ქვეყნების ჩეხეთში შეჭრა; დემოკრატიული კულტურის და ღია საზოგადოების ხელახლა აღმოჩენას ისეთ მოაზროვნეებს ვუმადლი, როგორებიც რაიმონდ არონი, ჟან ფრანსუა რეველი, აიზაია (ისაია) ბერლინი და კარლ პოპერი იყვნენ. ეს დიდი ადამიანები ჩემთვის აღმაფრთოვანებელი გაბედულების და სინათლის განსახიერებანი იყვნენ, მაშინ, როცა დასავლური ინტელიგენცია, ქარაფშუტობისა თუ ოპორტუნიზმის გამო, საბჭოური სოციალიზმის, ან, კიდევ უარესი, ჩინეთის კულტურული რევოლუციის სისხლიანი შაბაშის ხიბლით იყვნენ დატყვევებულები.

ჩემს პატარა ბიჭობაში გამუდმებით პარიზზე ვოცნებობდი, რადგან ფრანგული ლიტერატურით მოხიბლულს მჯეროდა, რომ ამ ქალაქში ცხოვრება, ბალზაკის, სტენდალის, ბოდლერის და პრუსტის ნასუნთქი ჰაერით სუნთქვა ოდესმე ნამდვილ მწერლად მაქცევდა. პერუდან რომ არ წავსულიყავი, ალბათ, ერთი უბრალო, შაბათ-კვირას საკითხავი მწერალი ვიქნებოდი. უნდა ვალიარო, რომ კულტურის დაუფინყარ გაკვეთილებს საფრანგეთს ვუმადლი; მაგალითად, იქ გავითავისე, რომ მწერლობა, მონოდების გარდა, კიდევ დისციპლინაა, მძიმე სამუშაო, ამტანობა. ვცხოვრობდი ქვეყანაში, სადაც სარტრი და კამიუ ჯერაც ცოცხლები იყვნენ და წერდნენ, იონესკოს, ბეკეტის, ბატაის და ჩორანის ზეობის წლებში, მაშინ აღმოვაჩინე ბრეხტის თეატრი და ინგმარ ბერგმანის ფილმები, ჟან ვილარის სახალხო თეატრი (*Theatre National Populaire of Jean Vilar*), ჟან-ლუი ბაროს ოდეონი, ახალი ტალღა, ახალი რომანი, ანდრე მალროს მშვენიერი შემოქმედება, და შესაძლოა, იმდროინდელ ევროპაში ყველაზე თეატრალური სანახაობა – გენერალ დე გოლის ოლიმპიური გრავინვა და მეხი – მისი პრესკონფერენციები. და მაინც, სა-

ფრანგეთს ყველაზე მეტად იმის გამო ვემადლიერები, რომ ლათინური ამერიკა აღმომჩენინა. ამ ქვეყანაში გავაცნობიერე, რომ თურმე პერუ საერთო ისტორიით, გეოგრაფიული მონაცემებით, სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით გაერთიანებული საზოგადოება ყოფილა, რომ ცხოვრების მისეული ნირი განუმეორებელია, მისი ხალხი კი გემრიელ ენაზე მეტყველებს და წერს. სწორედ იმ წლებში, ამ ენაზე ახალი, მძლავრი ლიტერატურა იქმნებოდა. მაშინ ნავიკითხე ბორხესი, ოქტავიო პასი, კორტასარი, ფუენტესი, კაბრერა ინფანტე, რულფო, ონეტი, კარპენტერი, ედუარდსი, დონოზო და ბევრი სხვა, ვისი ნაწერებიც ესპანური ენის რევილაციურ ნარატივს ქმნიდა და რომელთა წყალობით ევროპამ და მსოფლიოს დიდმა ნაწილმა აღმოაჩინა, რომ თურმე ლათინური ამერიკა მხოლოდ გადატრიალებების, ოპერეტებიდან გამომსული დესპოტების, წვერებიანი პარტიზნების, მამბოს და ჩა-ჩა-ჩას კონტინენტი კი არ არის, არამედ იდეების, შემოქმედებით ფორმათა ძიების, ლიტერატურული ფანტაზიით უხვად მომადლებული მხარე, რომელიც მის შესახებ ხატოვან წარმოდგენებს შორს გასცდა და უნივერსალურ ენაზე ალაპარაკდა.

იმ დროიდან მოყოლებული, დღემდე, არცთუ უშეცდომოდ, შესაძლოა, ბორძიკ-ბორძიკითაც, ლათინური ამერიკა წინსვლის გზას ადგას, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სეზარ ვალიეხო ამბობს თავის ლექსში: *Hay, hermanos, mucho que hacer* – „ძმებო, საკეთებელი ბევრი გვაქვს ჯერაც“. დიქტატორულ რეჟიმებს თანდათანობით ვიმორებთ, მხოლოდ კუბა და მისი იდეური მემკვიდრე, ვენესუელა და დარჩა და რამდენიმე, ვითომ სახალხო, მასხრული დემოკრატია, ისეთები, ბოლივიაში და ნიკარაგუაში რომ არსებობს. მაგრამ კონტინენტის დანარჩენ ნაწილში დემოკრატია მუშაობს, ფართო სახალხო კონსენსუსს ეფუძნება, და ჩვენს ისტორიაში პირველად, ბრაზილია იქნება, ურუგვაი, პერუ, კოლუმბია, დომინიკელთა რესპუბლიკა თუ მექსიკა და მთელი ცენტრალური ამერიკა, გვყავს

მემარჯვენეები და მემარცხენეები, რომლებიც პატივს სცემენ კანონიერებას, კრიტიკის, არჩევნების თავისუფლებას და ძალაუფლების კანონიერად გადაცემის გზას. ეს სწორი გზაა, და თუ განზე არ გავუხვევთ, ერთი შეხედვით მოუშორებელ კორუფციასაც დავამარცხებთ, დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრაცია გაგრძელდება და ლათინური ამერიკა, ბოლოს და ბოლოს, სამომავლო იმედების კონტინენტიდან დღევანდელი დღის კონტინენტად იქცევა.

მე თვითონ არც ევროპაში, და კაცმა რომ თქვას, არც სადმე სხვაგან, თავი უცხოელად არასდროს მიგრძენია. სადაც არ უნდა მეცხოვრა, პარიზში, ლონდონში, ბარსელონაში, მადრიდში, ბერლინში, ვაშინგტონში, ნიუიორკში, ბრაზილიაში თუ დომინიკის რესპუბლიკაში, თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სამშობლოში. ყოველთვის ვახერხებდი ჩემი პატარა კუთხის შეგულებას, სადაც მშვიდად ვიცხოვრებდი და ვიმუშავებდი, სადაც ბევრ ახალს ვსწავლობდი, ვოცნებობდი, მეგობრებს ვიძინდი, კარგ წიგნებს ვკითხულობდი და რაღაც ისეთს ვპოულობდი, რაზეც წერის სურვილი მიჩნდებოდა. არა მგონია, იმ ფაქტს, რომ ჩემდაუნებურად მსოფლიო მოქალაქე შევიქენი, ჩემი „ფესვები“, საკუთარ ქვეყანასთან ჩემი კავშირი შეესუსტებინოს, რადგან ასე რომ მომხდარიყო, პერუდან გამოყოფილი წარსული და გამოცდილება მწერლად ვერ მაქცევდა, ჩემს ნაწერებში დაუსრულებლად არ ამოტივტივდებოდა, მაშინაც კი, როცა მოქმედება თითქოს პერუდან ძალიან შორს ხდებოდა. პირიქით, ასე მგონია, რომ საკუთარი ქვეყნის გარეთ დიდხანს ცხოვრება ამ კავშირს მეტ სიმძაფრეს და ნათელ პერსპექტივას სძენს, ნოსტალგია კი მიჩქმალული განცდიდან მამოძრავებელ ძალად იქცევა და მოგონებებს უჩვეულო ძალით აცოცხლებს. არ შეიძლება, იმ ქვეყნის სიყვარული, სადაც დაიბადე, სავალდებულო იყოს, მაგრამ ისევე, როგორც სიყვარულის სხვა გამოვლინებები, გულიდან წამოსულ სპონტანურ ქმედებებს შობს, ისეთებს, შეყვარებულებს, მშობლებს და შვილებს, მეგობრებს შორის ურთიერთობას რომ კრავს.

პერუ მე გულით თან დამაქვს, რადგან იქ დავიბადე, გავიზარდე, ჩამოვყალიბდი და ბავშვობის და ახალგაზრდობის იმ მოგონებებით აღვივსე, რომლებმაც ჩემი პიროვნება გამოქნეს და საკუთარი მონოდება მაგრძნობინეს; იქ მიყვარდა, მძულდა, მიხაროდა, ვიტანჯებოდი და ვოცნებობდი. რაც იქ ხდება, ჩემს გრძნობებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოვლენებზე მეტად ეხება, უფრო მეტად განვიცდი ან მალიზიანებს. ეს საგანგებოდ არ მისურვია და არც პასუხისმგებლობად დამიკისრებია საკუთარი თავისთვის. ასეა და სხვაგვარად არ გამომდის. ზოგ თანამემამულეს ლალატშიც დაუდანაშაულებივარ და ერთხელ, უკანასკნელი დიქტატორის დროს, კინალამ მოქალაქეობაც დავეარგე, რადგან მსოფლიოს დემოკრატიულ მთავრობებს ვთხოვე, რეჟიმი დიპლომატიური და ეკონომიკური სანქციებით დაესაჯათ. ასე ვიქცეოდი ნებისმიერი სხვა დიქტატურული მმართველობის მიმართაც, პინოჩეტი იქნებოდა, ფიდელ კასტრო, ავღანური თალიბანი, ირანელი იმამები, სამხრეთაფრიკული აპარტეიდი თუ უნიფორმირებული ბირმელი (დღეს მიანმარია) სატრაპები. და ამას ხვალვე ხელახლა გავაკეთებ, რათა ეს ქვეყანა – იმედი მაქვს, პერუს მსგავსი ხვედრი აღარ ელის და არც პერუელები მისცემენ ვინმეს ამის უფლებას – კიდევ ერთხელ არ გახდეს გადატრიალების მსხვერპლი, რომელიც ჩვენს ჯერ კიდევ მოუმაგრებელ დემოკრაციას დაემუქრება. არა, ეს განაწყენებული ადამიანის შურისძიება, ემოციური გადაწყვეტილება არ ყოფილა, როგორც მაშინ ზოგიერთი ისეთი მჩხაპნელი წერდა, სხვათა საქციელს საკუთარი სიმდაბლის პრიზმიდან რომ საზღვრავენ; მიზეზი ჩემი შეხედულება იყო, რომ ნებისმიერი დიქტატურა ქვეყნისთვის აბსოლუტური ბოროტებაა, ყველანაირი სისუსტიკე, კორუფცია მისგან მომდინარეობს და საზოგადოებას ისეთ ჭრილობებს აყენებს, რომლებიც მერე დიდხანს რჩება მოუშუშებელი, ერის მომავალს წამლავს, მანკიერ აზროვნებას და ქცევას წარმოშობს, რომლის აღმოფხვრას თაობები ჭირდება და დემოკრატიულ აღმშენებლობას წინაღობებს უქმნის. ამიტომაც, რომ დიქტატურებს დაუფიქრებლად და უჭოჭმანოდ წინ უნდა აღვუდგეთ, მის წინააღმდეგ ყველა შესაძლო ხერხი უნდა იქნას გამოყენებული, ეკონომიკური სანქციების ჩათვლით. სამწუხაროა, რომ დემოკრატიული მთავრობები, სათანადო მაგალითის მიცემის ნაცვლად, იმის მაგიერ რომ ვენესუელის ოპოზიციასთან, ან კუბელ დამას დე ბლანკოს, აუნ სან სუ ჭის და ლიუ სიარობოს მსგავს პიროვნებებთან ითანამშრომლონ, საქმეს მათ მნამებლებთან იჭერენ. ეს უშიშარი ადამიანები, საკუთარი თავისუფლებისთვის რომ იბრძვიან, ჩვენს თავისუფლებასაც იცავენ.

ჩემმა თანამემამულემ, ხოსე მარია არგუელსმა, პერუს „ყველა სისხლის“ ქვეყანა უწოდა. არამგონია, რომელიმე ფორმულირება უკეთ ასახავდეს ჩვენს რეალობას: სწორედ ესაა პერუ, ნებისმიერ პერუელს ძარღვებში აქვს, მოგვწონს თუ არა – მსოფლიოს ოთხივე კუთხიდან მოსული ტრადიციების, რასების, რელიგიების, ჩვეულებების და კულტურების აღრევა. თავად მე თავს ესპანელებამდელი კულტურების შთამომავლად ვთვლი, ნასკას, პარაკასის, მოჭიკანების, ცნობილ ქსოვილებსა და ბუმბულის მოსასხამებს რომ ქმნიდნენ, ინკების – ვისი კერამიკაც მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებშია გამოფენილი, მაჩუ პიკჩუს, გრან ჩიმის, ჩან ჩენის, კუელაპის, სიპენის, ლა ბრუიას, ელ სოლის და ლა ლუნას ყორღანების ამშენებლებისა, და, რა თქმა უნდა, ესპანელებისაც, ვინც სამგზავრო აბგებით ევროპიდან საბერძნეთი, რომი, იუდეურ-ქრისტიანული ტრადიცია, რენესანსი, სერვანტესი, კევედო და მჭახე კასტილიური ენა ჩამოიტანეს, რომელიც მერე ანდებმა მოტეხეს და დაარბილეს. ესპანეთთან ერთად მოვიდა აფრიკა, მისი ძალა, მისი მუსიკა, მისი ნაპერწკლიანი წარმოსახვა, და პერუს ჰეტეროგენურობა გაამდიდრა. სულ პატარა კვლევაც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ბორხესის აღეფის მსგავსად, პერუ თვით მსოფლიოა, მცირე ფორმატში დატეული. რა საოცარი პატივია ქვეყნისთვის, რომელსაც თითქოს იდენტობა არ გა-

აჩნია, რადგან ყველა იდენტობა მასშია თავმოყრილი.

ამერიკის დაპყრობა, რა თქმა უნდა, სასტიკი და სისხლიანი იყო, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დაპყრობითი ომი, და ჩვენგან კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ისინი, ვინც ძარცვასა და მკვლელობასაც კი არ ერიდებოდნენ, ჩვენი წინაპრები იყვნენ – სწორედ ის ესპანელები, რომლებიც ამერიკაში მოვიდნენ და ამერიკელები გახდნენ, და არა ისინი, ვინც ესპანეთში დარჩა. ასეთი კრიტიკა, ვიყოთ სამართლიანები, უფრო თვითკრიტიკა იქნება. რადგან, ორასი წლის წინ, როცა ესპანეთისაგან დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, იმათ, ვინც ხელში ძალაუფლება იგდო, ინდიელების გათავისუფლების და სამართლიანობის დამყარების მაგიერ მათი ჩაგვრა განაგრძეს, ისეთივე სიხარბით და სისასტიკით, როგორც ამას კონკისტადორები ჩადიდოდნენ, ზოგიერთ ქვეყანაში კი ინდიელებს ხოცავდნენ და ანადგურებდნენ. მოდით, ძალიან მკაფიოდ ვთქვათ: ამ ორი საუკუნის განმავლობაში მკვიდრი მოსახლეობის ემანსიპაცია ჩვენი პასუხისმგებლობა იყო, და ჩვენ ეს პასუხისმგებლობა უგულებელვყავით. ეს მთელ ლათინურ ამერიკაში მოუგვარებელ პრობლემად რჩება. და ამ სამარცხვინო სურათში ერთი გამონაკლისიც არ შეინიშნება.

ესპანეთი ისევე მიყვარს, როგორც პერუ, მისგან ისევე დიდად ვარ დავალებული, რამდენადაც დიდია ჩემი მისადმი მადლიერება. ესპანეთი რომ არა, ამ ტრიბუნასთან არ ვიდგებოდი და ალბათ არც მწერალი ვიქნებოდი, შესაძლოა, ჩემი ბევრი, ნაკლებ ილბლიანი თანამოკალმის მსგავსად, დაუფასებელი ტალანტის როლს დაგვჯერებოდი, გამომცემლები, პრემიები, მკითხველი სიცოცხლეში არ მეღირსებოდა, ვისი ნიჭიც – რა სევდანარევი ნუგეშია – შთამომავლობას შესაძლოა როდესმე შემთხვევით აღმოეჩინა. ჩემი ყველა წიგნი ესპანეთში გამოიცა, სადაც გადაჭარბებული აღიარება მხვდა წილად, ჩემი მეგობრები კი, კარლოს ბარალი, კარმენ ბალცელსი (Carmen Balcells), და კიდევ

სხვა ბევრიც, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ ჩემს ნაწერებს მკითხველამდე მიეღწია. ესპანეთმა მეორე მოქალაქეობა მომცა, მაშინ, როდესაც პირველის დაკარგვას არაფერი მაკლდა. არასდროს მიგრძენია დაბნეულობა იმის გამო, რომ პერუელი ვიყავი და თან ესპანური პასპორტი მქონდა, რადგან ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ესპანეთი და პერუ ერთი მედლის ორი მხარეა, და ეს მხოლოდ ჩემში, ერთ პატარა ადამიანში კი არა, მათი ისტორიის, ენის და კულტურის ერთობაშია გაცხადებული.

ესპანეთის მიწაზე გატარებული დროიდან ყველაზე ბედნიერად ის ხუთი ბრწყინვალე წელიწადი მახსენდება, ჩემს საყვარელ ბარსელონაში რომ ვცხოვრობდი. 1970-იანი წლების დასაწყისი იყო. ფრანკოს დიქტატორული რეჟიმი ჯერ ზეობაში გახლდათ, მაგრამ ადრინდელი ძალა და გავლენა აღარ გააჩნდა, განსაკუთრებით ეს კულტურის სფეროში იგრძნობოდა, რომლის გაკონტროლებას რეჟიმი ძველებურად ვეღარ ახერხებდა. ბზარები, ღიობები თავს ვეღარ მალავდა, ცენზურა მათ ამოვსებასა და შენიღბვას ვეღარ აუდიოდა. ამ ბზარებიდან იწოვდა ესპანური საზოგადოება ახალ იდეებს, წიგნებს, ახალ იდეურ მიმდინარეობებს, შემოქმედებით ღირებულებებს და ფორმებს, რომლებიც მანამდე, როგორც ძირგამომთხრელი აზროვნების ელემენტები, ქვეყანაში აკრძალული იყო.

ეს ახალი შესაძლებლობები არც ერთ ქალაქს არ გამოუყენებია ისე, როგორც ბარსელონას, რომელიც ესპანეთის კულტურულ ცენტრად იქცა, ადგილად, სადაც თავისუფლების მოახლოების სურნელი იგრძნობოდა. და გარკვეული აზრით, ბარსელონა მაშინ ლათინური ამერიკის კულტურული დედაქალაქიც გახდა, რადგან ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ჩამოსული არაერთი მხატვარი, მწერალი, გამომცემელი და მსახიობი სწორედ ბარსელონაში დასახლდა ან ხშირ-ხშირად ჩამოდიოდა. შეუძლებელი იყო, ბარსელონაში ყოფილიყავი და პოეტობა, მწერლობა, მხატვრობა ან მუსიკის წერა არ მოგნდომებოდა; დაუვინყარი მეგობრობის წლები იყო,

– მეგობრობის, რეჟიმის წინააღმდეგ გაჩაღებული თუ ინტელექტუალური მუშაობის ნაყოფიერი წლები. პარიზის მსგავსად, ბარსელონაც ბაბილონის გოდოლად იქცა, კოსმოპოლიტურ, უნივერსალურ ქალაქად, სადაც ცხოვრება მუშაობისა და შემოქმედებისთვის შთაგაგონებდა. სამოქალაქო ომის დროიდან პირველად, ესპანელი და ლათინურამერიკელი მწერლები ერთად შეიყარნენ, ერთმანეთს შეერივნენ და დიდი ხალისით მეგობრდებოდნენ, თავს ერთი და იმავე ტრადიციის შვილებად აღიარებდნენ და ერთსა და იმავე რამეში დაბეჯითებით თანხმდებოდნენ: დიქტატურის დაცემა ესპანეთში უკვე გარდაუვალი იყო, ხოლო დემოკრატიულ ესპანეთში მთავარ მამოძრავებელ ძალად თვით კულტურა იქცეოდა.

მართალია, მერე ყველაფერი მთლად ასე არ მომხდარა, მაგრამ დიქტატურიდან დემოკრატიისკენ ესპანეთის გარდამავალი პერიოდი ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოვლენა იყო – იმის მაგალითი, როგორ იმარჯვებს სალი აზრი და გონიერება, ხოლო პოლიტიკური მონინაღმდეგეები საერთო სიკეთის ინტერესებისთვის განზე თავად დგებიან; მოვლენები ისე საოცრად ვითარდებოდა, როგორც მაგიური რეალიზმის რომანში. ავტორიტარიზმიდან თავისუფლებისკენ, ჩამორჩენილობიდან აყვავებისკენ ესპანეთის სვლა, მესამე სამყაროს რანგის ეკონომიკური კონტრაქტებიდან და სოციალური უთანასწორობიდან საშუალო კლასის ქვეყანად ქცევა, მისი ევროპაში ინტეგრაცია, დემოკრატიული კულტურის რამდენიმეწლიან ვადაში გათავისება მთელი მსოფლიოსთვის გამაოგნებელი იყო. მხურვალედ მჯერა, რომ ნაციონალიზმი, თანამედროვე სამყაროს და თვით ესპანეთის ჯერჯერობით მოურჩენელი სენი, ამ ბედნიერ ზღაპარს ბოლოს ვერ გაუმწარებს.

ნაციონალიზმის, პროვინციული – უფრო რელიგიური – იდეოლოგიის ყოველნაირი გამოვლინება მძაგს; ეს ახლომხედველობა, შეზღუდულობა, რომელიც ინტელექტუალურ ჰორიზონტს კიდევს აჭრის და თავის წიაღში

ეთნიკურ და რასისტულ დამამცირებელ მიკრო-ძოვებს მალავს, უზენაეს ღირებულებებს, ამ ზნეობრივ და ონტოლოგიურ პრივილეგიას კი ამა თუ იმ ადგილას დაბადების შემთხვევითობამდე ამცირებს. რელიგიასთან ერთად, ნაციონალიზმიც არაერთხელ გამხდარა ისტორიის ყველაზე სისხლიანი მოვლენების, თუნდაც ორი მსოფლიო ომის და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე დაუნდობელი სისხლისღვრის მიზეზი. არაფერს შეუწყვია ხელი ლათინური ამერიკის ბალკანიზებას და უაზრო ბრძოლებსა თუ დისპუტებში ჩაბმას ისე, როგორც ნაციონალიზმს, როცა სკოლების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოების მშენებლობის მაგიერ ასტრონომიული თანხები იარაღის შეძენაზე იხარჯებოდა.

თუმცა ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ და არ აგვერიოს ეს შეზღუდული ნაციონალიზმი, „სხვის“ უარყოფა, ყოველთვის ძალადობის მარცვალს რომ შეიცავს და პატრიოტიზმი, კეთილისმყოფელი, კეთილშობილი გრძნობა იმ მიწისადმი, რომელზეც ვიშვით, სადაც ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, სადაც ჩვენი ოცნებები იწრთობოდა, სადაც პეიზაჟებიც კი ნაცნობი და ახლობელია, საყვარელ ადამიანებთან ერთად მეხსიერების ნიშნულებად გვექცევა ხოლმე და მარტოობისგან გვიფარავს. სამშობლო არც დროშაა, არც ჰიმნი, ან სამაგალითო გმირების დაუსრულებელი ხსენება – სამშობლო ის ადგილები და ადამიანებია, ჩვენს მეხსიერებაში რომ არიან დამკვიდრებულნი, მეღანქოლიური შეფერილობით და თბილი გრძნობებით ავსებენ, და იმის მიუხედავად, სად ვართ, სწორედ ესაა სახლი, რომელშიც ბოლოს მუდამ ვბრუნდებით.

პერუ ჩემთვის არექიპაა, ადგილი, სადაც დავიბადე, მაგრამ არ მიცხოვრია, დედაჩემის, მისი მშობლების ქალაქი, და ჩემი დეიდები და ბიძები მასწავლიდნენ, როგორ მეტარებინა ის მეხსიერებით, რადგან ტომი, რომელსაც ჩემი ოჯახი მიეკუთვნებოდა, არექიპეკები, მუდამ ასე აკეთებდნენ, მთელი თავიანთი მომთაბარული ისტორიის მანძილზე წინაპრების თეთრ ქალაქს მასხოვრობით თან დაატარებდნენ; პერუ

ჩემთვის პიურაა, ქალაქი, რომელიც უდაბნოში დგას, მის ქუჩებში აქა-იქ ხეები და მრავალტანჯული ჯორები დგანან, რომლებსაც ჩემს ბავშვობაში პიურელები თავიანთ ფეხებს ეძახდნენ – მოსწრებული და სევდისმომგვრელი სახელია ცხოველისთვის – იქ აღმოვაჩინე, რომ ბავშვები წეროებს კი არ მოყავთ ამ სამყაროში, თურმე ქალის და მამაკაცის წყვილი სჩადის რაღაც საშინელებას, რაღაცას ისეთს, რაც მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება; პერუ სან-მიგელის აკადემია და ვარიეტეს თეატრია, რომლის სცენაზე პირველად ვნახე პიესა, რომელიც ჩემი დანერლი იყო; კიდევ – დიეგო ფერეს და კოლინის კუთხე, უკვე ლიმაში, მირაფლორესში – ამ უბანს ბედნიერ უბანს ვეძახდით – პირველად იქ ჩავიცვი გრძელტოტება შარვალი, იქვე მოვნიე პირველი სიგარეტი, ვისწავლე ცეკვა, პირველად შემიყვარდა და გოგონებს გული გავუხსენი. პერუა „ლა კრინიკას“ მტვრიანი, ხმაურიანი რედაქცია, სადაც თექვსმეტი წლისამ პირველად დავინყე ჟურნალისტობა, ხელობა, რომელიც მწერლობასთან ერთად, მთელ ჩემს ცხოვრებას თან გასდევს, რომელმაც თავი წიგნებივით გამატანინა, მათსავით შემასწავლა ცხოვრება, ყველა კლასის და წარმომავლობის ქალთან და მამაკაცთან ურთიერთობა, რომელთაგან ზოგი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, ზოგიც კარგი, ცუდი, ან საძაგელი; ასევე – ლეონსიო პრადოს სამხედრო აკადემია, სადაც შევიტყვე, რომ პერუ საშუალო კლასით დასახლებული პატარა, დაცული და მოვლილი ქალაქი კი არაა, რომელშიც იქამდე ცხოვრობდი, არამედ უძველესი, მტრულად განწყობილი, უსამართლობით და უთანაბრობით ავსილი ქვეყანა, რომელსაც ყველა სახის სოციალური ქარიშხლები წელში გადატეხვით ემუქრებოდა; პერუა კაიუდის ის საიდუმლო საკნებიც, სადაც რამდენიმე სან-მარკოელ სტუდენტთან ერთად მსოფლიო რევოლუციას ვამზადებდი; ჩემთვის პერუა ჩემი მეგობრები თავისუფლების მოძრაობიდან, რომლებთან ერთად სამი წელიწადი ბნელ ოთახებში, ყუმბარების გარემოცვაში მაქვს გატარებული, ტერორისტული თავდასხმების და მკვლელობების ფონზე, როცა

დემოკრატიის და თავისუფლების კულტურის დასაცავად ვმუშაობდით.

ჩემთვის პერუა პატრისია, ჩემი ბიძაშვილი, ცხვირაპრეხილი, ბობოქარი ხასიათის მქონე ქალბატონი, რომელზეც, ბედის წყალობით, ორმოცდახუთი წლის წინ ვიქორწინე და რომელსაც დღემდე მანიები, ნევროზები და მრისხანების მოულოდნელი შემოტევები ანუხებს, რაც წერაში ძალიან მეხმარება. უმისოდ ჩემს ცხოვრებას დაუცხრომელი ქარიშხლები ბღვირს გაადენდნენ და არც გონზალო, მორგანა და ექვსი შვილიშვილი შემეძინებოდა, რომლებსაც ჩვენს ცხოვრებაში სიხარული შემოაქვთ. პატრისიამ ყველაფრის კეთება იცის და ყველაფერს კარგად აკეთებს. აგვარებს პრობლემებს, ოჯახს უძღვება, ქაოსში წესრიგი შეაქვს, ჟურნალისტებს და შემანუხებელ ადამიანებს შიშის ზარს სცემს, ჩემს დროს უფროხილდება, შეხვედრებს და მოგზაურობებს გეგმავს, ცლის და აწყობს ჩემს ჩემოდნებს და ისეთი სულგრძელია, როცა ჰგონია, რომ მეჩხუბება, პირიდან მაშინაც ყველაზე დიდი ქათინაური ამოსდის: „მარიო, ერთადერთი საქმე, რომელშიც ვარგისარ, წერააო“, სულ ამას მეუბნება.

ისევ ლიტერატურას მივუბრუნდეთ. ბავშვობის სამოთხე ჩემთვის მითი არ არის, რეალობაა, რომელშიც კოჩაბამბას პერიოდში ვცხოვრობდი – უზარმაზარ, სამეზობიან სახლში, სადაც ჩემი ბიძაშვილები და სკოლის ამხანაგები ტარზანის და სალგარის ამბებს ვასახიერებდით; პიურას პრეფექტურის სხვენში ღამურები ბუდობდნენ და გახურებული მიწის თავზე ვარსკვლავებიან ღამეს უხმო ჩრდილებს ჰმატებდნენ. ამ წლების განმავლობაში ჩემთვის წერა თამაში იყო, რომელსაც ჩემი ოჯახი აღფრთოვანებით, ლამის აპლოდისმენტებით ხვდებოდა, ტაშს მიკრავდნენ შვილიშვილს, დისშვილს, შვილს, რომელიც უმამოდ იზრდებოდა, რადგან მამაჩემი გარდაიცვალა და ახლა ზეცაში იყო. მამა მაღალი, ლამაზი კაცი უნდა ყოფილიყო, სასთუმლის მაგიდასთან მისი ფოტო მედგა, საზღვაო ქვეითის უნიფორმაში იყო გამოწყობილი. ძილის წინ მასზე ვლო-

ცულობდი და სანამ თვალები დამეხუჭებოდა, სურათს ვაკოცებდი ხოლმე. პიურაში ვიყავით, როცა ერთ მშვენიერ დილას – არა მგონია, ეს ამბავი ახლა მაინც მქონდეს მონელეული – დედაჩემმა გამიმხილა, რომ ეს კაცი სინამდვილეში ცოცხალია. მეტიც, თურმე იმავე დღეს ლიმაში მივემგზავრებოდით, რომ ამიერიდან მასთან ერთად გვეცხოვრა. თერთმეტი წლის ვიყავი, იმ წუთებიდან ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა. გულუბრყვილობა და სისუფთავე დავკარგე და გავიგე, რა არის მარტოობა, სხვა ადამიანის ძალაუფლება, ზრდასრულთა ცხოვრება, შიში. ხსნა კითხვაში ვპოვე; კარგ წიგნებს ვკითხულობდი და თავს იმ სამყაროებს ვაფარებდი, სადაც ცხოვრება დიდებული ჩანდა და ჩქეფდა; დავინყებას თავგადასვლებში ვეძებდი, ამ დროს ისევ თავისუფალი და ბედნიერი ვიყავი. და კიდევ იყო წერა, მალულად, ისე, როგორც ზოგი ენით გამოუთქმელ ბინიერებას ან აკრძალულ ვნებას ეძლევა. ლიტერატურა თამაშად უკვე აღარ მეჩვენებოდა – წინააღმდეგობის საშუალებად, პროტესტად, მეამბოხეობად იქცა, აუტანელი ყოფიდან გაქცევის ხერხად და თან ცხოვრების აზრად. იმ დროიდან დღემდე ასე ვარ, როცა მიჭირს, მხნეობას ვკარგავ, როცა სასონარკვეთის ზღვარზე ვდგავარ, თავიანფეხიანად წერის პროცესში ვერთვები და გვირაბის ბოლოს სინათლეს ვხედავ, როგორც ხის მორს, დალუპული ხომალდის გადარჩენილ მგზავრს ნაპირისკენ რომ მოაცურებს.

თუმცა, ეს ძალიან რთული ხელობაა, ხანდახან სისხლის ოფლად ვიღვრები; სხვა მწერლების მსგავსად, დროდადრო ჩემს წარმოსახვასაც უდგება მშრალი სეზონი; ცხოვრების გემოს მაშინ ვგრძნობ, როცა თვეებს და წლებს ამბის აგებას ვუნდები, დასაწყისი გაურკვეველი და ბუნდოვანია, სახეები, რომელთაც მეხსიერება ცხოვრებისეულ გამოცდილებად ინახავს, მოსვენებას არ მაძლევენ, ენთუზიაზმით მავსებენ; ფხიზლობის ეს სიზმრები მერე ჩანაფიქრად, პროექტად იქცევა ხოლმე, გადანყვებილებად, მცდელობად, აჩრდილთა მოთამთამე ღრუბელს

ხორცი ქალღმერთზე შეასხა. „წერა ცხოვრების ნირია“, თქვა ფლობერმა. დიახ, სრული სიმართლე გახლავთ, ცხოვრების ნირი, რომელსაც ილუზიასთან შეთამაშება, ნეტარება და ცეცხლი ახლავს, რომელიც შენს თავში ნაპერწკლებს ყრის, როცა ჯერ გაუკვალავ სიტყვებს ებრძვი, ებრძვი სანამ არ დაიმორჩილებ, როცა ფართოდ გადაშლილი სამყაროს სურათს იმ მონადირესავით შეისწავლი, ნადირის კვალს რომ ეძებს, რათა შემდეგ ამბის ჩანასახი გამოკვებო და, სანამ თანდათანობით იზრდება, მისი გაუმადლობა დააცხრო, რათა ყოველი მომდევნო ამბავი არ შემოეჭამოს. თავბრუ გეხვევა, როცა ჩანაფიქრი ფორმას იღებს და თითქოს საკუთარი ცხოვრებით ცხოვრებას აპირებს, პერსონაჟები მოძრაობენ, მოქმედებენ, გრძნობენ, პატივისცემას და ანგარიშის განწევას გთხოვენ, ისე, რომ მერე დაუფიქრებლად ქცევას და ბედს ვერ დაუნესებ, ვერც წაართმევ, თუ მათი თავისუფალი ნება არ შეურაცხყავი ან არ მოკალი, თუ ამბავს დამაჯერებლობა არ გამოაცალე – ეს პროცესი ისევ ისე მაჯადოებს, როგორც ოდესღაც, პირველი მცდელობებისას, სრულყოფილებასთან გაახლოებს, თავბრუ გეხვევა, როგორც სიყვარულში ჩაძირვა ქალთან, რომელიც გიყვარს – დღეობით, კვირებით, თვეობით, შეუსვენებლად.

მხატვრულ ლიტერატურაზე ვისაუბრე და უმეტესად რომანის ჟანრს ვგულისხმობდი, თეატრზე კი თითქმის არაფერი მითქვამს, არადა, მწერლობის ერთი გამორჩეული დარგი ხომ მასაც უკავშირდება. დიდი უსამართლობაა, რალა თქმა უნდა. თეატრი ჩემი პირველი სიყვარული იყო, რომელიც მას შემდეგ ჩამესახა, რაც, მოზარდობის ასაკში, ლიმას სეგურას თეატრში არტურ მილერის „კომივოიაჟერის სიკვდილი“ ვნახე და ემოციების სიჭარბისგან სული შემეხუთა. მეოცე საუკუნის 50-იან წლების ლიმაში რომ გაცხოველებული თეატრალური ცხოვრება გვექონოდა, ალბათ, რომანისტი კი არა, დრამატურგი ვიქნებოდი. მაგრამ არ გვექონდა, და მეც თხრობის ჟანრისკენ, ალბათ, ამის გამო გადავიხარე, თუმცა, თეატრისადმი ჩემი სიყვარუ-

ლი არ დასრულებულა, რომანების ჩრდილში თვლემდა, როგორც ცდუნება და ნოსტალგია, ამას განსაკუთრებით მაშინ ვგრძნობდი ხოლმე, როცა სულისშემკვრელ სამსახიობო შესრულებას ვნახავდი. 70-იანი წლების ბოლოს, ასი წლის ბებიდამ, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რეალობას მთლიანად იყო მომწყდარი, მოულოდნელად ერთი ამბავი მიაგმო. კარგი წინასწარმეტყველივით ვიგრძენი, რომ ეს ამბავი თეატრისთვის იყო ზედგამოჭრილი, რომ მისი გაცოცხლება სცენაზე უკეთ არსად მოხერხდებოდა. ამ პიესას დამწყები მწერლის თრთოლვით და კრძალვით ვწერდი, ხოლო სცენაზე მისი ერთ-ერთი პერსონაჟის როლში ნორმა ალენდროს ხილვამ უზარმაზარი სიამოვნება მომანიჭა და მას შემდეგ, რომანებსა და ესეებს შორის მსგავსი მცდელობა რამდენჯერმე გავიმეორე. და უნდა დავძინო, რომ ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ სამოცდაათი წლის ასაკში გავბედავდი და სცენაზე სათამაშოდ ავიდოდი (უფრო ავფორთხდებოდი). ეს გადარეული ავანტიურა იყო, რომელმაც ხორციელად განმაცდევინა ის სასაწაული, რომ თურმე კაცს, რომელმაც ცხოვრება წერაში გაატარა, შეუძლია რამდენიმე საათით წარმოსახვაში ნაშობ პერსონაჟს ხორცი თავადვე შეასხას, მაყურებლის წინაშე მხატვრული ნაწარმოები გააცოცხლოს. ალბათ ვერასოდეს მოვახერხებ, ჯეროვანი მადლიერება გამოვხატო ჩემი მეგობრების, რეჟისორ ხუან ოლეს და მსახიობ აიტანა სანჩესის მიმართ, რომლებიც მამხნევებდნენ და მაქეზებდნენ, რომ ეს ფანტასტიკური გამოცდილება მათთან ერთად გამეზიარებინა (პანიკის მიუხედავად, რომელიც ამ წამოწყებას თან ახლდა).

ლიტერატურა ცხოვრების ცრუ ასახვაა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ცხოვრების უკეთ გაგებაში გვეხმარება, იმ ლაბირინთში გვასწავლის ორიენტირებას, რომელშიც დავიბადეთ, უნდა განვვლოთ და მოვკვდეთ. ლიტერატურა ნამდვილი ცხოვრებისგან მოყენებული ჭრილობების და იმედგაცრუებების კომპენსირებას ახდენს, და ნაწილობრივ მისი წყალობითაც შე-

გვიძლია იმ იეროგლიფის ამოხსნა, რადაც ეჩვენება ცხოვრება ადამიანების დიდ უმეტესობას, განსაკუთრებით იმათ, ვინც უფრო დაეჭვებას გამოთქვამს, ვიდრე წყალგაუვალ ჭეშმარიტებას აღიარებს, ტრანსცენდენტულის, სულის, ადამიანთა ინდივიდუალური და კოლექტიური ხვედრის, ისტორიის აზრის თუ უაზრობის წინაშე დაბნეულობას განიცდის და რაციონალური ცოდნით ცდილობს სიმყარის მოპოვებას.

ყოველთვის მნუსხავდა იმ ბუნდოვანი გარემოებების წარმოდგენა, რომლებშიც ჩვენმა წინაპრებმა – ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცხოველებისგან ძლივს განსხვავდებოდნენ, ენა კი მხოლოდ ახალშობილებთან ურთიერთობის საშუალებას აძლევდათ – გამოქვაბულებში, კოცონების გარშემო, ავისმომასწავებელი ჭეჭა-ქუხილის ხმით თუ ნადირის ღამეული ღრიალით შეშინებულებმა ამბების თხრობა დაიწყეს. ეს კაცობრიობის ბედის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი მომენტი იქნებოდა, რადგან ცივილიზაცია სწორედ ამბის მთხრობელის გარშემო შემოკრებილი იმ პრიმიტიული არსებების წრეში დაიწყო და გრძელი გზა განვლო, სანამ ადამიანებად გვაქცევდა, მერე კი დამოუკიდებელ პიროვნებას გამოგვაგონებინებდა, ადამიანს საკუთარი ტომიდან და თემიდან გამოჰყოფდა, მეცნიერებას, ხელოვნებას, კანონებს, თავისუფლებას აზიარებდა, ბუნების, საკუთარი სხეულის, კოსმოსის შესწავლას, ბოლოს კი ვარსკვლავებისკენ გაფრენას აფიქრებინებდა. ეს ზღაპრები, არაკები, მითები, ლეგენდები, რომლებიც მსმენელის ყურს პირველად წვდებოდა ახალ მუსიკად, შემდეგ სამყაროში დაბუდებულ ხიფათად და იდუმალებად გარდაისახა. იმ დროისათვის, როცა ადამიანებმა კოლექტიურად ოცნება, ამ ოცნებების თხრობით გაზიარება დაიწყეს, თავის გადარჩენაზე და საამისო პრიმიტიულ, უხეშ ამოცანებზე ფიქრი უკან მოიტოვეს და მათი ცხოვრება ოცნებად, სიამოვნებად, ფანტაზიად და რევოლუციურ გეგმად იქცა: ამ ტუსალობიდან თავის დაღწევა და ბრძოლა, უკეთესობისთვის, (ცივილილებებისათვის, იმ სურვილების და ამბი-


ციების დაკმაყოფილება, რომელიც წარმოსახვაში შობილ არსებობას უკავშირდებოდა, და იმ იდუმალების უკუგდება, მათ გარშემო რომ იყო დამკვიდრებული.

ეს უწყვეტი პროცესი მაშინ გამდიდრდა, როცა ადამიანებმა წერა დაიწყეს, ამბების მხოლოდ მოსმენა კი არა, წაკითხვაც შესაძლებელი შეიქნა და ფორმით უცვლელ ლიტერატურად გადაებარათ. ამიტომაც, რომ დაუსრულებლად უნდა ვიმეოროთ, სანამ ახალ თაობებს არ დავარწმუნებთ: ლიტერატურა გართობაზე მეტია, იმ ინტელექტუალურ გავარჯიშებაზე მეტიც კი, ადამიანი გონებას რომ ამახვილებს და კრიტიკულ სულისკვეთებას უღვივებს. ეს სრულიად აუცილებელია იმისთვის, რომ ცივილიზაციამ არსებობა გააგრძელოს, და ჩვენში მუდმივად განაახლოს და შეინახოს ის საუკეთესო ნაწილი, რასაც ადამიანი ჰქვია; იმისთვის, რომ როდესმე ველურ მდგომარეობას არ დაუბრუნდეთ. ცხოვრება მხოლოდ იმ სპეციალისტების პრაგმატიზმზე არ დაიყვანება, რომლებიც საგნებს ხედავენ, იმას კი, რაც საგანი გარს აკრავს, წინ უსწრებს ან მას აგრძელებს – ვერა; იმისთვის, რომ იმ მანქანების მსახურებად არ ვიქცეთ, რომლებიც ჩვენს მოსამსახურებლად შევქმენით. რადგან სამყარო ლიტერატურის გარეშე სურვილებისგან, იდეალებისგან დაცლილ სამყაროდ იქცევა. ავტობიტიკის სამყაროს ის აკლია, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს: საკუთარი გარსიდან გამოსვლის და სხვა ადამიანში შესვლის უნარი, რადგან სხვაც ჩვენი ოცნებების თიხისგანაა გამოძერწილი.

გამოქვაბულიდან ცათამბჯენებამდე, კლუბური გართობიდან მასობრივი განადგურების

იარაღამდე, ჩაკეტილი ტომური ცხოვრებიდან გლობალიზაციის ერამდე, ლიტერატურული წარმოსახვა ადამიანის გამოცდილებას ამდიდრებდა, აფხიზლებდა, საკუთარი არსებობის გარეთ ახედებდა. არაფერს გამოუნვევია ამდენი შფოთვა, არაფერს გამოუცოცხლებია ჩვენი წარმოსახვა და სურვილები ისე, როგორც სიცრუეს, რომელიც, ლიტერატურის წყალობით, ჩვენს ცხოვრებას ერევა, მისი წყალობით დიდი თავგადასავლების მთავარი გმირები ვხდებით, უძლიერეს ვნებებს განვიცდით, ისეთებს, როგორც ცხოვრებას ჩვენთვის არ გამოუმეტებია. ლიტერატურულ სიცრუეს რეალობად სწორედ ჩვენ ვაქცევთ, გარდაქმნილი მკითხველები, მოლოდინით დაავადებულნი, სინამდვილის ნახევრისნახევრულობას ლიტერატურის მეშვეობით ვგრძნობთ. ჯადოქრობაა, აბა რა არის, როცა ლიტერატურა იმის დაუფლების იმედს გვაძლევს, რაც არ გვაქვს, იმად გახდომას გვპირდება, რანიც არ ვართ, და იმ შეუძლებელ რეალობას ვეზიარებით, სადაც, წარმართული ღმერთების მსგავსად, თავს მოკვდავ და უკვდავ არსებებად ერთდროულად ვგრძნობთ, ეს კი შეუსაბამობის განცდას და ამბოხის სურვილს გვიჩენს, ამბოხი ყველა იმ გმირული საქმის მამოძრავებელი ძალა იყო, რომლებმაც ადამიანურ ურთიერთობაში ძალადობის წილი შეამცირა. შეამცირა, მაგრამ არ აღმოუფხვრია. რადგან ჩვენი ნება და არჩევანი, საბედნიეროდ, ყოველთვის დაუსრულებელი ამბებისკენ გადაიხრება. აი, ამიტომ უნდა გავაგრძელოთ ოცნება, კითხვა და წერა, სწორედ ესენი გვეხმარება, საკუთარ მოკვდავ ბუნებას გადავაბიჯოთ, დროის ცვეთას გადავურჩეთ, შეუძლებელი შესაძლებლად გადავაქციოთ.

ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარიაშ
„ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, №1 (42), 2011



ფედერიკო გარსია ლორკა

„DUENDE-ს თეორია ლა თაეაში“

ფედერიკო გარსია ლორკას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის სტატიებსა და ზეპირ გამოსვლებს. ლორკას პროზა – სტატიები და ზეპირი გამოსვლები – პოეტური პროზაა, პოეტის მიერ დაწერილი სტატიები და პოეტის გამოსვლებია, შთაგონებული ერთი რომელიმე იდეით და გამოხატული უბადლო პოეტური სახეებით.

„Duende-ს თეორიასა და თამაშს“ – მოხსენებას, რომელიც პოეტს 1930 წელს წაუკითხავს ჰავანაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობისთვის. ამ მოხსენებაში ლორკამ პირველად ჩამოაყალიბა ფართოდ თავისი შეხედულებანი ხელოვნებაზე და თავისებურად გაიზრა მისი განვითარების გზები.

Duende (იკითხება ისევე, როგორც იწერება – duende) – ესპანურად ნიშნავს არაბო-როტ დემონს, რომელიც მფარველობს ფუძეს (შორეულად ჩვენებური „ფუძის ანგელოზი“ ან „ადგილის დედა“). ლორკა ამ ტერმინს ხმარობს ხელოვნების დიონისური საწყისის გამოსახატავად (აბოლონურის საპირისპიროდ). ამ მოხსენების თარგმანისას წამოიჭრა პრობლემა ტერმინ duende-ს ქართულად გამოხატვისა. ზუსტი შესატყვისის დაძებნა უადრესად გაჭირდა. ევროპულ ენებზე შესრულებულ თარგმანებში ეს ტერმინი უცვლელად არის გადატანილი. ჩვენც ასევე მოვიქვეყით (აქაც და ქვემოთაც ფრჩხილებში მთარგმნელების შენიშვნებია).

ქალბატონებო და ბატონებო! 1918 წლიდან 1929 წლამდე, სანამ მადრიდის სტუდენტურ რეზიდენციაში ვიმყოფებოდი და ვიდრე დავამთავრებდი ჩემს ლიტერატურულსა თუ ფილოსოფიურ განსწავლას, რაფინირებულ სალონში, რომელსაც ხშირად ესწრებოდა ესპანეთის ძველი არისტოკრატია, რათა გამოესყიდა თავისი ფუქსავატური ყოფა საფრანგეთის კურორტებზე, მე მომისმენია ათასზე მეტი ლექცია. ჰაერი-სა და მზის მონატრულს ამ ლექციების სმენა ისე მბეზრდებოდა, რომ გამოსვლისას, გაღიზიანების წინაკად ქცეული, ვგრძნობდი, რომ მთლიანად დაფარული ვიყავ ფერფლის თხელი ფენით.

მე არ მინდა, რომ ამ დარბაზშიც შემოფრინდეს მონყენილობის საშინელი კრაზანა, რომელსაც ძალუძს ქინძისთავეების ნვრილი ნვეტებით დაჩხვლიტოს მსმენელთა თვალები და ყველა თავი თვლემის უწვრილეს ძაფებზე აასხას.

მე შევეცდები მხოლოდ ჩემი პოეტური ხმის რეგისტრში, რომელსაც არ გააჩნია ხელოვნური ბრწყინვალეობა, ციკუტის ხვეულები და ირონიის მახვილებად მოქცევადი ცრუმამებლობის ნასახი, გადმოგცეთ სადა გაკვეთილი ნატანჯი ესპანეთის იდუმალი სულისა.

ვისაც უმოგზაურია ხუკარის, გვადალექეს, სილისა და პისუერგას მდინარეთა შორის ხარის

ტყავივით გადაჭიმულ მინაზე (მე საგანგებოდ არ ვიხსენებ ლაპლატას წყალუხვსა და ლომის ფაფრისფერ ტალღოვან მდინარეებს), ადრე თუ გვიან, უსათუოდ გაიგონებდა ასეთ გამოქმას: „ამაში არის duende“.

დიდ ანდალუზიელ არტისტს, მანუელ ტორესს¹ ერთხელ უთქვამს რომელიღაც მომღერლისათვის: „თქვენ გაქვთ ხმაც და სიმღერის საკუთარი სტილიც, მაგრამ ვერასოდეს მიაღწევთ წარმატებას, ვინაიდან არ გაგაჩნიათ duende“.

მთელ ანდალუსიაში, ხაენის მთებიდან კადისის ნიჟარამდე, ხალხი გამუდმებით ახსენებს duende-ს. ეს ხალხი duende-ს მისი გამომჟღავნებისთანავე გრძნობს უტყუარი ინსტინქტით. დებლას² შემქმნელს, ლებრიხელ ფლამენკოთა საოცარ მომღერალს განუცხადებია: როდესაც მამღერებს duende, ვერავინ შემედრებაო. ხნიერმა ბოშა მოცეკვავემ, ლა მალენამ ბრაილოვსკის მიერ ბახის მუსიკის შესრულებისას წამოიძახა: „ოლე!³ ამაში არის duende!“ ხოლო გლიუკის, ბრამსისა და დარიუს მიიოს სმენა კი მოსწყინდა.

მანუელ ტორესმა, რომელსაც სისხლში აქვს მეტი კულტურა, ვიდრე რომელსამე სხვას ჩემს ნაცნობთა შორის, ფალიას მიერ შესრულებული მისივე „ხენერალიფეს ბალების ნოქტიურნის“ მოსმენისას გამოთქვა ეს საოცარი აზრი: „ყოველივე, რისი წიაღიდანაც გამოიცემა უკუნი ხმები, შეიცავს duende-ს“. და არ არსებობს უფრო დიადი სიმართლე.

ეს „უკუნი ხმები“ არის იდუმალი ფესვები, გადგმული ნოყიერ ნიადაგში, რომელიც ყოველი ჩვენგანისათვის ნაცნობია და მაინც უცნობი; საიდანაც ჩვენ ამოგვაქვს ის, რაც ჭეშმარიტია ხელოვნებაში. ტორესის აზრი აქ თანხვედბა გოეთეს გუმანს, რომელიც განსაზღვრავდა duende-ს, ოდეს იგი პაგანინს ანიჭებდა იდუმალ

ძალმოსილებას, რომელსაც ყველა გრძნობს, მაგრამ ვერც ერთ ფილოსოფოსს ვერ აუხსნია.

მაშასადამე, duende ძალმოსილებაა და არა მზა საქციელი, იგი ბრძოლაა, და არა აზრი. მე გამიგონია, როგორ ამბობდა გიტარის მოხუცი ჯადოქარი: „duende ყელში არ ბუდობს, იგი ზეალმოისწრაფვის ტერფებიდან“; რაც იმას ნიშნავს, რომ იგი განაფულობა კი არ არის, არამედ – სისხლის, ძველი კულტურისა და ქმნადობის ჭეშმარიტი ფორმა.

ეს „იდუმალი ძალმოსილება, რომელსაც ყველა გრძნობს, მაგრამ ვერც ერთ ფილოსოფოსს ვერ აუხსნია“, არის სული მინისა.

სწორედ duende იყო, ნიცშეს გულს რომ ჩაეჭიდა, რომელიც ამ duende-ს გარეგან ფორმებს რიალტოს ხიდზე თუ ბიზეს მუსიკაში ეძიებდა და ვერ პოულობდა. მან არ იცოდა, რომ მისი საძიებელი duende კადისის მოცეკვავეებსა და სილვერიოს⁴ სეგირიის დიონისურ შეძახილებს ძველი ბერძნებისგან ჰქონდა გადმოცემული.

მე არ მინდა, რომ ვინმეს duende ეგონოს ლუთერის თეოლოგიური ეჭვის დემონი, რომელსაც მან ნიურნბერგში ბახუსური ფესვით მიახალა სამელნე; არც კათოლიკური გამანადგურებელი და ნაკლებგონიერი დემონი, რომელიც ძუკნა ძალღივით დაძრწის მონასტრის თალებში; არც მოლაპარაკე მაიმუნი, რომელიც აჭარბებდა სერვანტესის თაღლითს ანდალუსიის ეჭვიანობისა და ველურობის კომედიაში. არა! უკუნი და მთრთოლვარე duende, რომელზეც მე მოგახსენებთ, მომდინარეობს სოკრატეს მხიარული დემონისაგან, მარმარილოსა და მარილისაგან, რომლის მომნუსხველი რისხვა შუშხავს ხოლმე მის გაბრუებულ მფლობელს. იგი მომდინარეობს, აგრეთვე, დეკარტეს მელანქოლიური დემონისაგან, პატარა, როგორც მწვანე ნუში, რომელიც წრეებისა და ხაზებისაგან თავგაბე-

¹ მანუელ ტორესი – ლორკას თანამედროვე ესპანელი მომღერალი, ანდალუსიური სიმღერების უზადლო შემსრულებელი (მთარგმნ.).

² დებლა – ანდალუსიური „კანტე ხონდოს“ ერთ-ერთი სახეობა; თვით „კანტე ხონდო“ ნიშნავს „სიღრმისეულ სიმღერას“ (მთ.).

³ „ოლე“ – ესპანურად „ვაშა!“ (მთ.).

⁴ იგულისხმება იტალიელი მომღერალი სილვერიო ფრანკონეტი, რომელმაც ანდალუსიაში დანერგა „კანტე ხონდოს“ განვითარებული სახეობა „სეგირია“ (მთ.).

ზრებული ამოდის არსებიდან მეზღვაურთა სიმღერების მოსასმენად.

ადამიანი, როგორც ნიციშე იტყოდა, არტისტი, თავისი სრულყოფილებისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს მოიპოვებს სწორედ duende-სთან (და არა ანგელოზთან ან მუზასთან) ბრძოლის ფასად. ყოველი ნაწარმოების ფესვებამდე ჩასაწვდომად, აუცილებელია, ამ ძირეული სხვაობის გამოვლენა.

ანგელოზი წინამძღოლია და მადლმცხებელი, ვით წმინდა რაფაელი, ანდა მცველი და მფარველი, როგორც წმინდა მიქაელი, ან კიდევ წინასწარ მაფრთხილებელი, ვითარცა წმინდა გაბრიელი.

ანგელოზს ძალუძს გაოცების გამოწვევა, მაგრამ იგი მხოლოდ თავს დასტრიალებს ადამიანს; იგი გასცემს თავის წყალობას, რის გამოც კაცთათვის ადვილად მიიწვდომვის საქმე, თანაგრძნობა თუ ცეკვა. დამასკოს გზად მიმავალი ანგელოზი, ან ის ანგელოზი, რომელიც ასიზის პატარა კანკლედში შეფრინდა, ან იგი, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვება ენრიკე სუზოს – მბრძანებელი ანგელოზია, როლის ნათების გაძლება არავის ძალუძს, ვინაიდან იგი რჩეულის სიახლოვეს იქნევს თავის ფოლადის ფრთებს. მუზაც მბრძანებელია და ზოგჯერ აღმაფრთოვანებელიც, მაგრამ იგი, შედარებით, ნაკლებმოქმედი, ვინაიდან შორეულია და იმდენად ქანცმიხდილი (მე იგი ორჯერ მინახავს), რომ საჭირო ხდება მარმარილო მის მოსაღონიერებლად. მუზით შთაგონებულ პოეტს ესმის მისი ხმები, მაგრამ არ უწყის, საიდან მიედინებიან ისინი. ეს ხმები მომდინარეობენ მუზისაგან, რომელიც მათ ინახავს და ზოგჯერ კიდევ შთანთქამს ხოლმე. ასე შეემთხვა აპოლინერს, დიდ პოეტს, განადგურებულს შემაზრზენი მუზისაგან, რომლის გვერდითაც დახატა იგი ღვთაებრივმა და ანგელოზურმა რუსომ. მუზა ალაგზნებს ინტელექტს. მას მოაქვს სვეტებიანი ლანდშაფტები და ყალბი შეგრძნება დაფნისა. ინტელექტი პოეზიას, ძალზე ხშირად, მტრად ევლინება; ვინაი-

დან იგი იმიტაციისკენ ისწრაფვის, ვინაიდან მას პოეტი აჰყავს ეკლიან ტახტზე და აიძულებს დაივიწყოს ის, რომ შესაძლებელია, მას თავზე დაეცეს შხამიანი კიბო, ანდა იგი ჭიანჭველებმა გამოხრან. ყოველივე ამის წინაშე უძღურნი არიან მუზები, რომლებიც მონოკლებში ირეკლებიან ხოლმე პატარა, თბილი სალონების ხელოვნურსა და პრიალა ვარდებს შორის.

ანგელოზი და მუზა გარედან მოილტვიან. ანგელოზი მანათობელია, მუზა – მქადაგებელი (ჰესიოდე სწავლობდა მათგან). პოეტი თავის ნიმუშებს: ოქროს ფოთოლს თუ ტუნიკის ნაოჭს იღებს დაფნის ბუჩქნარიდან, ხოლო duende გაღვიძებულ უნდა იქნას სისხლში.

ჩვენ უნდა განვიშოროთ ანგელოზი და გავაძევოთ მუზა, თავი დავიხსნათ იმ შიშისაგან, რომელსაც გვეგვის მეთვრამეტე საუკუნის პოეზიიდან მომდინარე იის სურნელი, თუ დიდი ტელესკოპი, რომლის ლინზებშიც თვლემს დატყვევებული და საზღვრებით დასნეულებული მუზა.

ჭეშმარიტი ბრძოლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გაბრძოლებს duende. ჩვენ ვიცით, როგორ ვეძიოთ ღმერთი: განდევნილობით, წმინდა ტერეზას კოშკით თუ ხუან დე ლა კრუსის¹ სამი გზით. და თუნდაც ჩვენ მოგვიხდეს ესაიას ხმით ღაღადისი: „მკლავი უფლისა ვის გამოეცხადა?!“, ბოლოს და ბოლოს, ღმერთი მაინც ზეგარდმოუვლენს პირველ ცეცხლოვან ეკალს მის მაძიებელს.

duende-ს საძიებლად არ არსებობს არც რუკა და არც მოძღვრება. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი სისხლს გვინვაგვს როგორც მინის ნაფშხენი; გვლის და გვექანცავს, უკუაგდებს ჩვენს მიერ ნასწავლ გეომეტრიას, უარჰყოფს ყოველგვარ სტილს და აიძულებს გოიას, საუკეთესო ინგლისელ მხატვართა მსგავსად რუხი, ვერცხლისფერი და ვარდისფერი ტონების ოსტატს, თავისი მუშტებისა და მუხლების მეშვეობით ხატოს კუპრივით შავი, შემზარავი ფერით;

¹ ხუან დე ლა კრუსი (1542-1591) – ესპანელი მისტიკოსი პოეტი (მთ.).

ანდა იგი პირენეების სუსხში ამიშვლებს ხასინტ ბერდაგერს¹; აიძულებს ხორხე მანრიკეს², ელოდოს თავის სიკვდილს ოკანიას უდაბნოში; აკრობატის მწვანე კოსტუმით მოსავს რემბოს დასუსტებულ სხეულს; ანდა შერიჟრაჟებულ ბულვარებზე მკვდარი თევზის თვალებით მიმტერებია ლოტრეამონს.

სამხრეთ ესპანეთის დიდმა არტისტებმა, ბოშებმა ანუ ფლამენკოებმა, იციან, რომ სიმღერის, ცეკვისა თუ თამაშის დროს ჭეშმარიტი ემოცია არ იშვის, სანამ თავს არ იჩენს duende. მათ, შესაძლებელია, მოატყუონ კიდეც აუდიტორია და მოაჩვენონ, რომ ფლობენ duende-ს, ისევე, როგორც ყოველდღიურად გვატყუებენ მწერლები, მხატვრები და ლიტერატურულ მოდას აყოლილნი, რომელთაც არ გააჩნიათ duende-ს ნასახიცი. მაგრამ საკმარისია დაკვირვება, უყურადღებობისაგან თავის დახსნა, რომ ხელოვნურობა იმნამსვე გამოაშკარავდეს და უკუგდებულ იქნას ყალბი duende.

ერთხელ ანდალუსიური ფლამენკოების მომღერალი პასტორა პავონი, „სავარცხლებიანი ქალიშვილი“, ესპანეთის მრუმე გენია, რომელიც თავისი წარმოსახვის ნიჭით შეედრებოდა გოიას ან რაფაელ ელ გალიოს³, მღეროდა კადისის პატარა ტავერნაში. იგი მღეროდა ჩრდილის ხმით, ხავსით დაფარული ხმით, რომელიც მის გაშლილ თმაში იხლართებოდა. იგი თავის ხმას ხან მანსანილიაში⁴ ანებდა, ხან კი ბნელსა და შორეულ ტევრებში ჰკარგავდა. მიუხედავად ამისა, იგი სასტიკად დამარცხდა. ყველაფერი ამაო იყო, საზოგადოება დუმდა.

მსმენელთა შორის იმყოფებოდა იგნასიო ესპელეტა, რომაულ კუსავით მშვენიერი, რომელსაც ერთხელ ჰკითხეს, რატომ არ მუშაობო, და მას არგანტონიოს ღირსი ღიმილით უპასუხნია: რატომ ან რისთვის უნდა ვმუშაობდე, მე ხომ წარმოშობით კადისელი ვარო.

იქვე იყო ელოიზა, სევილიის ცეცხლოვანი, არისტოკრატიული კახა, უშუალო მემკვიდრე იმ სოლედად ვარგასი, რომელმაც 1930 წელს უარი სტკიცა როტშილდს ქორწინებაზე იმ მიზეზით, რომ ჩემნაირი წმინდა სისხლისა არა ხარო.

იქვე იყვნენ ფლორიდასები, რომელთაც ბევრნი ყასბებად თვლიდნენ, მაგრამ, ნამდვილად, ისინი იყვნენ ძველნი ღვთისმსახურნი, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოეშალათ გერიონისათვის⁵ ხარების მსხვერპლად შეწირვა. ხოლო კუთხეში იჯდა ჯიშიანი ხარების მომშენებელი დონ პაბლო მურუბე, შთამბეჭდავი აღნაგობითა და კრიტოსული ნიღბის იერით.

პასტორა პავონმა სიმღერა დაამთავრა სამარისებულ მღუმარებაში. მხოლოდ ერთმა კაცუნამ, მოცეკვავე საჭურისთაგან, რომლებიც თეთრი ბრენდის ბოთლებს მიღმა წამოხტებიან ხოლმე, ჩუმი და დამცინავი ხმით ჩაილაპარაკა: „დიდება პარიზს!“ ამით მას თითქოს იმის თქმა სურდა, რომ ჩვენ აქ უნარი, ოსტატობა და ტექნიკა არ გვინდა, არამედ რალაც სხვას მოვითხოვთო.

მაშინ „სავარცხლებიანი ქალიშვილი“ კვლავ წამოდგა შეშლილივით. იგი მოტეხილი იყო როგორც შუა საუკუნეების დროინდელი მოტირალი. მან გადაჰკრა დიდი ჭიქით კასალია⁶, ისევე დაჯდა და ცეცხლმოდებული ყელით წამოიწყო სიმღერა. მღეროდა უხმოდ, უსუნთქველად, ხმათა მიმოხვრის გარეშე, მაგრამ... duende-თი. მან შეძლო სიმღერისათვის ხარაჩოების ჩამოცილება, რათა გზა გახსნოდა გაშმაგებულ და აალებულ duende-ს, ქვიშიან ქართა მოამქრეს, რომელიც მსმენელებს იძულებულს ხდის, რიტმიულად შემოიძარცვონ სამოსელი ისე, როგორც წმინდა ბარბარას წინაშე მტევნად შეყრილი კარიბელი ზანგები იძარცვავენ ხოლმე.

„სავარცხლებიანი ქალიშვილი“ იძულებული იყო ხმა ჩაეხლიჩა, ვინაიდან იცოდა, რომ მას უს-

¹ ხასინტ ბერდაგერი – მეცხრამეტე საუკუნის კატალონიელი პოეტი (მთ.).

² ხორხე მანრიკე – მეთხუთმეტე საუკუნის ესპანელი პოეტი (მთ.).

³ რაფაელ ელ გალიო – ცნობილი ესპანელი ტორერო (მთ.).

⁴ მანსანილია – თეთრი, ძელგი ღვინო (მთ.).

⁵ გერიონი – ჰერაკლეს მიერ განგმირული სამსხვეულიანი გოლიათი (მთ.).

⁶ კასალია – ცეცხლოვანი არაყი (მთ.).

მენდნენ რჩეულნი, რომელნიც მისგან ფორმებს კი არ მოითხოვდნენ, არამედ ამ ფორმათა არსს. მას ხმის ჩახლეჩვა მოუხდა იმიტომაც, რომ მუსიკა თვით წმინდა არსამდე ამაღლდა. მოუხდა თავისი ნიჭისა და შეძლებლობათა გაღარიბება, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუზის განდევნა და განმარტოება, რათა წარმოჩენილიყო **duende** და მასთან სამკვედრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო. და როგორ მღეროდა! მან მიღწია უკიდურეს სინდფელეს და მისი ხმა იყო სისხლის შხეფი, მშვენიერი თავისი უშუალოებითა და ცეცხლოვანებით, რომელიც იშლებოდა როგორც ხუან დე ხუნის¹ მიერ წარმოსახული ათთითინაი ხელის მტევანი ქრისტეს დაღურსმნულ, მაგრამ მაინც მთრთოლვარე ფეხებთან.

duende-ს გამოჩენა ყოველთვის გულისხმობს ძველ სტრუქტურაზე დაფუძნებული ყოველი ფორმის რადიკალურ შეცვლას. იგი იძლევა განუცდელი სიახლის განცდას; მას მოაქვს ახლად აფეთქილი ვარდისა და სასწაულის თვისებები და იწვევს თითქმის რელიგიურ ექსტაზსა და ენთუზიაზმს.

არაბულ მუსიკაში, ცეკვებსა და სიმღერებში **duende**-ს გამოჩენას ესალმებიან შეძახილებით: „აღლაჰ, აღლაჰ!“ („ღმერთო, ღმერთო!“), რაც შორს არ არის „ოლე“-საგან, რომელიც გაისმის ხოლმე კორიდაზე, ხარებთან ბრძოლისას.

სამხრეთ ესპანეთის სიმღერებში **duende**-ს გამოვლენას ხვდებიან ღალადისით: „Viva Dios!“ („ღიდება ღმერთს!“). ეს არის ღრმა, სათუთი და ადამიანური გულის ხმა ღმერთთან ურთიერთობისა, რომელიც ხორციელდება ხუთი გრძნობის მეშვეობითა და **duende**-ს დახმარებით. **duende**-ს საძრაობაში მოჰყავს მოცეკვავის ხმა და სხეული. ეს არის ჭეშმარიტი განდგომა ამა ქვეყნისაგან, ისეთივე წმინდა განდგომა, როგორსაც აღწევდა „შვიდი ბალიდან“² გამომდინარე იშვიათი ესპანელი პოეტი მეჩვიდმეტე საუკუნისა პედრო

სოტო დე როხასი, ანდა წმინდა იოანე კლიმაკუსი³ თავის გოდებათა მოცახცახე კიბეზე.

როდესაც ეს განდგომა მიღწეულია, მის ეფექტს ყველა გრძნობს: რჩეულნიც, რომელნიც ხედავენ, თუ როგორ იმარჯვებს სტილი საცოდავ მატერიაზე და უმეცარნიც, რომელნიც შეპყრობილნი არიან ჭეშმარიტი მღელვარებით. რამდენიმე წლის წინ ხერეს დე ლა ფრონტერაში გამართულ მოცეკვავეთა შეჯიბრზე ოთხმოცი წლის მოხუცმა ქალმა ნაართვა პრიზი მშვენიერ ქალებსა თუ ქალიშვილებს, რომელთაც ჰქონდათ ნაკადულივით წელი. მას ხელები სადად და უბრალოდ ჰქონდა ზეანეული, თავი უკან გადაეგდო და ერთ ადგილზე როკავდა. ანგელოზთა და მუზათა ამ კრებულში, მშვენიერ ფორმათა და ულამაზეს ღიმილთა შორის, უნდა გაემარჯვა მომაკვდავ **duende**-ს, რომელსაც მინაზე მიათრევდა თავისი ფრთების ჟანგიანი დანები. და გაიმარჯვა კიდევ.

ყოველი ხელოვნება უნდა ფლობდეს **duende**-ს, და ბუნებრივია, ყველაზე მეტად მუსიკა, ცეკვა და ზეპირმეტყველი პოეზია, ვინაიდან ესენი მოითხოვენ ცოცხალ სხეულს, როგორც ინტერპრეტატორს; ვინაიდან ესენი არიან ფორმები, მარად მოკვდავნი და მარად შობადნი, რომელთა კონტურები მარტოოდენ ანმყოში იკვეთება. ხშირად ავტორის **duende** ინტერპრეტატორს გადაეცემა. ზოგჯერ კი, კომპოზიტორი და პოეტი ყალბნიც რომ იყვნენ, თვით ინტერპრეტატორის **duende** ჰქმნის ახალ სასწაულს, რომელსაც ორიგინალთან ცოტა რამ აქვს საერთო. ასე იქცეოდა **duende**-ს მფლობელი ელეონორა დუზე, რომელიც საგანგებოდ ეძებდა მარცხებს, რათა ისინი გამარჯვებებად ექცია, იმის შემწეობით, რასაც იგი მათში დებდა; ანდა პაგანინი, რომელსაც, გოეთეს თქმით, შეეძლო უაღრესად ბანალური მუსიკიდან უღრმესი მელიოდების

¹ ხუან დე ხუნი – მეთექვსმეტე საუკუნის ფრანგი მოქანდაკე (ჟან დე ჟუანი), რომელიც უმთავრესად ესპანეთში მოღვაწეობდა (მთ.).

² ლორკა გულისხმობს გრანადის ბაღებით შთაგონებული პედრო სოტო დე როხასის წიგნს – „მრავალთავის დახშული სამოთხე, ყველასათვის განხმული ბაღები“ (მთ.).

³ იოანე კლიმაკუსი – მეექვსე საუკუნის ასკეტი, ავტორი ცნობილი წიგნისა „სასულიერო კიბე“ (მთ.).

ამოხვეწა; ან კიდევ მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც პუერტო დე სანტა მარიაში ისეთი პაუზებითა და მნიშვნელობის მინიჭებით მღეროდა შემზარავ იტალიურ სიმღერას „O Mari“-ს, რომ მან ეს იაფფასიანი სიმღერა ოქროსგან ჩამოსხმულ გველად აქცია. ერთი სიტყვით, ეს იყო ინტერპრეტატორის მიერ შექმნილი ორიგინალი. ექსპრესიას მოკლებულ ნაწარმოებში შევიდა ცოცხალი სხეული და არტისტული გენია.

ყოველგვარ ხელოვნებას და ყველა ქვეყანას ძალუძს ფლობდეს duende-ს, ანგელოზსა და მუზას. თუ გერმანია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ფლობს მუზას, ხოლო იტალია მარადის ინარჩუნებს ანგელოზს, ესპანეთს ყოველთვის ამოძრავებს და წარმართავს duende; ეს ასეა, ვინაიდან ესპანეთი არის ძველი მუსიკისა და ცეკვის საუფლო, სადაც duende ნურავს განთიადის ლიმონს, და ვინაიდან იგი არის სიკვდილისათვის განხმული ქვეყანა.

სიკვდილი ყველა ქვეყანაში აღსასრულია. იგი მოდის და ფარდები ეშვება. ესპანეთში პირიქით, ფარდები ზემოთ იწვეს. ბევრი ესპანელი ცხოვრობს ოთხ კედელს შორის მომწყვდეული სიკვდილის დღემდე, ხოლო ამ დღეს იგი მზეზე გამოჰყავთ. ესპანეთში მიცვალებული უფრო მეტად ცოცხალია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. იგი სამართებელივით კვეთს ესპანეთის პროფილს. ესპანელთათვის დამახასიათებელია სიკვდილზე ხუმრობა და მისი მდუმარე განჭვრეტა. კევედოს „თავის ქალათა ზმანებასა“ და ვალდეს ლეალის „ხრწნად ეპისკოპოსს“ შორის, მეჩვიდმეტე საუკუნის მარაბელას, რომელიც შორ გზაზე ამხედრებული მშობიარობისას გარდაიცვალა ამ სიტყვებით:

„ჩემი საშოს სისხლს
დაუფარავს ცხენი,
შენი მერნის ფლოქვები
ცეცხლს აფრქვევენ კუპრივით...“

და ხარის მიერ ახლახან განგმირულ სალამანკელ ჭაბუკს შორის, რომელმაც სიკვდილის წინ წამოიძახა:

„ძმებო, აღსასრულის ჟამი
დამიდგა შიგანში მკვნესარი,
მკერდში ხელსახოცი სამი
ჩამრჩა და მეოთხეც ეს არი...“

ყოველსავე ამას შორის აღმართულია გვარჯილის ყვავილთა ზღუდე, რომლის მიღმაც ბუდობს სიკვდილის მჭვრეტელი ხალხი, რომელიც თავის სიმკაცრეში შთაგონებულია იერემიას სიტყვებით და რომელსაც ლირიზმის გრძობას უღვიძებს კვიპაროსების სურნელი. ეს არის ქვეყანა, რომელშიც ყოველივეს, რაც ხდება, დაჰკრავს სიკვდილის ლითონის გემო.

დანა, ურმის თვალი, სამართებელი, მწყემსების ეკლიანი წვერი, შიშველი მთვარე, ბუზი, ნესტიანი თახჩა, ქვაფენილი, მაქმანით დაფარული ხატები, ჩაუმქრალი კირი, კარნიზებისა და საგუშაგო კოშკების დაკბილული მოხატულობა, აი ისინი, რომელთა შორისაც ესპანეთში მოიბრძვის სიკვდილის წვრილი ბალახი, გაურკვეველი ხმები, საცნაურნი მხოლოდ დაკვირვებული გონებისათვის, რომელნიც ჩვენს მენსიერებას წარმავლობის გულგრილობის იერს ანიჭებენ. ესპანეთის ხელოვნების ნიადაგთან კავშირი შემთხვევითი არ არის. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ნარშავს და დასაბამეული ქვებით არის მოფენილი. პლემბერიოს გოდება თუ ხოსე მარია დე ვალდივიელსოს ცეკვა გამონაკლისს არ წარმოადგენს. შემთხვევითი არც ის არის, რომ ევროპის ყველა ბალადას შორის გამოირჩევა ეს ესპანური სატრფიალო სიმღერა:

„– თუ შენ სატრფო ხარ ჩემი,
რატომ მარიდებ თვალთა?
– ჩაქრნენ თვალები ჩემი,
ჩრდილმა მოჰფინა კალთა.
– თუ შენ სატრფო ხარ ჩემი,
ბაგეს რად აღარ მიწვავ?
– ბაგის ნათელი ჩემი
დანავლა შავმა მიწამ.
– თუ შენ სატრფო ხარ ჩემი,
მკლავს რატომ აღარ მომხვევ?
– მკლავს რატომ აღარ მომხვევ?“

– საშენო მკლავი ჩემი
უკვე ჭიებმა მოხრეს“.

არც ის არის საოცარი, რომ ძველ ესპანურ
ლირიკულ პოეზიაში ვხვდებით ასეთ სიმღერას:

„ბაღში მელოდება სიკვდილი,
ვარდების ბუჩქნარში
მოკვდები.“

დედა, მე წავედი ბალისკენ,
ვარდების საკრეფად წავედი,
და ბაღში ვიპოვე
სიკვდილი.

დედა, მე წავედი ბალისკენ,
ვარდების საკრეფად წავედი
და ვარდის ბუჩქნარში ვიპოვე
სიკვდილი.

ბაღში მელოდება სიკვდილი,
ვარდების ბუჩქნარში
მოკვდები“.

მთვარით გაყინული თავები, რომელთაც ხა-
ტავდა სურბარანი, ელ გრეკოს ზეთოვანი და
ღია ყვითელი ფერი, სიგუენცეს პროზა, გოიას
ყველა ნაწარმოები, ესკორიალის ეკლესიის აბ-
სიდა, მთელი ჩვენი პოლიქრონული სკულპტურ-
რა, ოსუნას საგვარეულო აკლდამა, ბონავენტე-
სის სამრეკლო მადინა დე რიო სეკოში, „სიკვდი-
ლი გიტარით“ – ეს ყველაფერი უდრის წმინდა
ანდრეს დე ტეიქსიდოს პილიგრიმოებას, სადაც
სიკვდილი პროცესიას მიჰყვება; სამგლოვიარო
სიმღერებს, რომელთაც ნოემბრის ღამეში მბჟუ-
ტავი ფარნების შუქზე ასრულებენ ასტურიელი
ქალები; მაიორკისა და ტოლედოს კათედრალთა
სიბილების ცეკვას და ვნების პარასკევის უსა-
სრულო რიტუალებს, რაც ხარებთან ბრძოლის
ცივილიზებულ სპექტაკლებთან ერთად წარმო-
ადგენს სიკვდილის ტრიუმფს ესპანეთში. მსო-
ფლიოს ყველა ქვეყანათა შორის ამით მარტო-
ოდენ მექსიკას ძალუძს ესპანეთთან გატოლება.

მუზა, როგორც კი შეიგრძნობს სიკვდილს,
ასობს კარიბჭეს, ანდა გამოდგამს ურნას და
ცვილის ხელით წერს ეპიტაფიას. იგი იმწამსვე
წინავს თავის გვირგვინს ორ ქარს შორის მო-
ქანავე მდუმარებაში. იგი ხოტბათა მოკვეთილ
თაღებზე მგლოვიარე ხელებით წინავს ყვავილ-
ებს, რომელთაც ასეთი გულმოდგინებით ხატა-
ვდნენ მეთხუთმეტე საუკუნის იტალიელი მხატ-
ვრები; ანდა იგი მოუხმობს ლუკრეციუსის საი-
მედო მამალს, რათა განდევნოს მოულოდნელი
აჩრდილები.

ანგელოზი, როდესაც იგი სიკვდილის გამო-
ჩენას იგრძნობს, ნელი წრეებით უვლის მას გარ-
შემო და ყინულოვანი ცრემლებითა და ნარგიზე-
ბით წინავს ელეგიას, რომელიც თრთის კიტისს,
ვილია სანდინოს, ჰერერას, ბეკერისა თუ ხუან
რამონ ხიმენესის ხელებში. მაგრამ როგორი
თრთოლაა, როდესაც ანგელოზი თავის ვარდის-
ფერ ფეხზე იგრძნობს თუნდაც ძლიერ პატარა
ობობას?!

duende არ ვლინდება, სანამ არ წარმოიშვის
სიკვდილის წინათგრძნობა და სანამ იგი არ
დარწმუნდება, რომ მას ხშირად მოუხდება სიკი-
ვდილის სამყოფელთა მონახულება. **duende** არ
არის დარწმუნებული, რომ მას ძალუძს იმ რტო-
ების შერხევა, რომელნიც ჩვენ გვიპყრია ხელთ
და რომელთაც ჩვენთვის არავითარი ნუგეში არ
მოაქვთ.

აზრში, ხმაში თუ მოძრაობაში **duende** შე-
მოქმედთან ჭიდილისას ჭის კიდეს ელტვის. და
მაშინ, როდესაც ანგელოზი და მუზა ვიოლი-
ნოთი ან ზომიერი რიტმით კმაყოფილდებიან,
duende-ს გვაყენებს ჭრილობას, რომლის შეხო-
რცების ცდაში (რაც არასოდეს მოხდება) ვლი-
ნდება ადამიანის საოცარი ქმედითი თვითმო-
ფადობა.

პოემის მაგიური თვისება იმაში გამოიხატე-
ბა, რომ იგი ყოველთვის უნდა წარიმართებოდეს
duende-ს მიერ, რათა მასში მხედველი უკუნე-
თური ნყლით მოინათლოს. **duende**-ს შემწეობით
ადვილია სხვისი სიყვარული და გაგება, და იმის
რწმენაც, რომ შენც შეგიყვარებს და გაგიგებს

სხვა. პოეზიაში ეს ბრძოლა გამჟღავნებისა და ურთიერთგაგებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის ხასიათს იღებს ხოლმე.

გავიხსენოთ უკიდურესი ფლამენკო, **duende**-ს მფლობელი წმინდა ტერეზა, ფლამენკო არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან სამი დიდებული შესტით შეაჩერა გახლებული ხარი, და არც იმიტომ, რომ იგი ხუან დე ლა მიზერიას წინაშე თავის სილამაზეს იკვეხნიდა, და არც იმის გამო, რომ მან სილა გააწნა პაპის ნუნციას, არამედ იმიტომ, რომ იგი იყო ერთ-ერთი იმ მცირე რიცხოვანთაგანი, რომელიც თავისი ისრით დაჰყოდა **duende**-მ (და არა ანგელოზმა, ვინაიდან იგი თავს არ ესხმის არავის, არასოდეს). **duende**-ს სურდა მისი განგმირვა, ვინაიდან წმინდა ტერეზამ მას მოსტაცა უკანასკნელი საიდუმლოება – შემაერთებელი ხიდი, რომელიც აკავშირებს ხუთ გრძნობას ცოცხალი სხეულის არსთან, ცოცხალ ღრუბელთან, ცოცხალ ზღვასთან და დროისაგან განთავისუფლებულ სიყვარულთან. მან დიდი თავდადებით დაამარცხა **duende**, წინააღმდეგ ფილიპე ავსტრიელისა, რომელიც მუხისა და თეოლოგიის ანგელოზის მიგნების წყურვილით იმყოფებოდა **duende**-ს ტყვეობაში, და რომელიც უსიცოცხლო ძიების **duende**-მ ესკორიალში მოამწყვდია, სადაც გეომეტრია ზმანებას ემიჯნება და სადაც დიდი მეფის სამარადისოდ დასასჯელად **duende**-ს დააქვს მუხის ნილაბი.

შეიძლება ითქვას, რომ **duende**-ს უყვარს საგანთა კიდე, ჭრილობა, და იგი იქ ბუდობს, სადაც ფორმები ერთმანეთს ედულაბებიან ერთ ვნებიან ლტოლვად შენივთულნი, და როდესაც ეს ლტოლვა უფრო მეტია, ვიდრე მისი ხილვადი გამოვლენა.

ესპანეთში (ისევე, როგორც აღმოსავლეთში, სადაც ცეკვა რელიგიურ გამოვლინებად ითვლება) **duende** განუსაზღვრელ სამოქმედო ასპარეზს პოულობს მარციალის მიერ ხოტბა-შესხმულ კადისელ მოცეკვავე ქალთა სხეულში, იუვენალის მიერ შექმულ მომღერალთა გულე-

ბსა თუ ხარებთან ბრძოლის ყველა რიტუალში, რომელიც ჭეშმარიტ რელიგიურ დრამას წარმოადგენს, სადაც ისევე სრულდება მსხვერპლშენიშვნა და ღვთის მსახურება, როგორც წირვისას.

კლასიკური სამყაროს მთელმა **duende**-მ თითქოს თავი მოიყარა ამქვეყნიურ შესანიშნავ სპექტაკლში, რომელიც ერის განუზომელი მგრძნობელობისა და კულტურის სიმბოლოს წარმოადგენს, სადაც დახვეწილი მრისხანება, ნატიფი მელანქოლია და დაწმენდილი კაემანი ვლინდება. ესპანური ცეკვებისა და ხარებთან ბრძოლის მზერისას არავინ ერთობა. დრამის მეშვეობით **duende** გაიძულეებს იტანჯო ცოცხალი ფორმებით და იგი ამზადებს ნიადაგს გარემომცველი რეალობისაგან გასაქცევად. **duende** ისე მოქმედებს მოცეკვავის სხეულზე, როგორც ქარი ქვიშაზე. იგი მაგიური ძალმოსილებით აიძულეებს ახალგაზრდა ქალს, იმოძრაოს მთვარეულივით; ტავერნის სიახლოვეს მომათხოვრე მოხუცს ანიჭებს ჭაბუკურ იერს. გრძელი ნაწნავებით მოაქვს ღამეული ნავსადგურების სურნელი და ყოველ წამს ისეთ მოძრაობაში მოჰყავს ხელები, რომელიც ნებისმიერ დროს ბადებს ცეკვას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ **duende** არასოდეს მეორდება, როგორც არასოდეს მეორდება იან ქარიშხლიანი ზღვის ფორმები.

თავისი გამომსახველობის უმაღლეს მწვერვალს **duende** აღწევს ხარებთან ბრძოლისას, ვინაიდან იგი ებრძვის, ერთი მხრივ, სიკვდილს, რომელსაც ძალუძს მისი მოსპობა, და მეორე მხრივ, გეომეტრიას, რომელიც სპექტაკლის ძირითად საზომს წარმოადგენს.

ხარს თავისი ორბიტა აქვს, ტორეროს – თავისი. და ამ ორ ორბიტას შორის მოქცეულია ფათერაკის წერტილი, რომელიც ამ შემაზრზენი თამაშის უმაღლეს მწვერვალად გვევლინება.

შეიძლება ითვლებოდეს შესანიშნავ ტორეროდ, როდესაც გშველის მულეტისანი¹ მუზა და ბანდერილიათი² შეიარაღებული ანგელოზი, მაგრამ, როდესაც მუშაობ მოსასხამით, როდესაც

¹ მულეტა – ფოლადის ბუნიკიან ჯოხზე დახვეული ალისფერი ფარჩა (მთ.).

² ბანდერილია – ფერადი ქალაღებთა და ბაფთებით შემკული პატარა, წვრილი შუბი, რომელიც ხარის გასახელებლად იხმარება (მთ.).

ხარი ჯერ კიდევ არ არის დაჭრილი, და ბოლოს, როდესაც დგება წამი მისი მოკვლისა, არტისტული სიმართლის ლურსმნის ჩასასმელად აუცილებელია **duende**.

ტორერო, რომელიც უგონო სიმამაცით აშინებს მაყურებელს, არ იძლევა ხარებთან ბრძოლის ნამდვილ სანახაობას. იგი ახდენს სიცოცხლესთან აბსურდული თამაშის დემონსტრაციას, რაც ყველას ძალუძს; ხოლო **duende**-ს მიერ ნაგესლი ტორერო პითაგორული მუსიკის გაკვეთილს გვაძლევს და გვაიძულებს დავივიწყოთ ის გარემოება, რომ იგი თავის გულს წამდაუნუმ ხარის რქებზე ისვრის.

ლეგარტიხოს რომანული **duende**, ხოსელიტოს ებრაული **duende**, ბელმონტეს ბაროკალური **duende** და კაგანჩოს ბოშური **duende**¹, შებინდულ არენაზე ტორეროების, პოეტების, მხატვრებისა და მუსიკოსებისათვის იძლევიან ესპანეთის ტრადიციის ოთხი დიდი გზის გაკვეთილს.

ესპანეთი არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც სიკვდილი ბუნებრივ სანახაობას წარმოადგენს; სადაც სიკვდილი ყოველი გაზაფხულის დადგომისას გაბმით ახმიანებს ბუკს და ესპანეთის ხელოვნება ყოველთვის წარიმართვის გამჭრიახი **duende**-ს მიერ, რომელიც ამ ხელოვნებას ანიჭებს სრულიად განსხვავებულ იერსა და გამომსახველობით თვისებებს.

duende, რომელიც ქანდაკების ისტორიაში პირველად ავსებს წითელი სისხლით მატეო დე კომპოსტელას წმინდანთა ლანგებს, იგივე **duende**-ა, რომელიც სან ხუან დე ლა კრუსს აი-

ძულებს გოდებას, ანდა წვავს გაშიშვლებულ ნიმფებს ლოპე დე ვეგას რელიგიურ სონეტებში.

duende, რომელიც აღმართავს სააგუნის კოშკს, ანდა აწყობს კალათაიუდისა² თუ ტერუელის³ გახურებულ აგურებს, იგივე **duende**-ა, რომელიც აპობს ელ გრეკოს ღრუბლებს, კინნისკვრით ფანტავს კევედოს⁴ ალგვასილებს⁵ და ალაგზნებს გოიას ქიმერებს.

duende წვიმაში ავლენს იდუმალ ველასკესს, თოვლში აჩენს შიშველ ერერას⁶, რომელიც გვარწმუნებს, რომ სუსხი მომაკვდინებელი არ არის. გაღვივებული **duende** ბრწყინვალეობამდე აღანთებს ბერუგეტეს⁷ და მას აიძულებს ქანდაკების ახალი განზომილების პოვნას.

გონგორას⁸ მუზასა და გარსილაზოს⁹ ანგელოზს მოუხდათ გვირგვინის დათმობა წმინდა ხუან დე ლა კრუსის **duende**-სათვის, როდესაც

„დაჭრილი ირემი
გადმოდგა სერზე...“

გონსალო დე ბერსეოს¹⁰ მუზასა და იტის ეპისკოპოსის ანგელოზს მოუხდათ გზის დათმობა ხორხე მანრიკესათვის¹¹, როდესაც, იგი სასიკვდილოდ დაჭრილი მიადგა ბელმონტეს ციხე-სიმაგრის კარიბჭეს. გრეგორიო ერნანდესის მუზასა და ხოსე დე მორას¹² ანგელოზს მოუხდათ უკან დახევა, რათა გზა მიეცათ მენას¹³ სისხლიანი ცრემლებით მოტირალი **duende**-სათვის. ასევე, კატალონიის მელანქოლიური მუზა და წვიმით გალუმპული გალისიის ანგელოზი გაცოცხლებული სიყვარულით მისჩერებიან კასტილიის **duende**-ს, ასე დაშორებულს თბილი პურისა

¹ ცნობილი ესპანელი ტორეროები (მთ.).

² კალათაიუდა – ქალაქი ესპანეთში, სარაგოსას პროვინციაში, „იერუსალიმის რაინდთა“ ძველი დედაქალაქი (მთ.).

³ ტერუელი – ქალაქი ესპანეთში, არაგონის პროვინციაში (მთ.).

⁴ ფრანსისკო გომეს დე კევედო ი ვილ ეგას (1580-1645) – ესპანელი პოეტი (მთ.).

⁵ ალგვასილი – სასამართლოს აღმასრულებელი (მთ.).

⁶ ხუან დე ერერა – ესკორიალის არქიტექტორი (მთ.).

⁷ ბერუგეტე (1480-1561) – ესპანელი მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი (მთ.).

⁸ დონ ლუის დე გონგორა (1561-1627) – ესპანელი პოეტი (მთ.).

⁹ გარსილაზო (1500-1559) – ესპანელი კონკისტადორი, ცნობილი ინკებისადმი უაღრესად ჰუმანური დამოკიდებულებით (მთ.).

¹⁰ გონსალო დე ბერსეო – მეცამეტე საუკუნის კასტილიელი პოეტი (მთ.).

¹¹ ხორხე მანრიკე – მეოთხთმეტე საუკუნის ესპანელი პოეტი და მეზღვაური (მთ.).

¹² ხოსე დე მორა – (1783-1863) ესპანელი მწერალი (მთ.).

¹³ ხუან დე მენა – (1411-1456) ესპანელი პოეტი (მთ.).

და ძროხისაგან, რომელიც ქარით დაცარიელებულ ცისა და დახეთქილ მიწის მიღმა იცოხნება.

ყვედოსა და სერვანტესის **duende**, ერთი – ფოსფორული ნათების მქონე მწვანე ანემონებით, ხოლო მეორე – რუიდერის თაბაშირის ანემონებით ამკობენ ესპანეთის **duende**-ს საკურთხეველს.

ცხადია, რომ ყველა ხელოვნება ფლობს სხვადასხვა სახისა და ფორმის **duende**-ს, მაგრამ მათი ფესვები იქ ერთდებიან, საიდანაც, ტორესის თქმით, გამოიციმიან „უკუნი ხმები“, ანუ პირველადი ნივთიერება, ხის, ხმის, ტილოსა და სიტყვის მთრთოლვარე და დაუოკებელი საფუძველი.

სწორედ ეს „უკუნი ხმები“, რომელთა მიღმაც ჩვენ ვაგნებთ მჭიდრო კავშირში მყოფ ვულკანებს, ჭიანჭველებს, ნაზ სიოებსა და ირმის ნახტომს, რომელსაც ფერდებზე მიჰკვრია დიდებული ღამე.

ქალბატონებო და ბატონებო! მე აღმართე სამი თალი და გამოუცდელი ხელით მასში მოვათავსე მუზა, ანგელოზი და **duende**.

ანგელოზს შეუძლია თრთოდეს ანტონელო დე მესინას¹ მიერ დახატულ ნაწნავებში თუ ფილიპო ლიპის² მიერ შექმნილ ტუნიკაში, მაზოლინის³ ვიოლინოში თუ რუსოსთან⁴.

მაგრამ სად არის **duende**? ცარიელ თალში შედის გონების ნიავი, რომელიც დაჟინებით დაჰფარფატებს მიცვალებულთა თავებს ახალი ლანდშაფტებისა და იდუმალ ხმათა ძიების წყურვილით; ნიავი, რომელსაც დაჰკრავს ბავშვის ნერწყვის, გაქელილი ბალახისა და მედუზის გამჭვირვალე აპკის სურნელი; ნიავი, რომელიც ყველგან და ყოველთვის გვაუწყებს ახლადქმნილ საგანთა მარადიულ ნათლობას.

1930 წ.


ესპანურიდან თარგმნეს **ლია ლორიამ** და **ვასუშტი კოტატიშვილმა**

¹ ანტონელო დე მესინა (1431-1477) იტალიელი მხატვარი (მთ.).

² ფილიპო ლიპი (1406-1469) – იტალიელი მხატვარი (მთ.).

³ მაზოლინი (1383-1447) – იტალიელი მხატვარი (მთ.).

⁴ ანრი რუსო (1844-1910) – ფრანგი მხატვარი (მთ.).



დადო საიდობვიდი

სად არის (ან რა არის) ლექსი?

წინათქმა:

ამას წინათ ვნახე და მოვისმინე პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს ტრანსლაცია მოსკოვიდან, სადაც მოგონებით გამოდიოდნენ ცნობილი მსახიობები, მომღერლები და თან შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ პოეტი-ბარდის პოპულარულ სიმღერებს, მართალია იმიტატორები არაფერს იშურებდნენ, როგორმე დამსგავსებოდნენ ავტორისეული შესრულების მანერას: ინტონაციით, ხავერდოვანი ტემპრით... მაგრამ (უარესს მაინც სჯობდა) დარბაზში მყოფთათვის იგი მაინც იყო ემოციის საგანი. ის კი არადა, ყველანი მომღერლებთან ერთად ხმაშენყობით იმეორებდნენ ტექსტთან ერთად მელოდიას. როგორც აღმოჩნდა – მთელ რუსულენოვან აუდიტორიას ზეპირად სცოდნოდა საყვარელი პოეტი-იმპროვიზატორის რეპერტუარი. თავად იუბილარის სურათი სცენის სიღრმეში ეკიდა და სარკაზმული ღიმილით გვამუნათებდა: **Виноградною косточку в теплую землю зарюю...** (ქართული მინის სურნელი) **А иначе зачем на земле этой вечной живу?** (ცნობილია, ბულატი შალვას ძე გახლდათ გალაკტიონ ტაბიძის რეპრესირებული მეუღლის – ოლია ოკუჯავას ძმისშვილი).

აქვე გავიხსენებ: იტალიაში ყოფნისას ბულატი ოკუჯავასთვის უკითხავთ – ვინ მიაჩნია დღესდღეობით მსოფლიო დიდ პოეტად? – გა-

ლაკტიონ ტაბიძეო – უყოყმანოდ უპასუხებია მას. ამის მერე დაინტერესებულან მასპინძლები და უთარგმნიათ კიდეც... გალაკტიონი და ისიც თარგმნილი? თუნდაც ლუიჯი მაგაროტის მიერ.

მოკლედ იმ საღამოს ლექსი იყო ყველაფერი და ყველგან: გიტარის სიმზე, მომღერლის ბაგეებზე და მსმენელთა მესხიერებაში.

ამ ამბავმა გამახსენა ერთი შემთხვევა:

1.

გურამ კანკავა (ლიტერატურათმცოდნე) თავის წერილში იხსენებს ერთ საუბარს გამართულს სიმონ ჩიქოვანის (პოეტის) ბინაში, სადაც მსჯელობისა და ეჭვის საგნად ქცეულია თავად ლექსის „ადგილსამყოფელი“, სად არის ლექსი – ქალღმერთზე, ბეჭდურ სასტამბო ნიშნებში თუ ადამიანის მესხიერებაში? მართლაც, სად არსებობს ლექსი ლოკალურად? სიმონ ჩიქოვანის მიერ კითხვის ამგვარად დასმა თითქმის „აღმოჩენას“ ჰგავდა, ისევე როგორც უჩვეულო იყო იმის აღიარებაც, რომ ლექსის დასტამბულ ტექსტს წიგნთან მხოლოდ ჭვარტლით გაპოხილი პირობითი ტიპოგრაფიული ნიშნები თუ აკავშირებს. ლექსი ხომ დაბეჭდვამდეც არსებობს... ქალაღმერთი, როგორც ლექსის არსებობის თავშესაფარი, იმთავითვე გამოირიცხა, გამოთქმა: „ლექსი შეტანილია წიგნში“ – წმინდა წყლის მეტონიმი

(შემდეგ წერილის ავტორი იხსენებს იქ დამსწრე ლიტერატორს, რომელიც აცხადებდა: ლექსი ადამიანის მეხსიერებაში არსებობსო, მაგრამ ამ სურვილს ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ არსებობენ პოეტური ნაწარმოებები, რომლებსაც ადამიანის მეხსიერებაში ადგილი არა აქვთ მიჩენილი. და მართლაც, სად შეიძლება ლექსის ძიება და შეიძლება თუ არა ლექსი ვეძიოთ მატერიალურ სამყაროში, საერთოდ ქალაქზე, ბუნებაში, სასტამბო დაზვავზე?).

თუ სახელმძღვანელოში ჩავიხედავთ, იქ ლექსი განმარტებულია როგორც რიტმულ-ინტონაციურად მოწესრიგებული მეტყველება, რომელიც ენის პროსოდიული (გამახვილებული, მინამღერი) ბუნების შესაბამისად განსაზღვრული ლექსთწყობის კანონებზეა დამყარებული, მაგრამ ამგვარი ირიბი განმარტება არ აკმაყოფილებს „მთხრობელს“, თუმცა ნებსით თუ უნებლიეთ ისიც ვერ ახერხებს თავის დაძვრენას ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულ ცნებებისაგან, როცა ამბობს, რომ ლექსი პოეტის პიროვნების, მისი ერთიანი ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის ანარეკლია და ამიტომ იგიც მთლიანობისკენ ისწრაფვის. ლექსი მთლიანია როგორც სისტემა (რომელიც ბერძნული სიტყვაა და ცალკეული ნაწილებისაგან შემდგარ მთლიანობას ნიშნავს). ლექსი მთლიანობაა, რადგან მისი საშენი მასალა ქმნის ერთიან, პირობადადებულ მტკიცე სტრუქტურას. ჭეშმარიტი ლექსის სტრუქტურა მიისწრაფვის მონოლითის ბუნებისკენ. საბოლოოდ ავტორს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ლექსი აღმოჩნდება იქ, სადაც იპოვნება მისი ინდივიდუალური აღნაგობა, მისი მხატვრული სტრუქტურის ერთადერთობა: ლექსი საკუთარ ინდივიდუალურ მხატვრულ სისტემაში არსებობს („მდგომარეობს“), როგორც იდეალური სახის ნაგებობა, ლექსის რეალობა (არსებობა). იგი არამატერიალური ბუნებისაა, ისევე როგორც არამატერიალურია ჩვენი აზრი ან გრძნობა.

რა თქმა უნდა, ლექსი იქამდე არსებობს, სანამ მას მკითხველი აღიქვამს, რადგან იგი უკვე

თავის თავშია მოცემული. ყველა მატერიალური მხარე ლექსისა, რომელიც კი მას გააჩნია – ეს მისი ბგერითი ორგანიზაციაა. ლექსს აქვს დროისა და სივრცის საკუთარი, განსაკუთრებული განზომილებები, რომელიც არ ემთხვევა მათ ჩვეულებრივ გაგებას. როცა გურამ კანკავა ლაპარაკობს ლექსის მხატვრულ (სტრუქტურულ) განუმეორებლობაზე და ერთადერთობაზე, ფორმის შეუვალლობაზე და მხატვრული მასალის შეუნაცვლებლობაზე, ლექსის კარკასზე – მის შინაგან მეტრულ სქემაზე, მელოდიური წყობის უნიკალობაზე თუ კომპოზიციის შემკვრელ ძალაზე, მაშინ ის არსებითად გულისხმობს იმასაც, რომ ლექსი პოეტისთვის განკუთვნილი მასალით ნაგებ შენობაშია მოქცეული, რომელსაც დასრულებული, მხატვრული აღნაგობა და არქიტექტონიკა გააჩნია. ამის სანიმუშოდ კრიტიკოსი გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას, რომ ბარათაშვილის „მერანი“ სივრცობრივად საკუთარ მონუმენტურ პოეტურ კონსტრუქციებში ცოცხლობს და უკეთეს ადგილს მას ვერ მოუძებნის, რომც მოინდომოს, მისი საარსებო ბინა მისივე მხატვრული გრძნობადაზრობრივი მკვიდრი სისტემაა. და როცა გადატანითი მნიშვნელობით ამბობენ, რომ ლექსი ბუნებაში ან ქალაქში შეიგრძნობა, მას ამგვარი მეტამორფოზობა უხერხულობად მიაჩნია.

როგორ ვიფიქროთ – ვითომ მივაკვლიეთ ლექსის ადგილმდებარეობას?

საბას მიხედვით: ლექსი – სიტყვა სრული და რჩეული, გინა შეწყობილი ლექსი არს. შეწყობილი ლექსი სხვა არაფერია თუ არა ჰიმნოგრაფიული თხზულებანი. როგორც ცნობილია, ლიტერატურული პოეზიის დარგი წარმოდგენილია სხვადასხვა სახის საგალობლებით – ესე იგი, ჰიმნებს კითხულობდნენ და გალობდნენ. არ ვიცი, სხვაგან როგორ იყო, მაგრამ ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიული ძეგლი „ქებაი წმინდისა მონამისა ჰაბოისი“ (იოანე საბანისძე) ლექსის პროზით, საზომის დაუცველად დაწერილი ნაწარმოებია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ – ლექსის პროზად გადაქცევა და მისი (ლექსის)

სიმღერასთან შენყოფა როგორ გავიგოთ, ნუთუ ლექსმა სამკვიდრებელი პროზაში და მასთან ერთად საგალობელში ან რიტორიკაში ჰპოვა? (ჰიმნების კრებულს ერთგან ხომ, „ხმანი“ ჰქვია, ანუ გახმოვანებული ლექსი). ნათქვამია: თავგმა თხარა, თხარაო – კატა გამოთხარაო... ადრე თუ ლექსის სამყოფელი გვიქმნიდა ლექსის სანუხარს, ახლა აგერ პროზა (გინდ ლექსი პროზად) გამოტყვრა – მე რას მიპირებთო? მაინც რაში დასჭირდა იოანე საბანისძეს მერვე საუკუნეში აბოს ბიოგრაფია აღენერა გალექსილი პროზით, საზომის დაუცველად? ისმის კითხვა (ქათმისა და კვერცხის არ იყოს): რომელი გაჩნდა პირველად ლექსი თუ პროზა? ამას იმიტომ ვკითხულობთ, რომ გავარკვიოთ – ერთმანეთისადმი ლტოლვა ბუნებრივი თუ თვითნებური პროცესი იყო. ამას რომ ჩავუღმავდეთ სავსებით შესაძლებელია ჰომეროსთან ან უფრო იქით – ორფევსის საუფლოში ამოგყოთ თავი. იქნებ სჯობდეს ახლო წარსულიდან მოვიხმოთ ფაქტები, მით უფრო, როცა თავად გვიგემნია ტკბილი ნაყოფი იმ შუალედური ფორმებისა, რომელსაც ლექსი პროზად ან რიტმული პროზა ჰქვია.

სტეფან მალარმე თავის ავტობიოგრაფიას (რომელიც ვერლენის დაკვეთით დაიწერა) ასე ამთავრებს: ერთ დღეს თქვენ სანახავად მოვალ და ყოველივეს გეტყვით, მოგიტანთ ერთ სონეტს და ერთ გვერდ პროზას – საგანგებოდ თქვენთვის შეთხზულს (წარმოიდგენთ, ის ამ წერილს წერდა ფანქრით, რათა შექმნოდა შთაბეჭდილება განაპირებული მეგობრების ხმადაბლა საუბრისა). გინდა ნამდვილად ერწმუნო ავტორს, რომ ის ერთგვერდიანი პროზით უთუოდ შეუქმნიდა მეგობარს ამგვარ განწყობას. სხვანაირად წარმოუდგენელია, და ეს იქნებოდა მცირე ზომისათვის „განწირული“ პროზა – ლექსად შეთხზული (ამაზე მომდევნო წერილში უფრო ვრცლად გვექნება საუბარი, როცა საგანგებოდ გავამახვილებთ ყურადღებას მუსიკისა და პოეზიის „ერთმნიშვნელობაზე“). რადგან დაუოკებელი სურვილი წინ გვისწრებს, რამდენიმე შტრიხით მაინც დავაკონკრეტებთ, თუ რა მდგომარე-

ობაში აღმოჩნდა პოეტი, როცა თითქოს გარკვეულია ბევრი რამ, მიუხედავად ლექსის ბუნდოვანი აღნაგობისა, თანაც წინანდელი მეტრი კვლავ ძალაშია, და ეს ჰგავს გზაჯვარედინზე ყოფნას. რომანტიკულმა ხმამ შექმნა ტოლფასი ელემენტი ალექსანდრიული ლექსისათვის – სასვენი ნიშნებით და სხვა მისთვის დამახასიათებელი თვისებებით. ამ შენადნობს მალარმე მიიჩნევს ბედნიერ აღმოჩენად, რითაც მისი აზრით დასრულდა გუშინდელი ძიება და ეს გახლავთ ვერლიბრი. მოდულაცია (რაც არაერთხელ უთქვამს) აქ ინდივიდუალურია, რადგან ყოველი სული – რიტმული კვანძია.

ფორმათა ჭიდილის მიუხედავად ჭეშმარიტმა ქმნილებებმა ამოხეთქეს. ცნეს კიდევაც – გადატვირთული ინსტრუმენტისათვის უბადლოა დუმის ფასი. Мысл израченная есть лож (თ. ტიუტჩევი). მიუხედავად ლექსის აბოპოქრებული სულისა ახლა უკვე მოწმენი ვხვდებით, რომ ყოველივე გაზომილ-გაანგარიშებული იშვიათობაა. რა დროშიც არ უნდა ვაცხოვროთ, იგი მაინც იშვიათის წარმოსახვაა. ქართულ ლექსს ყველა ეს (მეტრიკულ-ვერსიფიკაციული) გზები გავლილი აქვს თავისი ნებსითი თუ უნებლიე ჩავარდნებით, და მაინც კვლავ ამალღებული, სრულყოფილი ინტონაციით მოედინება მოდუნე მტკვარივით ძველ არტახებში. ეს „ძველი არტახები“ განგებ არ არის მოხმობილი – ბარათაშვილიდან გალაკტიონამდე ფორმათა ჭიდილის მიუხედავად, თავისი სრულყოფილებით ის მაინც რომანტიკული ბუნებისაა, და იგი ამით თითქოს ჩანვდა ლექსის რაობას. მაგრამ რა დავარქვათ ახალ მიმდინარეობას, რომელმაც გვერდი აუარა ძველ კალაპოტს და ლობის მიღმა აღმოჩნდა ობოლივით – ლოგიკის, ალოგიკური ლოგიკის, სიტყვის პრაქტიკული მნიშვნელობის, პოზიტიურად რაციონალური სტილის ნაწარმოებს – ამას ევროპაში მოდერნისტული ეწოდება. თუმცა არაფერი არის ახალი ამქვეყნად, ყოველი სიახლე დავიწყებული ძველია (გავიხსენოთ, თუნდაც დავითის ფსალმუნები). ინგლისელმა მეტაფიზიკოსმა პოეტებმა სამი საუკუნის წინ

ჩაუყარეს საფუძველი ამ სტილს, რომლის უტრირებაა მოდერნისტული დამწერლობა. შემდეგ ამ სტილს მეტი ხელოვნურობა, ექსცენტრულობა, მეტი პროზა, მოჩვენებით რეალისტური მისტიკა შემატეს გათვლილი მკითხველის გასაოცებლად. მაგრამ ეს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ქალაქის ნაგლეჯებიდან ბრინჯაოს ქანდაკებების ჩამოსხმას (ეს ფიგურალური გამოთქმა თამაზ ჩაჩავას ეკუთვნის და იგი მოხმობილია მისი ესეიდან „მოდერნიზმი და პოეტური მეტაფიზიკა“, სადაც განხილულია თ. ელიოტის, ი. ბროდსკისა და თქვენი მონამორჩილის პოეზია).

რაკი საქმე მიდგა ისევ ლექსის ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე, კვლავ მოვიხმობთ თ. ჩაჩავას სიტყვებს მისი წერილიდან: „საერთოდ მოდერნისტული დამწერლობის უდიდესი ნაწილი, უფრო თვით დამწერის ცნობიერებაში ხორციელდება, ვიდრე ქალაქზე. ის მუდამ უხერხულად რალაცას გულისხმობს, რასაც ქალაქზე ვერ გამოხატავს. ამისათვის მეტად და მეტად ართულებს სიტყვათა კომბინაციებს და ბოლოს, როცა თვითონაც ვერ ხვდება თუ რას გამოხატავს ეს კუდნაჭრილი დინოზავრი, იგი ჩერდება (ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება თითქოს ლექსმა დინოზავრის სტომაქში ამოყო თავი, გაბეზრებული მაძიებლებისაგან შვებით რომ ამოესუნთქა. იქნებ ეს ჩვენ უფრო გვჭირდება, ვიდრე ლექსს, რომელიც თავს ისედაც ლაღად გრძნობს ყველა მდგომარეობაში). არადა, იმავე დროს ჭეშმარიტი მეტაფიზიკა, რაციონალური ან ფილოსოფიური გონით არ შეისისხლხორცება, რადგან იგი უფრო ენერგიების სამყაროა. ეს არა წამოყვრება, არამედ ჭვრეტაა, არა ეფექტაცია და ექსცენტრულობა, არამედ გრძნობა და მეტამორფოზაა, არა ხეტიალი ქალაქი და კოუტერული ყაყანი და ყიყინი, არამედ გარინდება, წვდომა შინაგანი ერთიანობაა“ (სიტყვა სრული: საბა).

უნებლიეთ მახსენდება რომელი პოეტის ჰორაციუსის (ძვ.წ. 65) ერთი ფრიად საყურადღებო გამონათქვამი: „ლექსი ნახატსა ჰგავს: არის სურათი, თუ ახლოს დაუდევქ ძალზე გაგიტაცებს,

არის ისეთიც, რომელიც შორიდან მოგეწონება. ერთს ჩრდილი უყვარს, მეორეს კი სინათლე სჭირდება, რათა მსაჯულს მკაცრი შეფასების შიში არ ჰქონდეს. ზოგი მხოლოდ ერთხელ მოგვეწონება, ზოგი კი ათგზითაც რომ ვიხილოთ, მუდამ ერთნაირად მოგვივა თვალში“. ანაზდეულად თავს გვახსენებს გალაკტიონის ამოძახილი: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები...“

როგორც ხედავთ ისევ დაგვისხლტა ხელიდან სანუკვარი ლექსი – ახლა იქედან, შორიდან გვიმზერს. არაფერს ნიშნავს თქმა იმისა, რომ ლექსი დაინერა და ეს ყველაფერია. წარმართობის დროინდელი ხალხური ნიმუში: „მზეო, ამოდი, ამოდი!“ ან „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი“-ს აღბეჭდვამდე ხომ საუკუნეების განმავლობაში ზეპირსიტყვიერების პირმშონი იყვნენ. მაშ როგორ ვთქვათ. არის კი ლექსის დაფიქსირების აუცილებლობა საჭირო, იგი რომ იქცეს ისეთ ნივთად, რომელსაც ადგილს მივუჩინდით, ჩვენ მოწმენი ვხვდებით ლექსის გაჩენის (დაბადების), რითაც აზრი აღწევს სიცოცხლის მაღალ საფეხურს და არ ქრება ისევე, როგორც აბრეშუმის ქია იქცევა პეპლად და მათ შორის ჭუპრია და არა სიკვდილი.

თუ ამგვარი ინტერპრეტაცია მისაღებია, მაშინ ლექსი უკვდავი სულის ღვთაებრივი გამოვლინებაა, რომელიც ირაციონალურ სამყაროში პეპელასავით დაფარფატებს.

2.

ჩვენი საუბრით დიდი პატივი დავდეთ იმის კვლევას, თუ სად არის ლექსის ადგილი, და დაგვაგინყდა, თავად ლექსი რას წარმოადგენს? ჯერ კიდევ ორიათას ხუთასი წლის წინ იცოდნენ ფილოსოფოსებმა, როცა ამბობდნენ: ლექსი არის პოეტის შემოქმედებითი პროდუქტი... პლატონის თქმით: „მისწრაფება მშვენიერების, სიკეთის, უკვდავებისადმი ხორციელდება მშვენიერის, კარგისა და უკვდავების დაბადების შექმნა-წარმოებაში“... შემდეგ პლატონს მოჰყავს მაგალითად: ჰომეროსმა, ჰესიოდემ და სხვა პოეტებმა დატოვეს ისეთი მემკვიდრეობა,

რომლებმაც მათ უკვდავი სახელი მოუპოვაო. მაინც ვინ არის პოეტი, ვის შეიძლება მიეცეს ტიტული?! ამაზე პლატონი განმარტავს: ყველა ვინც რაიმეს ქმნის, რაიმე საგანს აძლევს არსებობის უფლებას – ესე იგი, შემოქმედი, რომელიც დაკავშირებულია მუსიკისა და მეტრიკულ ზომასთან, ინოდება პოეტად, მისი შემოქმედება კი – პოეზიად. მართალია, პოეტები ტყუილს ამბობენ, ისინი მაინც მშვენიერების იდეისადმი სიყვარულის მისწრაფების განხორციელებაა. რაც შეეხება „ტყუილს“, აქ პლატონი ჰომეროსს ამუნათებს. „ღმერთებსა და გმირებს მიაწერენ ისეთ რამეს, რომლის მიწერა მათთვის ყოვლად შეუძლებელია“. ჩვენ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ რა არის „ჭეშმარიტი სიცრუე“ და ვის სჭირდება იგი. რა თქმა უნდა, ზედმეტია იმის ილუსტრირებაც, თუ როგორ განვითარდა და გამდიდრდა ლექსთმცოდნეობა, სალექსო ფორმები, მისი ბგერითი სტრუქტურა, ანუ ფონიკა (მხატვრულ მეტყველების ბგერითი ორგანიზაცია), მეტრიკა (სალექსო საზომთა თეორია), რიტმიკა (მეტყველების რიტმული ნორმები), პროსოდი (ენის იმ ელემენტთა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ლექსთწყობის სისტემას), სტროფიკა (სალექსო სტროფის ორგანიზაცია). როგორც ხედავთ, ლექსთმცოდნეობა თავდაპირველად ნორმატიული ხასიათისა იყო და იძლეოდა რჩევებს ლექსის თხზვის შესახებ. შემდგომში კვლევითი ხასიათი მიიღო და სწავლობდა, თუ როგორ იქმნებოდა ლექსი მისი გაჩენის ეტაპებზე.

ძალაუნებურად მივადევით წყობილსიტყვაობას (ძვ. ქართ.) ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე (მუხლი და ტერფი თავს გვახსენებს როცა გვტკივა). ჩამოვთვლით ლექსთწყობის კომპონენტებს: რითმა, ასონანსი, ალიტერაცია, ანაფორა, ეპიფორა, ბგერწერა, გადატანა, ლექსის ინტონაციურ-სინტაქსური ორგანიზაცია და სხვა. ამას გულისხმობდა ალბათ მალარმე, როცა მოუთხრობდა აუდიტორიას (იმ მოწვეული მგზავრის არ იყოს, აქოშინებული ერთბაშად რომ დაცლის გუდას კატასტროფის შესახებ,

რომლის მონმე თვითონ გახლდათ). ამ დღეშია პოეტიც: რაკი დაწერის წამიდანვე ლექსი ყველაფერია: სტილი, ვერსიფიკაცია (წყობილსიტყვაობის შემადგენელი ნაწილი) და თუ იგი რიტმიცაა, მაშინ დიდებული მწერლის პროზა, ჩუქურთმოვანი და არა ნებასმიშვებული, სადარია ტეხილი ლექსისა, ფარული რითმებითა და ტემბრით რომ თამაშობს: თითქოს დიონისეს თავისი ტირსით (ჯოხი) ურთულესად დაუყვიაო. დიახაც აყვავდა ის, რასაც წინათ უწოდებდნენ ლექს-პროზად (ეს ნაწყვეტი მოტანილია მალარმეს ესსეიდან „მუსიკა და მწერლობა“, რომელიც მან თავდაპირველად ლექციების სახით წაიკითხა ინგლისის უნივერსიტეტებში – ოქსფორდსა და კემბრიჯში, 1894 წელს). ეს კომენტარი იმიტომ გავხადეთ საყურადღებო, რომ აღგვნიშნა მალარმეს დამოკიდებულება მუსიკისადმი მწერლობასთან მიმართებაში. პოეტი მიმართავს მსმენელებს, რომ ეს მოწვევა საგულისხმო მომენტს დაემთხვა და თავადვე განმარტავს – დიახაც, მოგიტანეთ ახალი ამბები, გასაოცარი, ჯერარნახული. რა სიახლე იყო ეს – გასაოცარი, ჯერარნახული. ეს გახლდათ პირველი: ლექსების პროზად გარდასახვის ევოლუცია (სხვათაშორის ტერმინი – *Poèmes en prose* ფრანგულ სინამდვილეში წარმოიშვა და მისი ავტორია შარლ ბოდლერი. საყურადღებოა ისიც – როცა ბოდლერი სტეფან მალარმეს ლექსებს, პროზად დაწერილს ხელნაწერში გასცნობია, აღფრთოვანება არ დაუმაღავს და გამოსხაურებია კიდეც). მეორე სიახლეს წარმოადგენს ვერლიბრი, რომელიც შექმნა ძლიერმა რომანტიკულმა ხმამ თავისი მჩქეფარე ალექსანდრიული ლექსისათვის – სასვენი ნიშნებით აღნიშნული პაუზითა და ანჟანბემანით (ლექსში წინა ტაეპის ერთი ან რამდენიმე სიტყვის გადატანა მომდევნო ტაეპში). მომხსენებელი ამას შენადნობად მიიჩნევს, რათა ახალი მთლიანობა შექმნას. ეს არის ბედნიერი აღმოჩენა, რითაც ავტორის აზრით, გუშინდელი ძიება დასრულდა, და ბოლოს ასკვნის, მოდულაცია ინდივიდუალურია, რადგან ყოველი სული – რიტმული კვანძია.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ასეთ დიდ ყურადღებას არ იჩენს ამ „ბედნიერ აღმოჩენის“ გამო და ლამის ლექსები პროზად, ვერლიბრი (ფრანგ. *Vers libre* – თავისუფალი ლექსი) თავისუფალ ლექსთანაა გათანაბრებული. ჩვენ აქ არ ვაპირებთ თითოეული მათგანის განსაზღვრას. ეს დიდ ადგილს ნაიღებს და თანაც ყველაფერი სახელმძღვანელოშია მოცემული. საერთოდ ტერმინოლოგია მეტად შემთხვევითად განმარტავს ლიტერატურის ზოგიერთ მიმართულებას, ჩარჩოში აქცევს, აძევებს აღწერის აუცილებლობისაგან. პოეზია მალარმესთვის წარმოადგენს არა საზომების სისტემას, არამედ იდუმალებას: „არა საგნების ასახვა, არამედ მის მიერ მოხდენილი ეფექტისა“ (მონიფულობისას მალარმემ მრავალ თავის ლექსში პუნქტუაცია ცი გააუქმა). იგი „ახალ ენას“ ქმნიდა. თუკი გავიხსენებთ, რომ ბოდლერი უმთავრესად ვიზუალურია, ვერლენი კი მუსიკალური, მალარმე თითქოს ორივე სანყისის სინთეზისაკენ ილტვის, ან თავისი ბუნებით მუსიკისადმი იხრება, რადგან ბორკავს სიტყვა „თვალი“. მართლაც, სიტყვის აღქმისათვის საჭიროა გაბადრული და ყურადღებიანი თვალი. მალარმემ იცის დუმილისა და სურნელების ფასი. იგი თითქოს შემფოთებულია აუდიტორიის წინაშე, სადაც უნდა გაცხადდეს მისი მესამე პირობა, ის კატეგორიულად აცხადებს: არა! რამეთუ ჭეშმარიტმა ქმნილებებმა უკვე ამოხეტქეს, ფორმათა ჭიდილის მიუხედავად, განა არ ცნეს, რომ უბადლოა დუმილის ფასი გადატვირთული ინსტრუმენტისათვის? (იგი თითქოს ეპარება სათქმელს). ლექსი აბოპოქრებული იშვიათობაა, თუმც ახლა (დაუკვირდით!) უკვე მონმენი ვხვდებით, რომ ყოველივე გაზომილ გაანგარიშებული იშვიათობაა, ისევე როგორც ლიტერატურა, თქვენი და ჩვენი სურვილის მიუხედავად, რომ ვაცოცხლოთ იგი ყველა დროში, იშვიათის წარმოსახვა (მთელს ამ პათოსში ნათლად ჩანს, პოეტი მოითხოვს ლექსის ავტონომიურობას), ბოლოს და ბოლოს წერის აქტი ბოლომდის ჩანვდა თავის რაობას. სიტყვის – რომელიც სხვათაშორის ქართულში ლექსის სინონიმს

წარმოადგენს – ძალმოსილება ურყევია. თუკი ადამიანმა-შემოქმედმა ბევრი რამ აღმოაჩინა ან თავის სასარგებლოდ გარდაქმნა, იმაზედაც იზრუნა, რომ ამ განთავისუფლებაში მკაცრად შემოენახა სიყვარული და მოკრძალება იმ ოცდაოთხი ასოსადმი უსასრულობის სასწაულით, რომ განმტკიცებულან ენაში: აზრი, ქმედება, ამსახველობა, სიმეტრიასთან შერწყმით, ზეგარდმო ძალით გარდაქმნილი, რასაც ლექსი ჰქვია. მალარმეს აზრით, სხვა სიკეთესთან ერთად, ამ ცივილიზებული ედემის მკვიდრს (ლექსს) დიდი მადლი აქვს მინიჭებული – ყოველივე შემოქმედებითად გარდაქმნას.

სურვილი გიჩნდება – მალარმეს მიერ ლექსის სადიდებლად თქმული ყოველი სიტყვა რამენაირად სრულად გადმოსცე. ამისათვის საჭირო გახდებოდა ტექსტის მთლიანად გადმონერა. აბა როგორ დააღწევ თავს ამ პასაჟს: უნდა გვერდზე გადაიდოს თქვენი განსწავლული თაბახების, რუბრიკების, ეტრატების კითხვა, რაკი მტკიცედ მიმაჩნია უსარგებლობა და უიმედობა ამა საქმისა... მაქვს წუთები, როდესაც რაც არ უნდა გავაკეთო, რაღაც იდუმალი განწყობის გამო, არ დამაკმაყოფილებს, სულ სხვა რამაა – თითქოსდა დაბნეული ცახცახი ფურცლისა ითხოვსო, დაუთმენლობით მთრთოლვარე, სხვა შესაძლებლობისაკენ სწრაფვას.

საერთოდ ცნობილია, მალარმეს ახასიათებდა ბუნდოვანება, რაზედაც მიუთითებდნენ კიდევ. მით უფრო, მისი შემოქმედება იდუმალებითაა მოცული. ამ შემთხვევაში, ანუ აუდიტორიის წინაშე გამოსვლას და ქადაგებას, გარკვეული სიფრთხილე მართებს, რასაც იგი ოსტატურად ახერხებს, მსმენელები რომ არ გააღიზიანოს. ბოლოს და ბოლოს ის საუბრობს ლექსის ბუნებაზე და იმაზე, რომ დაწერილი ლექსი ყველაფერია. მაგრამ რა მოუხერხოს ტრადიციას, მით უფრო მაშინ, როცა ის დგას უცხო მსმენელების წინაშე შიშით და მოკრძალებით, რადგან სიტყვის მოქნილობის დამფასებელი თავყრილობისათვის უბრალოდ კითხვის დასმაც არ უნდა იყოს მოულოდნელი, რომლის პასუხი გარკვე-

ულწილად უცნობია. არსებობს კი სხვა რამ მწერლობის მსგავსი, კიდევ უფრო მეტი რამ, ვიდრე დახვეწა, სინატიფე გამოხატვისა, ცნებებისა ყველა დარგში (რაც კლასიკურ ეპოქათა მწერლებს მოეთხოვებოდათ). კიდევ გავიმეორებთ, მოკლედ ყველაფერი რის გადმოცემაც მათ სურთ, აღამაღლებს სიტყვას ჩვეულებრივ, მიუხედავად დარგისა და მასალისა.

აკი არისტოტელე განმარტავდა: პოეზია საერთო ემპირიულ ცოდნაზე უფრო ფილოსოფიურია, ანუ ახლოსაა პირველ მიზეზთა ცოდნასთან. მაღარმემ უთუოდ იცოდა, რომ ლექსით მეტყველებას დიდი ხნის ისტორია ქონდა. მისი სანყისები სინკრეტიზმშია, როდესაც სიტყვა მუსიკა და ცეკვა ერთ მთლიანობას წარმოადგენდა. პოეზიისა და მუსიკის მჭიდრო კავშირი განპირობებულია ორივე დროში „განფენილობით“ და ძირითადი მასალის ბგერითი ბუნებით. მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვეულებრივ მეტყველებას გამოეყო ლექსითი მეტყველება რიტმულ-ინტონაციური პერიოდულობით. ლექსითი მეტყველების ფორმები ვითარდება იდეურ-ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისად და თავისი „წინასწარდადგენილი განსაზღვრულობით“ (ჰეგელი). მოკლედ, თანდათან მიიღო დღევანდელი სახე. რაც აქ ითქვა, არაფერია ახალი და მაღარმესაც არ უნდა გაჭირვებოდა აუდიტორიისათვის პირდაპირ ეთქვა და არა მობოდიშებით – რომ ლექსი ხელოვნების სხვა დარგებისაგან დამოუკიდებელი ფენომენია, და არ საჭიროებს სხვის აპეკუნობას.

ძალიან როყიოდაა ნათქვამი, მაგრამ ეს ვარაუდია. საქმე იმაშია, რომ კლოდ დებიუსიმ მაღარმეს („ფავნის ნაშუადღევის“ ავტორს) მოასმენინა ამავე თემაზე, ამავე სახელწოდებით, ახლად დაწერილი პრელუდია. მოგვიანებით კომპოზიტორი იგონებდა: მაღარმე მოვიდა ჩემთან უცნაური და შოტლანდიური პლედით შემკული, მოსმენის შემდეგ იგი კარგა ხანს დუმდა (საინტერესოა რას ფიქრობდა? იქნებ ყოველივე იმას, რაც თავის ესეში აქვს გამოხატული?) და შემდეგ მითხრა: ამგვარ რამეს არ მოველოდი!

ეს მუსიკა ჩემი პოემის ემოციას განაგრძობს და მის დეკორს უფრო ვნებიანად საზღვრავს, ვიდრე ამის გაკეთება ფერს შეუძლია“.

როგორც ჩანს, მაღარმე ესწრებოდა დებიუსის პრელუდიის პირველ საჯარო შესრულებასაც, რომლის შემდეგ კომპოზიტორისათვის მიუწერია: „ფავნის ნაშუადღევის“ თქვენებური ილუსტრაცია (აქ შესაძლებელია ეს სიტყვა ნახმარია, როგორც რისამე დასამტკიცებლად, ასახსნელად მოყვანილი თვალსაჩინო მაგალითი, ნიმუში). ჩემს ტექსტთან არავითარ დისონანსს არ ქმნის, თუ არა ის გარემოება, რომ მუსიკა უფრო შორს მიდის ნოსტალგიასა და შუქში, ნატიფად, ძნელად, მდიდრულად (ამის დამწერს უფრო ხანგრძლივი დუმილის დრო ექნებოდა).

როგორც ცნობილია, მუსიკის პირველი საჯარო შესრულება 1894 წლის 22 დეკემბერს შედგა. ამავე წელს დაინერა ესე „მუსიკა და მწერლობა“. ახლა ძნელი სათქმელია: რომელი რომელს წინ უსწრებდა, როცა დუმდა მაშინ მოხდა გადაფასება თუ მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა თავისი კრედი. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ მაღარმეს „პოემის“ შექმნის პროცესში ესახებოდა „ფავნი“ როგორც მუსიკალური ნაწარმოები და ფერწერული ტილო. საქმეს ის ართულეებს, რომ მაღარმეს „ფავნის ნაშუადღევი“ ორიგინალური ნაწარმოებია, ხოლო დებიუსის მუსიკა (როგორც მაღარმემ შეაფასა „ილუსტრაცია“, დეკორი. ამით სულაც არ ილახება კომპოზიტორის ღირსება, პირიქით – მან ამ ნაწარმოებით საფუძველი ჩაუყარა იმპრესიონიზმს მუსიკაში).

ვრცელი წიაღსვლა გამოგვივიდა, თუმცა მაღარმე უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებს, თუ არა ისევე ჭირვეული ლექსი, რომელიც თავს ხან მუსიკაში ამოყოფს, ხან ფერწერაში და ხანაც პროზაში. მაღარმე ერთ-ერთ თხზულებაში (პროზა დეზ ესენტიისათვის) გამოხატავს მის პოეტურ კრედოს. ეს არის მისი პოეტური ხელოვნება, ოღონდ ბუალოს ან ვერლენისაგან განსხვავებით, მაღარმეს თავისი მრწამსი დაშიფრული აქვს და მარტოოდენ გადაკრული სიტყვებით გადმოგვცემს. ამიტომ უხერხულ და გაურ-

კვლევით მდგომარეობაში რომ არ აღმოვჩნდეთ, ისევ მის ესხედან რამდენიმე ამონარიდს მოგანვდით. – იქნებ თავად მის ტექსტშია ყოყმანის მიზეზი: „ცნობიერებას აკლია ჩვენთან ის, რაც მაღლა იფურჩქნება. რას ემსახურება ყოველივე ეს – თამაშს. სიცარიელის ზეგარდმო მიზიდულობის ძალით, სულიერი დაშრეტის ჟამს, ვიგლეჯთ ყოველივეს, რაც მყარად გაბატონებულია ჩვენში, ვიდრე არ აივსება იგი მშვენიერებით და არ შთაგვიწერავს მას, რათა თავისუფალ სივრცეთა შორის წარმოშვას დიდებული და განმარტოებული ზეიმი (ეს გახლავთ შემოქმედებითი პროცესი, რაც წინ უძღვის ლექსის შექმნის იდეას და მის საბოლოო შედეგს. რა განსაზღვრავს ამას?). ბუნება თავისი გზით ვითარდება, ვერაფერს დაუმატებ. რამდენი ქალაქი, რკინიგზა, გამოგონება შეადგენს ჩვენს აღჭურვილობას, მხოლოდ თავისუფალი მოქმედება (მწერლის ნებაზეა საუბარი) რჩება მარად იმ ძალად, რომელიც ჩანვდება სხვადასხვა დროთა შორის დამყარებულ ხშირსა თუ იშვიათ ურთიერთობათა ბუნებას. რაღაც შინაგანი განწყობის მიხედვით, გასურს საკუთარ ყაიდაზე განავრცო და გაამარტივო სამყარო (სხვაგან, ავტობიოგრაფიაში პიოეტი წერს – გულით მენადა შემექმნა რაღაც სხვა იმ ალქიმიკოსის გულმოდგინებით ვინც მზადაა გასწიროს მთელი თავისი პატივმოყვარეობა და კმაყოფილების გრძნობა, ცეცხლს მისცეს თავისი სამყოფლო და დედაბოძი, ოლონდ კი შემოქმედების დიდი კოცონი გააჩალოს). მაგრამ ვანყდებით საოცარ რამეს ვით ახლის შექმნისას, თუნდაც ისეთის, რომლის ცნებაა გასარკვევი, საგანი კი არ არსებობს. რა უნდა დაერქვას იმას, რაც შემოქმედის სულიდან გამოიძერწება: წიგნი მწყობრად ნაგები და წინასწარ მრავალ ტომად განზრახულ-გამიზნული და არა კრებული შემთხვევითი შთაგონებით დაწერილი ლექსებისა. მარტოოდენ ადამიანი ინახავს თავისი იდუმალების წმინდა ჰარმონიას. ჩვეულებრივ წვდომა მაოცებს, როგორც მოვალეობა, რომელიც ბორკილს ყრის უსასრულოებას, რომლის რიტმი სიტყვიერი კლავიატურის კლავიშებზე

თითის დაკვრის შეკითხვას ნებდება, რათა ჩვეულებრივ ხმები (სიტყვები) ერთურთს მიუსადაგონ (აქ მუსიკალური ტერმინები არაპირდაპირი მნიშვნელობითაა ნახმარი). სინამდვილეში რაა ლიტერატურა, თუ არა ლითონი, დამუშავებული, კამათში ნანრთობი, რათა გარდაქმნას, ან შექმნას რწმენა თავისივე თავის წინაშე, რომ სანახაობა პასუხობს წარმოსახვის გაგებას, იმ იმედით, რომ მასში თავად აისახება“.

ამ პასაჟს მოსდევს ზუსტად ის, რასაც ჩვენ ველოდით, რაც მალარმესთვის პირველ საგნად იქცა მას შემდეგ, როცა იგი თავისი პოემის „ფავნის ნაშუადღევის“ მუსიკის ენაზე ილუსტრირებული პრელუდიის მოწმე გახდა. მალარმე არ არის შურიანი, მაგრამ მისი ეჭვი თუ წარმოიშვა მხოლოდ და მხოლოდ იქედან, რომ იგი კარგად იცნობს თავისი შემოქმედების აბსოლუტურ პატივმოყვრულ ხასიათს და სრულ აუცილებლობას, იგი კარგად ასხვავებს წინააღმდეგობათა წყვილს, რომელშიც არ ხდება სინთეზი. ჟან პოლ სარტრი მალარმეს სევდიან მისტიფიკატორს უწოდებს. მან მეგობრებს და მოწაფეებს (სხვათაშორის, კლოდ დებიუსიც იმ სამშაბათების მონაწილე იყო, რომელიც იმართებოდა მალარმეს ბინაში და სხვებთან ერთად ისმენდა ლექციებს პოეზიაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, თეატრზე. მაშინ დებიუსი სრულიად ახალგაზრდა გახლდათ და შესაძლებელია „ფავნის ნაშუადღევიც“ აქ მოისმინა) დიდი შემოქმედების ილუზია შეუქმნა, რომლითაც უნდა შთაენთქათ სამყარო, რადგან მიაჩნდა რომ, საამისოდ ემზადებოდა. თანაც იცოდა ეს შეუძლებელი იყო, უბრალოდ საჭირო გახლდათ, რომ მისი ცხოვრება არარსებულ საგანს, დედამინის ორფიკულ ახსნას მოხმარებოდა, რაც იგივე პოეზიაა. თავადაც ასე სწერდა ავტობიოგრაფიაში: სანუკვარი წიგნი, რომლის შექმნას ყველა მოკალმე ცდილობს, თვით გენიოსიც კი, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, ესაა სამყაროს ორფიკული ახსნა, რაც პოეტის ერთადერთი მოვალეობაა და ლიტერატურის დანიშნულება. თემას რომ არ გადავუხვიოთ, მივცეთ საშუალება მომხსენებელს, განავრცოს დაწყებული საუბარი:

„მე ვიცი, რომ მუსიკა, ანუ ის, რასაც ასე უწოდებენ საყოველთაოდ, დაყვანილია ბგერათა შეთანხმების შესრულებამდე მხოლოდ სიმების და ხის მეშვეობით და ის პოეტური თავისუფლება, რომლითაც ის სიტყვას მოიშველიებს, იფარავს იმავე პატივმოყვარეობას, მხოლოდ ამაზე ნურაფერს ვიტყვით, რადგან ამას დიდი სიამით როდი გაგვანდობს. ამ მონახაზის საწინააღმდეგოდ არის წამი, იდეის კლაკნილი და მოძრავი ვარიაციისა, რომლის აღწერასაც იტვირთავს წერა (საუბარია დამწერლობაზე. რატომ მიმართავს მათემატიკა გავრცელებულ მსმენელს გამომცდელი კითხვით? განა აღმოჩნდებოდა მათ შორის რომელიმე მათგანი, ვისაც ექნებოდა ამგვარ ფრაზასთან საორკესტრო ჩანაფიქრის შეხლა). ყოველივე ამას იქნებოდა – განაგრძობს პოეტი, თუ სიტყვა მრავალწინააღმდეგობით „სიმღერით განმედილი და აღმაფრენილი აზრის წყალობას დაკარგავს“.

მოკლედ, მალარმე ცდილობს დაარწმუნოს აუდიტორია, რომ ურთიერთგაცვლა (ესე იგი მუსიკისა, ანუ იმის რასაც ასე უწოდებენ საყოველთაოდ და პოეზიის) შესაძლოა მოხდეს სიტყვის ტრიუმფალური დაბრუნების მეშვეობით, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თუნდაც მცირედი დროით სამონყალოდ მიიღოს ინსტრუმენტალობა, რათა სიცოცხლის ძალნი არ დარჩნენ ბრმად თავიანთი ფარული და გაუმჟღავნებელი დიდებულების წინაშე (თქვენი არ ვიცი და მე უკვე წარმომესახა დონკიხოტი და სანჩო პანსა – აუდიტორიის სახით, რომელიც ტირადას ისმენს „ქარის ნისქვილებთან“ შებრძოლების ბატალიებზე). შემინდოს მალარმეს სულმა, მაგრამ თავად ირონიის დიდოსტატი ხომ კარგად აცნობიერებდა მისი წარმოშობის მიზეზს, რომელიც მისივე შემოქმედების აბსოლუტურად პატივმოყვარეობის ბუნებიდან გამომდინარეობდა. იქნებ არ ვარ მართალი, მაგრამ ასე ჩანს – იგი (ვიმეორებ) ასხვავებს წინააღმდეგობათა წყვილს, რომელშიც არ ხდება სინთეზი, და მას ეს აკმაყოფილებს კიდევ, რადგან განუწყვეტელი განაყოფიერება თავის თავს აუქმებს. ამიტომ მოითხოვს იგი „მიუკერძოებელ დუმისს

მივანდოთ ყოველივეს აღორძინება, რათა გონება შეეცადოს დაუბრუნდეს თავის კერას... ძველებური გამიჯნვა მუსიკისა და ლიტერატურისა, მხოლოდ გზაა საერთო ჩანაფიქრისაკენ მიმართული, ამ შემთხვევაში ერთი პრესტიჟის თითქმის აბსტრაქტული ხილვის ჩამწვდომი, აზრად ქცეული, გაფართოებულ ფურცელსაც რომ თანაბარ უფლებას ანიჭებს“.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მომხსენებელმა მოიკრიბა ძალა და მსმენელებს გაუზიარა თავისი ესთეტიკური თვალსაზრისი: რომ მუსიკა და ლიტერატურა ერთი სახის ორი მხარეა, პირველ შემთხვევაში წყვილადისკენ მიქცეული, მეორე შემთხვევაში მოკაშკაშე, ერთი და იგივე ფენომენის დამაჯერებლობით, რომელიც იდეის წყალობად ვახსენე (მალარმე).

დასასრულს მალარმემ აღმოთქვა სიტყვა, რომელიც შვებისმომგვრელი იყო არა მარტო მისთვის, არამედ აუდიტორიისთვისაც – „ახლა როცა ამოვისუნთქე იჭვისაგან განთავისუფლებულმა, როცა ზიარება მიღებულია, სინანულიც ნაკლებია“. დაუკვირდით, ვედრებანარევი მობოდიშებაც თავისებური რევერანსია: „თავიდანვე დარწმუნებულმა, რას ვიფიქრებდი, რომ ჩვენი მსჯელობის საგანი ჭეშმარიტებად დაგესახებოდათ“. სიხარულისაგან არ იცის, რა მოიმოქმედოს – გაიფანტა გაუგებრობის ბურუსი.

მახსენდება გალაკტიონ ტაბიძის გამოსვლა ერთ-ერთ საიუბილეო საღამოზე ბათუმში, ტრიბუნაზე მდგომი როგორი მღელვარებით კითხულობდა ლექსებს. დასასრულს ტაშის გრიალში გავარდა კულისებში, გადავრჩითო! იქ მყოფთათვის უთქვამს. ამ სცენას მე თეატრის ქანდარიდან ვუყურებდი. იმასაც ვხედავდი, დასაწყისში როგორ ავიდა ტრიბუნაზე, ხელში წიგნი ეჭირა, დარბაზში მსხდომ მაყურებლებს უჩვენა და განუცხადა: მე ახლა ნებისმიერ ადგილზე გადავფურცლავ და წაგიკითხავთო – გადახსნა წიგნი ზუსტად იქ, სადაც წინდანი ქალაქი ჩაედო. ელდა მეცა – ამხელა ბუმბერაზი პოეტი როგორ კადრულობს ეშმაკობას-მეთქი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, გამოუცდელი, სტუდენტი,

არც არაფერი მეკითხებოდა. თუმცა შემდგომში შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი „ცისფერ ყანწელების“ ერთ-ერთ ნომერს, სადაც ტიცინან ტაბიძემ იწინასწარმეტყველა, რომ მომავალ დიდ მხატვარში ერთმანეთს უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. შემდეგ აზუსტებს: რუსთაველი მას ესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე, ამავე აზრით – ევროპის პრეზენტიზმისა. რუსთაველს არაფერს ვერჩი, მაგრამ როცა ეს სტრიქონები წავიკითხე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას სწრაფად მივაპურე, იქ ნაცნობი მეგულებოდა, რომლის მეშვეობით მოვიხელთე სტეფან მალარმეს ქუთაისური გამოცემა (ტუჩზე თითი მიიღო, ეს ნიშნავდა არავინ დაგინახოსო). ასე მოხდა ჩემი მალარმესთან ზიარება, მერე უფრო გამიღრმავდა მოსაზრება, რომ მალარმე და გალაკტიონი აუცილებლად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ენამ მიყვილა თუ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ როცა თამაზ ჩხენკელის წერილი წავიკითხე, შვებით ამოვისუნთქე: ეს წინასწარმეტყველება გალაკტიონ ტაბიძის 1915-18 წლების პოეზიაში ჯერ „ევროპოს პრეზენტიზმის“ პრიმატიტ, ხოლო ომის შემდგომ პერიოდში რუსთაველური მოდულაციებით აღბეჭდილი სტილის პრიმატიტ – სავსებით განხორციელდა (თამაზ ჩხენკელი, 1968 წ. „მნათობი“ №8).

ყოველგვარი აზრის უმაღლესი წერტილი ამოსუნთქვაა (ვალერი). და მალარმემაც „ამონსუნთქა“ აუდიტორიასთან ერთად, მალარმემ იმიტომ რომ უაზრობაა ყველაფერი, ხოლო აუდიტორიამ ამ უაზრობაში იდუმალი პოეტი ამოიციწო. თუმცა აქა-იქ გაისმა ჩურჩული – ამ კაცის მთელი ლექსები სამყაროს სიმღერაა და რას ნიშნავს ის, როცა ლექტორი მუსიკას თვლის წყვდიადის მიქცეულ მხარედ?... აკი შეუქო დებიუსის „ფავნი“? რაა მალარმეში ღირებული, ოღონდ არა მუსიკალური გონების ჭვრეტა, პირიქით, იმ ეპოქაში არ მოიძებნება არავინ მასზე მუსიკალური სულის პოეტი, მაგრამ იცის, რომ მუსიკა – რასაც ასე უწოდებენ საყოველთაოდ, დაყვანილია ბგერათა შეთანხმების შესრულებ

ბამდე მხოლოდ სიმების და ხის მეშვეობით და ის პოეტური თავისუფლება, რომლითაც ის სიტყვას მიაშველებს, იფარავს იმავე პატივმოყვარეობას, მხოლოდ ამაზე ნურაფერს ვიტყვით, რადგან ამას დიდი სიამით როდი გაგვანდობს. იგივე ითქმის გალაკტიონზე და არ შეიძლება მისი პოეზიის გონიერ მკვლევარს მხედველობიდან გამორჩენოდა ეს, მე ვიტყვოდი, დამაინტრიგებელი ინციდენტი. ამიტომ ხელმეორედ გადავიკითხე თამაზ ჩხენკელის წერილი, რომელიც ზემოთ გვქონდა ნახსენები:

„ყველა სიმბოლისტი პოეტი და სიმბოლიზმისაგან გამოსულ, ან მასთან ახლო მდგარ პოეტურ სკოლათა და მიმართულებათა უმრავლესობა იზიარებს ბოდლერის მიერ მიკვლეულ და განხორციელებულ ერთ მეთოდს, რომელიც მანამდე უცნობი იყო, ეს მეთოდი გულისხმობს პოეზიის ისეთი საკუთარი სამყაროს შექმნას, სადაც დემიურგად და დიქტატორად ფრანგი მკვლევარებისა და კრიტიკოსების მიერ La zeve-დ წოდებული, პოეტური განწყობის მდგომარეობა გამოდის, რაც სხვა ენებზე ზუსტად არ ითარგმნება და დაახლოებით ნიშნავს „ზმანებას“, „ოცნებას“, „ნებისმიერებას“!

აქვე უნდა აღინიშნოს მეორე მომენტიც, რომელიც სამყაროს მუსიკალური ხმიერებით განცდას გულისხმობს. მთავარი ამ პრინციპში ლექსის მუსიკალური ხმიერება კი არ არის, არამედ ის, რომ აზრით დატვირთული პოეტური სახე იძენს მუსიკალურ დენადობას, განუსაზღვრელობას, რაც მკითხველის ცნობიერებაში ლირიკული განწყობილების განსაკუთრებულ ექოს ბადებს. გალაკტიონისათვის (ისევე როგორც მალარმესათვის) ნიშანდობლივია ორივე ეს მომენტი. აქედან მოდის იმპრესიონისტული ელემენტების სიჭარბე გალაკტიონისეულ პეიზაჟებსა და აღწერილობაში, რაც საერთოდ დამახასიათებელი იყო გვიანი სიმბოლისტებისათვის, რომლებიც ნაყოფიერად იყენებდნენ პარნასელთა გამოცდილებასა და ბოდლერის, ვერლენისა და მალარმეს პოეზიის იმპრესიონისტულ მიღწევებს“.

თამაზ ჩხენკელის წერილიდან ამოვწერე თუ არა ეს საყურადღებო პასაჟი – შვებით ამოვი-სუნთქე: მეც, მალარმემ უკვე მეორედ და გადა-ღლილმა აუდიტორიამაც. საქმე ის არის – არ უნდა დაგვაზნოს ძველბერძნული სალექსო ფორმით დაწერილმა ჰომეროსის „ილიადამ“ და „ოდისეამ“, რომლებიც მუსიკალურ შთაბეჭდი-ლებას ახდენდნენ მსმენელზე, რადგან მას მღე-როდნენ აიდეები. შემთხვევით არ მიიქცია ჩემი ყურადღება ჩხენკელის წერილში საყურადღებო მაქსიმამ: „ჩვენ შეგნებაში ლექსი და პოეზია ექ-ვივალენტური ცნებებია“.

ჟან-პოლ სარტრი მალარმეს პოეზიის წინა-სიტყვაობაში წერს: „სამყაროს პროზა ლექსს ვერ შთაგაგონებს.“ ლექსისთვის ლექსის მა-ნამდე არსებობაა საჭირო. მართლაც, იგი ხომ თავისთავში მღერის, ვიდრე დაინერგოდეს. აქ მისტიფიკაციაა ჩარეული, რადგან ახალი ლექ-სი, რომელიც საცაა დაიბადება, სინამდვილეში ძველი ლექსია, რომელიც მკვდრეთით უნდა აღ-დგეს. ამიტომ, ლექსი, რომელიც თითქოს ჩვენი გულიდან ბაგეებისკენ მოიწვევს, სინამდვილეში ჩვენი მესხიერებიდან მოდის... შთაგონებაა? (ფილოსოფოსი თავად სვამს კითხვას, რადგან იცის, მის მოსაზრებას ოპონენტები გამოუჩნდე-ბიან, ამიტომ მისი პასუხი ლაკონურია) არსე-ბობს მხოლოდ რემინისცენციები, არ ვიცი, ვის როგორ წარმოუდგენია ამ მოსაზრების სისწო-რე... ჩვენ კი ერთს დავსძენთ: გალაკტიონის აბო-ბოქრებული სული, ქარში ხეტიალი, დიონისური ლტოლვა ნუნუასადმი, განა ლექსს არ წარმოა-დგენდა, ვიდრე ის ქალაღზე დაივანებდა?! თუ კი „ბუნება თავისი გზით ვითარდება, ვერაფერს დაუმატებ“ (მალარმე). გალაკტიონი აქ გვევლი-ნება იმავე თეზის აპოლოგეტად – შინაგანი გან-წყობის მიხედვით, საკუთარ ნებაზე განავრცოს და გაამარტივოს სამყარო: რაკი მარტი გადაყვა სუსხიან ტოტებს და ვერ ააყვავა, მაშინ პოეტი თავად მოირთვება თეთრ ტანსაცმელში და გა-დაიქცევა გაზაფხულად. სწორედ ეს არის თავი-სუფალი მოქმედების მარადი ძალა, რომელიც წვდება სხვადასხვა დროთა შორის დამყარებულ

ხშირსა და იშვიათ ურთიერთობათა ბუნებას. ყოველივე ამაო იქნება, თუ სიტყვა მრავალნა-რთობი, სიმღერით განწმენდილი და აღმაფრე-ნილი აზრის წყალობას დაკარგავს... „და წავალ ქარში, როგორც მოცარტი, გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“. იქნებ გავალრმაოთ ჩვენი მოსაზრება – რა ამოდრავებს ქარს?

„პოეზია საშუალებას აძლევს გონებას ალა-დგინოს კონტაქტი რეალობასთან, რომელიც წინ უძღვის ამ მექანიკურ ურჩხულებს, თვით ამ გონებამ რომ შვა, ანუ წინ უძღვის ჩვენს ვა-რაუდებს და ცოდნას – როგორი საშუალებანი, პოეზიის რა ჯადო იძლევა ამ როლის თამაშის უფლებას“ (ვალერი). როგორც ხედავთ, ვალე-რი გამორიცხავს შთაგონების იდეას, გულით დასცინის ლირიზმს, რომელიც მხოლოდ „ამო-დახილის განვითარებაა, შთაგონებაა, ჰიპოთე-ზაა, ავტორს მეთვალყურის როლს რომ აკის-რებს“. ისევ ვალერი (რომელიც სხვათაშორის მალარმეს მონაფე გახლდათ და ესწრებოდა მის ლექციებს). „მშვენიერების შეგრძნება ესოდენ თავანყვეტილ ძიებათა და ამაო განსაზღვრე-ბათა საგანი – იქნებ, ცვალებადობის შეუძ-ლებლობის აღიარებაც იყოს“. აი, სწორედ ამით გვაკმაყოფილებს და ამით გვანონებს თავს, იპყრობს ჩვენს გონებას, იგი „იძენს“ და აჩერე-ბს დროს (ამასვე აკეთებდა ორფევსიც – მისი სიმღერით მოხიბლულნი, ჩიტები წყვეტდნენ გა-ლობას და მდინარეები ჩერდებოდნენ). არადა, გალაკტიონს დროსთან მიმართებაში სხვანაირი დამოკიდებულება აქვს: ის უშუალო მონაწილეა მოვლენების და სუბიექტური განწყობილების შესაბამისად მისი მბრძანებელიც. „ამაღლდი სულს თეთრ აკლდამაზე... დღეს ყველგან მზეა და სილამაზე (მოულოდნელი აფეთქება) სიკვდ-ილთან ჩემი შემრიგებელი“.

„მზისა და სილამაზის მეოხებით სიკვდილთან შერიგება თავისთავად სიცოცხლისა და შესაბა-მისად ხელოვნების, შემოქმედების, მშვენიერების პოზიტიური ღირებულების აღიარებაა. მაგრამ ეს აღიარება იმთავითვე მოცემულ ჭეშმარიტე-ბად არ არის მიჩნეული. არის რაღაც რუსთვე-ლური სიკვდილ-სიცოცხლის შერიგების ამგვარ

გადაწყვეტაში, ამ ლექსს გააჩნია თავისი პირ-ქუში ორეული („ედარებოდა შეშლილს“), სადაც ყურადღება სამყაროსადმი ნეგატიურ მომენტ-ზეა გამახვილებული, მაგრამ ეს ნეგაცია ლექსის შიგნითვე, ხელოვნების აქტში ხდება. ლექსი, ხელოვნება, იგივე არტისტული ყვავილები, პოეტის აზრით ის ერთადერთი რამ არის, რაც შეიძლება დაუპირისპირდეს სიკვდილს“ (თამაზ ჩხენკელი).

სავსებით ვეთანხმები ზემოთ თქმულს, რომ ლექსი ერთადერთი რამ არის, რითაც შეიძლება დაუპირისპირდე სიკვდილს, ან შეურიგდე მას. მართალია იმ საღამოს, როცა გალაკტიონი ბათუმის თეატრში კითხულობდა თავის შედევრებს – მიუხედავად ძლიერი შთაბეჭდილებისა, მაშინ მე სხვა რამემ უფრო შემძრა, წამით შევიგრძენი მისი გულისამაჩუყებელი მეტაფიზიკური ტკივილი – იგი მთელი არსებით თრთოდა, ასე მეგონა, სადაცაა გულის ძარღვი ჩაუნყდებოდა... მაგრამ იგი „გადარჩა“ (მისივე სიტყვებითა). მას შემდეგ გავიდა ნახევარი საუკუნე და ის ხმა სივრცეში განფენილი, რომელშიც იყო სიტყვებთან ერთად ლექსის საგანი, დღესაც არ შეწყვეტილა, ბოლოს და ბოლოს ის ლექსის მბეჭდველი იყო. „მაქვს მკერდს მიღებული ქნარი, როგორც მინდა“ მას კატეგორიულ იმპერატივად ჰქონდა დასახული – ყველაფერი ლექსად ექცია. ლექსი მხოლოდ მეტყველების ნიშნების სისტემა არ არის, ის არის აგრეთვე ცხოვრების ფორმა, რომელშიც ამ მეტყველებით (ლექსით) მოლაპარაკე ადამიანებმა იპოვეს არსებობის მოდუსი. არაა საჭირო აბსოლუტური აზრის ძიება, რომელიც სამეტყველო ნიშნების უკან უნდა იყოს დამალული. ლექსი არის ცხოვრების ზომა, ხერხი, სახე, მხატვრულ ფორმაში მოქცეული, მხატვრული აზროვნების ნაირსახეობა, საგნის გარდამავალი არამუდმივი მდგომარეობა, ან მეტყველების თვისება. ადამიანები ნორმალურად ცხოვრობენ, მაგრამ პოეტი ავადმყოფია („ედარებოდა შეშლილს“), რომელიც არ იცნობს მეტყველების ყოველდღიურ სტრუქტურებს და ამ სტრუქტურების არცოდნა აიძულებს მას ეძიოს მეტყველების ისეთი ფორმა, რომლის აგებულება (წყობა) მხატვრული ქსოვილი იქნე-

ბა. რას უნდა დაეყრდნოს პოეტური მოთხოვნა, როცა ასე დიდია სასონარკვეთა, რაც ადამიანს უბიძგებს განერიდოს ყოფიერებას, რათა მიუახლოვდეს იდეას. მაღარმემ სერიოზულად განიზრახა თავის მოკვლა ტურნონში, ბეზანსონშიც და ავინიონშიც, იმავე განზრახვით ბათუმისკენ მიმავალ მატარებელში მყოფი გალაკტიონი ოცნებობს, ზღვაში თავის დახრჩობაზე. „ყოფიერება წარმოქმნის რაღაც ყოფიერებას, თუ პოეტი აირჩევს არარსებობას თავისი არშესაძლებლობის შესაბამისად, მაშინ არა იქნება არარას მიზეზი: ადამიანი ყოფიერების ბრძანებელი გახდება ადამიანის გაქრობის გამო“ (სარტრი). ეს ღმერთთან გათანაბრებას ნიშნავს. რალაცნაირი „აბსოლუტური ელვა“ შემოიჭრა მის ფანჯრებში – პირველი, რაც მოიმოქმედა მაღარმემ, იყო ის რომ ზიზლი დაძლია და სამყაროს ბრალი წაუყენა, ხოლო გალაკტიონმა შეისმინა ფლობერის მაცდუნებელი შეგონება წმინდა ანტუანის მიმართ თქმული: მოაკვდინე საკუთარი თავი!... (ანუ ჰქმენ ის, რაც ღმერთთან გაგათანაბრებს... დაფიქრდი, მან შეგქმნა, შენ მის ნამოქმედარს გაანადგურებ მამაცურად და თავისუფლად). განა ეს არ ენადა მაღარმესაც, მაგრამ მან ვერ შეძლო (არა იმიტომ, რომ მას აკლდა „სიმამაცე“, ის შებოჭილი იყო ოჯახური გარემოთი, – უფრო თავისი ასულით) ხოლო გალაკტიონმა, ყველაფრისაგან თავისუფალმა, უყოყმანოდ გამოიყენა ფანჯრის „აბსოლუტური ელვა“ და გადაეშვა მარადიულში, რითაც ადამიანურ ისტორიას პოეტური მსჯავრი გამოუტანა.

P.S.

რაინერ მარია რილკეს აქვს შედეგრი-ლექსი „შემოდგომა“, სადაც ფოთლების ცვენასთან ასოცირდება ბუნებრივი კვდომა – რომ ყველაფერი ცვივა უგუნებოდ და ხელალებით, რომ საერთოა ცვენა და ვარდნა. მაგრამ არსებობს ერთადერთი, ვინც ყოველ ვარდნას ნაზად იჭერს თავისი ხელით.

ამ გრძნეული ხელის გამოღება მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ ძალას ხელეწიფება და ეს ყოვლისშემძლე ფენომენი გახლავთ ლექსი.



იოსებ სანიძიძე

ფართო სივრცითი პუბლიცისტიკური გაქსევი

პუბლიცისტიკის ფერთა მეტყველებას თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნების მსოფლშეგრძნებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ამ საკითხს არც თუ ბევრი მკვლევარი შეხებიდა, საკუთარი მოსაზრება გამოუთქვამს, მაგრამ სპეციალური კვლევა ამ კუთხით არ წარუმართავს. თუმცა თანამედროვე პუბლიცისტიკა მდიდარ მასალას იძლევა კონკრეტული ფაქტების ფერთა მეტყველების, მასობრივ აუდიტორიაზე ფერთა ზემოქმედების საკვლევად, ფერის როგორც ადამიანის ესთეტიკური გემოვნების ძირითად მახასიათებელზე. თანამედროვე პუბლიცისტური ფერთა მეტყველება სინამდვილის, კონკრეტული რეალური ფაქტების დემონსტრირებაა, რომელიც ქმნის საფუძველს ფერის, როგორც პუბლიცისტური სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტის, ესთეტიკის სისტემური შესწავლისთვის.

თანამედროვე პუბლიცისტიკაში უხვადაა წარმოდგენილი ფერები კონკრეტული რეალური ფაქტების საასპარეზოდ. პუბლიცისტური ფაქტი კონკრეტული რეალობაა და არა აბსტრაქცია, ილუზიური წარმოდგენა. ფერი როგორც ერთ-ერთი მეტყველი ნიშანი ადამიანური გააზრებისა, ყოველი კონკრეტული ფაქტის ბუნებრივი შემადგენელია და მისგან გამოყოფა კონკრეტული ასახვის საგნის-ფაქტის სიკვდილის ტოლფასია. საზოგადოების „მკვდრადშობილი“ ფაქტებით დაინტერესება იმავე საზოგადოების სიკვდილის ტოლფასია. ხასხასა, მიმზიდველი ფერები ყოველთვის იტაცებენ ადამიანის არა მხოლოდ თვალთახედვას, არამედ მის ქვეცნობიერს. ამდენად არ უნდა გაგვიკვირდეს ახალი ამბებით ადამიანების ამგვარი გატაცება. როგორც კი რაიმე ახალს მოვკრავთ ყურს, მაშინვე ჩვენი გონება და მეხსიერება იძაბება, თვალეები გაფაციცებით ცდილობენ კონკრეტული სიახლის თვალხილულად დაჭერას. ერთი სიტყვით, არა მხოლოდ ფაქტი, არამედ ფაქტის შემადგენელი ხასხასა ფერების სილუეტები და შრიალი, ასახვის საგანს განსაკუთრებულ ელფერსა და მიმზიდველობას სძენს და კონკრეტული ასახვაც შესაბამისი რეაქციით აღიქმება. ფერები იმდენად ახლობელია ადამიანისთვის, მის გარეშე არსებობაც კი წარმოუდგენელია. შეიძლება ითქვას, ადამიანი თავადაა კონკრეტული ფერის მატარებელი და მის შესაბამის ფერთა „ელვარებას ასხივებს“. სამყაროში ღვთითობოძებული, ბუნებრივი, უმშვენიერესი უამრავ ფერთა პალიტრაა, რომელიც ადამიანებისგან მხოლოდ მისით ტკობას და მშვენიერების აღქმას, განცდას მოითხოვს. შესაბამისად, მის მაგალითად, კაცობრიობამაც თავისი ცივილიზაციის ისტორიაში უამრავ ფერთა ნაზავი შექმნა, რომელიც გამოისახა არა მხოლოდ მხატვრობაში, არამედ ხუროთმოძღვრებაში, ფერწერაში, მუსიკასა თუ ადამიანის ვიზუალურ გამოსახვაში... ფერს თვალის აღიქვამს, მაგრამ გონება იაზრებს

და პირადი „განწყობის“, მიდგომის, გემოვნების შესაბამისად ირგებს. თანამედროვე საზოგადოება, როგორც არასდროს, ფერისადმი განსაკუთრებულად აქცენტირებს, რადგანაც ვიზუალური აღქმა ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნილებად იქცა. ადამიანებს მარტო ამბისა აღარ სჯერათ, თუ მას რაიმე განსაკუთრებულ ხიბლსა და ეშხს არ შევმატებთ. თვალების ფერი, ტანსაცმლის ფერი, ყვავილების ფერი, მანქანის ფერი... რაოდენ მიმზიდველია და საოცარი, რომელიც მოგვწონს და ვერ აგვიხსნია რატომ? უფრო სწორედ, არც გვიცდია მისი ახსნა, რადგან მოგვწონს და ამით ვკმაყოფილდებით. ამის იქით აღარ მივდივართ. პუბლიცისტური ეშხი სწორედ ფერთა განსაკუთრებულ შეგრძნებაში, (მიგნებაში) გამოიხატება, რომელიც აძლიერებს მასობრივი აუდიტორიის ესთეტიურ-ფილოსოფიურ სამყაროს და სძენს კონკრეტული ფაქტისკენ ახალი მისწრაფების, გააზრების დაუოკებელ სურვილს. როგორც არ უნდა გავიგოთ კონკრეტულ ელემენტთა კომბინაცია და სინთეზი ამა თუ იმ პუბლიცისტურ ფაქტში, ვფიქრობთ რომ, ფერი ტექსტის საერთო, მთლიანი ემოციური ეფექტით წარმოჩინდება. პუბლიცისტური ოსტატობის ხიბლი სწორედაც ფერთა შესაბამის კომბინაციაში, პერწყმაში გამოიხატება, როდესაც ფერების ერთობლიობა ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და გრძნობადია მედიატექსტში.

პუბლიცისტური ტექსტის ესთეტიკური გააზრება კონკრეტული ფაქტის სიღრმეში ბუნებრივად არსებული სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციული რიგია, რომელთა შორის ფერი პუბლიცისტურ მეტყველებას, გამოსახვას განსაკუთრებულ ეშხსა და ლაზათს მატებს. პუბლიცისტიკაში უმთავრესია კონკრეტული ფაქტის შინაგანი ბუნების გადმოცემის, გამოხატვის, წარმოჩენის შესაძლებლობა, რომელიც არა მხოლოდ ასახვის საგნის, არამედ ჟურნალისტიკისა და იმ საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტია, სადაც ამა თუ იმ ფაქტის „დაბადება“, „წარმოშობა“ დასტურდება. სწორედაც, რომ ეს უკანასკნელია ფაქტის არსის, მისი როგორც საზოგადოებრივი აზროვნების განმსაზღვრელი და თუნდაც ფაქტის, როგორც ასახვის საგნის ზნეობრივი სახის შემქმნელი.

ადამიანის მიერ სამყაროს აღქმა, შეცნობა, გააზრება ინდივიდუალურია. ერთი კონკრეტული ადამიანის დამოკიდებულება ფაქტისადმი განსხვავდება მეორე ადამიანის შეხედულებისგან. ამის განმაპირობებელი ადამიანში ის ესთეტიური გრძნობაა, რომელსაც გემოვნებას ეძახიან, და რომელზედაც, როგორც იტყვიან, არ დავობენ. მაგრამ სწორედ გემოვნებაა ადამიანთა შორის გაუგებრობების, განსხვავებულ შეხედულებათა არსებობის და ხშირად მწვავე კამათისა და დაპირისპირების მიზეზი. კონკრეტულ რეალობას, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სინამდვილეს კონკრეტული პიროვნება თავისი საკუთარი „გემოვნების“ შესაბამისად შეიმეცნებს და მის შესაბამისივე პოზიციას იყალიბებს. ეს არის სამყაროს აღქმის მარტივი ფილოსოფია, ერთგვარი კანონზომიერი პროცესი, რომელიც კონკრეტული ადამიანის, პიროვნების შინაგანი ესთეტიკური შესაძლებლობების გამოვლენაა.

პუბლიცისტური ტექსტი ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა თანამედროვე სამყაროში. ნებისმიერი ფაქტი, მოვლენა, პროცესი სწორედ პუბლიცისტის ენაზე და ენით ფასდება. თანამედროვეობა კვლავაც უბრუნდება იმ საწყის ეტაპებს, როდესაც სამყაროს აღქმისა და შემეცნების პირველ საფეხურზე უმთავრესი იყო ადამიანური აზროვნების-გემოვნების ღიად და საჯაროდ გამოხატვის, გადმოცემის, დაფიქსირების უნარი. პუბლიცისტური ტექსტის რიტმულ-რიტმული ფუნქცია, ფერთა სიმფონია, დროისა და სივრცის განუყოფლობა ის მნიშვნელოვანი ელემენტებია, ურომლისოდაც უბრალოდ ფაქტი არ არსებობს. ეს არის პუბლიცისტური (ჟურნალისტური) აზროვნების ფილოსოფია. ადამიანები სრულიად განსხვავებულ აღქმებს წარმოადგენენ, რომელიც დამოკიდებულია მათ ემოციურ, სულიერ, გონებრივ კონტექსტებზე. ისინი კონკრეტული პუბლიცისტური ტექსტის გააზრების პროცესში ქმნიან „საკუთარ ტექსტებს“, რომელიც მათთვის უფრო საინტერესო და მისაღებია. ამის შესაბამისად ადამიანები ავლენენ კიდევ საკუთარ

ემოციურ დამოკიდებულებებს კონკრეტული ფაქტის გარშემო. პუბლიცისტური ტექსტი ადამიანის ამოუწურავი ემოციების მასაზრდოებელი წყაროცაა. მისი წაკითხვა, გაგება, მოსმენა ინდივიდუალურია და ამასთან „სწორია“. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი კონკრეტული ასახვის საგნის, როგორც ობიექტური რეალობის მიუკერძოებელი წარმოჩენა, რათა გამოირიცხოს აუდიტორიის მიერ სინამდვილის შეცდომით აღქმის ალბათობა.

კონკრეტული პუბლიცისტური ფაქტი კონკრეტული ენერჯის მატარებელია. ეს ის ძალაა, რომელიც ადამიანის ცნობიერებას გარკვეული ენერჯით მუხტავს და მოჰყავს რეზონანსში, მოქმედებაში. ეს რეზონანსი აუდიტორიას ანიჭებს უნარს შეიგრძნოს ფაქტის მუსიკალურობა და რიტმულ-რიტმული ჟღერადობა, დაინახოს იმავე ფაქტის შინაგანი ფერთა პალიტრა, გაიგოს მისი სივრცით-მოცულობითი არეალი და დროის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლი: – ერთადერთობა და განუმეორებლობა. თუ დავაკვირდებით დროს, შეიძლება ითქვას, დრო და ჟამია „ყოველისფერი“ ამ ქვეყანაზე. მასმედიაში სწორედაც გამორჩეულია და განსაკუთრებული დროის, ოპერატიულობის ფენომენალურობა: დრო არ იცდის, არ ითმენს, არავის ეძახის. ისეთი მძლავრი ფერთა სიუხვე, როგორც დრო-ჟამს აქვს, სხვა არავის და არაფერს აქვს ამ ქვეყანაზე. სწორედაც დრო-ჟამის ცვალებადობა განაპირობებს ფერთა ცვალებადობას. ნელინადის ოთხი დრო, ადამიანის ცხოვრება, და საერთოდ, სამყარო, წუთისოფელი დროის ცვალებადობის პირმშოა. ამიტომაც პუბლიცისტური გააზრება ქმნის ახალ ემოციებს, ბადებს ახალ მიდგომებს, აყალიბებს ახალ პოზიციებს. პუბლიცისტური ფაქტის, როგორც კონკრეტული ობიექტური რეალობის დიფერენცირება კონკრეტული პიროვნების ან უბრალოდ აუდიტორიის აღქმის შესაბამისია.

კონკრეტულ ადამიანებში იმდენად ძლიერია პუბლიცისტური რეალობა, რომ ხშირად თითოეული სტრიქონიც კი არა აბსტრაგირებულ, არამედ კონკრეტულ ნივთიერ, ხორციელ გამოვლენაზე რეაგირებს. ეს შეიძლება იყოს ფერი, მუსიკალურ-რიტმული ჟღერადობა, ან სულაც დროისა და სივრცის შესაბამისობა, რომელიც მასობრივ აუდიტორიაში ახალ ენერჯიას, მოძრაობას წარმოშობს.

ფერი კონკრეტულ ტექსტში ასახვის საგნის – კონკრეტული ფაქტის შინაგანი მათემატიკური ერთიანობის ფუნქციასაც ირგებს, რითაც ჩნდება ახალი შესაძლებლობები დატვირთვის აუდიტორია სხვადასხვა ემოციური მდგომარეობით.

პუბლიცისტური ტექსტი წინასწარ დაგეგმილი პროცესია. ის მაშინ იქმნება, როცა კონკრეტული ქმედება უკვე მოხდა, ხდება ან მოხდება. შეიძლება ითქვას, ეს ყველაფერი მედიის სამოქმედო როლების გადანაწილებული ქმედებაა, მაგრამ მედიატექსტი შეიძლება შევსებული იყოს იმ მნიშვნელობით, რომელშიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანი იკვეთება. პუბლიცისტური ტექსტის წერის სცენარი საზოგადოებისთვის უცნობია. ამდენად აუდიტორია ყოველთვის ირჩევს საკუთარი, პირადი დამოკიდებულებით შეაფასოს ესა თუ ის ფაქტი და იპოვოს ის გამომსახველი საშუალება, რომელიც აუცილებელია გარდაქმნისთვის.

პუბლიცისტი აუდიტორიასთან ერთად, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად, ქმნის მედიატექსტს და ასრულებს „თავის როლს“ – გამოხატავს კონკრეტული ფაქტის „ორეულს“, ანუ გადასცემს გულიდან გულს და აღწევს თავის მიზანს. სხვადასხვა ელემენტები ტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია, რომელთა საშუალებითაც ყურნალისტი ქმნის გაცემის, მონონების, მიმზიდველობის ეფექტს და იპყრობს აუდიტორიის ყურადღებას, ინვესს ინტერესს. თანამედროვე საზოგადოებაში პუბლიცისტიკა ყველაზე საყვარელი და საპასუხისმგებლო ჟანრია, რომელიც ააქტიურებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესებისადმი ყურადღებას და გამყოფებს „საქმის კურსში“. ამიტომაცაა ინფორმაციისადმი ასეთი მზარდი დამოკიდებულება. ის მარტივად ხელმისაწვდომს ხდის ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს. ადამიანებს საყვარელი ფე-

რების საკუთარი სპექტრი გვაქვს. ფერები ზემოქმედებენ ჩვენს განწყობასა და ემოციაზე. ფერთა გარდასახვის, მის სივრცეთა უწყვეტობის შესაძლებლობები გენიალურ მხატვართა შედეგებში, არქიტექტურაში, ხუროთმოძღვრებაში ძალუმად ფეთქავს და აღიქმება ვიზუალურად, ხოლო პროზა-პოეზიასა და პუბლიცისტიკაში მისი აღქმა წარმოსახვით ანუ განცდა-გააზრებით ხდება. ფერთა განსაკუთრებული ხიბლი და მშვენიერება მასმედიაში ის ელემენტია, რომლითაც პუბლიცისტური ტექსტები მკვეთრად გამოხატავენ სიმპათია-ანტიპათიას, მონონება-დანუნებას, სიმშვიდესა და აგრესიას... სამყაროს არსიც ხომ ფერთა და ხმათა მრავალფეროვნება – ჰარმონიაშია. ყველა დროს თავისი, საკუთარი ფერი კვებავს. წელიწადის ოთხი დროც კი ამის ნათელი დასტურია: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი – მისთვის დამახასიათებელი ფერთა სიუხვით გამოირჩევა. სწორედ ფერებია გამოკვეთილი თითოეულ სეზონთან მიმართებაში, რომელიც განსაკუთრებულად შთამბეჭდავი და საინტერესოა. ადამიანიც ამ სამყაროს შვილია. მასში კოდირებული ინფორმაციული ინტერესი სხვა მნიშვნელოვან ელემენტებთან ერთად სწორედ ფერთა შეგრძნებაზე და მათ გამოხატულ ენერჯიაზე მოდის. ყოველი კონკრეტული ფაქტი, მოვლენა, პროცესი მისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ფერით, ფორმითა თუ შინაარსით, მუსიკალურობით, ჰარმონიით, დროითა და სივრცით არის წარმოდგენილი. ამდენად მედიატექსტები, რომელიც რეალურ ფაქტებზეა ორიენტირებული, კონკრეტულ ფერთა გასხვივონებით აფიშირდება. შესაბამისად, ყოველი პუბლიცისტური ტექსტი კონკრეტული ფერის მატარებელია, რადგან პუბლიცისტიკა კონკრეტული რეალობაა და არა რაიმე საგნის ილუზიური, აბსტრაქტული წარმოდგენა. „პუბლიცისტიკა სინამდვილის ზუსტ ფაქტებს ეყრდნობა“ (1-124). კონკრეტული ფაქტებიც კონკრეტულ ფერთა ასახვაა კონკრეტულ დროსა და სივრცეში. ფაქტი არა ფანტაზია და გამონაგონი, არამედ კონკრეტულის, რეალურის წარმოჩინებაა. ამდენად ჩვენ ვსაუბრობთ ფაქტის პუბლიცისტურ ტექსტად გარდაქმნის პროცესზე, როდესაც ტექსტად კონვერგირებული რეალობა სხვა მისთვის დამახასიათებელ ელემენტებთან ერთად ფერებითაც ზემოქმედებს აუდიტორიაზე, კონკრეტულ ადამიანებზე. ზოგადად მედიატექსტის ზემოქმედების პროცესი დინამიკაა და არა სტატიკური რეალობა. ზემოქმედება ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ კონკრეტული ჟურნალისტური ელემენტების ერთობლიობა, რომელიც არა მხოლოდ ტექსტად გარდაქმნის პროცესს ახლავს მხოლოდ, არამედ მისი ბუნებრივი შემადგენელიცაა. „ჟურნალისტი მისთვის დამახასიათებელ „ფერთმეტყველებას“ იყენებს“ (2-69). მუსიკა, ფერი, ფორმა, შინაარსი, სივრცე, დრო ტექსტური ელემენტების ის არასრული ჩამონათვალია, რომელიც ადამიანში ესთეტიური კატეგორიების რიგს აყალიბებს. ამდენად ფერებს, რომლებსაც განვიხილავთ, მედიატექსტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფუნქციათა განხორციელების პროცესში. ფუნქციური დანიშნულება პუბლიცისტური ტექსტისა კონკრეტული ამბის, ფაქტის, მოვლენის, პროცესის საზოგადოებამდე არა მხოლოდ მიტანა, ან მიტანა-შეტყობინება, არამედ სოციალურ ინფორმაციად ქცევა-ზემოქმედება და მის შესაბამისად აზროვნება-მართვაა. პრაქტიკულად ყველა მედიასაშუალება ცდილობს დიდი გავლენა ჰქონდეს აუდიტორიაზე. გავლენა, ზემოქმედება, შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის შექმნა დამოკიდებულია კონკრეტული მედიასაშუალების ეკონომიურ შესაძლებლობებზეც, მაგრამ მასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ვის „კისერზეცაა“ ფაქტის ტექსტად ინტერპრტირების უნარი. ინტელექტუალურ-გონებრივ-პროფესიულ-ესთეტიური მახასიათებლები არა მხოლოდ მედიატექსტებში, საზოგადოებაშიც უნდა ვეძიოთ. ტექსტი ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბში არ იხარშება, საიდანაც ოხშივარი ორთქლად ამოდის. შესაბამისად, ტექსტს არც სუნი ასდის და არც გემო ესინჯება. მაგრამ ტექსტის, როგორც კონკრეტული ფაქტის, მოვლენის, პროცესის სიახლის ამსახველის და მემატთანის ფუნქცია და არეალი იმდენად მეტყველია, მის სუნს, ფერს, გემოს, მუ-

სიკალურობასა თუ ტემპერამენტს ძალიან მარტივად გრძნობს და იგებს საზოგადოება. შეიძლება ითქვას, ამ ყველაფერს თანამედროვე მსოფლიოს ერთი ნერტილიდან მეორეში აღმოაჩენთ. ამაშია თანამედროვე სამყაროს „გლობალურ სოფლად“ გადაქცევის კონცეფცია. „...სხვა შეგრძნებაში არ გვხვდება მსგავსება ეთიკურ თვისებებთან... მხედველობაში გვხვდება ნაკლებად, რადგან ის გადმოსცემს ფორმებს, ოღონდ მცირე მოცულობით და თანაც ყველას არ შეუძლია ამის შეგრძნება. გარდა ამისა, ეს არაა მიბაძვა ზნეობრივი თვისებებისა, არამედ უფრო მეტად მინიშნება ფორმებითა და ფერებით და თანაც ის არსებობს ჩვენ სხეულებრივ განცდებში“ (3-1340a). ადამიანური განცდები უმეტესწილად ფერებითვე გადმოიცემა და ფერებშივე გამოიხატება. სახეზე ნითელი ფერის მოკიდება (ალმური მოედო) პიროვნების აშკარად მოულოდნელ ემოციაზე მიანიშნებს, სახეზე ფერის დაკარგვა, გაფითრება პიროვნების შინაგან სულიერ განწყობასა და მდგომარეობაზე მიგვითითებს. ფერთა მდიდარი სამყარო ძალზე უხვსა და ტევად ასპარეზს უხსნის შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს. გენიალური გალაკტიონი როგორ გამოხატავდა მშვენიერი და მიმზიდველი ფერის უბრალოებასა და სისადავეს, თუმცა სწორედ იგივე უბრალოება და სისადავე იყო სწორედ ფერის მაგიური ძალმოსილების საფუძველიც. „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“... მართალია გენიალური გალაკტიონი ქათქათა ფანტელს იისფერით მოსავს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვანტერესებს არა მხოლოდ გენიალური გალაკტიონის მხატვრულ-მეტაფორული გააზრება, არამედ ამასთან ერთად საინტერესოა ამავე სტრიქონში კონკრეტული რეალობის დინამიკური ბუნების ჩვენება – პროცესზე, მსვლელობაზე თვალის მიდევნება. „იისფერი თოვლის ხიდიდან ფენა“ დინამიკას, მოძრაობას, ახალს, თითქოს რაიმე ახალი პუბლიცისტური ამბის მოყოლას, გადმოცემას უკავშირდება. მოდის ფანტელი და მოდის სიახლე, რომელსაც ახალი ინფორმაცია მოაქვს. ამიტომ უყვარს, ამიტომ ელის... რაც მიუთითებს კონკრეტული ასახვის საგნის ინფორმაციული არეალის მეხსიერებისა და შინაარსის სივრცობრივად განმაპირობებელ ფაქტორზე, როდესაც სიახლეა მთავარი მარგანიზებელი, ჩვენი ემოციური მუხტის, ჩვენი რეაქციის მასტიმულირებელი.

გენიალური რუსთაველი როგორ განაწყობს „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას საზოგადოებას: „ჩვენ კაცთა მოგვცა სამყარო, გვაქვს უთვალავი ფერთა...“ რითაც ქმნის შთაბეჭდილებას ვიხილოთ, დავტკბეთ, ვისიამოვნოთ სამყაროს ფერთა მშვენიერებით, შევიგრძნოთ მრავალფეროვანი მრავალფეროვნება, ოღონდ ამ შემთხვევაშიც დინამიკაში ანუ მოძრაობაში ანუ სიახლესთან კავშირში, როცა შეხება, განცდა, ტკობა ხდება ახალთან წვდომის, სიახლის მიკვლევის საბაზი თუ საფუძველი. ასევე საინტერესოა თანამედროვე პოეტთა სტრიქონებში გაჟღერებული ფერთა გასხვივოსნების ამაღლებული განწყობა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დინამიკაში, მოქმედებაში ანუ სიახლის წვდომაში მდგომარეობს. „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი, არა დაღვრილის, დასაღვრელის ალბათ მაცნეა...“ სწორედაც ფერთა განსაკუთრებული მშვენიერება არა წარსულის, არამედ მომავლის ანუ სიახლის განცდის ანუ ახალი ამბის შთაბეჭდილებით იმოსება და მისდამი ინტერესიც სწორედ ამითაა გამოწვეული. მასმედიაში (პუბლიცისტიკაში) ფაქტი, მოვლენა, პროცესი სავსეა სიახლის წვდომის წყურვილით, ახალი ამბის ანუ იგივე ახალი წესრიგის, ახალი ორგანიზების, ახლებური მონყობის მოლოდინით. ანუ ცვლილებებზე, სიახლეებზე, მოლოდინებზე გამახვილებული ყურადღება და მასზე შესაბამისი ოპერატიული რეაგირება. ეს კი დინამიკაა, მოქმედებაა, რომელიც რუტინულ, გასულ ამბებსა და მოვლენებს ვერ იტანს, ახალი ინფორმაციის დაუოკებელი დაუფლების ჟინით. სწორედ სიახლისადმი განსაკუთრებული ინტერესი ხდის სისხლს ყაყაჩოსფრად, სამყაროს მრავალფეროვნად და ა.შ. ისევე როგორც მხატვრობაში, არქიტექტურაში, ხუროთმოძღვრებაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, პუბლიცისტური ფერები თანაბრად იტევენ სამყაროს აღქმის ნათელ-

სა და მიმზიდველ, ნყვდიადით მოცულ უჰიდევანო, თვალუნვდენ ველ-მინდვრებსა და სივრცეებს, მთელი თავისი ფერადოვნებით; მოულოდნელ და პირქუშ, მიუვალ ყინულიან მთებსა და ჭიუხებს, შინაგანი განცდებითა და ემოციებით; სერიოზულ, ლალ, ან ლატაკ ახალგაზრდა ადამიანებს, მთესავებსა და მთოხნელებს, კარტოფილის შემგროვებლებს, მწყემსებსა და მეთევზეებს, მოგზაურებსა და მონადირეებს, მეშახტეებსა და ლითონშემდუღებლებს, მშენებლებსა და არქიტექტორებს მთლიანი უწყვეტი ფერთა სიუხვით, რომელთა ერთობლიობა ქმნის ცხოვრების რიტმსა და შინაარსს.

მედიატექსტების ფერადოვნება პუბლიცისტიკური აზროვნების სრულყოფილებაა. ის ხელს უწყობს სინამდვილის მარტივ, ძალდაუტანებელ გადმოცემასა და აღქმას. შესაბამის ფერთა ნაზავი პუბლიცისტიკურ ტექსტს ანიჭებს ძალას თავად მოუყვეს და თავადვე აცნობოს აუდიტორიას მიმდინარე მოვლენებსა და სიახლეებზე ყოველგვარი ზედმეტი „ფერ-უმარლის“ გარეშე. მსგავსი მედიატექსტები სწორედ ისეთ ფერებთან ასოცირდება, რომელიც კონკრეტულ ადამიანებზე და მთლიანად საზოგადოებაზე დამამშვიდებლად ზემოქმედებს. ამ დროს მწვანე ფერია მადომინირებული. მწვანე ფერი კი უპირატესობას ანიჭებს ნათელს, მშვიდსა და ბუნებრივს სძენს რეალობას. „მწვანე ფერი ჯანმრთელობის ფერია. როგორც დამამშვიდებელი მოქმედება ნერვული სისტემის და დეპრესიის ეფექტური მკურნალობისთვის. ...ეს ფერი ასახავს მშვიდობას, სიმშვიდეს, დასვენებას და შესწავლას. ეს არის ბალანსის ნიშანი. ეს ყველაზე ნეიტრალური, დამამშვიდებელი ფერია“ (4-1).

თანამედროვე პუბლიცისტიკაში ასახვის ძირითად ფორმად მიჩნეულია ტექსტი. მასში, კონკრეტული ფაქტის როგორც ფორმობრივი, ისე შინაარსობრივი ერთიანობა, „ერთსულხორცობა“ გადმოცემული. ფაქტი ანუ კონკრეტული რეალობა თავისი ორიგინალური, თავისთავადი, „დამოუკიდებელი“ ცხოვრებით „ცხოვრობს“, რომელსაც საკუთარი საზღვრები გააჩნია როგორც ფორმის, ისე მისი შინაგანი მუხტის, ტემპერამენტის თვალსაზრისით. სწორედ ეს შემადგენელი ელემენტი – ფერი გამორჩეული ფერადოვნებით პუბლიცისტიკურ ტექსტებს სამ ძირითად ფერში წარმოაჩენს და გამოსახავს. ცეცხლოვანება და ტემპერამენტი ფაქტის, მოვლენის, პროცესის გულია და მაჯისცემა. ნებისმიერ პუბლიცისტიკურ ტექსტს პულსი უნდა ესინჯებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მკვდარია. ჩვენ ინფორმაციულ, ანალიტიკურ და მხატვრულ-პუბლიცისტიკურ ასახვას ვყოფთ მწვანე, წითელ და ყვითელ ფერებად, რომელიც შინაარსობრივ ეფექტს ვიზუალურადაც აწესრიგებს ანუ შემხებლობითი ეფექტის მომცემიცაა. ესე იგი, თუ გეხებიან, შენთან ძალიან ახლოს არიან, და თუ ახლოს არიან, შენ გესმის მისი, ხანდახან სუნთქვა, ხანდახან მაჯისცემაც კი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტული მედიამომხმარებელი რამდენად რეაგირებადია კონკრეტული ასახვის საგნის მიმართ. მწვანე ფერი ინფორმაციული ჟანრების ბუნებრივი მდგომარეობა, შინაარსი და ხასიათია. ასეთი მედიანფორმაცია სწრაფად გავრცელებადია და საინტერესო. მსგავსი ხასიათის მედიატექსტებს არ ახასიათებს კვლევა-ძიებითი სტილი, მტკიცებითი ფორმა, გადაჭარბებული ყურადღება, პირიქით მარტივად, უბრალოდ და დამაჯერებლად გადმოსცემენ, ეყრდნობიან წყაროებს და ცდილობენ საზოგადოება შეიყვანონ „საქმის კურსში“. შინაგანი სიმშვიდე, სიცხადე, ზომიერი ინტერესი და დამაჯერებლობა, როგორც ბალანსის წყარო და საფუძველი, კონკრეტული მედიატექსტების მასაზრდოებელი ელემენტია და შესაბამისად ტექსტიც საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიმართ ინფორმაციული დამბალანსებლის როლში გამოდის.

ანალიტიკური ტექსტებისათვის წითელი ფერია დამახასიათებელი, რომელიც გამოირჩევა ცეცხლოვანებით, გამორჩეული ტემპერამენტით, კონკრეტული, ელვარე ინტერესით, შინაგანი „მოუსვენრობით“, უმეტესწილად შფოთითა და აგრესიულობით. ეს ფერი თითქოს ვერ თავსდება, ვერ „ეტევა საკუთარ კანში“, ვერ ისვენებს. ვინროა ის ასპარეზი, რომელშიც იმყოფება. აქ ჩანს ფაქტის შინაგანი, დაუდგრომელი, ხანდახან დაუდულარი ბუნებაც. რაც მთავარია, მასში არ დევს ე.წ. დაძვე-

ლების ეფექტი, ანუ მისდამი ინტერესი საზოგადოებაში შესაძლოა ყოველთვის იყოს. ამბის „დაძველების“, „ვადის გასვლის“ შემთხვევაშიც კი მისდამი ინტერესი თითქოსდა „კონსერვირდება“, „ილექება“ საზოგადოების მეხსიერებაში, მაგრამ როგორც ლადარი, რანამს გამოიქექება, მცხუნვარება და სიმხურვალე კიდევ უფრო იმატებს. ის არ არის ე.წ. „მალფუჭებადი“ პროდუქტი. ანალიტიკური ტექსტების არსი კონკრეტული ფაქტების ანალიზში, მათ დაწვრილებით გარკვევასა და სიმართლის დადგენაში მდგომარეობს. ეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც საზოგადოებაში გაჩენილი ეჭვები უნდა გამართლდეს, ან გაქარწყლდეს. სხვა გზა არ არსებობს. ამიტომაც აქ პირდაპირი, მკაცრი, ობიექტური, შეურიგებელი, მიუკერძოებელი მიდგომებია წინ ნამონეული. ეს ყველაფერი კი ტექსტის შინაარსთან არის შესაბამისობაში. ფსიქოლოგების აზრით „წითელი არის ოპტიმისტური განწყობის, აქტიური სასიცოცხლო ფერი, გამოხატავს სითბოს, მოძრაობას, ვნებას, ბრძოლისუნარიანობას. ეს არის ყველაზე უფრო მეტად გამომხატველი და ასოცირდება სიცოცხლის მარადიულობასთან, გამბედაობასთან, მსხვერპლთან, სიყვარულთან, ძლიერ ემოციებთან, ვნებთან ქმედებასთან. წითელი არავის უქმნის სიცივის შეგრძნებას. თქვენ შეიძლება გიყვარდეთ ან გძულდეთ, მაგრამ არასდროს იქნებით ინდიფერენტული წითლის მიმართ“ (4-2).

მხატვრულ-პუბლიცისტური ასახვა ყვითელ ფერთან ასოცირდება და ის არ იგივდება ე.წ. ყვითელ ჟურნალისტიკასთან. პირიქით, ეს ფერი იძლევა საშუალებას სათქმელი უფრო ლაღად, თავისუფალი და მარტივი ემოციებით გამოხატო და ერთგვარი შვება და შინაგანი თავისუფლება იგრძნო. ყვითელი ფერი ლალ ფანტაზიასთან ერთად გონებას თავისებური შინაგანი სილამაზითაც კვებავს. პუბლიცისტური პათოსი ამ დროს პირდაპირიცაა და ირიბიც, ალეგორიულიცაა და მეტაფორულიც, ჟღერადიცაა და გულშიჩამწვდომიც, ფერადოვანიცაა და მუსიკალურიც, ცრემლიანიცაა და ღიმილიანიც. სათქმელის გამოხატვის ეს ფორმა უფრო ტევადია და სიღრმისეული ანუ მარტო პუბლიცისტური სტილი არაა მისთვის დამახასიათებელი. მასში ბევრია ლიტერატურული სარკაზმიც, რომელიც სათქმელს ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვან ეფექტს აძლევს. „ყვითელი მზის, სინათლის და ოპტიმიზმის ფერია, რომელიც გვააქტიურებს, გვასტიმულირებს და გვათავისუფლებს შიშისაგან. იგი გვინარჩუნებს სიფხიზლეს და ხელს უწყობს კონცენტრაციას, თვითდაჯერებულობას. სიმბოლოა შემოქმედების და სიბრძნის. ყვითელი კარგია ფსიქიკური საქმიანობისთვის, როგორცაა აზროვნება და ანალიზი. ამ ფერის მოყვარულებს კრეატიულობის, შემოქმედუნარიანობის მომატებული დონე აქვთ. ყვითელი ეხმარება მათ მძიმე წუთებში ყურადღების კონცენტრირებაში“ (4-3).

თანამედროვე ცხოვრებაში პუბლიცისტიკამ სამწუხაროდ დაკარგა თვითცენზურა და შესაბამისად აკადემიურობაც თითქოს აღარ ასოცირდება ჩვეულ, კლასიკურ, ტრადიციულ სტილთან. კლასიკოსი პუბლიცისტების აკადემიზმი სიმართლის, მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, ბალანსის მესაძირკველ იყო. ილიას, აკაკის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის და სხვათა პუბლიცისტური ღვაწლი ამის ნათელი მაგალითია. დღეისათვის აკადემიური სტილი პუბლიცისტიკაში პრაქტიკული თვალსაზრისით ზედმეტად ზღვარდებული შეიქმნა. თვითცენზურა, იგივე სარედაქციო პოლიტიკა, სიახლეთა განმსაზღვრელი გახდა. თანამედროვე მედიამაგნატები ისე ჭრიან და კერავენ, როგორც მორგში მომუშავე ახალგაზრდა პრაქტიკანტი ქირურგები ცხედარს, უფრო კონკრეტულად, მეორე კურსის სტუდენტი, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღია დიფერენცირებული განათლება მედიცინაში. მედიცინაში არსებული ღირებული თეორიული ნაზრევი ნამდვილად დგას კლასიკური სტილის სადარაჯოზე, მაგრამ როგორც ერთიანი მთლიანი სისტემა უსაზღვრო საინფორმაციო სივრცეში გაცილებით მეტ რესურსს საჭიროებს. პუბლიცისტური ტექსტის ტრანსფორმაცია შინაგანი იმპულსის კარნახით უნდა განხორციელდეს, რომ არ დაირღვეს კავშირი დროისა და სივრცის, ფორმოზრეც და შინაარსობრივ, ყოფიერებით და ცნობიერებით, ვიზუალურ-ემოციურ და წარმოსახვით დონეებზე. იყოს

აღსაქმელიც, მანუგეშებელიც, პასუხისმგებელიც. ეს სწორედ იმ ელემენტთა ერთობლივი პროდუქტია, რომელსაც ზოგადად პუბლიცისტიკური, ჟურნალისტიკური „ყოფიერება“ წარმოაჩენს. ჩვენ ვერ გავიზიარებთ აზრს იმის თაობაზე, რომ პუბლიცისტიკის ესთეტიური კრედო, სურვილი, რომ აუდიტორიის სულიერი მოძღვარი ყოფილიყო, მარცხით დამთავრდა. მართალია დიდი ხმაურია ატეხილი ჟურნალისტიკური სამყაროს გარშემო, რომლის საფუძველი მის მრავალფეროვნებაში უნდა ვეძიოთ. თანამედროვე მედიის სანახაობრივ ბრენდად ქცევა, არ არის გამოსავალი. გამორიცხულია მედიის გამარტივებული აღქმა, მისი კომუნიკაციური ბუნების „მოთვინიერება“, როგორც მიკრო – ასევე – მაკრო დონეზე. კარგად უნდა გვესმოდეს ისეთი გამაოგნებელი შთაბეჭდილების მოხდენა ჩვენს თვალთახედვასა, გონებასა და სმენაზე არავის და არაფერს შეუძლია, როგორც მედიას! ხშირად ამიტომაც რამდენადმე უხალისოდ, მაგრამ უყოყმანოდ ვალიარებთ ხოლმე პუბლიცისტიკური ტექსტების სიდიადეს განმარტოებულები და აღმოჩნდება, რომ ჩვენ, ადამიანები, არა ვართ სრულყოფილები, როგორც ჩვენი ქცევის ორიგინალები. სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოებას რეალობაზე მეტად ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების პუბლიცისტიკურ გააზრებაზე ორიენტირებული ანუ ინტერპრეტირებული რეალობის დანახვა სურს, სადაც ხშირად ესთეტიურად „დამახინჯებელი“ ამბები და ადამიანთა ისტორიები იქმნება. შეიძლება ითქვას, ჟურნალისტი ახალ სინამდვილეს ქმნის, სადაც რეალურად არსებულ მოვლენებსა და ფაქტებს ინტერპრეტირებული ენაცვლება.

ეს პუბლიცისტიკური ანუ იგივე ჟურნალისტიკური აზროვნების დაუსრულებელი დინამიკაა და მისივე ბუნების მუდმივი განვითარების პირობა. ეს არის უბრალოდ ის ფილოსოფია, რომელსაც მედიას ეძახიან და ამ დროს ის ყველაფერშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ყველა ფერსა და ყველა დროში გადმოიცემა. ეს ძალზედ რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რომელსაც ვერსად გავექცევით. ჟურნალისტები დღეს და არა მხოლოდ დღეს ალაპარაკებულან, არამედ ლაპარაკობდნენ ყველა საკაცობრიო თემასა და იდეალებზე, გამოთქვამდნენ ეჭვებსა და ვარაუდებს, გვიზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, გვაცნობდნენ საკუთარ და საზოგადოებრივ შეხედულებებს. რა ხდება? ხომ არ ენაცვლება მასმედია, ხომ არ იზღუდება სხვათა საზღვრები? „ზედმეტად“ ხომ არ ფართოვდება მედიაბუნება და მისი არეალი? რა განაპირობებს ყოველივე ამას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი თუ მედიის ბედისწერა, მისი შინაგანი ბუნება!? მედია არავის საზღვრავს, არავის აქცევს ჩარჩოებში. უბრალოდ სურს ის დაინახოს, რაც არის და სიმართლეს თვალი გაუსწოროს. რთულია ეს ყველაფერი, მაგრამ საინტერესო და აუცილებლად გასაანალიზებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. სურგულაძე, ჟურნალისტიკამცოდნეობის საფუძველები, 1996.
2. მ. გერსამია, ელემენტარული ნაწილაკები ჟურნალისტიკაში, 2011.
3. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწილი მეორე, 1996.
4. გალაკტიონ ტაბიძე, ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია, 1980; გვ. 405, თბილისი, „მერანი“.
5. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, გვ. 312, სტრ. 976, 1986, თბილისი, „განათლება“.
6. მურმან ლებანიძე „100 ლექსი“, 2006.
7. https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/perebis___psikologia/perta-sim/mtsvane

წილი

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახურის დასახელების შესახებ

ქართველ და უცხოელ მემკვიდრეთა ცნობების თანახმად ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობა იქადაგა სამმა მოციქულმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მათათამ. ძველი ცნობები მოციქულთა მარშრუტების შესახებ ზოგადი ხასიათისაა. უცხოურ წყაროებში საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელებაში ანდრია მოციქულის ღვაწლი საგანგებოდაა აღნიშნული ბასილი დიდის (970-1025) სახელით ცნობილ თვენში, სადაც ვკითხულობთ: „ანდრია მოციქული წავიდა დიდ სებასტოპოლისში, სადაც ზღვას ერთვის მდინარეები ფსარე (ჭოროხი) და ფასიდი (რიონი)“ (ანდრია პირველწოდებულის საქართველოში ქადაგების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისათვის იხ.: ს. გოგიტიძე, ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში; შურნალი „ჭოროხი“. 1990, №4; რ. ხალვაში, ანდრია პირველწოდებულის საქართველოში, ბათუმი, 2011; გ. ბურდული, ანდრია პირველწოდებულის და საქართველო, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, VIII, თბ., 2019).

აქვე აღვნიშნავთ: 1898 წელს 22 წლის ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგში დაწერილ თავის ნაშრომში „ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ უნდობლად მოეკიდა საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოსვლის ცნობას. ქართული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება მოღვაწეობის პირველ ეტაპზე მას თავს მოახვია მასწავლებელმა – ნიკო მარმა. ქართული წყაროების უგულვებელყოფისათვის ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწეები აკრიტიკებდნენ.

საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა

დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ ანდრია პირველწოდებულმა საქართველოს ამჟამინდელ ტერიტორიაზეც იქადაგა. ასევე, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ანტიოქიის პატრიარქთან კამათისას გიორგი მთაწმინდელმა დაასაბუთა ქართული ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა, შესაბამისად, პირველი საუკუნეებიდანვე მისი ავტოკეფალურობა.

ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტები არ იქმნებოდა. ქართული წყაროების მიხედვით, საქართველოს ავტოკეფალიის აღიარება მოხდა სწორედ V საუკუნეში, მაგრამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ უძველესი უცხოური ცნობა დაცულია VIII საუკუნის მოღვაწე ეპიფანე კონსტანტინოპოლისის თხზულებაში (საკითხის ისტორიისათვის იხ.: მ. თამარაშვილი 1995, ა. ჯაფარიძე, 2017, ნ. ლომოური 2019, მ.

ბენდელიანი 1999, ბ. დიასამიძე 2001; ზ. ალექსიძე 2002, დ. ნინიძე 2005, ე. ბუბულაშვილი 2008, ქ. პავლიაშვილი 2008, ი. არაბიძე 2009, გ. ბურდული 2010, ლ. მათეშვილი 2019...).

ბუნებრივია, უცხოურ და ქართულ ისტორიულ წყაროთაგან საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შესახებ ყველაზე ვრცელი ინფორმაციები გვაქვს „ქართლის ცხოვრებაში“ ანუ საქართველოს ძველ ისტორიაში (ქართლი ამ შემთხვევაში სრულიად საქართველოს გულისხმობს), სადაც შესულია „მოქცევაი ქართლისაის“ (საქართველოს გაქრიატიანების ისტორიის) ტექსტიც და ადრეულ პერიოდში შექმნილი სხვა ტექსტებიც. ქართველი ერისა და ქართველთა სახელმწიფოს ისტორიული მატრიანე: „ქართლის ცხოვრება“ საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. XI საუკუნეში სხვადასხვა წყაროების საფუძველზე „ქართლის ცხოვრებას“ რედაქტირება გაუკეთა და განაახლა ლეონტი მროველმა. ლეონტის შემდეგაც პერიოდულად ივსებოდა „ქართლის ცხოვრება“. „ქართლის ცხოვრება“ მოიცავს ქართველთა ისტორიას უძველესი დროიდან XV საუკუნის შუა პერიოდამდე.

ჩვენამდე მოღწეული არ არის „ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციები. აქამდე გამოვლენილი უძველესი ხელნაწერი შექმნილია 1479-1495 წლებში კახეთის მეფის ალექსანდრეს მეუღლის, ანა დედოფლის, შეკვეთით. ამ ხელნაწერში არ გვაქვს ინფორმაცია აჭარაში ანდრია პირველწოდებულის ქადაგების შესახებ, მაგრამ დაახლოებით ამავე პერიოდის ბერძნულ ტექსტში გვაქვს დეტალური ცნობები წმიდა ანდრია პირველწოდებულის აჭარაში ქადაგების შესახებ (იხ. ქვემოთ). საკუთრივ ქართულ მატრიანეში ანდრია პირველწოდებულის აჭარაში ქადაგების შესახებ დეტალური ცნობები გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ მე-18 საუკუნის ჩანართში.

ანდრია პირველწოდებულის შესახებ ჩანართის ისტორია

XV-XVII საუკუნეები საქართველოს ისტორიის რთული და „ბნელი“ დროა; შესაბამისად, ამ პერიოდში პერიოდულად აღარ იქმნებოდა „ქართლის ცხოვრება“. მეფე ვახტანგ მეექვსემ მიზნად დაისახა სამსაუკუნოვანი წყვეტის შევსება და ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომ გადამწერთაგან „შერყვნილი“ ძველი ტექსტების რედაქტირება მოეხდინათ და გიორგი ბრწყინვალის მეფობის შემდეგ დროინდელი საქართველოს თავგადასავალი აღწერათ (განახლებულ „ქართლის ცხოვრებას“ წამძღვარებული აქვს ბერი ეგნატაშვილის წინასიტყვაობა, სადაც საუბარია „სწავლულ კაცთა კომისიის“ მოწვევის მიზნებსა და მათი მუშაობის შედეგებზე; <https://qim.ge/beri%20egnataSvili.html> დამონება: 05.01.2020).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „სწავლულ კაცთ“ გამოუყენებიათ არა მხოლოდ ქართული, არამედ სპარსული, სომხური და ბერძნული საერო და საეკლესიო მატრიანეები; ასევე, ზეპირი გადმოცემები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ბოლო ხანების აღწერილობისას გამოუყენებიათ. უსარგებლიათ ქორონიკონით და სიგელ-გუჯრებითაც. „სწავლულ კაცთა კომისიის“ ღვაწლად უნდა ჩაითვალოს საისტორიო მწერლობაში საბუთებიდან ამოღებული ცნობებით სარგებლობის დამკვიდრება, რაც მეტად რთული საქმეა. მაგრამ, როცა ამა თუ იმ ხანის შესახებ სხვა არანაირი მასალა არ მოეპოვებოდათ, „სწავლულნი კაცნი“ სიგელ-გუჯრების საშუალებით აღადგენდნენ ზოგიერთ მეფეთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას... „ახალი ქართლის ცხოვრებას“ რამდენიმე ავტორი ჰყავს, მისი ნაწილები განსხვავდება ენით, მართლწერით. თხზულება ქართლ-კახურ დიალექტზეა დაწერილი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ის აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა მიერაა შექმნილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი მონათხრობი უფრო თანმიმდევრული და ზუსტია მაშინ, როცა სხვაგან ხშირად ვხვდებით უზუსტობებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგი ხანის შესახებ შედარებით მეტი წყარო მოიპოვებოდა, სხვებზე კი – ნაკლები. მაგრამ ალბათ ამგვარი ვითარება თვითონ კომისიის წევრთა ცოდნასა და ნიჭზეც იყო დამოკიდებული. აღსანიშნავია, რომ „სწავლულ კაცთ“ განურჩევლად ყვე-

ლა ხელთარსებული მასალა არ მიუღიათ, არამედ საექვოზე უარი უთქვამთ და მხოლოდ დაზუსტებული წყაროები შეუტანიათ თავიანთ ნაშრომში“ (ივ. ჯავახიშვილი, 1977).

როგორც ვხედავთ, **„სწავლულ კაცთა“ კომპეტენციაში ეჭვი არ ეპარება ივანე ჯავახიშვილს.** თანამედროვე სპეციალისტები „ქართლის ცხოვრებაში“ სწორედ „სწავლულ კაცთა“ ჩამატებულად თვლიან ანდრია პირველწოდებულის მიერ ზემო აჭარაში ქადაგებისა და დიდაჭარაში ეკლესიის აგების ამბავს. სინამდვილეში, ანდრია პირველწოდებულის შესახებ ცნობები გაცილებით ძველი ჩანს.

ანდრია პირველწოდებულის აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ქადაგების შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ „ჩამატებული“ ტექსტი დაწერილია ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით; გამორიცხულია, რომ ეს ტექსტი შეექმნათ „სწავლულ კაცებს“, რამდენადაც „სწავლულ კაცთა“ მიერ დაწერილი ეპიზოდების ენა, რომელიც, როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, **„ქართლ-კახურ დიალექტზეა“ დაფუძნებული.** დიდი ალბათობით, ანდრია პირველწოდებულის აჭარაში ქადაგების შესახებ თხრობისას „სწავლული კაცები“ იყენებდნენ ძველ ხელნაწერს – მათ გამოიყენეს რომელიღაც ძველი წყარო, რომელიც დღემდე უცნობია ჩვენთვის. ეს წყარო ასახულია მე-16 საუკუნის ბერძნულ ტექსტში; კერძოდ, კვლევის ამ ეტაპზე გამოვლენილია XVI საუკუნის დასაწყისის **ბერძნული წყარო**, რომელსაც, რ. ხალვაშის მტკიცებით (რ. ხალვაში, 2011, გვ. 75), თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი, რაც გვაფიქრებინებს, რომ უფრო ძველი ქართული ტექსტიც არსებობდა (ბერძნულ ტექსტს უფრო ძველი ქართული წყაროც აქვს საფუძვლად). **ბერძნული ტექსტის სრული დასახელება ასე უღერს: „კონსტანტინოპოლის უწმინდესი საღვთო ეკლესიის დიდი რიტორის მანუელის თხრობა აწყურში მყოფი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ქალწული მარიამის ხატსა და სასწაულებზე, რომლებიც მან სხვადასხვა ჟამს მოიმოქმედა“.** ტექსტი 1987 წელს რუსულ თარგმანთან და ვრცელ გამოკვლევასთან ერთად გამოსცა სომეხმა მეცნიერმა რ. ბარტიკიანმა (ბარტიკიანი 1987:37-118). „თხრობის“ ავტორია „კონსტანტინოპოლის უწმინდესი ეკლესიის დიდი რიტორი“, ცნობილი მწერალი მანუელ კორინთელი (1460-1550). დღეს რთულია მტკიცება თუ, ქართული ტრადიციული ცნობების გარდა, კიდევ რა წერილობით წყაროებს ეფუძნება ბერძენი დიდი რიტორის, მანუელ კორინთელის თხრობა. ჩვენი აზრით, შეუძლებელია, ბერძნული ტექსტი მხოლოდ ქართულ ზეპირ გადმოცემებს ემყარებოდეს. ფაქტი კი ისაა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ადრეული ხელნაწერების თანადროულია მანუელ კორინთელის ტექსტიც; ეს კი გვაძლევს ლოგიკური ვარაუდის დაშვების საფუძველს: აჭარაში ანდრია პირველწოდებულის ქადაგებისა და სოფელ **დიდაჭარაში ეკლესიის აგების** შესახებ წერილობითი ინფორმაცია XVI საუკუნეებდეც არსებობდა.

დიდაჭარის სახელის ისტორია

ბერძნული და ქართული წყაროების ცნობას, რომ **ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში პირველი ეკლესია ააგო საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში – აჭარაში, ამყარებს ერთი საინტერესო ფაქტიც:**

ამჟამინდელ ხულოს რაიონში ოდითგანვე არსებობდა სოფელი აჭარა. დიდი ალბათობით, მდინარე „აჭარის წყალმა“ სახელი ამ სოფლიდან მიიღო: აჭარის წყალი – მდინარე, რომელიც სათავეს იღებს სოფელ აჭარიდან. შდრ., მდინარეების სახელების სხვა მსგავსი წარმოება: ჩირუხი – ჩირუხის წყალი; ჩაქვი – ჩაქვის წყალი; ფოცხოვი – ფოცხოვის წყალი; არხოტი – არხოტის წყალი; ხანი – ხანის წყალი... ანალოგიური წარმოებისაა **სუფსაც**, რომელიც მომდინარეობს სურ(ებ)ის მთის სახელიდან: სურების ფსა (სიტყვა „ფსა“ – ადრეულ ქართულში წყალს აღნიშნავდა).

ტოპონიმთა სახელდების უგამონაკლისო წესია, თუ გვხვდება ტოპონიმი ზედსართავით (მსაზღვრელით) „დიდი“ („ზედა“, „იმიერი“...) იქვე არსებობს ტოპონიმი ზედსართავით: „პატარა“ („ქვედა“, „ამიერი“...); შდრ., მაგ.: დიდი ჯიხაიში – პატარა ჯიხაიში; დიდი ჩაილური – პატარა ჩაილური; დიდი ციხიათა – პატარა ციხიათა (ქარელის რაიონი); დიდი ინჩხური – პატარა ინჩხური... ზედა ტომაშეთი – ქვედა ტომაშეთი; ზედა აგარა – ქვედა აგარა, ზედა მახუნცეთი – ქვედა მახუნცეთი; ზედა სამება – ქვედა სამება და მრავალი სხვა.

გამონაკლისია სოფელი „დიდი აჭარა“ (დიდაჭარა): იქვე არ გვაქვს დასახლებული პუნქტი სახელწოდებით: „პატარა აჭარა“. საქართველოში სამ სოფელს ერქვა „აჭარა“: აჭარაში, იმერეთსა და ლეჩხუმში. სავარაუდოდ, მემატინემ, ხალხმა ზემო აჭარაში არსებულ პატარა სოფელ „აჭარას“ „დიდი“ უწოდა იმიტომ, რომ, გადმოცემის მიხედვით, ანდრია პირველწოდებულმა აქ ააგო **პირველი ეკლესია**.

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი:

ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოგზაურობის მე-16 საუკუნის დასაწყისის ბერძნულ ტექსტში (რომლის ავტორია დიდი რიტორი მანუელ კორინთელი) იხსენიება სოფელი „აჭარა“ და არა – „დიდი აჭარა“. აშკარაა, რომ სოფელ „აჭარას“ „დიდი“ უწოდა ქართველმა ხალხმა ან ქართველმა მემატინემ და ის აისახა მხოლოდ ქართულენოვან ტექსტში.

ლოგიკურია დავუშვათ, რომ მთელ კუთხეზეც – აჭარაზეც – ამ სოფლის სახელი განზოგადდა ამ სოფლის გამორჩეულობის გამო.

რომისა და ირანის აქტიური დაპირისპირების ერთ-ერთ პერიოდში – IV საუკუნის დასაწყისში – რომის იმპერიის კვალად, საქართველოშიც (ქართლის სამეფოში, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს) **სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ქრისტიანობა**. ამ დროს საქართველოს მეფე იყო ეთნიკურად სპარსელი მირიანი, რომელმაც, **სპარსული ორიენტაციის საპირისპიროდ**, ქრისტიანობის მიღებით დასავლური ორიენტაცია აირჩია. ამ არჩევანმა საქართველოს არა მარტო სულიერი ცხოვრება, არამედ პოლიტიკური ბედიც სამუდამოდ დაუკავშირა ქრისტიანულ სივრცეს, რომელიც დანარჩენი ევროპის ტერიტორიას ფარავდა. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპული ქრისტიანული სივრცის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილია საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, აჭარაში არსებული სოფელი **დიდი აჭარა (დიდაჭარა)**.

აჭარა და მუსლიმანობა

აჭარა ოდითგანვე იყო ქართული სამყაროს ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით აჭარა ქართველთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური საერისთავოს ნაწილია: „მეექუსე გაგზავნა ოძრჯის ერის-თავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა. მეშუდე გაგზავნა კლარჯეთის ერის-თავად, და მისცა არსიანთგან ზღუამდე. და მერვე, ქუჯი, იყო ერის-თავი ეგრისისა...“ როგორც ვნახეთ, აჭარა, ასევე, არის ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უპირველესი ცენტრი.

არაბობის დროს აჭარაში მუსლიმანობის გავრცელების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს; როგორც ცნობილია, არაბებს აღმოსავლეთ საქართველო ჰქონდათ ოკუპირებული და ძირითადად თბილისს განაგებდნენ.

აჭარაში მუსლიმანობის გავრცელება იწყება მას შემდეგ რაც საქართველო დანაწევრდა პატარა-პატარა სამეფო-სამთავროებად. **მოძმეთა მხადაჭერის გარეშე სამხრეთ საქართველოს (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, შავშეთ-იმეხევი, ლაზეთი, ლივანა...) ქართველობა ვერ გაუმკლავდა** მრავალრიცხოვან მომხდურს. ოსმალეთმა დაიქვემდებარა განაპირა მხარეების ქართული

მინები და რელიგიის საშუალებით დაიწყო მოსახლეობის ასიმილაცია, რომ სამხრეთ კავკასიაში მაინც სამუდამოდ უზრუნველყო თავისი ბატონობა. ისტორიამ შემოინახა აჭარელთა გამუსლიმანების ტრაგიზმით აღსავსე ეპიზოდები. დაპყრობითი ომების შემდეგ გამუსლიმანება ძირითადად ხდებოდა ეკონომიკური ბერკეტების საშუალებით. აჭარის მოსახლეობის ნაწილი დამპყრობელს შეაკვდა, ნაწილმა კი შთამომავლობის, ეთნიკური მეობის, ეროვნების, დედაენის გადარჩენის მიზნით მიიღო მუსლიმანობა.

შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ოსმალეთის პერიოდში მუსლიმანობა ქართველთა ორგანულ რელიგიად ვერ იქცა: **მუსლიმანობის გავრცელების მიუხედავად, ხალხი დიდ პატივს მიაგებდა იესო ქრისტესა და ღვთისმშობელს.** ჩვენს წინაპრებს მტკიცედ სწამდათ, რომ განკითხვის ჟამის გამგებელი, პირველი მსაჯული, იესო იქნება, მამა ღმერთის უსაყვარლესი მოციქული, რომლის სახელსაც მრავალ სასწაულს უკავშირებდნენ. მოსახლეობა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა წმინდა მარიამის სპეტაკ სახელს. აგვისტოს კი ძველი ტრადიციის შესაბამისად, მარიამობის თვეს უწოდებდნენ. მუსლიმანობამ აჭარაში ვერ ნაშალა ბევრი ქრისტიანული ტრადიცია და ჩვეულება, თუნდაც ის, რომ მჭადის გამოცხოვისას, აჭარელი ქალი კეცზე ახლაც ჯვარს ასახავს. **აჭარაში უდიდეს ცოდვად ითვლებოდა** ქრისტიანული სალოცავების, ხატების, საეკლესიო ნაკეთობების უპატივცემულობა, წმინდანების აუგად მოხსენიება, ეკლესიის ნანგრევი ნარჩენების მითვისება-გამოყენება და სხვა. აჭარაში ოსმალეთის ბატონობის ბოლო პერიოდში ინტენსიურად დაიწყო მუსლიმანური სალოცავების მშენებლობა, რომლებსაც ადგილობრივი (აჭარელი და ლაზი) ოსტატები აგებდნენ. საგულისხმოა, რომ **ოსტატები მუსლიმანური სალოცავების მშენებლობისას ფართოდ იყენებდნენ ტრადიციულ ქართულ – ქრისტიანულ ორნამენტებს.**

განსხვავებული რელიგიის მიმართ ასეთი დამოკიდებულება მსოფლიოს სხვა ხალხებში არ შეინიშნება. ეს ფენომენი აქაურთა გენეტიკური მეხსიერების ნაყოფია. სწორედ ამან განაპირობა, რომ **აჭარა მსოფლიოს გამორჩეული ადგილია, სადაც ბოლო ათწლეულებში ბევრი ადამიანი დაუბრუნდა წინაპრების რელიგიას – ქრისტიანობას.**

ჩვენმა წინა თაობებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ასეც მოხდებოდა; მაგ., ზემო აჭარის ყადი, მუსლიმანი **ნური ბერიძე, შვილიშვილებს ასე მოძღვრავდა:**

„რამდენიმე ქართველმა მეფემ, თვით სულმნათმა სულხან საბა-ორბელიანმაც, სხვა რელიგია მიიღეს იმიტომ, რომ იქნებ საქართველოსათვის ეშველათ... **რწმენისთვის კაცი არ დაიძრახება; რაც მთავარია, წყალი წავა-წამოვა და ისევ პირვანდელ კალაპოტს დაუბრუნდება.** ე.ი. ჩვენი ხალხი კვლავ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ისტორიულ რწმენას დაუბრუნდება...“


დიდაჭარა – პილიგრიმების მიზიდულობის ცენტრი

გამუსლიმანებულ აჭარლებსაც კი ეამაყებათ, რომ აჭარა პირველი მხარე იყო, სადაც ქრისტეს უპირველესი მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ლოცვა-კურთხევით ჩვენი წელთაღრიცხვით 35-37 წლებში სოფელ დიდაჭარაში აიგო პირველი ქრისტიანული ეკლესია. **აჭარაში ანდრია პირველწოდებულის ქადაგებისა და ეკლესიის აგების ამბავი უნდა შევიდეს სასკოლო გამოცემებშიც და „ქართლის ცხოვრების“ ყველა გამოცემაში** (ზოგი გამოცემელი ამ მნიშვნელოვან საკითხს რატომღაც გვერდს უვლის). მეტიც, ხელისუფლებაც და ხალხიც ვალდებულია, დიდაჭარაში აიგოს ახალი ტაძარი, რომელიც **გახდება მთელი მსოფლიოს პილიგრიმების მოლოცვის ადგილი.** დიდაჭარაში მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღდგენა და საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების ყურადღების ცენტში მოქცევა დიდ ეკონომიკურ მოგებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობასაც.

გადმოცემის მიხედვით, იქ სადაც ანდრია პირველწოდებულმა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა, მიწიდან ამოხეთქა ფრიად უხვმა „მაკურნებელმა“ წყარომ. სოფელ დიდაჭარაში ქრისტიანული ცხოვრების წესის მრავალი სხვა მინიშნება არსებობს: ტოპონიმები, ხალხში შემორჩენილი ლეგენდები, თქმულებები და სხვა. ეს ყველაფერიც გავაცნოთ მთელ მსოფლიოს. დარწმუნებული ვართ, საქართველოს (დიდაჭარის) ნაცვლად ესოდენ გამორჩეული მოვლენა მსოფლიოს სხვა ქვეყანის ისტორიას რომ დაკავშირებოდა, ის ქვეყანა დიდი ხნის წინ გახდებოდა პილიგრიმთა მოლოცვების წმინდა ადგილი.

დღეს აჭარა, ზემო აჭარა, სოფელი დიდაჭარაც სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ქართველთა ჰარმონიული თანაცხოვრების ადგილია. დიდაჭარის ძველი ისტორია კი თანაბრადაა საამაყო ყველასთვის (აღმსარებლობის მიუხედავად!). სასურველია, **ეს ისტორია თანამედროვე კონტექსტში უნდა გავიაზროთ და საფუძველი ჩავუყაროთ ახალს, რომელიც სახელოვანი წარსულის ღირსეული გაგრძელება იქნება.** პირველ რიგში, დიდაჭარაში უნდა აიგოს დაახლოებით ისეთი სალოცავი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ააშენეს ანდრია პირველწოდებულის ლოცვა-კურთხევით. ზემო აჭარაში, ასევე, უნდა განვახიზნოთ შესაბამისი ინფრასტრუქტურაც, რომ ყველა მომლოცველსა თუ ტურისტს შეეძლოს დაუბრკოლებლად სტუმრობა დიდაჭარაში და კომფორტულად დასვენება.

20.01.2020



რამაზ სურმაანიძე

გრიგოლ ვოლსკის საილუმო საფლავის გახსნაზე სოფა-ლა ლაჩია

(ნარატიული წყაროები)

გრიგოლ ვოლსკი (1859-1909) – ექიმი, პოეტი, პუბლიცისტი, მუნიციპალური და საზოგადო მოღვაწე. ბათუმის ქალაქისთვის მოადგილე. დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, მუშაობდა ბათუმში როტშილდის ქარხნის და რკინიგზის ექიმად. ლექსებს და საგაზეთო წერილებს აქვეყნებდა სტუდენტობის დროიდან **უმწიფარიძის** ფსევდონიმით. იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტი, არაერთხელ განიცადა რეპრესიები ცარიზმის ხელისუფლების მხრიდან, იმყოფებოდა მეფის „ოხრანკის“ მეთვალყურეობის ქვეშ. ოხრანკის მიერ მიგზავნილმა აგენტმა ორჯერ ქუჩაში დაჭრა. ბოლო ორი წელი მოღვაწეობდა თბილისში, კერძო სათავადაზნაურო გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. გარდაიცვალა თბილისში, ჩამოასვენეს ბათუმში და მშენებარე ქართული ეკლესიის გალავანში დაკრძალეს. ახალ მშენებლობას ეკლესიაც და სამარხებიც შეენირა. საფლავი დღემდე დაკარგულად ითვლება.

ნახევარი საუკუნის წინ, 1967 წელს, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, გრ. ვოლსკის პირველი ბიოგრაფის, მწერლის და პედაგოგის **დავით ნაცვალაძის** წიგნის გაცნობისას ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პოეტის, მედიკოსის და მუნიციპალური მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის

(უმწიფარიძის) საფლავის ადგილმდებარეობა უცნობია.¹

ბატონ დავითს კარგად ახსოვდა, როგორ დაანგრეს მშენებარე ქართული ეკლესია და ახალი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის ჩაყრის დროს როგორ განადგურდა მის ირგვლივ მდებარე საფლავები. პატრონი ვისაც ჰყავდა, სხვაგან გადაასვენეს, მაგრამ ბევრი ნეშტი იქვე იყო მიმოყრილი და ბავშვები თავის ქალათი ფეხბურთს თამაშობდნენო – სინანულით თქვა დავითმა.

გრიგოლის საფლავზე მწერალმა გვითხრა: თავადაც ბევრი ვეძიე, მაგრამ არაფერი გამომივიდაო.

ამ შეხვედრის შემდეგ გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოვაქვეყნე წერილი, „სად არის გრიგოლ ვოლსკის საფლავი?“ იგი დღესაც აქტუალურია, ამიტომ მოვიტან ნაწყვეტს ამ წერილიდან:

„1907 წლის ზაფხულში გრ. ვოლსკი მეფის ხელისუფლებამ აიძულა გასცლოდა ბათუმს და საცხოვრებლად თბილისში გადასულიყო. აქ იგი ერთხანს სათავადაზნაურო სკოლაში მასწავლებლობდა, მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლია და 1909 წლის 5 ოქტომბერს გარდაიცვალა. ბათუმის ინტელიგენციის თხოვნით, გრიგოლ ვოლსკის ცხედარი ბათუმში გადმოუსვენებიათ და ქართული ეკლესიის ასაშენებლად მისივე

თაოსნობით გამოყოფილ მინაზე (ამჟამად გორკის ქ. №25) დაუსაფლავებიათ.

გრიგოლ ვოლსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის გამგეობამ აირჩია სპეციალური კომიტეტი, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა გრ. ვოლსკის ძეგლის გეგმა და შეეგროვებინა მისი დადგმისთვის საჭირო თანხა. დაიბეჭდა ფურცელი, რომელიც მოუნოდებდა ქალაქის ინტელიგენციას შეეტანა თავისი წვლილი გრ. ვოლსკის უკვდავყოფის საქმეში.

ეს არის და ეს. სამწუხაროდ, დღემდე არ ვიცით გრ. ვოლსკის საფლავი. ამბობენ, 1928 წელს „სოუქსუზე“ გადაასვენესო, მაგრამ სად არის დასაფლავებული, არავინ იცის. იქნებ ხანდაზმულთა შორის აღმოჩნდეს ისეთი, ვისაც ახსოვს ქართული ეკლესიის დანგრევა და მახლობლად მდებარე სასაფლაოების ბედი-ილბალი? აუცილებელია ქალაქის ინტელიგენციამ იზრუნოს ძეგლის დადგმაზე.²

მეორე დღესვე სამუშაო კაბინეტში მესტუმრა ცნობილი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი ხეჩინაშვილი**. მან მიაბო: „კარგად მახსოვს გრიგოლი, მისი ბათუმში მოღვაწეობა, გარდაცვალება და გადმოსვენება, ბათუმის გიმნაზიის მოსწავლეები საქალაქო სათათბიროს წინ, ხალხით სავსე ქუჩაში გლოვის ცერემონიალს და ეკლესიის ეზოში დაკრძალვასაც ვესწრებოდით. შემოძლია მიახლოებით ადგილი გიჩვენოთ, მაგრამ 1928 წელს, როცა ეკლესია დაანგრეს, მე თბილისში ვცხოვრობდი და ამ საფლავების ბედი ჩემთვის უცნობია; საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას ისე წაიშალა ძველი ზედაპირი, რომ ახლა რაიმეს მიგნება გამიჭირდება... ეს ამბები ყველაზე კარგად ეცოდინება ადვოკატ **ევტიხი ხორომანსკის**, რომელიც ჩემზე უფროსია, კარგად იცნობდა გრიგოლს, ორივე პოლონური წარმოშობის არიან, მაგრამ მასთან მე არ მახსენო...“³

გიორგი ხეჩინაშვილი ჩემი უფროსი კოლეგა და მეგობარი იყო. ვთხოვე და არც ის დამზარდა გვენახა ადგილი, სადაც 1909 წელს გ. ვოლსკი

დაკრძალეს, თუმცა ამან შედეგი არ გამოიღო, რადგანაც ახალმშენებლობის დროს ყველაფერი მართლაც შეცვლილიყო.

მოკლედ ვიტყვი, **ევტიხი ხორომანსკიზე**, რადგანაც მისი და გრიგოლ ვოლსკის წინაპრების ბედი თითქმის ერთნაირია. გარდა ამისა, როგორც გაირკვა, ევტიხი გრიგოლის მეგობარი და მესაიდუმლეს ყოფილა.

ევტიხი ხორომანსკი 1830 წელს პოლონეთში გაჩაღებული აჯანყების მონაწილის შვილიშვილი იყო. მისი წინაპარი გურიაში სოფელ ჭანიეთში გადმოასახლეს; შეირთო გურული ქალი და 1836 წელს შეეძინა შვილი ივანე (1836-1931). დავაჟკაცებულმა ივანემაც ჭანიეთელი მართა ნიკოლოზის ასული ლომჯარია (1852-1903) შეირთო. აქ იგი ფლობდა მიწებს, საკმაოდ მდიდარი იყო და ბათუმშიც შეიძინა საცხოვრებელი სახლი. ჭანიეთში ივანეს შეეძინა ვაჟები: ევტიხი, გაბრიელი და ქალიშვილი, რომელიც ლიხაურელ სევასტი ურუშაძეზე გათხოვდა.⁴

ძმები ევტიხი (1881-1972) და გაბრიელი (1890-1937) ბათუმში გაიზარდნენ. უფროსმა ძმამ იურიდიული, ხოლო გაბრიელმა სამედიცინო განათლება მიიღო. იყო აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე, კურორტ-სამმართველოს უფროსი. იგი გამოგონილი ბრალდებით დააპატიმრეს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.⁵

ევტიხი ცნობილი ვეჟილი გახლდათ. ძალზე მკაცრი, სამართლიანი, მაგრამ გადაჭარბებულად პრინციპული. იგი თავიდანვე მენშევიკებს მიემხრო, რამდენჯერმე დააპატიმრეს, სიკვდილიც ჰქონდა მისჯილი, მაგრამ გადარჩა.

მიუხედავად ამისა, 1911 წელს ევტიხი ქალაქის ხმოსნობის კანდიდატად დაასახელეს, თუმცა გუბერნატორის ბრძანებით, არაკეთილსაიმედო ხმოსნებთან ერთად იგი გადააყენეს და მათ ნაცვლად სხვები აირჩიეს.⁶ თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 1917 წლის არჩევნებში ევტიხი მაინც გახდა ბათუმის სათათბიროს ხმოსანი და ამ ტიტულს იგი 1921 წლამდე ატარებდა.

ევტიხის და მის ქართველ მეუღლეს მარკელისას ორი ქალიშვილი: **ინჩულა, ქეთევანი** და ერთი ვაჟი ჰყავდათ; ვაჟი ადრე გარდაიცვალა, ქეთევანმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და აჭარაში ცნობილი მენ-გინეკოლოგის სახელი მოიხვეჭა. იგი სილამაზითაც გამოირჩეოდა. ერთმა ინჟინერმა თვალი დაადგა, მაგრამ ევტიხიმ უარი უთხრა. საქმე ნებით რომ არ გამოვიდა, სასიძომ ქეთევანი მოიტაცა. ევტიხიმ ქვეყანა ფეხზე დააყენა, გატაცებული ქალი სახლში დააბრუნა, ხოლო გამტაცებელს სასამართლოში უჩივლა და ციხეში ჩაასმევინა, საიდანაც იგი სახლში აღარ დაბრუნებულა.

გიორგი ხეჩინაშვილი და ქეთევან ხორომანსკაია ერთად მუშაობდნენ. ჯერ კიდევ ცოლიანმა გიორგიმ ქეთოსთან გააბა რომანი, დიდხანს არაოფიციალურად ცხოვრობდნენ და მეგობრობდნენ. ევტიხი ცოფს ყრიდა, მაგრამ გიორგის ვერაფერი მოუხერხა. კანონი ასეთ ურთიერთობას არ კრძალავდა, თუმცა წლების მანძილზე გიორგის არ დალაპარკებია. სწორედ ამიტომ გამაფრთხილა ბატონმა გიორგიმ, ევტიხისთან მე არ მახსენოო.*

ევტიხი ხორომანსკის მეც ვიცნობდი, მიქება და კალამს, ქალაქის საბჭოში ჩემი მუშაობისას, სახლიდან მომავალი, ყოველთვის დამიკაკუნებდა ხოლმე ფანჯარაზე და ახალ ამბებს მიყვებოდა, რაც ბევრგან გამოვიყენე ჩემს ნაწერებში.

მრავალი ინფორმაციიდან ამჯერად გავიხსენებ ევტიხი ხორომანსკის მონაყოლს **ვაჟა-ფშაველაზე**, რომელსაც პირადად არ იცნობდა, მაგრამ ახსოვდა ერთი ეპიზოდი დიდი პოეტის ცხოვრებიდან.

მთიან აჭარაში, თავიანთი აჭარელი ნათესავების, ხიმშიაშვილების კუთვნილ იალაღებზე, ბეშუმში, არსიანსა და ჩირუხში ცხვარი სეზონურად ჩამოჰყავდათ არაგვისპირელ ხიმშიაშვილებს, სარქლებად და მწყემსებად თუშები, ფშავები და ხევსურები ჰყავდათ. მათთან ერთად ხშირად ჩამოდიოდნენ ნათესავები, მოგზაურები და აჭარის ცხოვრებით დაინტერესებული პიროვნებები.

1903 თუ 1905 წელს ბათუმში გამომძიებელ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე სტრუვესთან მოუყვანიათ, შუახნის, ჯანღონით სავსე, მაღალი, წვერიანი მამაკაცი, რომელსაც მარჯვენა თვალი დაზიანებული ჰქონდა. მის თანმხლებ ჩაფარს გამომძიებლისთვის მოუხსენიებია, რომ არაგვისპირელთა ცხვარი აირია მომთაბარე ხემშილების ფარაში, მწყემსებს შორის გაიმართა დავა, რაც ლამის ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. ჩვენ შევეცადეთ რამდენიმე მწყემსის დაკავება, მაგრამ ამ პიროვნებამ ყველაფერი თავის თავზე აიღო, მე ვაგებ ყველას მაგივრად პასუხსო. გამომძიებელს მოუთხოვია თარჯიმანი, მაგრამ დაკავებულს უთქვამს, გნებავთ რუსულად ან სხვა ენაზე ვისაუბროთო. გამომძიებელი განცვიფრებულა მწყემსის ასეთი ცოდნით და დანვრილებით გამოუკითხავს მისი ვინაობა. „როცა გამოირკვა, რომ იგი **ვაჟა-ფშაველა** იყო, რომლის შესახებ მამაჩემისგან, ნიკოლოზ სტრუვესგან ბევრი რამ გამეგო, ყოველგვარი ძიების გარეშე გავუშვიო“ – უთქვამს ვლადიმერ სტრუვეს მისი კოლეგა ევტიხი ხორომანსკისთვის.

ვაჟას ცხოვრების ეს და სხვა უცნობი ეპიზოდები შევითანე ჩემს წიგნში, „დაუფინყარი სახეები“ (ბათუმი, 1969 წ., გვ. 17-31), რამაც კიდევ უფრო დამაახლოვა ევტიხი ხორომანსკისთან და მე ყოველთვის მისი მადლიერი ვარ.⁷

გრიგოლ ვოლსკის თაობაზე ცნობების მოსაპოვებლად შევარჩიე დრო და ევტიხის სახლში ვენვიე. ძველი ყაიდის კაცი იყო და სტუმრის მიღებაც ღირსეულად იცოდა. ქეთოს უბრძანა: სტუმარს შაქარყინული მიართვიო. მანამდე შაქარყინული არ გამესინჯა და ცოტა დავიბენი, უფრო სხვა ჩაროზმა გამიიტაცა.

გრიგოლ ვოლსკით ჩემი დაინტერესება ევტიხის ძალზე გაუხარდა. აღწერა მისი გარეგნობა, მიხვრა-მოხვრა, ხასიათი, ხელისუფლებასთან მუდმივი შეხლა-შემოხლა, ქალაქისთვის უანგარო სამსახური და ა. შ. მე ვინერდი ყველაფერს და ისე გამიტაცა მონაყოლმა, რომ ანგარიშში-

* ევტიხის გარდაცვალების შემდეგ გიორგი და ქეთევანი კანონიერ რეგისტრაციაში გატარდნენ, სადაც მონმედ მეც მიმიწვიეს.

უცემლად წამომცდა: რა კარგი მირჩია გიორგი გავრილოვიჩმა-მეთქი (ხეჩინაშვილი). ამის თქმა და ევტიხის განრისხება ერთი იქნა. ადგილს ვერ პოულობდა და თავისთვის ბუზღუნებდა: ეგ, უსახელო, რომ მცოდნოდა სიტყვასაც არ დავძრავდი, მე როგორ მასხენაო და ა.შ.

მივხვდი, რაც ჩავიდინე, მაგრამ გვიანი იყო. ევტიხიმ შეწყვიტა აქამდე მისთვის სასიამოვნო საუბარი და მაგრძნობინა, რომ ზედმეტი ვიყავი. მეც ჩანანერით დავკმაყოფილდი და სახლიდან გამოვედი, ქეთომ გამომაცილა, არაფერი უთქვამს, მაგრამ მის ნაღვლიან თვალებში ყველაფერი ვიგრძენი.

ასე უშედეგოდ დამთავრდა ვოლსკის საფლავის ძიება. ერთხანს მეც გამიტყდა გული, მაგრამ უკან დასახვევი გზა არ მქონდა.

ევტიხი ხორომანსკი ყველა სიკეთესთან ერთად უაღრესად კულტურული კაცი იყო და ჩემთან ძველი ურთიერთობა არ გაუნწყვეტია. თუმცა მე ვერ ვბედავდი დაწყებული საუბრის გაგრძელებას. ამასობაში 91 წლის ევტიხი გარდაიცვალა და ჩემი იმედებიც გაქრა. თუმცა, მალე გაირკვა, რომ პესიმიზმი ნაადრევი იყო, მას ჩემთვის საინტერესო ცნობა დაეტოვებინა.

ევტიხის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სამსახურში მოსულს თანამშრომელმა **იზოლდა ზაქარიაძემ** დამახვედრა ქალაქის პატარა ფურცელი, ხანდაზმულმა რუსმა ქალმა მოიტანა და დაგიტოვათო. ქალაქდზე წითელი ფანქრით ეწერა: **„ვოლსკაია ვ. პ. (ვალენტინა პეტროვნა) რუსთაველის 35. ვოლსკი ანდრეი გრიგოლის ძე, ბათუმი, სასაფლაო „სოუქ-სუ“, I რაიონი, №425“.**⁸

რალაც იმედი გაჩნდა და დაუყოვნებლივ მივედი რუსთაველის 35-ში ვალენტინა პეტროვნას სანახავად. სახლში ხანდაზმულმა ქალმა მიმილო, მაგრამ ის არა ვალენტინა, არამედ სხვა იყო, **ოლია კალანტაროვად** გამეცნო:

– ვალია შარშან გარდაიცვალა, მარტოხელა იყო და მისი ბინა მე მომცეს, იგი ცირკში კონტროლიორად მუშაობდა. ჩვენ ვმეგობრობდით და სიკვდილის წინ დამიტოვა ის ქალაქი, მაგრამ

ბათუმიდან ხანგრძლივი დროით წასვლა მომიხდა და ნათესავებთან ლენინგრადში და დროზე ვერ მოგიტანეთ. დამიბარა, რომ ევტიხი ივანიჩის სახელით გადმომეცა თქვენთვის. მე თვითონ განვანების ტრესტში ვმუშაობო.

ოლიამ ვალენტინას მეუღლეზე არაფერი იცოდა.

– მას ამ თემაზე ჩემთან არაფერი უთქვამს, მაგრამ „სოუქ-სუზე“ დადიოდა, ორჯერ მეც ვახლდი, აქ ჩემი შვილია დაკრძალულიო. მის გვერდით, ერთი ღობის შიგნით, მეორე საფლავი იყო, მაგრამ იქ ვინ განისვენებდა, ვალიას არ უთქვამსო.

რატომ გაასაიდუმლოა ვალენტინა პეტროვნამ საფლავის ბინადრების ვინაობა? ჩემი აზრით, მთავარი მიზეზი იყო შიში, რომელსაც არაქართული გვარის მქონეთა მიმართ საბჭოთა ხელისუფლების მტრული დამოკიდებულება იწვევდა.

თვალსაჩინოებისთვის აუცილებელია მცირე გადახვევა. ცარიზმი მის მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან მოჯანყე ანტირუსულ ელემენტებს საქართველოში: გურიაში, იმერეთში, კახეთში, სამეგრელოში და სხვა კუთხეებში ასახლებდა. ისინი აქ დამკვიდრდნენ, გააჩაღეს ქართველებთან ნათესაურ-მოყვრული ურთიერთობა, ისწავლეს ქართული ენა და ფაქტობრივად გაქართველდნენ, მათ მხოლოდ საკუთარი გვარიღა შერჩათ.

რუსეთის ადმინისტრაციაც შეეგუა მათს ყოფნას თავის დაშორებულ პროვინციებში, თუმცა გადმოსახლებულ პიროვნებებზე საპოლიციო მეთვალყურეობა არ შეუწყვეტია.

უცხო გვარის მქონე, ან უკვე საქართველოს მოქალაქეების მიმართ უნდობლობა და ეჭვები გაძლიერდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით ოცდაათიან-ორმოციან წლებში, როცა დაიწყო პოლიტიკური რეპრესიები და ამ პროცესებმა უღმობელი, სასტიკი სახე მიიღო, ამ დროს გრიგოლ ვოლსკი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მისი ზოგიერთი ახლობელი რეპრესიების ორომტრიალში მოექცა; დიდ შევინროებას განიცდიდა მისი და,

პედაგოგი ბარბარე ვოლსკაია (1863-1939) და ყველა ის პიროვნება, ვისთანაც მას ჰქონდა მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა.

1930 წლის 26 მაისს ცნობილი საზოგადო მოღვაწე, იურისტი და ქმნ-კგს-ის ბოლო თავმჯდომარე **იასონ ლორთქიფანიძე (1866-1949)** მოულოდნელად ГПУ-ში გამოძიებულ კაულისს გამოუძახებია და სხვა მრავალ შეკითხვასთან ერთად ასეთი კითხვაც დაუსვამს:

- უცხოეთის ქვეშევრდომებს ვის იცნობთ?
- ისეთს არავის, რომ გამახსენდეს...
- პოლონელებს?
- არცერთს.

– ვოლსკის ქალი თქვენთან რომ ცხოვრობს ის ხომ პოლონელია?

– ის ნამდვილი ქართველია, არავითარი პოლონური მასში არ არის. ის დაა ცნობილი ქართველი პოეტის გრ. ვოლსკის, ფსევდონიმი „უმნიფარიძე“. ცხოვრობს ჩემთან, რადგან იგი დიდი მეგობარი იყო ჩემი გარდაცვლილი დის (ნინო-ნუცა, რ. ს.), მუდამ ცხოვრობდა მასთან და შემდეგ, რადგან დარჩა სრულიად უნათესაო, მეც გადმოვიყვანე ჩემთან“.

არაა გამორიცხული, რომ ვალენტინა პეტრეს ასულიც არაერთხელ დაკითხეს; ამის შემდეგ ის იძულებული იყო ყოველმხრივ დაემალა მისი კავშირი ვოლსკებთან.

ვინ არის ვალენტინა პეტროვნას მიერ მოხსენიებული ანდრეი გრიგოლის ძე ვოლსკი? აგრეთვე მის გვერდით დაკრძალული პიროვნება? ეს კითხვა მთელი ნახევარი საუკუნე არ მასვენებს, მაშინ საფლავზეც ავედი, მაგრამ ამდენ ხანს უპატრონო სამარეს ვინ შეინახავდა? იქ ახლა სხვები არიან დაკრძალული და საბოლოო და დამაჯერებელი პასუხი ვერ მოვიფიქრე.

შეკითხვებით ვაწუხებდი გრ. ვოლსკის თანამედროვეებს, ხანდაზმულ ბათუმელებს, ჩემს უფროს მეგობრებს. **ალექსანდრე (საშა) თიროშვილს და იუსუფ აბაშიძეს**, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ვერც მათ მითხრეს. ერთადერთი ხელმოსაკიდი, რაც ბატონ საშასგან გავიგონე, ის იყო, რომ:

– გრიგოლს ბათუმში ყავდა მეგობარი ქალი, მაგრამ არავინ იცოდა მისი ვინაობა. ამბობდნენ, ერთმანეთს შეფიცეს, არასოდეს გაამხილონ თავიანთი ურთიერთობაო. თვითონ გრიგოლს ამ თემაზე საუბარს ვერავინ უბედავდა. ერთადერთი ვისაც შეიძლებოდა სცოდნოდა ეს საიდუმლო, **ვეტიხი ხორომანსკი** იყო, მაგრამ ისეთი კერპისგან, ვერაფერს გაიგებდით, – მითხრა ა. თიროშვილმა.

ჩემთვის ეს ცნობაც საინტერესო აღმოჩნდა, რადგანაც ამით გრიგოლ ვოლსკის ცხოვრების ინტიმურ მხარეს ოდნავ მოეფინა ნათელი. უცოლშვილოდ გადაეგო, რომ ამბობდნენ, მართალი არ ყოფილა.

დასკვნის გაკეთებისთვის ჩემს ხელთ არსებული ცნობები საკმაოდ არ მიმაჩნდა, ვფიქრობდი მათს შევსება-გამდიდრებას, მაგრამ ამასობაში ჩემი ინფორმატორების მოგონებები, ერთად შეკრული, სამსახურის ხშირი ცვლის გამო, გამებნა. ამიტომ ერთხანს გავჩუმდი და მეც დავიჯერე მოარული ხმები, რომ შესაძლოა გრიგოლ ვოლსკი ეკლესიის ეზოდან არ გადაუსვენებიათ.

2016 წელს, ყოფილი ეკლესიის სავარაუდო ადგილზე, არქეოლოგ **ირაკლი ქვიშვილის** ხელმძღვანელობით, გათხრებიც ჩატარდა. მონაწილეობდნენ: **გია რამიშვილი, ბიძინა აფხაზავა და ამ სტრიქონების ავტორი**. თუმცა ჩვენ იქ უბრალო მინიშნებაც კი ვერ აღმოვაჩინეთ. სხვა გზა აღარ დამრჩა, განვაახლე ძებნა და საბედნიეროდ, დაკარგულ ყველა ჩემს ჩანაწერს მედიცინის ისტორიის მუზეუმის არქივში მივაკვლიე.

მხოლოდ ამის შემდეგ გავბედე გამომეთქვა ჩემი ვარაუდი, რომელსაც პირველად ვაქვეყნებ:

1. გრიგოლ ვოლსკის ბათუმში სამოქალაქო ქორწინებით ჰყავდა მეგობარი ქალბატონი ვალენტინა პეტრეს ასული, რომლის ქალიშვილობის გვარი უცნობია.

2. გრიგოლს და ვალენტინას შეეძინათ ვაჟი, ანდრეი გრიგოლის ძე, რომელიც 1928 წლამდე გარდაიცვალა და დედამ ბათუმის საქალაქო სასაფლაოზე (I რაიონი, №425) დაკრძალა.

3. 1928 წელს დაუმთავრებელი ქართული ეკლესიის დანგრევის შემდეგ, როცა ჭირისუფლები შეუდგნენ თავიანთი მიცვალებულების ნეშტის გადასვენებას, ვალენტინა ვოლსკაიამ ეკლესიის ეზოდან გრიგოლი გადაასვენა ქალაქის სასაფლაოზე და შვილის, ანდრეის გვერდით დაკრძალა. დადებული პირობა ბოლომდე დაცვა და ეს ცერემონიალი საიდუმლოდ ჩაატარა, რამაც გრიგოლ ვოლსკის საფლავის ადგილმდებარეობა გაასაიდუმლოა და მხოლოდ ვკმაყოფილდებოდით ფრაზებით: „შესაძლოა ქალაქის სასაფლაოზე გადასვენეს“, ან კიდევ „ეკლესიის ეზოში უნდა ვეძიოთ“ და ა. შ.

4. ისლა დაგვრჩენია, მივიღოთ საფლავის ამჟამინდელ მეპატრონეთა თახმობა, გავთხაროთ მითითებული ადგილი, კერძოდ I რაიონის №425 საფლავი დავადგინოთ ნეშტის სქესი, ასაკი, რაც მთავარია, ჩავატაროთ დნმ-ის ანალიზი და შევადაროთ დღეს მცხოვრები ვოლსკების სინჯებს, რითაც მივიღებთ საბოლოო შედეგს.

ჩემი ვარაუდები ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოსაა, შესაძლოა მალე ყველაფერს აეხადოს ფარდა, გრიგოლ ვოლსკის საფლავსაც მივაკვლიოთ და იგი ისეთი პატივით დავკრძალოთ, როგორც ქართველ პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლს შეეფერება.

8 იანვარი, 2020 წელი

გამოყენებული ლიტერატურა:


1. დავით ნაცვალაძე, გრიგოლ ვოლსკი, ბათუმი, 1955 წ.
2. რამაზ სურმანიძე, სად არის გრიგოლ ვოლსკის საფლავი?, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №46, 1968 წ. 6 მარტი.
3. გ. ხეჩინაშვილის მოგონების ჩანაწერი, ჩემთან ინახება.
4. სულიკო ლომჯარია, სოფელი ჩემო. თბილისი. 2012 წ. გვ. 375-379.
5. რამაზ სურმანიძე, ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წლები), თბილისი, 2014 წ. გვ. 76, 268, 269.
6. „ბათუმის გაზეთი“, №11, 1911 წ.
7. რამაზ სურმანიძე. დაუვინყარი სახეები. ბათუმი. 1969 წ. გვ. 21-29.
8. ხელნაწერი ჩემთან ინახება.



პარინა ჩხიკვაძე

სისასჯიკე და გულმონყალეა ერთი უჩრის ორი ზონალობაა (ხალიდ ჰოსეინი „მთებმა მთებს უთხრეს“)

ყოველი მკითხველი ამა თუ იმ ნაწარმოებს საკუთარი კრიტერიუმებით აფასებს. მაგალითად, დიდად ნაკითხი და ლიტერატურის საოცარი მოყვარული, ამ საქმის ნამდვილი ექსპერტი, ვასიკო კეჭერაძე აღნიშნულ საკითხზე წერდა: „მე, საყვარელო, ჩემი იშვიათი ფიქსატორი მაქვს, რომელსაც ვერც ერთი უზუსტესი ხელსაწყო ვერ შეედრება. როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წავიკითხავ, იქნება ეს ნაწარმოები მთლიანად, თუ ერთი პატარა ეპიტეტი ან შედარება, ვიმეორებ, თუ მართლა კარგი და ღირებულია, მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძგლავს“...



მეც, როგორც რიგით მკითხველს, კარგი ნაწარმოების შეფასების ჩემეული კრიტერიუმი გამაჩნია. ესაა ცრემლები, თუ ნაწარმოების კითხვისას ცრემლს ვერ ვიკავებ, ე. ი. მწერალმა მიზანს მიაღწია. არ მინდა, მკითხველმა იფიქროს, რომ ძალიან სენტიმენტალური და ნაზი არსება ვარ და ჩემი აცრემლება იოლია. სრულიადაც არა, ცხოვრებამ უამრავი გამოცდა მომიწყო და საკმაოდც გამომანართო... და, მიუხედავად ამისა, როცა ავლანელი მწერლის ხალიდ ჰოსეინის რომანი „მთებმა მთებს უთხრეს“ წავიკითხე, საკმაო ცრემლი ვღვარე. თუ რატომ, ამას წიგნის წაკითხვისას დარწმუნდებით. იქამდე კი ორიოდ სიტყვით მინდა მოგიხსროთ, თუ რატომაა ეს წიგნი ჩემთვის ღირებული.

რომანი მოგვითხრობს ღარიბი და-ძმის – აბდულასა და ფარის ცხოვრების გზაზე, რომელიც უამრავი ტკივილითა და წინააღმდეგობითაა სავსე. დასასრული თითქოს ბედნიერია, მაგრამ სწორედ იმ ბედნიერი დასასრულის წაკითხვისას გრძნობს მკითხველი უზარმაზარ ტკივილს, სინანულს, წუხილს...

ნაწარმოების პირველი თავი ზღაპრული ამბავია დევისა და ერთი ღარიბი ავღანური სოფლის მცხოვრებთა შესახებ. სოფელში დროდადრო დევი გამოჩნდება. მისი მოსვლა ხალხში განწირულობასა და შიშს იწვევს. დევმა თუ მსხვერპლი არ მიიღო, სოფელს თავს დაატყდება უწყლობა, მოუსავლიანობა, შიმშილი, სიკვდილი...ვაი იმას, ვის სახლსაც დევი მიუკაკუნებდა! ამ ოჯახს მსხვერპლი უნდა გაეღო. მუშაობს დაუნდობელი დევიზი: „თითი მოიკვეთე, ხელი რომ გადაირჩინო“...

დევა ბაბა აუიბის ქოხი შეარჩია. სოფლელებმა შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ აუიბის ოჯახია განსაცდელის წინაშე: რომელი აირჩიონ მოსიყვარულე მშობლებმა ხუთი შვილიდან? კენჭისყრის

შემდეგ ეს ხვედრი უმცროს, უსაყვარლეს ვაჟს – კაისის ერგება. ძნელია, მთლიანად არ შეგძრას მდგომარეობამ მამისა, რომელმაც უსაყვარლესი ნაბოლარა შუალამეს, ქარაშოტში, გარეთ დატოვა და კარი ჩაურაზა... დიდხანს ისმოდა ხმა განწირული პატარასი, რომელიც მშობლებს კარის გაღებას სთხოვდა, მაშინაც კი, როცა დევმა მძიმე ნაბიჯებით ჩაიარა და მსხვერპლი სოფელს მოაშორა.

მსოფლიოს ყველა ხალხის ფოლკლორში დევი ბოროტი არსებაა, აქ კი... ტრაგიკულად დაწყებულ ამბავს ბედნიერი დასასრული აქვს. დევი სოფლიდან წაყვანილ ბავშვებს კი არ ჭამდა, არამედ საუკეთესო პირობებს უქმნიდა განათლებისა და განვითარებისათვის.

ამ ამბავს საღამოს აბდულასა და ფარის მამა უყვება, მეორე დღეს კი მათ ოჯახში უმნიშვნელოვანესი რამ უნდა მოხდეს – უფროსების გარიგებით პატარა ფარიმ სამუდამოდ უნდა დატოვოს მშობლიური კერა, ღვიძლი ძმა, ფრინველის ბუმბულთა იშვიათი კოლექცია, ერთგული ძაღლი შუჯი... რეალურად ამუშავდა ზღაპარში თქმული: გაიყიდა პატარა იმიტომ, რომ ოჯახმა ოდნავ ამოისუნთქოს.

ლევ ტოლსტოი წერდა: „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყოველ უბედურ ოჯახს კი თავისი უბედურება სჭირს“. აქაც ასეა. ღარიბმა საბურმა სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ნაბის რჩევით სამი წლის გოგონას შეეღია.

იმდენი დანერგა ღარიბ ოჯახებზე, ლუკმაპურს დანატრებულ დიდსა თუ პატარაზე, თითქოს რამ უნდა გაგაოცოს, მაგრამ ხალიდ ჰოსეინი დიდი ოსტატობით ახერხებს, გადაგვიყვანოს ქაბულის მახლობელ სოფელ შადბალში და აქაურთა ცხოვრებაში დატრიალებული დრამატული ეპიზოდების მომსწრე გაგვხადოს.

ზემოთ აღწერილი ზღაპრული პროლოგი თითქოს წინასწარმეტყველება იმისა, თუ როგორ წარმართება პატარა გოგონას ცხოვრება. ერთდროულად იგი ბედნიერიცაა და უბედურიც. თუმცა იგი ბედნიერად მამისეულ ქოხშიც თვლიდა თავს, რადგან საიმედოდ ეგულებოდა უფროსი ძმა და „დარწმუნებული იყო, რომ არასოდეს არაფერი დაემუქრებოდა, თუ აბდულა მის გვერდით იქნებოდა“. ათი წლის აბდულამ მძიმედ გადაიტანა დასთან განშორება, მთელი ცხოვრების მანძილზე დის მონატრება სტანჯავდა. სამი წლის ფარიმ კი დაივიწყა წარსული ცხოვრება.

როგორც აღვნიშნეთ, რომანის თემა დედამამიშვილური სიყვარულის უსაზღვრო ძალაა, მისი უკვდავებაა, რომელსაც ვერაფერს აკლებს დრო, მანძილი. ცალ-ცალკე მცხოვრები და-ძმის შეუცნობელ კავშირს (ძმა დასავლეთ ნახევარსფეროში ცხოვრობს, და – აღმოსავლეთში) სიშორე ვერაფერს აკლებს, ეს უხილავი ძაფები ვერაფერმა ჩანყვიტა.

თუ ფარისა და აბდულას დაძმობა იდეალურია, სრულიად სანინაალმდეგოა ტყუპი დების – ფარვანასა და მასუმას დამოკიდებულება. აქ მარადიული თემა – სიკეთე და ბოროტება უპირისპირდება ერთმანეთს. სამწუხაროდ, ბოროტი და მზაკვარი და დაუნდობელია, კეთილი კი – მიამიტი, გულუბრყვილო, დიდსულოვანი. ბოროტ ფარვანას აღიზიანებდა მეზობელი ბიჭის, საბურის, გრძნობები მასუმასადმი, რადგან საბური თავისთვის უნდა. როცა დები ჩვიდმეტისანი გახდნენ, ფარვანამ და საქანელადან გადმოაგდო და მასუმას ამის შემდეგ არასოდეს გაუვლია. ფარვანას ბოროტება ვერავინ შეიტყო, ვერც ხეიბარმა დამ.

საბური სხვაზე დაქორწინდა, მაგრამ ცოლი მეორე შვილის დაბადებას გადაჰყვა. აბდულა შვიდი წლისაა, ფარი – ახალშობილი. ოჯახში ქალია საჭირო. ფარვანა კი ამისთვის არ გამოდგება, რადგან დავრდომილი და მისი ტვირთია. ამიტომ ის არასასურველი საპატარძლოა.

ზნეკეთილი მასუმა ამას ხვდება. მან პირობა ჩამოართვა დას, რომ საბურისა და მისი შვილებისათვის მზრუნველი ცოლი და დედა იქნება და ტვირთისაგანაც გაათავისუფლავს: ყველასგან ფარულად შუალამისას დას თავი დაატოვებინა ცივ, უკაცრიელ უდაბნოში, სადაც ან ტურა-მგლების კერძი გახდებოდა, ან – საშინელი ყინვის. ასე აჯობა სიკეთეს ბოროტებას.

ავტორის ნიჭიერება იმაშიც გამოიხატება, რომ იგი პერსონაჟთა ცხოვრების გზის ჩვენების პარალელურად გვაცნობს XX საუკუნის ავღანეთის ისტორიას. დაწყებული 1933 წლიდან, როცა ნადირ შაჰი მოკლეს და ტახტზე მისი ვაჟი, ზაჰირი ავიდა, დამთავრებული XXI საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით. ჩვენ მოწმენი ვხდებით დიდი იმპერიების სამხედრო ინტერვენციებისა, ქვეყნის შიგნით ხელისუფლებათა ცვლილებებისა, რამაც ყველაზე მეტად რიგითი ავღანელები დააზარალა. აშკარაა, ავტორის სიმპათია შეერთებული შტატებისადმი. ფიქრობს, რომ ავღანეთისა და ავღანელების ხსნა მასთან კავშირშია. რომანის ბევრმა პერსონაჟმა სწორედ ოკეანის გაღმა მოახერხა ცხოვრების ხელახლა დაწყება, მცირე და საშუალო ბიზნესის აწყობა, სერიოზული განათლების მიღება. მათ რიცხვშია აბდულა, რომელსაც სან-ხოსეში პატარა რესტორანი აქვს და იქ საქმიანობს.

მწერალი უფრო ფარის პარიზული ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. იგი სორბონოს კურსდამთავრებულია, პროფესორია, მათემატიკოსი. ჰყავს მზრუნველი მეუღლე და სამი შვილი. წარმოდგენაც კი არ აქვს თავის ნამდვილ წარომავლობაზე, თუმცა ხანდახან უცნაური შეგრძნებები არ ასვენებს: „თითქოს რაღაც ან ვიღაც, მისთვის ძალიან ახლობელი აკლია. ზოგჯერ ეს განცდა შორი, ბნელით მოცული, მივარდნილი ადგილიდან გამოგზავნილი სუსტი, ბუნდოვანი, დანანევრებული რადიოსიგნალივით იყო. ზოგჯერ კი ისე მკვეთრად, ისე ნათლად შეიგრძნობდა დანაკლისს, რომ გული შეუქანდებოდა ხოლმე“. უნებლიედ მახსენდება იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?“.

საფრანგეთში დანახული მუხის ხე, ხელის ოთხთვალა, მოზრდილი ძალი ფარიში მოგონებების დიდ ბურუსს ინვევდა, თუმცა ვერაფრით ხსნიდა, რა ემართებოდა. დედა, ულამაზესი ქალი და ნიჭიერი პოეტი ნილა ვაჰდათი, პასუხს ყოველთვის თავს არიდებდა. ქეთოს დედის იავნანამ გაახსენა მესხიერების კუნჭულში ღრმად დამარხული მოგონებები, ფარის კი ნაბის სიკვდილისწინა აღსარებამ უშველა. მოხუცს არ ასვენებდა ახალგაზრდობაში ჩადენილი ცოდვა და ქაბულში მოღვაწე უცხოელს სთხოვა, მონახოს ფარი და გააცნოს მისი წერილი.

ასეც მოხდა. სიმართლის გაგების შემდეგ „ფარის ხელები უკანკალებს, უცნაური რამ ემართება, მართლაც უცნაური. გეგონებათ, მინას ნაჯახი დაჰკრა და შავი ნავთობი ბუყბუყით დაიძრა ზედაპირისკენ. ზუსტად ასე დაიწყეს მისმა მოგონებებმა ფსკერიდან ამოტივტივება“.

სიუჟეტის განვითარება კულმინაციას აღწევს მაშინ, როცა ორმოცდათვრამეტწლიანი განშორების შემდეგ და-ძმა პირველად ხვდება ერთმანეთს. მაგრამ აბდულას გონება დაუძლურებულია და ვერაფერს ხვდება. თუმცა სასოებით ინახავს ჩაის ძველ დაჟანგულ კოლოფს, რომელშიც პატარა დისთვის ფრინველების ლამაზი ბუმბულის კოლექციას აგროვებდა.


ხალიდ ჰოსეინის საკმაოდ დიდტანიან ნაწარომებში რამდენიმე ათეული პერსონაჟია, მათი ურთიერთობაც მრავალმხრივია, ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, მამა-შვილის (ადელი და საჰიბი) და დედა-შვილის (თალია და მადალინი) დამოკიდებულება; ორივე შემთხვევაში მშობლები უარყოფითი პერსონაჟები არიან. საჰიბი შადბალ-ე ნაუს ნამდვილი მეფეა, მდიდრული სახლ-კარით, პირადი მცველებითა და მსახურებით, განუყრელი „კალაშნიკოვითა“ და „ლენდ კრუიზერით“. რუსების წინაღმდეგ ბრძოლებში სამუდამოდ ეწოდა გამირის სახელი. დიდი ქონების პატრონი საჰიბი ქველმოქმედიცაა. თუმცა მისი ქონების წყარო კანაფის პლანტაციებია. შვილი ამაყობს მამით, რომელსაც ყველა ეთაყვანება. თუმცა ძნელი გასარკვევია, ხალხს მართლა უყვარს, თუ უფრო ეშინია მისი (რა ნაცნობი ისტორიაა! როგორ ზუსტად ემთხვევა მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში არსებულ სიტუაციას, იარაღიანი ხალხის განუკითხავ პარპაშს). მამის მიერ განამებული ოჯახის ვაჟთან მეგობრობისას ადელი ხვდება მამამისის – ყოფილი სამხედრო მეთაურის მტაცებელ სახეს. იგი მზადაა, დატოვოს ყოველგვარი პრივილეგია და იცხოვროს უბრალოდ, მძიმე ფიზიკური შრომით ირჩინოს თავი (რამდენი საერთო აქვთ ადელისა და თორნიკე არავიძეს).

ასევე უარყოფითი პერსონაჟია თალიას დედა, ბერძენი მსახიობი მადალინი. მან ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დატოვა მცირეწლოვანი გოგონა მეგობართან და გათხოვდა. შვილსა და მეგობარს კი ატყუებდა, ფილმის გადაღება შეფერხდა და ამიტომ ვერ ვბრუნდებო. დედამ მიატოვა მცირეწლოვანი გოგონა, რომელიც ისედაც საბრალო იყო, რადგან მამინაცვლის მშვიერმა ძაღლმა სახე საშინლად დაუმახინჯა. მას არ უშველა რამდენიმე პლასტიკურმა ოპერაციამ და გოგონა იძულებული იყო, სულ ნილაბი ეტარებინა. გამახსენდა რ. ჯ. პალაციოს „საოცრება“ და ავგუსტ პულმანი. პატარა ავეგი თანდყოლილი სიმახინჯის გამო მუდამ მოტოციკლეტისტის ჩაფხუტით დადიოდა.

რომანში იგრძნობა გლობალიზაციის პროცესი, რომელიც მოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის შვილზე. ამერიკაში გადასული ავღანელების შთამომავლები თანდათან ემსგავსებიან აქაურებს და შორდებიან მშობლიურ ფესვებს. მათვის აქტუალური აღარაა მშობლიური ენის შესწავლა ან სანმუშევრების დაცვა. ჩემთვის, როგორც რიგითი მკითხველისათვის, ერთგვარი გაფრთხილებაა. გლობალიზაციის პროცესისაგან თავის დაღწევა მრავალრიცხოვან ერებსაც კი უჭირთ და რაოდენი სიფრთხილის, წინდახედულობის გამოჩენა სჭირდება ამ რთულ გზაზე ისეთ მცირერიცხოვან ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა.

ძნელია, ერთ წერილში სათანადოდ გადმოსცე ყველა ის ღირსება, რაც ამ ნაწარმოებს გააჩნია. დღეს ითარგმნება უამრავი უცხოური თხზულება, მეტ-ნაკლები მხატვრული ღირებულების მქონე. ხალიდ ჰოსეინის რომანი, ჩემი აზრით, მართლაც გამორჩეულია. დიდი მადლობა მთარგმნელს, ქალბატონ ლალი ყუშიტაშვილსა და გამომცემლობა „არტანუჯს“ განეული შრომისათვის.

ასეთია მწერლის მიერ აღწერილი ავღანელები და ავღანეთი. ქვეყანა, რომელიც, სამწუხაროდ, რამდენიმე ათეული წელია „არ თმობს“ მსოფლიოს ყველაზე „ცხელი წერტილის“ სახელს. ავღანეთი ჩვენს გონებაში ასოცირდება თუთიის კუბოთი ჩამოსვენებულ, ან სამუდამოდ ფსიქიკადარღვეულ ბიჭებთან, ნაღმსა და დასახიჩრებასთან, თალიბებთან და მოჯაჰედებთან... ხალიდ ჰოსეინი გვეუბნება, რომ დაუსრულებელი საბრძოლო მოქმედებებით, უპირველესად, რიგითი ავღანელები, უბრალო, მშრომელი ადამიანები იტანჯებიან და ზარალდებიან. ავტორი თანაგრძნობით განგვანყოფს განსხვავებული სარწმუნოების, ენის, კულტურული ტრადიციების მქონე ადამიანთა მიმართ და მათი ჭირ-ვარამის თანამონაწილედ გვხდის. სწორედ ესაა მხატვრული ნაწარმოების მისია.



სანდრო ბარიძე

სონეტის აპრიკოზია

1918 წელს, გაზეთ „საქართველოში“ ტიცციან ტაბიძე წერდა: „მე და არცერთ „ყანწელს“ დიდ დამსახურებად არ ჩაგვითვლია სწორი სონეტის წერა. სწორი სონეტი ხომ საუკუნეების წინ იწერებოდა იტალიაში და საფრანგეთში, და რა უნდა ყოფილიყო აქ ისეთი, რის დაჩემებაც ღირდეს“.

„ცისფერყანწელებს“ დაუმსახურებლად მართლაც არაფერი დაუსაკუთრებიათ, მაგრამ მათ ქართულ პოეზიაში სონეტის სრულყოფის, ფორმირებისა და დამკვიდრების მხრივ ლომის წილი რომ მიუძღვით, ესეც უდავო ჭეშმარიტებაა.

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას თუკი გულისყურით გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ საუკუნის დასაწყისში სონეტის ასპარეზი აქტიური მოქმედებიდან საუკუნის შუახანებში პასიურობისაკენ სვლით გამოირჩევა.

საუკუნის მეორე ნახევრისათვის კი ისევე თავდაპირველ ძალისხმევას იძენს და არცთუ ურიგო ორიგინალურ, მიმზიდველ და შთამბეჭდავ მხატვრულ სახეებს ხსნის ლექსის სხვადასხვა ფორმათა გვერდით.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში სონეტი შესამჩნევად მომძლავრდა. ბევრი მათგანი ყურადსაღებია. უმრავლესობა უქმად გაღებული ხარკის გადახდას უფრო ჰგავს, ვიდრე წვითა და ტანჯვით ნაშობ ნეტარებას.

გადაჭარბებაში არ ჩამეთვლება თუკი დავსძენ, რომ თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის სონეტს, დაკანონებული პოეტიკის თვალსაზრისით, შესაშური სრულყოფილება და შინა-

არსი ერთ-ერთმა ლადო სეიდიშვილმა მიანიჭა. მისი სონეტების წიგნი „ზნენი და ვნებანი“ ნამდვილი, ბუნებრივად ნაშობი სონეტების დამახასიათებელი თვისებებისა და უაღრესად ქართული სულის, ქართული მსოფლგანცდის ბრძმედში გატარებული ლექსების ლამაზი წიგნია.

ლადო სეიდიშვილი უკიდურესობამდე დახვეწილი ესთეტი, რაფინირებული ინტელიგენტი და ღრმად განათლებული პოეტიკა. ყოველივე ამის თქმის უფლებას მაძლევს მისი უაღრესად საინტერესო შემოქმედება, რომელიც თავისებური ფილოსოფიური აზროვნებითა და გრძნობისმიერი ემოციის ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი სონეტების ლამაზ ციკლში განსხეულდა.

სონეტს თავისებური, უკვე დაკანონებული საკუთარი პოეტიკა აქვს, რაც იმით გამოიხატება, რომ პირველი კატრენის ჩვეულებრივ მდინარებას გარკვეულ სიმძაფრეს აძლევს მეორე კატრენში გამოჩენილი და განვითარებული მოულოდნელობა, ამას კი უნდა მოჰყვეს კომპოზიციის აუციებლობით გამოწვეული კვანძის შეკვრა. ამის შემდეგ პირველ ტერცეტში იხსნება კვანძი, ხოლო ბოლო ტერცეტი, როგორც დამამთავრებელი აკორდი, მძაფრი და ღრმა ემოციური ზემოქმედების ფინალით აგვირგვინებს დაწყებულ ამბავს.

სონეტის რაობის, მისი განსაკუთრებულად გამორჩეული პოეტური არქიტექტონიკის თავისებურებების მკაფიო ახსნას იძლევა თვითონ ლადო სეიდიშვილის სონეტი „სონეტი სონეტის შესახებ“:

აქ თამაშდება მისტერია ოთხ მოქმედებად,
პირველი სცენა ძირითადად შესავალია,
სად მონოდების თემად ისმის მოკლე არია,
გვამცნობს, თუ როგორ უღალატეს მოკეთებმა.

დაჰკრეს ნალარა და მეორე აქტში ეკვეთენ
მტრებს და აოტეს მომხდურები ისე მალიად, –
სიტყვის ბანაკში ყველაფერი არივ-დარია
და აქ ქარცეცხლში განაგრძობდნენ ლექსის კეთებას.

აზრი ხელებში ეფშვნებოდათ კირითხუროებს,
– სტრიქონში გული ჩააშენეთ! – ერთმა იხუმრა...
და აქ ქარაგმას მოეკიდნენ არც უსაფუძვლოდ.

სიტყვები სიტყვებს მოეკიდნენ და ჩაკირულნი
თოთხმეტსვეტიან სასახლეში სონეტის ფუძედ
მზის სინათლეზე ფართხალებდა პოეტის გული.

ლადო სეიდიშვილის ნიგნი „ზნენი და ვნება-
ნი“ ორიგინალურად შექმნილი ერთი დიდი, მრავალ-
ვალანახნაგოვანი არქიტექტურული ნაგებობაა,
რომლის თითოეული კომპონენტი მის მთლიან-
ობას ჰარმონიულად ერწყმის, ამასთან, ცალკე
აღებულ კომპონენტებსაც თავისებური ხიბლი
და საკეთარი სახე გააჩნიათ.

პოეტის ყოველი სონეტი არსებულ საგანსა
და მის ზედაპირულობას კი არ ასახავს, არამედ
შესაშური თხრობით გადმოსცემს საგანთა არს-
ში მოქცეულ სამყაროსა და ამ სამყაროს მიერ
პოეტის შემეცნებაზე მოხდენილ ეფექტს.

ლადო სეიდიშვილი ჯიუტი დაუცხრომლო-
ბით ეძიებს თითოეულ სიტყვას, აკვირდება მას,
ამუშავებს, ხვენს და ამგვარი ჯაფით აღწევს
სასურველ მიზანს, რომელიც მაღალი სრულყო-
ფილების დალაშქვრით გამოიხატება, ამიტომაც
არის, ალბათ, რომ ამგვარი ხანგრძლივი ძიების
გამო მისი ლიტერატურული შემოქმედება არ
არის ვრცელი, ჩვენ რა თქმა უნდა, მისი მოცუ-
ლობა გვაქვს მხედველობაში, იგი მცირეა, მა-
გრამ შედარებით ღრმა და რთული. ამ სიღრმეში
და სირთულეში დიდი და უაღრესად მრავალფერო-
ვანი სამყაროა გადაშლილი.

ყოველი სონეტის თითოეული ტაეპი აზრობრ-
ივად ტევადია, რომელთა შეცნობას ტექსტების
ქვეშ აისბერგით დაფარული ქვეტექსტების გა-

მომზეურება და ახსნა ესაჭიროება. ამ შემთხვე-
ვაში, კატრენებიდან ტერცეტებისაკენ დაძრუ-
ლი აზრის მდინარება წვეთებიდან გამომდინარე
მდინარეს შეიძლება შევადაროთ, ამგვარი მდი-
ნარება მხოლოდ სიყვარულის ყოვლისშემძლე
ძალას შეუძლია, რომელიც ადამიანის გრძნობა-
სა და გონებას დიდი განათებისაკენ მიაქანებს,
ახალ-ახალი საოცრებების აღმოსაჩენად:

რვა კარი ჰქონდა საოცრებას, დახშული რვავე,
რა გზით გამეღო თუ ერთ-ერთში ვიჯექი თავად.
როგორც სიმართლის სასარგებლოდ შემწყდარი დავა,
ეს გამონვევა მანიშნებდა უფრო დიდ რამეს.

უკვე არ ჰქონდა მნიშვნელობა სადავო ბურთი
ვის შეხვდებოდა და ვის თვალებს ამოაშრობდა –
უცებ აღმოჩნდა თამაშგარეთ დიდი ბავშვობა,
მაგრამ საკუთარ სურვილს მაინც ნიადაგ ვუფრთხი,

რომელიც იმავ მბრძანებელის ქვეშევრდომია,
თანდაყოლილი თვისებების ჩვევით თუ ეშმით,
ახლა აზრს კლავენ წარმოთქმამდე ისინი ჩემში,

თუ აქამომდე მიმალავდნენ, რაც მინდომია,
მაინც რისი ვარ მომლოდინე შუა დღის შემდეგ
თუ თავისთავით წარმოვიდგენ ჩემი დღის შედეგს.

როგორც უკვე ავლინებთ, ლადო სეიდიშვი-
ლის სონეტები ერთმანეთზე უხილავი სიტყვის
კავშირებითაა გადაბმული. თითოეულ მათგან-
ს საერთო სასახლის წარმოჩენისას თავიანთი
ფუნქცია აკისრია. ისინი არც განყენებულად
განხილვისას არ კარგავენ აზრობრივ ფუნქციას
და სილამაზეს. მათში გადაშლილია უკიდევანო
სამყარო, ცხოვრებისეული მოვლენები, შთაბეჭ-
დილებები საკუთარი პოეტური ხილვის პრიზ-
მაში ოსტატურადაა გატარებული და გადმოცე-
მული. მიუხედავად, უაღრესად დახუნძლული
აზრებია, მოხდენილადაა დაძლეული სქემატუ-
რი სიმშრალე. ამ მხრივ კი დიდი როლი ენიჭება
ყველა ჩვენგანის ნაცნობ ფიქრს, მის დაფარულ
ხმაურს, რომლის მაცოცხლებელი ძალით სონე-
ტებში ჩაბუდებული ქართული სულის თავისუ-
ფალი სუნთქვაა ფრთაშესხმული:

ჩამოვირბენდი მთანმინდიდან იმავე კიბით,
ჩამოვირბენდი მაჩაბელზე, ჰეკატეს ბალში,
შეექცეოდნენ სადაც ჭადრაკს ამ სახლის მკვიდრნი,
განაღებულნი ჰქონდათ ვისაც მწერლური ვახში.

რა ჯაფა ადგათ მოჭადრაკე მწერლების შუბლებს,
გამოდიოდა საიდანაც გამბიტის გარდა...
გალაკტიონი ღიღინებდა ბორძიკით შუბერტს,
გალაკტიონი იმ დღეებში დირიჟორს ჰგავდა.

თავს იწონებდნენ პოეტები ცინცხალი ლექსით,
ერთმანეთს ცვლიდნენ ტრიბუნებზე... სასახლე სჭექდა!
– დამიკოებო, კაი ლექსი, უძვირფასესი?

აგერ, ახლახან კითხულობდნენ სტალინის ძეგლთან.
ამ ნათქვამს ყველამ წაუყრუა (ღმერთმა გვისმინა),
მაშინ ჯერ კიდევ მონუმენტი იდგა მტკვრის პირას.

ლადო სეიდიშვილის სონეტების ზოგადი თე-
მა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული ჭიდილია.
იგი ამ ორი განუყრელი თანამგზავრის თანმხ-
ლებთა ზედაპირული აღწერით როდი კმაყოფი-
დება. მისი დამძიმებული ფიქრი, შორსმჭვრეტე-
ლი გონება ნათლად ავსებს თითოეულთა არ-
სებულ თავისებურებებს და პოეტური სიტყვით
გადმოცემულ ყველა ცნებას ერთმანეთთან საკ-
უთარი ადგილის მიჩენით აკავშირებს. თითქმის
ორგანულად ავსებენ ერთმანეთს სიტყვა და დუ-
მილი, სიხარული და მწუხარება, სიყვარული და
შიში, სევდა და აღტაცება, ქალი და ცდუნება,
მარტოობა და თავისუფლება, ირონია და ნილა-
ბი, გუშინდელი ისტორია და დღევანდელი დღე,
ნათელხილვა და ზეცაში მობინადრე სულის ნო-
სტალგია დედამიწისადმი... და კიდევ, მარად ეჭ-
ვიანი კითხვები: საიდან? საით?:

მიაყურადე... შორეული ფუგებით ბახის
თეთრ ზმანებაში თავს გვახსენებს სიცოცხლის კოდი, –
გადაიტანა მტკივნეული დიდი მოროდი,
მაინც აკვანში აღარ ცხრება, ტირილი ბალღის.

ვინ ქსოვს ცხოვრებას, ვის უპყრია ხელთ ყაისნალი...
მეხსიერებით გარდასულ დროს ვიმეცნებთ ოდით.
ანწყოს ვიაზრებთ ჭვრეტით და ჩვენს იმედს, მოლოდინს
ისევ მომავალს ვუფეშქაშებთ ვნებების ნალმით.

დრო რაც დათქმულა – მხოლოდ სულით გაიზომება,
ეგ არის აზრის საწყაული, არსი და ცნება,
გარდამავალი იდეიდან მატერიაში.

მიეცით სულის საყრდენი და კაცობრიობა
ყელს ამარტებით დაიმშვენებს, განა იაშმით –
ემშაკის ზაკვას თუ გაუძლო ახლა იოზმა.

ნიგნი „ზნენი და ვნებანი“ სონეტების გვერ-
გვინით ბოლოვდება. უნდა ითქვას, რომ ლადო
სეიდიშვილმა პირველმა დაწერა ქართული პო-
ეზიის სინამდვილეში სონეტების გვირგვინი,
რომელიც ურთულესი პოეტური ნაწარმოებია
და წარმოადგენს მისეული ფილოსოფიური თუ
იმპრესიონისტული ხედვით შექმნილ რეალუ-
რისა და ირეალური სამყაროს ჰარმონიულ შე-
პირისპირება-შერწყმას, რაც წინარე დერეფანს
წარმოადგენს დიდი და მრავალფეროვანი სამყა-
როს ორფიკული ახსნისათვის.

ლადო სეიდიშვილის სონეტების გვირგვინი
ქართული პოეზიის ერთ-ერთი უნიკალური შე-
ნაძენია, მან ეს ღირებული გვირგვინი მისსავე
ღირებულ წიგნს – „ზნენი და ვნებანი“ თავსამკა-
ულად დაადგა.

ამ წიგნს უამრავი ღირსება აქვს. ჩვენ არაფე-
რი გვითქვამს იმ ნოვაციების შესახებ ფორმის
სფეროში, რომელიც ხშირად გაიფიქრებს ხოლ-
მე წიგნის კითხვისას.

ლადო სეიდიშვილის სახით თანამედროვე ქა-
რთულ პოეზიას უაღრესად საინტერესო, თავი-
სებური ხედვის, ორიგინალური ხმისა და ხელწე-
რის ინტელექტუალი პოეტი ჰყავს. მისი დიდი
შემეცნებისა და დაფარული მშვენიერების სი-
ღრმით აღსავსე შემოქმედება შემდგომისათვის
უფრო გამოწვლილვით შესწავლას საჭიროებს.

ლადო სეიდიშვილი ელიტარული შემოქმედი.



დიდა კუკუდაძე

თბილისი – ლიგეიაგური ზოპოსი

„საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო
და თბილისი – შიგ ჩასხმული ბადახში“.

თბილისი არაერთი შემოქმედის შთაგონების წყაროდ ქცეულა, თუმცა, სრულიად განსაკუთრებულია იოსებ გრიშაშვილის მიერ შექმნილი პოეტური ხატება, მხატვრული სახეების ფრაგმენტების გაერთიანებით დანახული ქალაქის მთლიანი სურათი. თბილისში დაბადებული და გაზრდილი პოეტი ბოლომდე იყო შესისლხორცებული ამ ქალაქთან, მის სიძველესთან. პოეტისათვის თბილისის წარსული ის ტოპოსია, სადაც განხორციელებული თუ განუხორციელებელი ოცნებები პოეტური შთაგონების წყაროდ გარდაიქმნება: „თბილისო, ჩემო თბილისო, მითხარი, როგორ არ გაქო, სამშობლოს ნატვრის თვალი ხარ, გმირების დედაქალაქო“ („ახალი თბილისი“, 2012:163).

თბილისზე შექმნილი, როგორც თავად პოეტი ამბობს, „გულიდან ამოშაქრული“ ლექსები იოსებ გრიშაშვილის ლირიკის ერთი პრინციპული ნაწილია. ძველი თბილისის ლიტერატურული და ყოფითი ტრადიციები, რომელთა მეცნიერულ კლევასაც პოეტმა დიდი ენერგია შეაღია (მხედველობაში გვაქვს მისი გამოკვლევები – „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ და „საიათნოვა“), გახდა მისი ლირიკის ძირითადი მასაზრდოებელი წყარო. მის ლექსებში ქალაქური პოეტური ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები ვლინდება. „მან ახალ სიმაღლეს აზიარა ქართული პოეზიის ერთი თავისებური ტოტი – თბილისის აშულური ლექსი. პოეტი იყო და რჩება ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ უპირველეს მომღერალ-მეხოტბედ“ (მიშველაძე, 1998:212). პოეტმა გატაცებით უმღერა ნარიყალას, ისანს, სუბსარქისასა და აშპაშხანას, ორთაჭალასა და ხარფუხს, ყაბახსა და კოჯორს, თბილისის ყოველ ფოლორცსა და შუკას, წელგამწყდარ ქუჩებსა და მერცხლის ბუდესავით მიკრულ სახლებს, ყოველ კენჭსა და ფურცელს, ქუჩაბანდებსა და ნანგრევებს. აკი თავადაც ამბობს პოეტი: „ვაქებ თბილისს, სალაყბოს, ყაბახს და მხიბლავს ნუში, აშპაშხანა, ყურძნის მტევანი...“ („სონეტი“, 2012:267).

იოსებ გრიშაშვილის უახლოესი მეგობარი, სერგი დურმიშიძე, იგონებს, თუ როგორ უსიტყვოდ ეალესებოდა პოეტი თბილისის ქუჩებს, „ცაში აზიდულ პატარა აივნებსა და ეკლესიების ხავსმოდებულ კედლებს“ (დურმიშიძე, 1985:273). პოეტისათვის თბილისი მარტოოდენ ქალაქი კი არ არის, იგი მისი მშობელია, მასწავლებელია, ამიტომ ამბობს ასე თამამდ ლექსში „თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“: „პოეზიაში მე თბილისის მინით მოვდივარ – სიტყვის წკრიალით, რითმის ჩა-

ბუქენით“ (2012:155). სწორედ თბილისს აღუზრდია იგი „სულითა და ხორციით“, მას უკავშირდება პოეტის ყველაზე ტკბილი მოგონებებიც:

„ქალაქმა მზარდა. სულით, სხეულით
ვეკუთვნი თბილისს, ჩემთვის უცხოა
სოფლის უბინო ჰასაკოვნება...
დავეპროდი ჩემი უბნის ღორღებზე,
ცა ქუდად მქონდა, მინა – ქალამნად.
უნიგნოდ ბევრი რამ შევისწავლე,
ცხოვრების ნიგნში ვიძირებოდი“.

(„40 წელი დღეს შემისრულდა“, 2012:21-22)

ან კიდევ:

„მე თბილისმა შემამკო, მე თბილისმა შემზარდა,
და მეც ვმღერი თამამად, როგორც შეხერხადა“.
(„მე და ევროპა“, 2012:21-22)

პოეტს ბედნიერებად ისიც ყოფნის, რომ იგი თბილისის მკვიდრია, მის მადლიან მიწაზე დააბიჯებს, მას დასტრიალებს თავს მისი „აჯაგრებული ფიქრებიც“, რომლებიც არწმუნებენ, რომ „არ არის ქვეყნად თბილისის გარდა, სხვა უფრო მძაფრი და ნაზი მხარე. თბილისის კენჭებს ფეხს რომ ვახვედრებ, ბედნიერი ვარ, თამამი მაშინ, გულში ვიხუტებ პოეტებს, მხედრებს, რომ ბედთან უფრო ვიგრძნო თამაში“ („თბილისის მიწა“, 2012:11).

იოსებ გრიშაშვილისთვის თბილისი თავადაა ლექსების საბადოცა და ერთგვარი „სკაც“, სადაც ფუტკრებივით უნდა ფუსფუსებდნენ მისი მგოსნები:

ჩემი თბილისი ლექსის სკა არი,
ჩვენ, პოეტები – შრომის ფუტკრები.
მიყვარს სამშობლოს თხუთმეტი კარი,
მაგრამ თბილისი – განსაკუთრებით.
მაგრამ ცხოვრებამ ვერ გამამრუდა
და ასე მოველ ხალხის გულამდე.
თბილისის მეზვრე დავრჩები მუდამ
სიყვარულიდან სიყვარულამდე“.

(„ჩემი თბილისი“, 2012:128)

პოეტისთვის თბილისი „სამშობლოს დედაბოძად“ მოიაზრება. იგი შემომედებითი სიტკბოს ჭაშნიკიცაა, სწორედ ამიტომ უგალობა იოსებ გრიშაშვილმა ამ ქალაქს ასეთი გატაცებით:

„ჩემო თბილისო, ჩემო ცაო, ჩემო კრიალა,
ჩამონათალო საქართველოს სილამაზისა,
შენ ხარ ნუგეში დაუცხრომელ ქართული მზისა,
გვეყო, რაც შევსვით პაპეული სიმწრის ფიალა.“

ჩემო ქვეყანავ! ამ მთანმინდას, ამ სიანკარეს,
 დუშმანის ცივ ხელს ნუ შეახებ, ნუ მიაკარებ,
 იცოცხლოს, როგორც გმირ ქალაქის სახეს შეჰფერის.
 ჩემი უბანი, სიხარულით ცერზე რომ დადგა,
 ის არ მოჰკვდება, არ მოჰკვდება, ლამაზო, რადგან,
 დღეს საქართველოს დედაბოძი – თბილისი მღერის“.
 („სონეტი თბილისს“, 2012:171)

„საქართველოს დედაბოძს“ წელიწადის ყველა დრო სხვაგვარად აფერადებს და პოეტის გულიც „ისე ცეკვავს, ისე ლელავს, რომ ეშხისგან მკერდის ღილებს“ დაწყვეტა დამუქრება:

„რომ იცოდე, რა კარგია ეხლა, ამ დროს ეს მიდამო –
 წუთის განცდა სიცოცხლეა, საუკუნო, სამუდამო;
 ამ დროს მტკვარი ჭიანჭურობს და ამრუდებს წყალზე ხაზებს,
 ამ დროს მხცოვან მთანმინდასაც მოგონება ამაღსაზებს...“
 („შემოდგომა თბილისში“, 2012:174-175)

„ნაომარ და ნაციხარ“ დედაქალაქს ცა „ატლასის ქამრად“ შემოურტყამს. ალბათ, ამიტომ „აქ მე-
 რცხალსაც უჭიკჭიკოდ არა სურს მთიდან მთაზე გადაფრენა, გადასვლა“ (2012: 77-78).

მშვენიერია მზით განათებული თბილისი, მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავია იგი ღამით, მაშინ,
 როცა „აქ ვარსკვლავები, სულ ერთი ციდა, ძირს ჩამოდიან ციურ კამკამით, თითქოს ეს ზეცა, კაშკა-
 შა ზეცა, გადმომყურავი ნაირფერებით, მოსწყდა გუმბათს და თბილისს დაეცა, სინათლის ფრქვე-
 ვით და ამღერებით...“ („თბილისი ღამით“, 2012:172).

პოეტმა არაერთი ლექსი უძღვნა მდინარე მტკვარს, როგორც მშობლიური ქალაქის ორგანულ
 ნაწილს. არაერთი მგოსნისთვის შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ ქცეული მდინარე ბარათა-
 შვილის უკვდავ სახელს ერწყმის ლექსში „ადიდებულა მტკვარი“:

„ადიდებულა ბარათაშვილი,
 მოაქვს ტივები ლექსის სტრიქონად.
 არც დატირება, არც პანაშვიდი,
 ტალღამ გმირები გულს ჩაიკონა.
 მოსთქვამს ტირიფი, იღვრება კვარი,
 – ადიდებულა მტკვარი...“
 („ადიდებულა მტკვარი“, 2012:15)

ან კიდევ:

„მტკვარიც, მთელი დღის სვლით დაქანცული,
 განვება ღამით მოსასვენებლად.
 ადგება ტატო ლექსით ქალწულით,
 რომ გაახაროს ქართლის მშვენება“.
 („თბილისი ღამით“, 2012:15)

თბილისის ბუნებისა და კოლორიტის აღწერისას იოსებ გრიშაშვილი ხშირად მიმართავს უჩვეულო მხატვრულ შედარებებსა და ეპითეტებს:

„მინას მოუნდა ღრუბლების დაშლა.
მზე ძირს ჩამონვა ლანქერად, ზვავად.
მზემ ჰამლეტივით აილო დაშნა
ლამის მარშრუტის მოსახაზავად.
მაგრამ არ მწყალობს ბედი ფიცხელი,
მინა გამსკდარი, ცა მონალრუბლი,
და პოეზიაც თვალში მიცქერის,
როგორც ილიას დაჭრილი შუბლი.

(„თბილისის მინა“, 2012:11)

პოეტმა იცის, რომ მშობლიური ქალაქის სიყვარული მხოლოდ სიტყვებით კია არა, მასზე მზრუნველობით გამოიხატება, თუნდაც ეს მზრუნველობა ისეთი მცირედი იყოს, როგორც „ხარფუხის გზების“ ქვებისგან გასუფთავება („როცა ხარფუხის გზებზე“, 2012:98).

გრიშაშვილის თბილისზე დანერგილი ლექსები მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის კოლორიტით სუნთქავს. ყარაჩოღელი და ჰამქარი, კრივი და ჭიდაობა, დუდუკი და ჭიანური, ტკბილი ბაიათი და კინტო – გრიშაშვილის სტრიქონების ხშირი სტუმრები არიან. ძველმა თბილისმა მისი პოეზიის ლექსალურ ორნამენტებში ისეთი გამოხატულება ჰპოვა, როგორც არც ერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაში არ უპოვია. იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში ქალაქური პოეტური ფოლკლორი რამდენიმე თვალსაზრისით იჩენს თავს. თავისებურ რიტმულ-ინტონაციურ მელოდიურობისა და სპეციფიკურ ვერსიფიკაციულ სალექსო საზომების გამოყენებასთან ერთად პოეტს თავის ლირიკულ ქმნილებებში ძველი თბილისის მკვიდრთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიზმებიც შემოაქვს.

„ტრიოლეტები შეითანბარში“ ერთ-ერთი პირველი ლექსია, რომელიც ძველი თბილისის ყოფითაა ნასაზრდოები. მასში პოეტური განუმეორებლობით გამოიხატა საქართველოს დედაქალაქის სიძველეთადმი პოეტის ტრფიალი და მრავალი დამახასიათებელი შტრიხით აღინერა გარდასული ცხოვრების თავისებურებანი:

„შეითანბარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი,
ტრიოლეტივით დავყილობ გალმა-გამოლმა.
და, ვით აშოლლანს ეტმასნება ქალი ავხორცი
(შეითანბარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი),
არც მე მასვენებს საქართველოს დარდი და ბოლმა...
ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი,
ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრივი,
უსტაბაშს შვენის მოფარფარე მზის ყალამქარი
(ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი),
და ჰგალობს ზურნა დილის საარს ჰანგლვთაებრივი...“

(„ტრიოლეტები შეითანბარში“, 2012:269)

„პოეზიის ძველი აკვანი“ – ძველი თბილისის ფოლკლორი – გრიშაშვილის ლექსებში საიათნოვას ბადალი ძალით გამოჩნდა. პოეტმა თითქოს „ორივე ხელით“ შესვა მისი „ჯადოსნური პოეზიის“ წყარო და ეამაყებოდა, რომ მის ძარღვებში ეს „მადლიანი ნაკადი მჩქეფარებდა“. ის მართლაც იყო, როგორც თავად პოეტი ამბობდა, „ძველი თბილისის ფოლკლორის ანასხლელი“. „იოსებ გრიშაშვილის ენა და სტილი თავისებურია – მდიდარი და მრავალფეროვანი. თვალსაჩინოა პოეტის დამსახურება ქალაქური ხალხური ლექსიკის შეკრებისა და დამუშავების საქმეში. იოსებ გრიშაშვილის ენა ქართული სიტყვის ოქროს საგანძურს ეკუთვნის“ (ალავიძე, 1981:101).

აღმოსავლურ პოეზიასთან სიახლოვემ განაპირობა ის, რომ იოსებ გრიშაშვილის ლირიკაში ფართოდ შეიჭრა ყვავილთა კულტი და ვარდ-ბულბულიანობის პოეტური მოტივი. ბულბული, სოსანი, ია, ვარდი, ზამბახი, სუმბული – მისი ლექსების ხშირი სტუმრები არიან. ყვავილებისადმი ამგვარი, ფაქიზი დამოკიდებულება ბოლომდე გაჰყვა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებას, როგორც სინაზისა და ემოციის ძირითადი ნიშნები. გიორგი ლეონიძის შეფასებითაც, „გრიშაშვილი ფაქიზი და დახვეწილი სტილის ლირიკოსიაო“ (ლეონიძე, 1955:5).

ეტაპობრივად სახე იცვალა თბილისმა ისევე, როგორც ცხოვრების საერთო წესმა. გრიშაშვილის შემოქმედებაში ჩნდება საეტაპო ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, რომელშიც იმდენი პოეტური ტკივილია დაგროვილი, იმდენი შესანიშნავი სახე და გრძნობაა ჩაქსოვილი, რომ ჩნდება შეგრძნება, თითქოს პოეტი შეეცადა მთელი თავისი გზნება ერთად გამოეხატა, უკანასკნელი რექვიემი ეძღვნა საყვარელი ქალაქისთვის:

„შენ აგისხნია ბევრი ქარაგმა,
ქორონიკონის კენტი და ლუნი, –
მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოქარგა უნინ.
თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ,
დაჰკვირვებინარ ამ ქუჩებს კარგად –
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ქარგა“.

(„გამოთხოვება ძველ თბილისთან“, 1012:12-13)

„ძველი თბილისის ამ კოლორიტული სიძველეების დაცვისათვის აქტიური ზრუნვა პოეტს თავისი პატრიოტულ მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნია. იგი ნათლად ხედავს, რომ დრომ, ახალმა ვითარებამ მკვეთრად და რადიკალურად შეცვალა ძველი ცხოვრების წესი და საფუძველი გამოაცალა წარსულით რომანტიკულ გატაცებას“ (ნიკოლეიშვილი, 2002:196). პოეტი თანადგომას იმ ადამიანებისგან ელოდა, რომელთაც ჯერ კიდევ შემორჩენიათ სიძველისადმი სიყვარული, მოკრძალება და პატივისცემა:

„სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
შენში თუ ოდნავ მაინც ელვარებს, –
მიხვდები, ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.
მიხვდები, რატომ არ დაერიდა
ჩემი ლექსები პოეტთა კილვას,

და რატომ ვცდილობ ამიერიდან
ასე თამამად წარსულის ხილვას“.

(„გამოთხოვება ძველ თბილისთან“, 1012:12-13)

პოეტს გული წყდება იმის გამო, რომ ძველმა თბილისმა სახე იცვალა, გაქარა ის, რაც მის კოლორიტს ქმნიდა. მეტიც, თითქოს გარეგნული იერსახის შეცვლას მისი შინაგანი ბუნების გადასხვაფერებაც მოყვა:

„აი სეირი ჯერ არნახული!
სადღაა ეშხი და სილამაზე!
არ ჩანს ურმები მოჩარდახული
ლამისმთევლებით ბოლნისის გზაზე.
ღვინოს საფლავზე არვინ მოგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი, –
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმული ყორით!
კრივი, ამქარი, ცეკვა ართურმა, –
ეს ადათები ძველთაგან ძველი
გადაივიწყა სიტყვამ ქართულმა
და დამრჩა... სევდა წაუბაძველი“.

(„გამოთხოვება ძველ თბილისთან“, 1012:12-13)

პოეტი გამოეთხოვა ძველ თბილისს, თუმცა ეს გამოთხოვება სავსე იყო სინანულითა და ცრემლით. უკმაყოფილებას აძლიერებდა ძველი თბილისის ადათების მივიწყების ტენდენციაც. ყოფითი გარემოს ასეთი მკვეთრი შეცვალა განაპირობა ცხოვრების ურბანისტული წესის გაბატონებამაც. თავისი თვალსაზრისის ნათელსაყოფად პოეტი მკვეთრად გამოვლენილი კონტრასტულობით უპირისპირებს ერთმანეთს წარსულსა და აწმყოს:

„დუდუკის ნაცვლად – ქარხნის საყვირი,
დუმბი და ზილი დაახშო რკინამ.
ბულბულს – ყაფაზა, გრძნობას – ალვირი,
ალარც დუდუკი, ალარც ყიჟინა...
და მე არ ვიცი ვისლა ვემონო,
ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი..
ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ
მე, სხვა ცხოვრების წინამორბედი“.

(„გამოთხოვება ძველ თბილისთან“, 1012:12-13)

ძველ თბილისთან პოეტის გამოთხოვება მკაცრი რეალობითა და აუცილებლობით განპირობებული იძულებითი ნაბიჯია. ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან, ანუ დუდუკის საარი ქარს ალარ მოაქვს“ ძველი თბილისის ტრადიციების პოეტური გამოგლოვებაა. „ნაწარმოების სიუჟეტურ დრამატიზმს ორი დიამეტრულად დაპირისპირებული მხარე განსაზღვრავს, წარსულის გაქრობით გაჩენილი უსაზღვრო სევდა და ის ახალი სინამდვილე, რომელმაც ამ სამუდამოდ გამქრალი, რომა-

ნტიკის ადგილი დაიჭირა...“ (ნიკოლეიშვილი, 2002:196). ეს ურთიერთდაპირისპირება პოეტში აჩენს გარდასულ დროთა ნოსტალგიას, რაც გამოიხატა 1920 წელს დაინერვილ ლექსშიც – „აშპახანისაკენ“. აშპახანისაკენ, კლდის ქიმიდან ჯავრით მზირალ ნარიყალასთან, გზადწავლილი პოეტის გულში ერთმანეთს უპირისპირდება გარდასული ცხოვრების რომანტიკა და გაუკუღმართოებული სინამდვილე. პოეტი წუხს, რომ ველარ ხედავს ძველებურ ღვინის სმას, ძველ ყარაჩოლელს, მისი ადგილი „ყალბი გრძნობისა“ და „ნაქურდალი ხმის პატრონ“ კინტოს დაუკავებია, ამიტომ, ბუნებრივია, მათ წრეში პოეტი ვერ პოულობს ტოლ-ამხანაგს. მეტიც, ბრაზით შეჰყურებს კინტოების ნადიმს:

„მოქეიფენო! ძველმა თბილისმა
მეც ჩამომართვა უძარღვო ხელი,
მაგრამ სად არის ძველი ღვინის სმა,
სად არის ძველი ყარაჩოლელი?
გრძნობა ყალბი აქ ხმა – ნაქურდალი,
ბრაზით შევეყურებ ამ სურათს უჩვევს,
და მერიქიფე ლოთი, მურდალი,
ტურზე დამადებს გაქონილ ტურებს.
გავტეხავ ჭიქას, რომ ვათქმევინო:
ახლებში არ მყავს ძმა-მოყვარული,
და ავტირდები, როგორც ეს ღვინო
კინტოს პერანგზე ჩამოღვარული...“
(„აშპახანისაკენ“, 2012:288-289)

პოეტმა სიყვარულით შთაგონებული ლირიკული სიმღერები შეუქმნა ახალ თბილისსაც. ისევ გავგანდო, თუ როგორ სურდა მშობელ მინაში შემოქმედებითი ფესვებით ჩაზრდა, ისევ შესძახა ერთგვარი ბავშვური აღტაცებით:

„საქართველო ბეჭედია ბაჯალლო
და თბილისი – შიგ ჩასხმული ბადალში.
გავცქერ არეს უხინჯოს და უნაღვლოს,
წერეთელის დინჯ შუბლივით გადაშლილს.
ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს,
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია!
ეს ჩუქურთმა ჩამოთვლილი ინახად,
თავისუფალ საქართველოს ხვედრია...
გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ!
ჩაეზარდე მშობელ მინას ფესვებით.
ახალ თბილისს – ახალ კოკორს ნაღვიძარს –
უგალობე ნამუსიან ლექსებით“.
(„ლენინის მოედანი“, 2012:77-78)

ახალი თბილისის თემაც მჭიდროდ უკავშირდება პოეტის პატრიოტულ მისწრაფებებს. გრიშა-შვილისთვის ახალი თბილისის „ეს ჩუქურთმა ჩამოთვლილი ინახად“ იმდენადაა გასაფრთხილებელი,

რამდენადაც იგი „თავისუფალ საქართველოს ხვედრია!“ სწორედ ამიტომ, მის მოვლასა და პატრონობას ახალ თაობასაც მამაშვილური დარიგებით შესთხოვს: „შენც სხვას გადაეცე, რაც ჩვენ მოგეცით, გწყალობდეს, შვილო, ეს ცა მაღალი, დედა-თბილისის გულს გაუფრთხილდი, არ დაივინყო ძველიც, ახალიც“ (2012:168-169).

იოსებ გრიშაშვილი დაუნდობელია „ტფილისის ყალბი პოეტების“ უნიჭო ლექსებისადმი. მთავრობის მამამებელი სტრიქონების ავტორებს „წითელი ფერის მონებს“ უწოდებს, რომლებიც „უნიჭო ლექსებში მოკუნტულან, ვით ტყეში ზღარბი“, „ისტორიული სახელებით ტვირთავენ ნაწერებს“ და პირფერულად აქებენ „ჩაქუჩსა და უროს“. ამით გულმოკლული პოეტი პირდაპირ მიმართავს მშობლიურ ქალაქს:

„ჩემო ქალაქო! როს გიყურებ, მცვივა ცრემლები.
აგრე პატარას, ბნელს ქუჩიანს, ვინრო ხევიანს:
მნამხარ! მიყვარხარ! თუმც მუმლივით შემოგხვევია.
მოლაღატენი, მსტოვარები და გამცემლები“.

(„ლექსები: კრწანისის ალყაფიდან“, 2012:311-312)

თუმცა, ზემოხსენებულთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც მკვლევარი ავთანდილ ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „მართალია, 30-იანი წლებიდან მოყოლებული იოსებ გრიშაშვილის მთელი ციკლი შეიქმნა თბილისის აღმშენებლობის გამომხატველი ლექსებისა, მაგრამ ამ ნაწარმოებებს ნაკლებად მოდგამს ის ძალა, სიმძაფრე და პოეტური ხილვის თვითმყოფადობა, რაც ძველი თბილისისადმი მიძღვნილ ლექსებში ვლინდება“ (ნიკოლეიშვილი, 2002:195).

მართლაც, იმ ლექსებში, რომლებშიც ჩვენი დედაქალაქის ძველი კოლორიტია დახატული („გამოთხოვება ძველ თბილისთან ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“, „ტრიოლეტები შეითანბარში“, „აშპაშხანისკენ“, „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე...“), გაცილებით მეტი პოეტური ენერგია ვლინდება, ვიდრე თბილისის აღმშენებლობების გამომხატველ ისეთ ნაწარმოებებში, როგორებიცაა: „სალამი ნარიყალადან“, „თბილისი ღამით“, „ახალი თბილისი“, „კიროვის ბაღში“, „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“ და ა. შ.

ასევე უნდა აღინიშნოს იოსებ გრიშაშვილის ის ლექსები, რომლებშიც თბილისის ტკივილიანი ისტორია იკითხება, ათასი მტარვალის სურვილი, ხელთ ეგდო საქართველოს დედაქალაქი:

„ათას ხუთასი მზე გახსოვს, ბევრი რამ გადაგხდენია,
მაგრამ მტარვალთა წინაშე არ მოგიხრია ქედია“.

(„სალამი ნარიყალიდან“, 2012:170)

პოეტი გატაცებულია საქართველოს ისტორიით. ძველი ხელნაწერებისა თუ წიგნების ფურცლებზე დაეძებს ნაშთს გარდასული დიდებისას. ცდილობს გონების თვალსაწიერით ჩასწვდეს ამა თუ იმ პერიოდის სიღრმეში მიმალულ ფაქტებსა, იმ ისტორიულ პირებს, რომელთაც შეძლეს ქვეყნისთვის საქმითა თუ სიტყვით ცრემლის მოწმენდა, ნუგეშისცემა. ამ თვალსაზრისით ლირიკულ თხზულებაში „მეფე ვახტანგი“ პოეტი იხსენებს მწიგნობარ მეფე ვახტანგ მეექვსეს, რომელიც ლექსისათვის ეპიგრაფად წამძღვარებული მემატეანის ცნობით, „იყო დარბაზსა შინა და განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა“:

„მე შემეყვარდა ძველ წიგნების ნესტი და ჟანგი,
ვეტრფი ყოველგვარ ძველ დანაშთობს, ძველ ნატამალსა.
ახ, ნეტამც იმ დროს, როცა სწერდა „დასტურლამალსა“
მეფე ვახტანგი!
ხელში – კალამი, წელზე – ხმალი, მკლავზე – დასტანგი.
ის არც სტამბაში თაკილობდა ლურჯ ფეშტამალსა.
თვით ყაბახზედაც მტერს ასმევდა თასით წამალსა –
მის ჩოგან-ჩანგი!“

(„მეფე ვახტანგი“, 2012:265)

იოსებ გრიშაშვილის არაერთ ლექსში თბილისი ორგანულად უკავშირდება ერეკლეს სახელს. „იგი თბილისის პირნავარდნილი შვილია... გრიშაშვილი ძველი თბილისის რომანტიკოსია, ერეკლეს თბილისისა“ (აბაშიძე, 1913:4). ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ლექსი „ტრიოლეტები შეითანბაზარში“:

„მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
და მსურს აქ მოვკდე, რომ მისი მზე წვავდეს ჩემს კუბოს,
ან მსურს, მტკვრის ტალღამ ორთაჭალის ხრამს დამაგუბოს!..
(მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!)
და მე არ მინდა სხვა ანდერძი არავითარი:
ახლიჩეთ მწვადი... სთქვით ლექსები... აჟღერეთ თარი...
რომ საიქიოს საიათნოვა არ წამეჩხუბოს!
მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
და მსურს აქ მოვკდე, რომ მისი მზე წვავდეს ჩემს კუბოს“.

(გრიშაშვილი, 2012:269)

იოსებ გრიშაშვილის კალამი განსაკუთრებული სითბოთი იხსენიებს ერეკლე მეორეს, ქვეყნისათვის დამამზვრალ მეფეს, რომელსაც „გულის დავთარში ჰქონდა ერთი რამ წადილი“, რომ როგორმე „გადაერჩინა ჩვენი ტანჯული ქვეყანა, იავარდქმნილი თბილისი მზის შუქზე გამოეყვანა“ (გრიშაშვილი, „სალამი ნარიყალიდან“, 2012:170).

წინაპართა მიერ დაღვრილი სისხლი პოეტს ავალდებულებს მოწოდებას, „თბილისში როს იხილო მტრების შემოსვლა – იბრძოლე აბჯრის გაცვეთამდე ბებუთით ხელში“ (2012: 281).

ლექსში „მოლა მინარეთზე“ პოეტი ცრემლნარევი სიმართლით გვიხატავს ალა-მაჰმად-ხანის საბედისწერო შემოსევის ავბედით ეპიზოდს, „როცა საკუთარ დედაქალაქად გამოაცხადა თბილისი ჩვენი, და მკვდრები მტკვარში გადაალაგა, როგორც ემბლემა გადასასვენნი“ (2012:4-5). პოეტი ამ შემოსევის სავალალო შედეგზე საუბრობს. განსაკუთრებით უსვამს ხაზს დამპყობელთა მიერ ქრისტიანობის, როგორც ეროვნული რელიგიის, შევიწროვებას. ქართულ მიწაზე სპარსელთა კეთილდღეობისთვის მლოცველი მოლა ტკივილს იწვევს პოეტში:

„მოლამ მეჩეთში ყურანს აკოცა.
ისმის ლოცვები დროგამოშვებით:
– სპარსეთმა ბევრი გმირი დახოცა
გულში ჩახუტულ წმინდა დროშებით.“

ო, დააჩუმეთ... რას ჰკვივის მოლა?
 იგი იგონებს, ალბათ, აზანით,
 როცა სპარსეთმა ხმლით დაიმონა
 პატარა კახი და ალაზანი;
 მორჩა. დახურა მოლამ ყურანი,
 დოლბანდს შეეხო ცივის მარჯვენით.
 მოლა, მეჩეთით გადმომყურავი,
 მედიდურობდა ძველ გამარჯვებით.
 და ვთქვი: თუმც ზეცას ნელ-ნელ აკლდება
 მზე, თბიერება და ნაპერწკალი –
 თბილისი ისევ გაირაკლდება
 და ნაგუბარში ჩადგება წყალი“.

(„მოლა მინარეთზე“, 2012:4-5)

ასეთი სიყვარული აჟღერებდა პოეტის გულის ყველაზე სათუთ სიმებს, საქართველოს მრავალ-საუკუნოვანი წარსულის ტკივილში აძებნიებდა მკითხველს დამპყრობლების წინააღმდეგ გაჩენილ მრისხანების გრძნობას.

კრწანისის ბრძოლის სურათებს აცოცხლებს პოეტი კიდევ ერთ, 1942 წლის მძიმე დღეებში დაწერილ პატრიოტულ ლექსში „საიათნოვას ჭიანური“. პოეტს თავისი ლექსისათვის ეპიგრაფად წამძვარებული აქვს მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ „მეფე ირაკლის ლაშქრობის დროს საიათნოვა წინ მიუძლოდა მებრძოლთა რაზმს და თავისი ჭიანურით ამხნევებდა სამშობლოს მამაც დამცველებს“. გადმოცემის მიხედვით, საიათნოვა თავადაც დაღუპულა თბილისის დასაცავად ხმლით ხელში. სწორედ მემატიანის ისტორიული ცნობა გამოუყენებია პოეტს პატრიოტული გრძნობის გადმოსაცემად:

პოეტო და მეომარო! გიგონებ და გიმზერ!
 შენ მღეროდი ჭიანურით საქართველოს გმირზე,
 სამი რომ ვერ დაგეგია ჭიანურის ალყზე –
 სამის ერთი ნაწიბური გადასჭიმე ხალხზე –
 ხალხი სწნავდა შენს ჭიანურს ჭკვიანურად, მძიმედ,
 გამარჯვების მოლოდინში არ ჰკარგავდა იმედს.
 ასე იყო ირაკლის დროს, ასე არის დღესაც...
 ო, ყურს ვუგდებ აღტაცებით ჭიანურის კვნესას!“

(„საიათნოვას ჭიანური“, 2012:86)

„უკეთესი ხე სხვა არაფერია, თუ არა ის რასაც ჩვენ განახლებას ვეძახით და რასაც პოეტი ასე შთაგონებულად უმღერის, ასე ლაკონურად გვიხატავს თავის შემოქმედებაში. მთელი ლექსი განსახიერებაა ხელოვნებაში იმ ხერხისა, რომელსაც პარალელურ სიმბოლიკას ვუნოდებ“ (ჯიბლაძე, 1955:311).

იოსებ გრიშაშვილის ნათელი მომავლის იმედიანი ხე კიდევ უფრო მეტად იფოთლება თბილისზე შექმნილ სხვა ლირიკულ ქმნილებებში. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ლექსი „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“:


„ეს რა ხეა აქ დარგული,
 ეს რა ქვები ალაგია,
 ეს თბილისი – ქართლის გული –
 გორგასლანის ქალაქია?
 არც მურვან ყრუ, არც შახაბაზ
 აღარ მოსჩანს განჯისკართან
 და ყაფლანის ქართულ კაბას
 გასცვეთია ყოშის კალთა.
 ვიზრდებით და ცეცხლად ვღვივით,
 აღარ გვეყოფნის სიგრძე, განი,
 რუსთაველის ბეჭებივით
 დგას თბილისის გალავანი“.

(„გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“, 2012:61-62)

ამრიგად, როგორც განხილულმა ლექსებმა ცხადყო, იოსებ გრიშაშვილის, როგორც თბილისის ჭეშმარიტი ტრუბადურის, პოეზიის ხიბლი და ლაზათი საქართველოს დედაქალაქის კოლორიტული (ძველი თუ ახალი) სახეების შექმნაში მდგომარეობს. ქალაქი, რომელმაც გაზარდა პოეტი, იქცა მისი შემოქმედების იმ მყარ ნიადაგად, საიდანაც ამოიზარდა მისი ნათელი პოეზია.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე ი., „ცხოვრება და ხელოვნება“, „სახალხო გაზეთი“, №901, თბ., 1913.
2. ალავიძე მ., ლიტერატურული წერილები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისი, 1981.
3. გრიშაშვილი ი., ოთხტომეული, ტ. I, პოეზია, გამომც. „პალიტრა“, თბ., 2012.
4. გრიშაშვილი ი., ოთხტომეული, ტ. II, პოეზია, გამომც. „პალიტრა“, თბ., 2012.
5. გრიშაშვილი ი., ოთხტომეული, ტ. III, პროზა, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, გამომც. „პალიტრა“, თბ., 2012.
6. დურმიშიძე ს., ზოგი რამ წარსულიდან, გამომც. „მეცნიერება“, თ., 1985.
7. ლეონიძე გ., „ლიტერატურული გაზეთი“, №1, 1955.
8. მიშველაძე რ., იოსებ გრიშაშვილი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.
9. ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2002.
10. ჯიბლაძე გ.; იოსებ გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ. I, ლექსები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961.



დავით თოდორიძე

ჭირისუფალი



მამა სერაფიმე ზურაბ გორგილაძის ოჯახში გავიცანი. ბედმა წვეულებაზე მის გვერდით დაჯდომა მარგუნა. ჩვენი საუბარი სასიამოვნოდ აენყო. აღმოჩნდა, რომ დაუსწრებლად ერთმანეთს საკმაოდ კარგად ვიცნობდით და ერთმანეთის მიმართ დიდი სიმპათიები გვქონდა. გაშინაურების შემდეგ მამაოს ვკითხე, ვითვლებოდი თუ არა ქრისტიანად მაშინ, როცა მთელი ცხოვრება ქრისტიანული წესით ვცხოვრობდი, ოჯახიც ქრისტიანული მყავდა, მაგრამ მომნათლული არ ვიყავი. არაო, მოკლედ მომიჭრა მამაომ. თუ ასეა, მომნათლეთ-მეთქი. სიამოვნებითო, მიპასუხა მოძღვარმა. მე, ბოდიშის მოხდით, ჩემი „პირობა“ წავუყენე. ნათლია თქვენ მინდა იყოთ, თანაც მდინარე მაჭახელაში, იქ, სადაც ჩვენს ურჩ წინაპრებს მართლმადიდებლობის არდათმობისთვის თავებს ჰკვეთდნენ, უნდა მომნათლოთ-მეთქი. პასუხი, რა თქმა უნდა, დადებითი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ, მე და შოთა ჯიბლაძე მაჭახელას კამკამა მდინარეში მოგვნათლა მამა სერაფიმემ. ასე გავხდი მისი სულიერი შვილი, ასე დაიწყო ჩემი დიდი სიყვარული, პატივისცემა და მოკრძალება მამა სერაფიმეს მიმართ. მაშინ ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“ დირექტორი გახლდით. ოფისი ზღვისპირას, გოგებაშვილის ქუჩის 24 ნომერში გვქონდა, სადაც

მამა სერაფიმე კვირაში ორ-სამჯერ მაინც შემომივლიდა. უაღრესად ყურადღებიანი იყო, ყურადღებიანი და მგრძნობიარე. ვსაუბრობდით საათობით, ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მისგან, მისი საუბრებით შთაგონებულმა რამდენიმე ლექსიც დავწერე.

ვის შეიძლება შევადაროთ მამა სერაფიმე? არავის, მე არ მეგულება ანალოგი, მე ასე მგონია. სუფთა და უბრალო. მშობლიური მიწიდან გადმოდენილ წყაროსავით სუფთა და უბრალო, მართალი ერთან და ბერთან. აჭარის წარსულზე ღრმად ჩაფიქრებული, მის მომავალზე მუდმივად მლოცველი, დაუზარებელი, იქ სადაც ლოცვას აღავლენდა, ღვთაებრივი სუნთქვა და სითბო დატრიალდე-

ბოდა. მისი ცხოვრება მამულის, ენისა და სარწმუნოების მსახურების იშვიათი მაგალითია. სოფელ-სოფელ დადიოდა ქადაგებითა და ლოცვით. აჭარაში მართლმადიდებლობის გავრცელებას შესწირა ყველაფერი, რადგანაც იცოდა, ყველაზე დიდი და ყოვლისმომცველი ჭეშმარიტება ჩვენს კუთხეში წინაპრების სარწმუნოებაზე დაბრუნება იყო.

მახსოვს, ძმებმა გადავწყვიტეთ, ჩვენს მამულში თევდორე მღვდლის, თევდორე კველთელის სახელობის ეკლესია აგვეშენებინა. შემოვუძახეთ მეზობლებს და საძირკვლის გაჭრა დავიწყეთ. უფლის კარნახით თუ სურვილით, მუშაობაში გართული ბიჭები შევაჩერე. მამა სერაფიმეს დავურეკავ და რჩევას ვკითხავ-მეთქი. ქედაში გახლდათ, სასწრაფოდ ჩამობრძანდა. გაკეთებული დაგვიჩვენა, ასე როგორ შეიძლებაო, პროექტი სადა გაქვთო. მე რომ ვუთხარი, ვის სახელობაზე ვაშენებდით ტაძარს, გაოცდა, შენ ამის უფლება ვინ მოგცაო. ნაცვლად შექებისა, საყვედურებით ავსილებმა გულდანყვევით დავტოვეთ საეკლესიოდ მომზადებული ადგილი. ნაბრძანდა და ნახევარი საათის შემდეგ დამირეკა. გილოცავო, მეუფე დიმიტრის რომ მოვახსენე, დავით თედორაძეს გადაწყვეტილი აქვს ტაძრის აშენებაო, გაუხარდა – რა კარგიაო, თევდორე მღვდლის სახელობაზე ვაკურთხებთო. სასწრაფოდ მოუმზადეთ პროექტი და აკურთხეთ მშენებლობის დაწყებაო. ჩემი არცოდნა, არცოდნად ჩათვალა და მეუფესთან არ „ჩამიშვა“. მე კი გაოცებული დავრჩი, როგორ ამოიცნო ჩემთვის უაღრესად პატივსაცემმა და საყვარელმა მეუფე დიმიტრიმ ჩემი სურვილი.


მამა სერაფიმე ტაძრის მშენებლობის დაწყების კურთხევით არ შემოფარგლულა. მშენებლობის პროცესში ხშირად მობრძანდებოდა, მშენებლებს მითითებებს აძლევდა, მოკლედ, მშენებლობას აკონტროლებდა.

მახსოვს, რამდენ წინააღმდეგობას წაანყდა ზვარეს ტაძრის მშენებლობის დროს. სიღინჯით, მიტევებით ექცეოდა ყველა უკულმართს და თავისი გაჰქონდა. გაოცებული ვიყავი მისი მოთმინების უნარით. ურჩების ენაც შესანიშნავად იცოდა და მუსლიმებთან საუბრის დიდოსტატიც გახლდათ. ასე აშენდა მისი თანადგომით არაერთი ტაძარი აჭარაში.

მისი ადამიანური უბრალოება და მოყვასის სიყვარული სამაგალითო იყო ყველასთვის. ქართულ მიწაზე იდგა ყოველთვის – ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული სამას წელიწად ნამარხულევ, სამას წელიწად ღვინოუსვამ მშობლიურ კუთხეში და თუ რამ ქადაგებისა და ლოცვის უფლებას აძლევდა რწმენა, მშობლიური აჭარის სიყვარული და ერთგულება იყო.

ჭირისუფალი გახლდათ მამა სერაფიმე აჭარის. აქ სხვა სიტყვის გამოყენება უფერულად მომეჩვენა. ერთადერთი ეპითეტი – ჭირისუფალი – უფრო ასახავს მის ღვანლს მშობლიური კუთხისადმი.

ვალმოხდილი და დამაშვრალი განისვენებს ახლა წმინდანი ძმის გვერდით, ხოლო მის საქმეს აგრძელებს ჩვენი სულიერების ნუგეში, ჩვენი სულის საოხად გაჩენილი, უსაზღვროდ ძვირფასი და პატივსაცემი, მისი ძე, მამა ბასილი.



აიხაილ აახარაძე

აუხილაველი კომენტარი პასუხზე

2019 წლის ჟურნალ „ჭოროხში“ (№5) გამოქვეყნდა ჩემი მცირე მოცულობის კრიტიკული წერილი, სადაც გამოვხატე ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ორი წლის წინ ბათუმში დაფუძნებულ საერთო-სახალხო მოძრაობაზე – „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად“.

ხსენებული ჟურნალის მომდევნო ნომერში (2019, №6) დაიბეჭდა მოძრაობის ორი წარმომადგენლის ვრცელი პასუხი ჩემს კრიტიკულ გამოსვლაზე სათაურით – „ვითარება სულ სხვაგვარია“. პასუხი თავის მართლებების რეჟიმშია დაწერილი და ვერანაირად ვერ პასუხობს ჩემს კრიტიკულ შენიშვნებს. დაინტერესებული მკითხველი გაეცნობა ჩემს წერილს და ოპონენტების პასუხს მასზე და შესაბამისი დასკვნების გამოტანა არ გაუჭირდება.

მოკლედ, ამ საკითხზე ჩემი სათქმელი ვთქვი და კამათის გაგრძელებას აღარ ვაპირებ. თუმცა, საპასუხო წერილში გვხდება ფაქტების ნებისით თუ უნებლიე დამახინჯება, რასაც უკომენტაროდ ვერ დავტოვებ, კერძოდ:

1. პასუხში ვკითხულობთ: „სასურველი იყო ავტორი (ე. ი. მე – მ. მ.) ღრმად ჩანვდომოდა დასახელებული მოძრაობის (იგულისხმება ხსენებული საერთო-სახალხო მოძრაობა – მ. მ.) შექმ-

ნის მიზანსა და მიზეზებს და დაგვეკავშირებოდა სახალხო მოძრაობის დამფუძნებლებს“.

აღნიშნულის თაობაზე ვიტყვი შემდეგს: გასული წლის გაზაფხულზე, თვე ზუსტად არ მახსოვს, მივედი მოძრაობის ოფისში, შევხვდი ერთ-ერთ დამფუძნებელს და გამოვთქვი ჩემი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნულ მოძრაობასთან მიმართებით. რატომ დამალეს ეს ფაქტი პასუხში, ამის თაობაზე სჯობს ოპონენტებმა უპასუხონ.

2. პასუხში აღნიშნულია – „ბატონ მიხეილს არ მოსწონს ტერმინი „მუსლიმანი“ და გვისწორებს „მუსლიმი“ უნდა იყოსო“. სად ამოიკითხეს ეს? ჩემს წერილში მსგავსი არაფერი წერია და ვერც დავწერდი, რადგანაც იყენებენ როგორც ერთ, ისე მეორე ტერმინს და არც ერთი არ არის შეცდომა. ამასთან, მე არა ვარ იმ რანგის მეცნიერი, რომ აზრი გამოვთქვა ყურმოკრულ და საჩოთირო შეხედულებების საფუძველზე.

იქვე, ოპონენტები კატეგორიულად აცხადებენ: „...ტერმინი „მუსლიმი“ არც ერთ ქართულ ლექსიკონში არაა“ და იმონებენ 1986 და 1989 წლების ლექსიკონებს. მაგრამ ვითარება სულაც არ არის ისეთი, როგორც ეს მათ წარმოუდგენიათ. ავიღოთ უფრო ახალი ქართული სპეციალური საგნობრივი ენციკლოპედიური ცნობარი

– „ისლამი“ (1999 წ.), რომლის ავტორებიც არიან ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები და ისლამმცოდნეები. ამ გამოცემის 140-ე გვერდზე ცალკე გამოტანილი და განმარტებულია ტერმინი – „მუსლიმი“ და არა „მუსლიმანი“ ან „მუსულმანი“.

3. ოპონენტები ორჯერ გამოთქვამენ ეჭვს: „იგი (ე. ი. მე – მ. მ.) ხომ არ ახმოვანებს რამდენიმე (! – მ. მ.) უკიდურესად რეაქციულად განწყობილი ჯგუფის მოსაზრებებს?“ რომ არაფერი ვთქვათ ოპონენტების გამოთქმული ეჭვის

ფორმაზე, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ჩემი თითქმის 35 წლიანი კრიტიკული გამოცდებისას თუ პუბლიცისტური მოღვაწეობისას ერთხელაც არ გამიხმოვანებია რომელიმე პოლიტიკური ძალის ან საზოგადოებრივი ჯგუფის აზრი. სხვა საქმეა, რომ ჩემი პოზიცია შეიძლება ზოგჯერ დაემთხვეს სხვისას, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამას ისინი საჯაროდ არ/ვერ გამოხატავენ, მე კი ყოველთვის თუ არა, არც თუ იშვიათად მაინც ვამბობ: „მეფე შიშველია!“ ასე იყო ამ შემთხვევაში და სხვა არაფერი.

16.01.2020

ჭორბი 1 2020

მალხაზ ფალავას
პირადი წიგნული
ბიბლიოთეკა

2020 malkhaz.pagava@mail.ru